

დანიელ დაფო

რობინზონ
პრუზოს ახალი
თავგადასავალი



<https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/>



■ დანიელ დეფო

<https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/>

როგორც პრუზოს ახალი მოგზაურობა

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

თავი I

ხელმორიდ ჩასვლა კუნძულზე

ალბათ გსმენიათ ინგლისში ფართოდ გავრცელებული ანდაზა, კუზიანს სამარეც ვერ გაასწორებსო. ჰოდა, ამ ანდაზას მთელი ჩემი ცხოვრებაც ადასტურებს. თუ გავითვალისწინებთ იმ ოცდაათწლიან განსაცდელს, იმ მრავალ გაჭირვებას, თავს რომ დამტეხია და ცოტას თუ ვინმეს განუცდია, იმ შვიდ წელს, რომელიც სიმშვიდესა და სიამოვნებაში გავატარე, და კიდევ იმას, რომ საშუალო ფენის ადამიანის კვალობაზე ცხოვრების ყველა ნიუანსს ვეზიარე და ამოვიცანი, როგორი ცხოვრება ანიჭებს ადამიანს სრულ ბედნიერებას, შეიძლება ვინმეს ეფიქრა, რომ ხეტიალისადმი თანდაყოლილი მიდრეკილება, რომლის შესახებაც პირველი მოგზაურობის შემდეგ უკვე მოგახსენეთ, შემისუსტდებოდა და სამოცდაერთი წლის ასაკისთვის დავდინჯდებოდი, მშვიდ ცხოვრებას ავირჩევდი და ბედ-ილბალს მივენდობოდი.

არადა, იმის საფუძველიც არ მქონია, რომ შორეულ მხარეებში მემოგზაურა: არც ქონების დაგროვება მჭირდებოდა, არც არაფერი მქონდა მოსაპოვებელი. კიდევ ათი ათასი გირვანქა სტერლინგიც რომ მეშოვა, ბევრი არაფერი შეემატებოდა ჩემს ქონებას, რადგან საკმარისად მქონდა საიმისოდ, რომ თავიც მერჩინა და ისინიც, ვინც ჩემს კმაყოფაზე იყვნენ. თანაც, ჩემი კაპიტალი ისედაც მატულობდა და რაკი დიდი ოჯახის პატრონი არ გახლდით, მის დახარჯვასაც ვერ მოვახერ-

ხებდი, ანდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსახურთა ჯარს ვიყოლიებდი, ეკიპაჟები, გართობა და სხვა ამგვარი რამ გა-მიტაცებდა, რაც ჩემთვის სრულიად უცხო იყო და არანაირად არ მიზიდავდა. ამიტომაც, ისღა დამრჩენოდა, რომ მშვიდად მეცხოვრა, მესარგებლა იმით, რაც მქონდა და მეყურებინა, როგორ თვალსა და ხელს შუა მატულობდა ჩემი ქონება. მაგ-რამ ეს ყველაფერი არ მაკმაყოფილებდა, ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ საკუთარ თავში ჩამეკლა მოგზაურობის უინი, რომელმაც უკურნებელი სენივით დამრია ხელი. განსაკუთ-რებული სიძლიერით ამიტანა სურვილმა, კიდევ ერთხელ შე-მევლო თვალი კუნძულზე ჩემი პლანტაციებისთვის და კო-ლონიისთვის, იქ რომ დავაარსე. ლამლამობით ჩემი კუნძული მესიზმრებოდა, დღის განმავლობაში კი სულ იქ ჩასვლაზე ვოცნებობდი. ამაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა და მთე-ლი ჩემი არსება ისე მოიცვა, რომ ძილშიც კი მაბოდებდა. ერთი სიჭყვით, კუნძულზე ფიქრი ვერაფერმა გადასძალა; თუ ვინ-მეს ვესაუბრებოდი, ხომ სულ პირზე მეკერა, ასე რომ, ყველას თავი მოვაბეზრე. სხვა არაფერზე შემეძლო ლაპარაკი; რაზეც უნდა ყოფილიყო საუბარი, მაინც კუნძულს ვახსენებდი; ყვე-ლას ყელში ამოვუყვანე და თავადაც ვამჩნევდი ამას.

ხშირად მსმენია, ჭკუადამჯდარი ხალხი როგორ ამბობდა, ყველა ამბავი სულებისა და მოჩვენებების შესახებ ადამიანთა წარმოსახვისა და ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია, არავი-თარი სულის გამოცხადება და აჩრდილთა ბორიალი არ არსე-ბობსო; ზოგიერთი ისე გაიტაცა გარდაცვლილ მეგობრებთან საუბრის გახსენებამ, ისე ცოცხლად წარმოიდგენენ მათ, რომ არის შემთხვევები, როცა ეჩვენებათ — ხედავენ, ელაპარაკე-ბიან და მათგან პასუხსაც იღებენ, არადა, სინამდვილეში არა-ფერიც არ ხდება, და ეს მხოლოდ მათი ილუზიააო.

მე თუ მკითხავთ, ახლაც არ ვიცი, მართლა ხდება თუ არა ამგვარი მოვლენები, მართლა დაბორიალებენ თუ არა გარ-დაცვლილთა სულები და აჩრდილები; თუ ეს ავადმყოფური

წარმოსახვის, არეული გონიერებისა და მოშლილი ფსიქიკის ნაყოფია; ის კი ვიცი, რომ ჩემს ფანტაზიას ისეთი მწვერვალისთვის მიუღწევია, როცა მომჩენებია, თითქოს ისევ კუნძულზე ხეებში მიმალულ ჩემს ციხესიმაგრესთან ვიმყოფები და იქვე ვხედავ ჩემს მოხუც ესპანელს, პარასკევას მამას და თავზე ხელალებულ მეზღვაურებს, კუნძულზე რომ დავტოვე. ჰოდა, მომჩენებია, რომ ველაპარაკები მათ და თვალს არ ვაშორებ, თუმცა ისეთივე ფხიზელი ვიყავი, როგორიც ის ადამიანები, ჩემ წინ რომ იდგნენ. და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ თვითონაც არ დამაფრთხო ჩემმა წარმოსახვამ. ერთხელაც, ძილში სავსებით ცხადად დავინახე, რომ პირველი ესპანელი და პარასკევას მამა მიყვებიან სამი არამზადა მეზღვაურის მუხანათობის შესახებ, კერძოდ, რომ მათ სცადეს ამოეხოცათ ყველა ესპანელი და რომ ცეცხლი წაუკიდეს ესპანელთა გადანახულ სურსათის მარაგს, რათა ისინი შიმშილით დახოცილიყვნენ. მსგავსი რამ არც ვინმეს უთქვამს და არც არასდროს მომხდარა, მაგრამ ჩემს წარმოსახვაში ყველაფერს ისე ცინცხლად ვხედავდი, რომ იმ მომენტამდე, ვიდრე სინამდვილეში ვნახე ჩემი კოლონია, ვერავინ დამარწმუნებდა, რომ ეს ტყუილი იყო. ნეტავიცოდეთ, როგორმა რისხვამ და აღმტოთებამ ამიტანა ძილში, ესპანელი რომ შემომჩიოდა, რა სასტიკი განაჩენი გამოვუტანე დამნაშავეთ, როგორ დავკითხე ისინი და გავეცი ბრძანება, სამივე ჩამოეხრჩოთ. მთელ ამ ამბავში ტყუილ-მართალი თავის დროზე გაირკვევა. ის კი მიკვირს, ეს ყველაფერი რამ დამასიზმრა და რა იდუმალმა სულებმა ჩამაგონეს, რადგან ბევრი რამ მართალი აღმოჩნდა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი სიზმარი ზედმინევნით ასახავდა რეალობას, მაგრამ ზოგადად იმდენ სიმართლეს შეიცავდა იმ სამი გარენრის სიმუხტლისა და სიმდაბლის თაობაზე, რომ მართლაც მომიხდა მათი მკაცრად დასჯა. რომც ჩამომეხრჩო ისინი, სამართლიანად მოვიქცეოდი და ღვთისა და კაცის წინაშეც მართალი ვიქნებოდი.

მაგრამ მოდით, თხრობას დავუბრუნდეთ. ასე გავატარე რამდენიმე წელი. არავითარი სიამოვნება, არავითარი დროს ტარება, არავითარი გასართობი არ არსებობდა ჩემთვის, კუნძულის მონახულების ოცნების გარდა. ერთ საღამოსაც, ჩემმა ცოლმა, რომელიც მატყობდა, რომ მხოლოდ ამ ფიქრით ვიყავი შეპყრობილი, მითხრა, რაღაც ზეციური ხმა ჩაგდახის, რომ კუნძულზე უნდა დაბრუნდეო. ერთადერთი, რაც ამაში ხელს მიშლიდა, მისი თქმით, ცოლ-შვილის წინაშე ვალდებულება იყო. მერე მითხრა, შენთან განშორებაზე ფიქრიც კი აუტანელია, მაგრამ რაკი დარწმუნებით ვიცი, რომ მოვკვდე, მაშინვე კენძულზე წახვალ, და ეს ზეცაში უკვე გადაწყვეტილია, არ მინდა, ხელი შეგიშალო; ამიტომ, თუკი ეს აუცილებლად მიგაჩნია და გამგზავრება გადაწყვეტილი გაქვსო... — უცებ შენიშნა, რომ მონუსხულივით ვუსმენდი და თვალს არ ვაშორებდი, შეცბა და გაჩუმდა. ვკითხე, სათქმელი რატომ არ დაასრულე-მეთქი, და ვთხოვე, ყველაფერი ბოლომდე ეთქვა. ძალიან ალელვებული იყო და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— მითხარი, ძვირფასო, — დავიწყე მე. — შენ გინდა, რომ გავემგზავრო?

— არა, — მიპასუხა ალერსიანად, — ეს როგორ მენდომება. მაგრამ რაკი გადაწყვიტე, მირჩევნია, მეც წამოგყვე, ვიდრე შენთვის დაბრკოლებად ვიქცე. თუმცა კი მგონია, რომ შენს ასაკში და შენს მდგომარეობაში, ამაზე ფიქრი ძალზე სარისკოა. — მერე თვალცრემლიანმა განაგრძო: — რაკი განგებამ ასე ინება, არ მიგატოვებ. ღვთის ნებას წინ მაინც ვერ ალვუდგები. რადგან უფალმა შენი გამგზავრება ინება, მეც მიმანიშნებს, — ან უნდა წამოგყვე, ანდა ყველაფერი ვიღონო, რომ დაბრკოლება არ შეგიქმნა.

ცოლის ასეთმა გულისხმიერმა სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, ასე რომ, მიწაზე დავეშვი და ჩემს ქცევას ჩავუფიქრდი, მოგზაურობის წადილი დავიოკე და გულში გავიფიქრე:

რა აზრი აქვს ჩემთვის, სამოცი ნლის კაცისთვის, რომელმაც ამხელა ცხოვრება განვვლე, ამდენი გაჭირვება და სიმწარე გადავიტანე და ახლა ასე ბედნიერად ვცხოვრობ, ისევ თავგა-დასავლების საძებნელად წასვლას და ბედის სასწორზე შეგ-დებას, რაც მხოლოდ ახალგაზრდებსა და არაფრის მქონეთ შეეფერებათ?

იმ ახალ ვალდებულებებზეც ვფიქრობდი, რომლებიც და-ვიკისრე — იმაზე, რომ მყავს ცოლი და შვილი, რომ ჩემი ცო-ლი ორსულადაა, რომ ყველაფერი მაქვს, რაც კი შეიძლება ცხოვრებაში კაცმა ისურვოს და სულაც არ მჭირდება, მოგე-ბის გულისთვის სარისკოდ გავიხადო საქმე. საკუთარ თავს ვარწმუნებდი, ჩემს ასაკში კაცმა იმაზე უფრო უნდა იფიქროს, რომ მალე ყველაფერ იმასთან განშორება მოუწევს, რაც ამქ-ვეყნად შეუძენია, და არა იმაზე, რომ კიდევ მეტი იშოვოს-მეთ-ქი. ვფიქრობდი ჩემი ცოლის სიტყვებზე, რომ ასეთია ღვთის ნება და ამიტომაც უნდა გავემგზავრო კუნძულზე, თუმცა თავად სულაც არ ვიყავი ამაში დარწმუნებული. ამიტომაც, ფანტაზიები დავიოკე და საკუთარი თავიც ავლაგმე, რაც ალ-ბათ ასეთ შემთხვევაში ყველას შეუძლია, თუკი მოინდომებს. ერთი სიტყვით, ჩავიკალი სურვილები და ეს შევძელი გონივ-რული არგუმენტების საშუალებით, რომლებიც ჩემს მაშინ-დელ მდგომარეობაში საკმაოდ უხვად მოიძებნებოდა. ძა-ლიან ვცდილობდი, სხვა რამეზე გადამეტანა ყურადღება და გადავწყვიტე, ისეთი საქმე წამომენყო, რომელიც კუნძულზე გამგზავრების ოცნებას ჩამიკლავდა, რადგან შევატყვე, რომ ეს ოცნება უფრო მაშინ მეძალებოდა, როცა გულხელდაკრე-ფილი დავყიალობდი, არანაირი საქმე ან, ყოველ შემთხვევაში, გადაუდებელი საქმე არ მქონდა. ამ მიზნით ბედფორდის საგ-რაფოში პატარა ფერმა ვიყიდე და გადავწყვიტე, იქ გადავსახ-ლებულიყავი. იქ მშვენიერი პატარა სახლი იდგა და მამულიც აშკარად ხელის შევლებას საჭიროებდა. ამგვარი საქმიანობა

სწორედაც რომ საჩემო გახლდათ, თანაც იქაურობა ზღვის-გან დაშორებული იყო, ასე რომ, არ მომიხდებოდა ხომალდების, მეზღვაურებისა და ყოველივე იმის ყურება, რაც შორეულ მხარეებს გამახსენებდა. ფერმაში გადავბარგდი, ოჯახიც გადავიყვანე, ვიყიდე გუთანი, ფარცხი, ურიკა, ფურგონი, ცხენები, ძროხები, ცხვრები და სერიოზულად შევუდექი შრომას. ნახევარ წელიწადში ნამდვილი მეურნე გავხდი. ჩემი გონება მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ თვალყური მედევნებინა მუშებისთვის, დამემუშავებინა მიწა, ამეგო ღობე, დამერგო ხეები და მეწარმოებინა სხვა სამეურნეო სამუშაოები; ასეთი ცხოვრების წესი, დიახაც რომ, ძალზე სასიამოვნო გახლდათ კაცისთვის, რომელსაც ცხოვრებაში ბევრი გადაუტანია.

ჩემს მიწას ვუვლიდი, იჯარა გადასახდელი არ მქონდა; არანაირი პირობით არ ვიყავი შეზღუდული; რაც მინდოდა, იმას ვიზამდი — მინდოდა ავაშენებდი, მინდოდა დავანგრევდი; რასაც კი ვაკეთებდი, ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სიკეთის მომტანი იყო. მოგზაურობაზე უარის თქმას უარყოფითად სულაც არ უმოქმედია ჩემს ცხოვრებაზე. აი, ახლა კი, მეგონა მე, მივალნიე იმ ოქროს შუალედს, რომელსაც ასე დაუინებით მირჩევდა მამაჩემი, იმ ნეტარ ცხოვრებას, რომელიც ასე წააგავს სოფლად ცხოვრებას, პოეტი რომ აღწერს:

აქ ვერ შესცოდავ, არც სადარდელი მოგეძალება,
სიბერე ტანჯვად არ გექცევა,
არც სიყმანვილე მოგევლინება ცდუნების უამად.

მაგრამ ასეთ ნეტარებაში მყოფმა ისეთი ძლიერი დარტყმა მივიღე, რომელმაც მთელი ცხოვრება დამინგრია და ისევ გამიცოცხლა მოგზაურობაზე ოცნება. და ეს ოცნება ისეთი ძალით შემეყარა, როგორც უკურნებელი სენი. და მას უკვე ვეღარაფერი უშველიდა. ასეთ დარტყმად ცოლის სიკვდილი მექცა. არ მოვყვები ჩემი ცოლის სიკვდილზე ელეგის წერას,

მისი სათნოების აღწერასა და გამოსათხოვარი სიტყვისთვის დამახასიათებელ ხოტბა-დიდებას; მხოლოდ ერთს ვიტყვი: ის ყველა ჩემი საქმის, ყველა ჩემი წამოწყების სული და გული იყო, თავისი გონიერებით მუდამ მარიდებდა უგუნურ და სარისკო გადაწყვეტილებებს, თავში რომ მიტრიალებდა, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, და მშვიდ და გაწონასწორებულ მდგომარეობაში მაბრუნებდა; მას შეეძლო ჩემი მშვიოთვარე სულის დაშოშმინება; მისი ცრემლი და თხოვნა უფრო ჭრიდა ჩემზე, ვიდრე დედაჩემის ტირილი, მამაჩემის დარიგება, მეგობართა რჩევები და თვით ჩემი გონივრული აზრები. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, როცა მის წინაშე დათმობაზე მივდიოდი, და სრულიად გამანადგურა და კალაპოტიდან ამომაგდო მისმა სიკვდილმა.

უიმისოდ ირგვლივ სამყარო უხალისო და უგვანო მეჩვენებოდა. სულიერად აქ უფრო უცხოდ ვგრძნობდი თავს, ვიდრე ბრაზილიის ტყეებში, როცა მის სანაპიროზე პირველად დავდგი ფეხი, და ისევე ეულად, როგორც ჩემს კუნძულზე, თუმცა მსახურთა ჯარი მეხვია. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჩემ გარშემო ხალხი ფუსტუსებდა; ზოგი თავის სარჩენად ირჯებოდა, ზოგი შეძენილს გარყვნილებასა და ფუჭ დროს ტარებაში ფლანგავდა, რაც ერთნაირად საძრახისი იყო, რადგან მიზანს, რომლისკენაც ისწრაფოდნენ, სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ. დროს ტარებას დახარბებულნი ცოდვაში ვარდებოდნენ და მონანიებისა და სინანულისთვის საბაბს ამრავლებდნენ, მშრომელი ადამიანები კი თავიანთ ძალ-ლონეს ლუკმაპურის შოვნაში ხარჯავდნენ. და ასე, დარდსა და ნაღველში ატარებდნენ ცხოვრებას; მხოლოდ იმისთვის ცხოვრობდნენ, რომ ემუშავათ და იმისთვის მუშაობდნენ, რომ ეცხოვრათ, თითქოს ლუკმაპურის შოვნა მათი დუხჭირი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, ხოლო ეს დუხჭირი ცხოვრება ლუკმაპურის მოპოვების ერთადერთი საშუალება იყო.

მაშინ მომავონდა, როგორ ვცხოვრობდი საკუთარ სამ-ფლობელოში, ჩემს კუნძულზე, სადაც მხოლოდ იმდენი პური მომყავდა და იმდენ ცხვარს ვაშენებდი, რამდენიც მჭირდებოდა, და სადაც სკივრებში ეყარა ფული, სანამ დაუანგდებოდა, რადგან ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩამიხედავს ამ სკივრებში. და ყოველივე ეს ისე რომ გამომეყენებინა, როგორც ამას გონიერება და რელიგია მკარნახობდა, მივხვდებოდი, რომ სრული ბედნიერება სულაც არ მიიღწევა მხოლოდ სიამოვნების ძებნით, რომ არსებობს რაღაც უფრო მეტი, უფრო ამაღლებული, რაც ცხოვრებას ნამდვილ აზრსა და მიზანს ანიჭებს, და რომ ამის მიღწევა შესაძლებელია, სანამ იმ ქვეყნად წავალთ, ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი უნდა გვქონდეს.

მაგრამ ჩემი ბრძენი მრჩეველი აღარ მყავდა და იმ ხომალდს ვგავდი, მესაჭე რომ აღარ ჰყავს და ქარი რომ მიაქროლებს. ისევ ძველი ფიქრები მომეძალა და შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე ოცნებამ ისევ ამირია ჭკუა-გონება. და ყოველივემ, რაც მანამდე სიამოვნებას მგვრიდა, ფერმამ, ბალმა, პირუტყვმა, ოჯახმა, რასაც მთლიანად ჰქონდა მოცული ჩემი სული, ყოველგვარი მნიშვნელობა და აზრი დაკარგა. ახლა ეს ყოველივე ჩემთვის იგივე იყო, რაც მუსიკა — ყრუსთვის, საჭმელი — გემოს შეგრძნებადაკარგული კაცისთვის; ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, მეურნეობაზე ხელი ამეღო, ფერმა იჯარით გამეცა და ლონდონში დავბრუნებულიყავი. სულ რამდენიმე თვეში ასეც მოვიქეცი.

ლონდონში გადასვლამ სულიერად სულაც არ დამამშვიდა. ეს ქალაქი არ მიყვარდა, იქ არაფერი მესაქმებოდა და უქმად დავყიალობდი, როგორც კაცი, რომელიც სრულიად ზედმეტია ამ სამყაროში, რადგან არავის ადარდებს, ცოცხალია თუ მკვდარი. ასეთი უსაქმურობა მძაგდა, რადგან აქტიურ ცხოვრებას ვიყავი მიჩვეული, და ხშირად საკუთარ თავს

ვეუბნებოდი, მოცალეობაზე დამამცირებელი მდგომარეობა ცხოვრებაში არ არსებობს-მეთქი, და მართლაც, მეჩვენებოდა, რომ მაშინ უფრო აზრიანად ვატარებდი დროს, როცა ოცდაექვსი დღის განმავლობაში ერთ ფიცარს ვთლიდი.

. 1693 წლის დამდეგს ბილბაოში თავისი პირველი მოგზაურობიდან დაბრუნდა ჩემი ძმისნული, რომელიც, როგორც ადრე მოგახსენეთ, მეზღვაური და გემის კაპიტანი გავხადე. გამომეცხადა და მაუნყა, რომ ნაცნობი ვაჭრები საქონლის ჩამოსატანად აღმოსავლეთ ინდოეთსა და ჩინეთში გამგზავრებას სთავაზობდნენ. „თუ წამომყვებით, ბიძაჩემო, — მითხრა მან, — თქვენს კუნძულზე ჩაგიყვანთ, რადგან გზად ბრაზილიაშიც გავჩერდებით“.

იმის უცილობელ მტკიცებულებას, რომ მომავალი ცხოვრება და უხილავი სამყარო არსებობს, წარმოადგენს იმ ამოუცნობ მიზეზთა თანხვედრა, რომლებიც გვიბიძგებს ვიმოქმედოთ იმ ფიქრების შთაგონებით, ჩვენს გონებაში თავისით უნებლიერ რომ იბადება და ქვეყნად არავის რომ არ ვანდობთ.

ჩემმა ძმისნულმა სულაც არ იცოდა, რომ მოგზაურობის ავადმყოფურმა უინმა ჩემში ახალი ძალით იფეთქა, მე კი სრულიად არ ველოდი, რომ ამგვარ შემოთავაზებას მივიღებდი და სწორედ იმ დილით, სანამ ძმისნული მეწვეოდა, ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე, ლისაბონში ჩავსულიყავი და ჩემს ძველ მეგობარ კაპიტანს რჩევას დავკითხოდი, შემდეგ კი, თუ გონივრული და შესაძლებელი იქნებოდა, ისევ შემევლო თვალი კუნძულისთვის და მენახა, რა ბედი ენია ჩემს ხალხს. გულს იმაზე ფიქრით ვიხარებდი, რომ კუნძულს ინგლისიდან ჩაყვანილი მსურველებით დავასახლებდი, მიწის მფლობელობის უფლებას ავიღებდი და სხვა უამრავ რამეს ვგეგმავდი, და სწორედ ამ დროს გამომეცხადა ჩემი ძმისნული, როგორც უკვე ვთქვი, და შემომთავაზა, აღმოსავლეთ ინდოეთში მივდივარ და გზად კუნძულზე ჩაგიყვანო.

მისმა ამ სიტყვებმა ცოტა შემაცბუნა და დაუინებით მივაშტერდი.

— ვინ ოხერმა ჩაგაგონა ეს დამლუპველი განზრახვა? — მკითხე მე.

ჩემი ძმისწული ჯერ ცოტა არ იყოს გაოგნდა, მერე კი, როცა შემატყო, რომ მისმა შემოთავაზებამ სულაც არ აღმაშფოთა, გამხნევდა.

— იმედია, ეს განზრახვა სულაც არ აღმოჩნდება დამლუპველი, სერ, — თქვა მან. — მგონი, გაგიხარდებათ ახალი დასახლების ნახვა იქ, სადაც ერთ დროს უფრო ბედნიერად მეფობდით, ვიდრე ამქვეყნად მონარქთა უმეტესობა.

ერთი სიტყვით, მისი განზრახვა სავსებით შეესაბამებოდა ჩემს განწყობას, ანუ იმ ოცნებას, რომელსაც შეპყრობილი ვყავდი და ეს უკვე დაწვრილებითაც მოგახსენეთ; მოკლედ ვუთხარი, რომ თუ თავის ვაჭრებს შეუთანხმდებოდა, მზად ვიყავი, მასთან ერთად გავმგზავრებულიყავი, ოლონდ ჩემს კუნძულს არ გავცდებოდი.

— ნუთუ ისევ იქ დარჩენას აპირებთ? — მკითხა გაოცებულმა.

— განა უკან დაბრუნებისას არ გამომივლით? — დავინტერესდი. ამაზე მიპასუხა, რომ ვაჭრები არაფრით მისცემდნენ ნებას, ამხელა წრე შემოერტყა ძვირფასი საქონლით დატვირთული ხომალდით, რადგან ამას თვეზე მეტი დრო დასჭირდებოდა ან შეიძლება, სულაც სამი ან ოთხი თვე.

— თანაც, სერ, ხომ შეიძლება, ზღვაზე რამე უბედურება შემემთხვას და ვეღარც დავბრუნდე, — დასძინა მან, — მაშინ ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდებით, ადრე რომ იყავით.

ეს გონივრული არგუმენტი იყო, მაგრამ ერთად მაინც ვიპოვეთ გამოსავალი: გადავწყვიტეთ, ხომალდზე დაშლილი სახით აგვეტანა პატარა ერთანძიანი გემი, რომელსაც რამდენიმე დურგალი, თან რომ მიგვყავდა, ერთ-ორ დღე-

ში ააწყობდა კუნძულზე და ზღვაში ჩავუშვებდით. დიდხანს აღარ მიფიქრია. ჩემი ძმისნულის შემოთავაზება იმდენად ემთხვეოდა ჩემს მისწრაფებებს, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე ხელს ვეღარაფერი ამაღებინებდა. მეორე მხრივ, ჩემი ცოლის გარდაცვალების შემდეგ ჩემზე აღარავინ ზრუნავდა იმდენად, რომ რამეზე დავეყოლიებინე, თუ არ ჩავთვლით ჩემს კეთილ მეგობარს, კაპიტნის ქვრივს, რომელიც ძალიან ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ გამგზავრებაზე ხელი ამეღო, და მთხოვდა, გამეთვალისწინებინა ჩემი ასაკი, მატერიალური მდგომარეობა, საფრთხე, რომელსაც ეს უსარგებლო ხანგრძლივი მოგზაურობა შეიცავდა, და ჩემს მცირენლოვან შვილებზე მეფიქრა. მაგრამ ეს ყოველივე ჩემზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენდა. მთლიანად შეპყრობილი ვიყავი სურვილით, ისევ ჩავსულიყავი ჩემს კუნძულზე, და ჩემს მეგობარს ვუპასუხე, რომ ამ მოგზაურობაზე ჩემი მოსაზრებები იმდენად უცნაური ხასიათისაა, რომ შინ დარჩენა განგების წინააღმდეგ წასვლა იქნებოდა. ეს იყო და ეს, მას ჩემი გადარწმუნება აღარ უცდია, პირიქით, თავად მომეხმარა არა მარტო გამგზავრების სამზადისში, არამედ ჩემს არყოფნაში — საოჯახო საქმეთა მოგვარებაშიც და ჩემს შვილებზე ზრუნვაშიც. ამიტომაც ანდერძი დავტოვე და საკუთარი მამული იმგვარად განვკარგე, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი ჩემი შვილების საიმედო მომავალში, თუნდაც რამე მომსვლოდა. ბავშვების აღზრდა ქვრივს მივანდე, რისთვისაც საკმარისი გასამრჯელო დავუნიშნე, რაც სავსებით დაიმსახურა, რადგან საკუთარი დედაც კი ვერ იზრუნებდა და ვერ აღზრდიდა მათ უკეთ; და ისიც მოესწრო ჩემს დაბრუნებას და მეც მოვესწარი იმას, რომ მისდამი მადლიერება გამომეხატა.

ჩემი ძმისნული 1694 წლის იანვრის დამდეგისთვის მზად იყო გასამგზავრებლად, და მეც, ჩემს პარასკევასთან ერთად, რვა რიცხვში დაუნის ნავსადგურში მდგარ ხომალდზე ავედი.

უკვე ნახსენები პატარა ხომალდის გარდა, ჩემი კოლონიისთვის უამრავი რამ წავიღე, რადგან ვიფიქრე, ვაითუ, იქაურობა სავალალო დღეში დამხვდეს-მეთქი.

ჯერ ერთი, რამდენიმე კაცი ხელის მუშად წავიყვანე; მინდოდა, ისინი კუნძულზე დამეტოვებინა ანდა ვამუშავებდი და გასამრჯელოსაც გადავუხდიდი, მერე კი, როგორც გადაწყვეტდნენ, ან კუნძულზე დარჩებოდნენ, ან უკან წამომყვებოდნენ. მათ შორის იყო ორი დურგალი, ერთი მჭედელი და ერთიც — მარჯვე და გონიერი ყმაწვილი, ხელობით მეკასრე, თუმცა ყველა საქმე ეხერხებოდა. ხელად გაგიკეთებდათ ბორბალს ან ხელის წისქვილს, კარგი ხარატიც იყო და მეთუნეც, მოკლედ, თიხისა და ხისგან ყველაფერს დაამზადებდა. ამიტომაც „ხელმარჯვე“ შეარქვეს. მათ გარდა, თერძიც წავიყვანე, რომელმაც მოინდომა, ჩემს ძმისწულს აღმოსავლეთ ინდოეთში წაჰყოლოდა, თუმცა მერე გადაწყვიტა, ჩვენს ახალ კოლონიაში წამოსულიყო და იქ მეტისმეტად საჭირო კაცი აღმოჩნდა როგორც თავისი ხელობით, ისე მრავალი სხვა თვალსაზრისითაც, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, გაჭირვება რას არ შეაძლებინებს კაცს?!

ტვირთი, რომელიც ხომალდზე ავიტანე, რამდენადაც მახსოვს, — თუმცა, ზუსტად არ აღმირიცხავს, — შედგებოდა დიდი რაოდენობით ტილოსა და თხელი ინგლისური ქსოვილისგან ესპანელთა სამოსისთვის, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, კუნძულზე უნდა დამხვედროდნენ. ეს ყველაფერი შვიდი წლის სამყოფი უნდა ყოფილიყო. ხელთათმანები, ქუდები, ჩექმები, წინდები და სხვა ყველაფერი, რაც შესამოსად იყო გათვალისწინებული, ორას გირვანქაზე მეტი წავიღე, მათ შორის, საწოლები, ლოგინი და საოჯახო ნივთები, განსაკუთრებით, ჭურჭელი — ქოთნები, ქვაბები, ჩაიდნები, კალისა და სპილენძის ჯამ-ჭურჭელი და ასე შემდეგ. გარდა ამის, მიმქონდა ას გირვანქამდე რკინა-კავეული, ლურსმანი, სხვადასხვაგვარი

ხელსაწყო, კაუჭები, ანჯამები და სხვადასხვა საჭირო ნივთი, რომლებიც კი მაშინ მომაფიქრდა.

ნავიღე ავრეთვე, ასიოდე იაფთასიანი მუშკეტი და თოფი, რამდენიმე პისტოლეტი, დიდძალი რაოდენობის სხვადასხვა კალიბრის ვაზნები, სამი თუ ოთხი ტონა ტყვია და ორი სპილენძის ზარბაზანი. და რაკი არ ვიცოდი, რა ვადისთვის მჭირდებოდა მარავი და რა მოულოდნელობა შეიძლებოდა შემსვედროდა, ნავიყოლე ასი პატარა კასრით დენთი, კარგა ბლობად ხმალი, ხანჯალი და რკინის ბუნიკი შუბისა და ალებარდისთვის; ასე რომ, სხვადასხვა საქონლის გვარიანი მარავი მიმქონდა. თანაც ჩემი ძმისნული დავიყოლიე, ორი პატარა საგემბანე ზარბაზანი ნაგველო, იმ ზარბაზნების გარდა, ხომალდისთვის რომ იყო საჭირო, რათა მტრისგან თავდასაცავად კუნძულზე ფორტი აგვეგო. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ყველაფერი დაგვჭირდებოდა და შეიძლება, საკმარისიც არ ყოფილიყო ჩვენი სამთლობელოს დასაცავად, რაც დადასტურდა კიდეც შემდგომი მოვლენებით.

ამ მოგზაურობისას ჩვეულებრივზე ნაკლებ სირთულესა და ხიფათს შევხვდი, ამიტომაც ხშირად არ მომიწევს თხრობის შეწყვეტა და მკითხველის ყურადღების გადატანა, რომელსაც, ალბათ, აინტერესებს, შეიტყოს ჩემი კოლონიის ამბავი. თუმცა არც ამ ნაოსნობას ჩაუვლია უსიამოვნების, დაბრკოლებების, შემხვედრი ქარისა და უამინდობის გარეშე, რის გამოც მოგზაურობა იმაზე მეტად გაჭიანურდა, ვიდრე ვვარაუდობდი, და ვინაიდან ყველა ჩემი მოგზაურობიდან მხოლოდ ერთხელ, კერძოდ კი გვინეაში ჩემი პირველი გამგზავრებისას, მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ მშვიდობიანად ჩავალნიე ადგილზე და დროულად დავბრუნდი, ახლაც ამეკვიატა ფიქრი, რომ სულ თან მდევს ბედის უკუღმართობა, ხმელეთზე არ მასვენებს, ზღვაში კი განსაცდელს მიწყობს. ჯერ იყო და, შემხვედრმა ქარმა ჩრდილოეთისკენ გავვაქანა, ამიტომ იძულებუ-

ლი გავხდით, ირლანდიაში გოლუეის ნავსადგურში შევსული-ყავით, სადაც ამ ქარის წყალობით ოცდაორი დღე დავყავით, თუმცა აქ ერთი რამ მაინც იყო სანუგეშო — სურსათ-სანოვა-გე იაფი ღირდა, თანაც ყველაფერს იშოვიდი, რასაც მოისურ-ვებდი; მთელი იქ ყოფნის განმავლობაში ხომალდზე არსებუ-ლი მარაგისთვის ხელიც კი არ გვიხლია, პირიქით, გავზარდეთ კიდეც. რამდენიმე ღორი და ხბოებთან ერთად ორი ძროხა ვი-ყიდე, რომლებიც მინდოდა კუნძულზე ჩამეყვანა, თუ იქ მშვი-დობიანად ჩავალნევდით, თუმცა მათი გამოყენება სულ სხვა დანიშნულებით მოგვიხდა.

ირლანდიიდან 5 თებერვალს წამოვედით და რამდენიმე დღე ზურგის ქარი მიგვაქროლებდა. მახსოვს, ასე, 20 თებერვალი იქნებოდა, როცა გვიან სალამოს კაპიტნის კაიუტაში ვახტზე მდგომი მისი თანაშემწე შემოვიდა და მითხრა, ცეცხლი დავი-ნახე და ზარბაზნის ხმა გავიგონეო; ამის თქმა იყო და, იუნგა მოქანდა იმის სათქმელად, ბოცმანმა სროლის ხმა გაიგონაო. ყველა შუა გემბანზე გავცვივდით. ჯერ ჩამიჩუმი არ ისმოდა, რამდენიმე წუთში კი მკვეთრმა შუქმა თვალი მოგვჭრა და ვი-ფიქრეთ, რომ სადღაც ძლიერი ხანძარი გიზგიზებდა. ხომალ-დის მდებარეობა გამოვთვალეთ და დავასკვენით, რომ ჩრდი-ლო-დასავლეთის მხარეს, სადაც ცეცხლი ჩანდა, ხუთი მილის მანძილზე ხმელეთი არ უნდა ყოფილიყო. აშკარად, ზღვაში ხომალდი იწვოდა. და რადგან მანამდე სროლის ხმა გავიგო-ნეთ, ვიფიქრეთ, რომ ეს ხომალდი სადღაც ახლოს უნდა ყოფი-ლიყო და მისი მიმართულებით დავიძარით; შუქი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, თუმცა ძლიერი ნისლის გამო გა-ნათებული ლაქის მეტს ვერაფერს ვხედავდით. ზურგის ქარი ქროდა, არც ისე ძლიერი, მაგრამ ნახევარ საათში, როცა ნის-ლი ცოტა გაიფანტა, კარგად დავინახეთ, რომ გაშლილ ზღვაში დიდი ხომალდი იწვოდა.

ამ უბედურებამ სულის სიღრმემდე შემძრა, თუმცა ხო-
მალდზე მყოფთაგან არავის ვიცნობდი. გამახსენდა, რა დღე-
ში ვიყავი, როცა პორტუგალიელმა კაპიტანმა გადამარჩინა,
და ვიფიქრე, რომ იმ ხომალდზე მყოფნი კიდევ უფრო განწი-
რულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგან ახლომახლო
არავინ ეგულებოდათ. მაშინვე ვუბრძანე, დროის მოკლე შუ-
ალედებით ხუთჯერ გაესროლათ ზარბაზნიდან, რათა მათთ-
ვის ხმა მიგვეწვდინა და გაეგოთ, რომ ახლოს ვიყავით და თა-
ვის გადასარჩენად ნავებში გადამსხდარიყვნენ, რადგან ჩვენ
კი ვხედავდით ალში გახვეულ ხომალდს, მაგრამ ისინი ლამის
წყვდიადში ვერ დაგვინახავდნენ.

რიურაჟის მოლოდინში ჩვენი ხომალდი დრეიფობდა, მა-
შინ როცა ალმოდებული ხომალდი სრული სვლით მოძრაობ-
და. უეცრად, შემზარავი რამ მოხდა, თუმცა ეს მოსალოდნე-
ლიც იყო: ხომალდი აფეთქდა, ცეცხლი აღარ ჩანდა, ხომალ-
დის დარჩენილი ნაწილი წამებში ჩაიძირა. ეს მძიმე და შემაძ-
რწუნებელი სანახაობა იყო. ვიფიქრე, რომ ყველა, ვინც კი
ხომალდზე იმყოფებოდა, დაიღუპა, ან მათგან ნაწილი ნავებ-
ში გადაჯდა და სასოწარკვეთილნი, ოკეანის ჭალლებში მი-
ცურავდნენ. სიბნელეში არაფერი ჩანდა. ამ გაუბედურებულ
ხალხს როგორმე რომ დავხმარებოდით და გაგვეგებინებინა,
რომ მათ სიახლოვეს ვიყავით, განკარგულება გავეცი, ხომალ-
დზე, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა, ფარნები აენთოთ და
მთელი ლამე ზარბაზნების სროლა გაეგრძელებინათ.

დილის რვა საათისთვის ჭოვრიტებით ზღვაში ნავები და-
ვინახეთ. ორი ნავი იყო და ორივე ისე იყო ხალხით სავსე, რომ
სიმძიმეს ძლივს უძლებდა. ნავში მყოფნი ქარის საპირისპირო
მიმართულებით, ნიჩბების სმით მოცურავდნენ ჩვენკენ და
ყველანაირად ცდილობდნენ ყურადღების მიპყრობას. მაშინ-
ვე დროშა აღვმართეთ კიჩოზე და მივანიშნეთ, რომ ხომალდ-
ზე ვეპატიურებოდით; იალქნები გავშალეთ და მათკენ წავედით.

ნახევარ საათში ნავებს გავუსწორდით და ორმოცდათობამეტი ქალი, მამაკაცი და ბავშვი ბორტზე ამოვიყვანეთ; ეტყობა, ხომალდზე მგზავრები მრავლად იყვნენ.

როგორც შევიტყვეთ, კვებეკიდან მომავალი, სამასი ტონის ტევადობის ფრანგული ხომალდი იყო. კაპიტანმა დაწვრილებით გვიამბო, რა უბედურება დაატყდათ თავს. მესაჭის დაუდევრობით ცეცხლი სამართავ ჯიხურში გაჩენილა. მის ყვირილზე მეზღვაურები მივარდნილან და თითქოს ჩაექროთ კიდეც ცეცხლი, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ნაპერნკლები ხომალდის ძნელად მისადგომ ადგილებს მისწვდა და ხანძართან ბრძოლა სრულიად შეუძლებელი გახდა. ცეცხლი ხომალდის გარსის ფიცრებს მოსდებოდა, ტრიუმში ჩაეღწია და იქ უკვე, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მისი ჩაქრობა ვეღარ შეძლეს.

სხვა გზა აღარ იყო და ნავები ზღვაში ჩაუშვეს. ხომალდზე მყოფთა საბედნიეროდ, ნავები საკმაოდ დიდი იყო, ბარკასიც ჰქონდათ, დიდი კანჯოც და პატარა ნავიც, რომელიც სასმელი წყლითა და სურსათი გაავსეს. ხმელეთიდან ასეთ სიშორეზე ნავებში რომ სხდებოდნენ, გადარჩენის დიდი იმედი არ ჰქონდათ, თუმცა კი ფიქრობდნენ, იქნებ რომელიმე ხომალდს გადავეყაროთ და აგვიყვანოსო. იალქნებიც ჰქონდათ, ნიჩბებიც და კომპასიც, და გეზი ნიუფაუნდლენდისკენ აიღეს. საბედნიეროდ, ზურგის ქარი უბერავდა, სურსათი და წყალი კი იმდენი ჰქონდათ, რომ დაახლოებით თორმეტი დღე შეეძლოთ გაეტანათ თავი. ამასობაში, თუ უამინდობა და შემხვედრი ქარი ხელს არ შეუშლიდა, კაპიტნის ვარაუდით, ნიუფაუნდლენდის სანაპიროსაც მიაღწევდნენ. იმის იმედიც ჰქონდათ, რომ გზად საკმარისად თევზს დაიჭერდნენ. თუმცა ბევრი ხიფათი კი ელოდათ: ან ქარიშხალი ამოვარდებოდა, ამოაყირავებდა და ჩაძირავდა მათ ნავებს, ან კოკისპირული წვიმა დაუშვებდა და ისე აცივდებოდა, რომ ხელ-ფეხი გაეყინებოდათ, ან-

და შემხვედრიქარი ამოვარდებოდა, ცურვის საშუალებას არ მისცემდა და ზღვაში იმდენ ხანს მოუწევდათ ყოფნა, რომ შიმ-შილით ამოხდებოდათ სული. ერთი სიტყვით, მხოლოდ სასწა-ული თუ გადაარჩენდა.

მოგვიანებით, აცრემლებულმა კაპიტანმა მიამბო, რომ უკ-ვე სასონარკვეთილებაში ჩავარდნილები გაოგნდნენ, როცა ზარბაზნის ჯერ ერთი, მერე კი ზედიზედ ოთხი გასროლა გაი-გონეს. ეს ის ხუთი გასროლა იყო, ჩემი ბრძანებით მაშინვე რომ მოვახდინეთ, როგორც კი მოგიზგიზე ცეცხლი დავინახეთ. სროლის ხმამ მათ გულში იმედი ჩაუსახა და როგორც ვივარა-უდე, მიახვედრა, რომ სიახლოვეს გემი იმყოფება და მზადაა მათ დასახმარებლად. სროლის ხმის გაგონებისთანავე ანძები მოხსნეს და იალქნები დაუშვეს; რადგან ხმა ქარის საწინააღ-მდეგო მხრიდან ისმოდა, გადაწყვიტეს, დილამდე მოეცადათ. რაღაც პერიოდი სროლის ხმა რომ ვეღარ გაიგონეს, თავადაც სამჯერ გაისროლეს მუშკეტიდან, მაგრამ ქარმა ხმა გაფანტა და ჩვენამდე ვერ მოაღწია. საბრალოებმა მაშინ კი მართლაც გაიხარეს, ჩვენს ხომალდზე ფარნების შუქი რომ დაინახეს და ზარბაზნის სროლის ხმა ისევ გაიგონეს; აკი ვთქვი, რომ განკარგულება გავეცი, მთელი ლამე არ შეენწყიტათ სროლა. ამიტომაც მთელი ძალით უსვამდნენ ნიჩბებს, რომ მალე მოგ-ვახლოებოდნენ. ბოლოს კი, როცა დარწმუნდნენ, რომ შევნიშ-ნეთ, სიხარულით ცას ეწივნენ.

შეუძლებელია იმ მოძრაობებისა და შეძახილების გად-მოცემა, რომლებითაც მოულოდნელი გადარჩენის გამო აღ-ტაცებას გამოხატავდნენ. ძნელი არ არის, აღწერო გლოვა და შიში, ოხვრითა და კვნესით, ქვითინითა და თავისა და ხელების მონოტონური ქნევით რომ გამოიხატება, და სულ ეს არის; ხო-ლო მეტისმეტი სიხარულის, აღტაცების, სასიამოვნოდ გაოგ-ნების გამოხატვა კი ათასგვარად შეიძლება. ზოგიერთს თვალს ცრემლი მოსდგომოდა, ზოგი ისეთი განწირული სახით მოთ-

ქვამდა და ქვითინებდა, თითქოს საშინელ დარღს მისცუმიაო, ზოგიც ისე გიუივით იქცეოდა, თითქოს ჭკუიდან შეიშალაო; ერთნი გემპანზე აქეთ-იქით დარბოდნენ, ფეხების ბაკუნითა და ხელების მტვრევით; მეორენი ცეკვავდნენ, რამდენიმე მღეროდა, ზოგი ისტერიკულად ხარხარებდა, ზოგი კი დარეტიანებულივით იჯდა და ხმის ამოღების თავიც აღარ ჰქონდა; ვიღაცას აღებინებდა, ვიღაცა გულშეღონებული ეგდო, რამდენიმე კი პირჯვარს ისახავდა და ღმერთს მადლობას სწირავდა.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ბევრმა მათგანმა მოგვიანებით გამოხატა მადლიერება, მაგრამ იმ დროს ისეთმა სიხარულმა აიტანა, რომ გრძნობებს ვერ უმკლავდებოდა; უმეტესობა ეგზალტირებული იყო და შეშლილს ჰგავდა, და ძალიან ცოტამ თუ შეინარჩუნა სიმშვიდე და თავშეკავება. ეს ნაწილობრივ, ალბათ, იმით აიხსნებოდა, რომ იმ ერის წარმომადგენლები იყვნენ, რომელიც — ეს საყოველთაოდ ცნობილია — ცვალებადი, მგზნებარე ვნებათაღელვით გამოირჩევა. ფრანგებს ვგულისხმობ, სხვა ხალხებისგან განსხვავებით ასე მკვეთრად რომ გამოხატავენ თავიანთ ემოციებს. ისეთი ფილოსოფოსიც არ ვარ, ამის მიზეზი რომ გავარკვიო, მაგრამ მანამდე ამგვარი რამ არასდროს მინახავს. ეს დაახლოებით იმ გიურ აღტაცებას მაგონებდა, პარასკევამ, იმ ჩემმა ერთგულმა ველურმა რომ გამოავლინა, როცა დაინახა, რომ ნავით მამამისი უახლოვდებოდა; ანდა იმ გაოგნებული კაპიტნისა და მისი ორი თანმხლების სიხარულს, რომლებიც არამზადებმა კუნძულზე დატოვეს, მე კი გადავარჩინე, თუმცა, ეს მაინც ვერ შეედრება იმას, რაც იმ პარასკევ დღეს ვიხილე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ველურ აღტაცებას განსხვავებული ფორმით სხვადასხვა პირი კი არა, ზოგჯერ ერთი და იგივე ადამიანი გამოხატავდა. კაცი, რომელიც წუთის წინ კრინტს არ ძრავდა, დათრგუნვილი იყო და აზროვნების უნა-

რიც დაკარგული ჰქონდა, უცებ ცეკვას იწყებდა და მასხარა-სავით იმანჭებოდა; მეორე წუთს სახეს იხოკავდა, ტანსაც-მელს იგლეჯდა და გიუივით ფეხით ჯეგავდა; ცოტა ხნის შემ-დეგ ტირილი აუვარდებოდა, გულყრა ემართებოდა, გონებას კარგავდა და, თუ არავინ მიეშველებოდა, შეიძლება, ფეხებიც გაეფშიკა. ეს ერთ-ორ კაცს კი არა, არც ათსა თუ ოცს, არამედ უმრავლესობას ემართებოდა, და რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ექიმი იძულებული იყო, სულ ცოტა ოცდაათი გადარჩენილის-თვის სისხლი გამოეშვა.

მათ შორის იყო ორი მღვდელი, ერთი მოხუცი, მეორე — ახალგაზრდა. უცნაურია, მაგრამ სწორედ მოხუცი იქცეოდა შეუფერებლად. როგორც კი ხომალდზე ფეხი დადგა და თავი უსაფრთხოდ იგრძნო, მოწყვეტით დაეცა, სიცოცხლის ნიშან-წყალიც კი აღარ ეტყობოდა. ექიმმა, რომელმაც ხომალდზე ერთადერთმა არ დაიჯერა მისი სიკვდილი, მაშინვე მიმართა ზომებს. ჯერ ხელი კარგად დაუზილა და რომ გაუწითლდა და გაუხურდა, ძარღვი გადაუჭრა. სისხლი თავიდან წვეთ-წვე-თად მოსდიოდა, მერე კი ნაკადად წამოუვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ რამდენიმე წუთში გაახილა თვალები, თხუთმეტ წუთში კი ხმაც ამოილო, გემბანზე გაიარ-გამოიარა და გა-მოგვიცხადა, თავს ჩინებულად ვგრძნობო; ექიმის მიცემული წამალიც გადაყლურწა და ბოლოს სულ გამოკეთდა. მაგრამ თხუთმეტიოდე წუთში მისი თანამგზავრები ექიმთან მოვარ-დნენ, რომელიც ამ დროს გულშეღონებულ ფრანგ ქალს დას-ტრიალებდა თავს, და აცნობეს, მღვდელი შლეგივით იქცევაო. როგორც ჩანს, ისევ გაახსენდა მომხდარი და ველურმა სიხა-რულმა შეიპყრო. სისხლი ისეთი სისწრაფით გადასცემდა სა-სიცოცხლო იმპულსებს, რომ სისხლძარღვები ვეღარ უძლებ-და. სისხლი გაუხურდა, კანკალმა აიტანა და ბედლამის პაცი-ენტს დაემსგავსა. მისი ამგვარი მდგომარეობის გამო ექიმმა ვეღარ გაბედა სისხლის ხელახლა გამოშვება და რაღაც დამამ-

შვიდებელი წამალი მისცა, ასე რომ, ცოტა ხანში დაუძინა და
მეორე დილით სრულიად გამოჯანმრთელებულმა საღი გონე-
ბით გაიღვიძა. მისგან განსხვავებით, ახალგაზრდა მღვდელმა
საოცარი თავშეკავება გამოავლინა და სერიოზული, გონივ-
რული ქცევის მაგალითს იძლეოდა. ხომალდზე ამოსვლისთა-
ნავე პირქვე დაემხო და ხსნისთვის მადლობა შესწირა უფალს.
მეგონა, გული შეუწუხდა, საშველად მივვარდი, რაც სრული-
ად ზედმეტი იყო, და ლოცვაში ხელი შევუშალე. მან კი მშვი-
დად მადლობა გადამიხადა, მითხრა, ჩემი გადარჩენისთვის
უფალს მადლობას ვწირავო, და მთხოვა, რამდენიმე წუთით
მარტო დამტოვეთო, თანაც დასძინა, შემოქმედს მადლობას
რომ შევწირავ, მერე თქვენც უთუოდ გადაგიხდითო. მართლა
ძალიან შევწუხდი, ხელი რომ შევუშალე, და განზე გავდეჭი,
თან სხვებსაც ვთხოვე, მისთვის ხელი არ შეეშალათ. სამიოდე
წუთი ან შეიძლება ცოტა მეტი ხანიც ასე დამხობილი ლოცუ-
ლობდა, მერე წამოდგა, მომიახლოვდა და მშვიდად და ბოძა-
ლებული გრძნობებისგან თვალცრემლიანმა მადლობა გადა-
მიხადა იმისთვის, რომ ლვთის შეწევნით, ისიც და შევ ჟღერი
ჩავარდნილი სხვა ადამიანებიც გადავარჩინე. მეც ვუპასუხე,
რაკი ლმერთს მადლობა უკვე შესწირეთ, ზედმეტი იქნება იმის
თქმა, რომ თქვენს გადარჩენას უნინარესად მას უნდა უმაფ-
ლოდეთ, ჩვენ კი მხოლოდ ის გავაკეთეთ, რასაც ვული და კაც-
თმოყვარეობის გრძნობა უკარნახებს ყველა ადამიანს, ასე
რომ, თქვენი არ იყოს, ჩვენც ლმერთს უნდა შევწიროთ მად-
ლობა, რომ მისი ნების აღსრულების იარაღად გამოვიყენა.
ამის შემდეგ ახალგაზრდა მღვდელმა თანამოძმეთ მიაშურა,
ამშვიდებდა მათ, უყვავებდა, ესაუბრებოდა და ყველანაირად
ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ გონიერების ფარგლებს
არ გასცდენოდნენ. ზოგთან ამან გაჭრა, ზოგი კი ვერაფრით
იმორჩილებდა თავს.

არ შემიძლია არ დავწერო ამის შესახებ, რადგან იმათ, ვინც ჩემს წიგნს ხელში აიღებს, ეს შეიძლება გამოადგეთ, რათა ისწავლონ, როგორ მართონ საკუთარი ვნებები. თუკი მეტისმეტი სიხარული ასე ურევს გონებას ადამიანს, ნარმოგიდენიათ, რა შეიძლება მოჰყვეს წრეგადასულ რისხვას, ბრაზსა თუ გაგულისებას? და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ადამიანს თავშეკავება მართებს ნებისმიერი ვნების მოძალებისას, სიხარული და აღტაცება იქნება ეს თუ ჯავრი და წყრომა.

პირველ დღეს ცოტა არ იყოს შეგვაცბუნა ჩვენი სტუმრების მოჭარბებულმა ემოციებმა. ლამით დასაძინებლად განთავსდნენ და მეორე დილას, როცა უმეტესობამ, ამდენი შიშისა და მღელვარებისგან გადაღლილმა, კარგად გამოიძინა, სულ სხვა ადამიანებად ნარმოგვიდგნენ. არც დახვეწილი მანერები აკლდათ, არც მადლიერების გამოხატვის უნარი. ფრანგებს, მოგეხსენებათ, ამის თანდაყოლილი ნიჭი აქვთ. ერთ-ერთ მღვდელთან ერთად ფრანგი კაპიტანი მოვიდა და ჩემთან და კაპიტანთან, ჩემს ძმისწულთან გასაუბრების სურვილი გამოიქვა, რათა გაერკვია, თუ რა ბედი ელოდათ. გვითხრეს, რაეი თქვენ გადაგვარჩინეთ, რაც გაგვაჩნია, ყველაფერს მოგცემთ, თუმცა ეს სულაც არ იქნება საკმარისიო. კაპიტანმა გამოგვიცხადა, რომ მოახერხეს და ნავებში გადმოიტანეს ცეცხლს გადარჩენილი გარკვეული რაოდენობის ფული და ძვირფასი ნივთები, და თუ ვინებებთ, ამას ყველაფერს მოგვცემენ. ერთადერთს იმას ითხოვდნენ, რომ გზად სადმე ისეთ ადგილას გადავვესხა, საიდანაც საფრანგეთში დაბრუნებას შეძლებდნენ. თავიდან ჩემს ძმისწულს უნდოდა, ფული გამოერთმია და მერე გადაეწყვიტა, რა ექნა გადარჩენილთათვის, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობდი, რადგან ვიცოდი, თუ რას ნიშნავს უცხო ქვეყნის ნაპირზე გადასვლა. ის პორტუგალიერები კაპიტანი, რომელმაც ჩლვაში შიპოვა, ასევე რომ მომქცეოდა და გადარჩენისთვის ჩემთვის ფული გამოერ-

თმია, შიმშილით სული ამომხდებოდა ან ბრაზილიაშიც ისეთი-ვე მონად ვიქტეოდი, როგორიც ბერბერიაში ვიყავი, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ მუსლიმანს არ მიმყიდდნენ. თუმცა პორტუგალიელი, როგორც ბატონი, შეიძლება, თურქზე უკეთესი კი არა, უარესიც კი იყოს.

ამიტომაც ფრანგ კაპიტანს ვუთხარი, რომ მართალია, უბე-დურებისგან ვიხსენით, მაგრამ ეს ჩვენი მოვალეობა იყო, ჩვენც ხომ ისეთივე ადამიანები ვართ და იმავეს ვისურვებ-დით, ამგვარივე ან რაიმე სხვა უბედურება რომ შეგვმთხვე-ოდა; ჩვენ მხოლოდ ის გავაკეთეთ, რაც გვენდომებოდა, რომ მათ გაეკეთებინათ, ჩვენს ადგილას ისინი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენ კი — მათ ადგილას; საფრთხისგან იმიტომ ვიხსენით, რომ გვეშველა, და არა იმიტომ, რომ გაგვეტყავებინა; და ნამდვი-ლი ბარბაროსობა იქნება, თუ იმ მცირედსაც წავგლეჯთ, რაც ცეცხლს გადაურჩა, მერე კი სადმე ნაპირზე დავტოვებთ. ეს იგივე იქნებოდა, რომ ჯერ გადაგვერჩინა ისინი, მერე კი დაგ-ვეღუპა, დახრჩობისგან გვეხსნა, მერე კი შიმშილით სიკვდი-ლისთვის გაგვენირა. ამიტომაც მათგან არაფრის მიღება არ მინდოდა. რაც შეეხება მათ ნაპირზე გადასხმას, ვუთხარი, ეს დიდ სირთულეს შეგვიქმნის, რადგან ჩვენი გემი აღმოსავლეთ ინდოეთისკენ მიცურავს-მეთქი. და თუმცა ჩვენი გეზიდან და-სავლეთისკენ მნიშვნელოვნად გადავუხვიეთ, ეტყობა, განგე-ბამ გადაგვახვევინა, რომ ისინი გადაგვერჩინა, მაინც ვერ შევ-ცვლით მათ გამო მარშრუტს; ჩემი ძმისწული, როგორც გემის კაპიტანი, გეზიდან ვერ გადაუხვევს, რადგან გემის დამქირა-ვებლების წინაშე ვალდებულება აკისრია, რომ ბრაზილიის გავლით იცუროს, და მხოლოდ ის შემიძლია შევპირდე, რომ ისეთ მიმართულებას ავირჩევთ, რომელიც მოგვცემს შანსს, დასავლეთ ინდოეთიდან მომავალ გემებს შევხვდეთ, რომლე-ბიც მათ ინგლისში ან საფრანგეთში ჩაიყვანენ.

ჩემი შეთავაზების პირველი ნაწილი იმდენად კეთილშობილური და თავაზიანი იყო, რომ ისლა დარჩენოდათ, მადლობა გადაეხადათ. თუმცა მეტად დაღონდნენ, განსაკუთრებით — მგზავრები, რომ აღმოსავლეთ ინდოეთისკენ მოუწევდათ ცურვა. მათ ის მოსაზრებაც კი გამოთქვეს, რომ, რაკი მათთან შეხვედრამდე დასავლეთისკენ ასე საგრძნობლად გადავუხვიეთ, იქნებ იმავე გეზით გაგვეგრძელებინა ცურვა ნიუფაუნდლენდის ნაპირებისკენ, სადაც შეიძლებოდა, რომელიმე ხომალდს ან კანჯოს გადავყროდით, რომელიც მათ ისევ კანადაში დააბრუნებდა.

ჩავთვალე, რომ ეს სავსებით სამართლიანი სურვილი იყო, ამიტომაც დათანხმებას ვაპირებდი. მეც ვიფიქრე, რომ ამ საცოდავების აღმოსავლეთ ინდოეთისკენ წაყვანა არათუ დაუშვებელი სისასტიკე იქნებოდა, არამედ ჩვენც გაგვირთულებდა ნაოსნობას, რადგან სურსათ-სანოვაგის მთელ მარაგს შეინირავდა. ამიტომაც მეგონა, რომ დასახული გეზიდან ამგვარი გადახვევისთვის, რა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელ გარემოებათა მიზეზით, არავინ დაგვძრახავდა და არც ხელშეკრულების დარღვევად ჩაგვეთვლებოდა, რადგან არც ლვთიური და არც ბუნების კანონები არ გვაძლევდა უფლებას, ხომალდზე არ აგვეყვანა ასეთ განწირულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები. ამიტომაც დავთანხმდი ნიუფაუნდლენდში ჩაყვანას, თუ ქარი და ამინდი ხელს არ შეგვიშლიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდით, ისინი დასავლეთ ინდოეთში მარტინიკაზე ჩაგვეყვანა.

აღმოსავლეთიდან კვლავ ცივი ქარი ქროდა, თუმცა კარგი ამინდი იდგა. და რაკი ქარის მიმართულება კარგა ხანს არ შეიცვალა, ხელიდან გავუშვით იმის შესაძლებლობა, რომ ისინი საფრანგეთში გაგვეგზავნა. გზად ევროპისკენ მიმავალი რამდენიმე გემი შეგვხვდა, მათ შორის — სენტ-კრისტოფერიდან მომავალი ორი ფრანგული ხომალდი. მავრამ მათ იმდენ

ხანს მოუხდათ ვერაგ ქართან ბრძოლა, მგზავრების ჰყვანა ველარ გაბედეს იმის შიშით, რომ სურსათი არათუ მგზავრებისთვის, არამედ თავისთვისაც არ ეყოფოდათ. დაახლოებით ერთ კვირაში ნიუფაუნდლენდის მეჩეჩებს მივადექით, სადაც ჩვენი ფრანგი მგზავრები დიდ ნავში გადავსხით, რომელსაც ისინი ნაპირთან უნდა მიეყვანა, ხოლო თუ სურსათს მოიმარაგებდნენ, საფრანგეთშიც ჩაიყვანდა. ფრანგებმა ნავში გადასვლა რომ დაიწყეს, ახალგაზრდა მღვდელმა, უკვე რომ ვახსენე, ყური მოჰკრა, რომ აღმოსავლეთ ინდოეთში მივდიოდით და გვთხოვა, მეც ნამოგყვებით და კორომანდელის ნაპირზე გადამსვითო. დავთანხმდი, რადგან ეს მღვდელი ძალიან შემიყვარდა, და როგორც შემდგომში ნახავთ, არც შევმცდარვარ. გარდა ამისა, ჩვენთან დარჩა ოთხი ფრანგი მეზღვაური, რომლებიც ძალიან გამოგვადგნენ.

აქედან გეზი დასავლეთ ინდოეთისკენ ავიღეთ. თითქმის ოცი დღე სამხრეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მივცურავდით, ზოგჯერ სუსტი ზურგის ქარის დახმარებით, ზოგჯერ კი სრულიად უქარო ამინდში, და ისევ მოგვეცა შესაძლებლობა, დავხმარებოდით ადამიანებს, რომლებიც ლამის ისეთივე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენდნენ, როგორშიც ფრანგული ხომალდის მგზავრები.

კოლექტის დაარსების ამპავი

1694 წლის 19 მარტს, როცა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გვეჭირა გეზი და ჩრდილოეთის განედის 27 გრადუსსა და მე-5 მინუტზე ვიმყოფებოდით, ზღვის დაზვერვისას დავინახეთ ჩვენკვენ მომავალი დიდი ხომალდი, რომელსაც თავიდან ვერაფერი შევატყვეთ, მაგრამ რომ მოგვიახლოვდა, აღმოჩნდა, რომ ცხვირი, მთავარი ანძა და ტრიუმი ჰქონდა დაზიანებული. მაშინვე გავიგონეთ სროლის ხმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ რაღაც უჭირდათ. მშვენიერი ამინდი იყო, ჩრდილო-დასავლეთის ცივი ქარი ქროდა. მალე ჩვენი შეხვედრაც შედგა. ბარბადოსის კუნძულიდან ბრისტოლში მიმავალი ინგლისური ხომალდი აღმოჩნდა. ზღვაში გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯერ იალქნებიც რომ არ ჰქონდა გაშლილი და კაპიტანი და ბოცმანი ნაპირზე იმყოფებოდნენ, ძლიერ ქარიშხალს ლუზიდან მოუწყეტია, ასე რომ, ეკიპაჟი გამოცდილი მეზღვაურების გარეშე დარჩა, არადა, სწორედ მათ უნდა ჩაეყვანათ გემი შინ. უკვე ცხრა კვირა სრულდებოდა, რაც ზღვაში იყვნენ. იმ პირველი ქარიშხლის შემდეგ მეორეც დაატყდათ თავს, რომელმაც, როგორც ვარაუდობდნენ, გემი დასავლეთისკენ წაიყვანა და სამი ანძაც მოატეხა. იფიქრეს, ბაჟამის კუნძულებს მივადგებითო, მაგრამ მალე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გააქროლა ჩრდილო-დასავლეთის ძლიერმა ქარმა, რომელიც ახლაც უბერავდა; ხომალდს მხოლოდ ერთი ქვედა იალქანი დარჩენოდა მთავარ ანძაზე, კიდევ ერთი ოთხკუთხა იალქანი სათადარიგო ანძაზე დაემაგრებინათ, ასე რომ, უიალქნებოდ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ვერ მიცურავდნენ და იმასდა ცდილობდნენ, რომ კანარის კუნძულებს მისდგომოდნენ.

ყველაზე უარესი კი ის გახლდათ, რომ სურსათი სულ გა-
მოლეოდათ და შიმშილობდნენ. უკვე მეთერთმეტე დღე იყო,
რაც აღარც პური ჰქონდათ და აღარც ხორცი. სული კი იმით
ედგათ, რომ წყალი, ნახევარი კასრი ფქვილი და ბლომად შა-
ქარი შემორჩენოდათ. თავიდან დაშაქრული ხილი და ტკბილე-
ულიც ჰქონდათ, რომელსაც მუსრი გაავლეს. და კიდევ შვიდი
კასრი რომი ედგათ. ხომალდზე იმყოფებოდა ქალი ვაჟიშვილ-
თან და მოსამსახურესთან ერთად. ისინი მგზავრები იყვნენ;
ეგონათ, რომ ხომალდი უკვე მზად იყო ზღვაში გასასვლელად
და წინა საღამოს ასულან. თავიანთი საჭმელი არ ჰქონდათ და
სხვებზე უარეს დღეში აღმოჩნდნენ. დარწმუნებული ვიყა-
ვი, რომ უკიდურეს მდგომარეობამდე მისული მეზღვაურები
ამ საბრალო მგზავრების მიმართ არანაირ თანაგრძნობას არ
იჩენდნენ; მართლაც, ისეთ საშინელ დღეში იყვნენ, აღნერაც
კი მიჭირს.

ამ ყველაფერს ალბათ ვერც შევიტყობდი, რომ არა ჩემი
ცნობისმოყვარეობა. ცოტა რომ გამოიდარა და ქარიც ჩადგა,
ხომალდზე გადავედი, სადაც კაპიტნის თანაშემწე შემომეგე-
ბა, რომელიც ხომალდს მეთაურობდა. მან მითხრა, დიდ კაი-
უტაში სამი მგზავრი გვყავს და ძალიან ცუდ დღეში არიანო.

— იმასაც კი ვფიქრობ, — თქვა მან, — რომ უკვე დაიხოც-
ნენ. ორი დღეა, იქიდან ჩამიჩუმი არ ისმის. მათ მოსაკითხად
შესვლაც კი ვერ გავბედე, რადგან მაინც ვერაფრით დავეხმა-
რებოდი.

მაშინვე გადავწყვიტეთ, ჩვენი მარაგიდან მიგვეცა საჭ-
მელი, რამდენსაც შევძლებდით. მე და ჩემმა ძმისწულმა უკვე
იმდენად შევცვალეთ გეზი, რომ საჭმელს იმ შემთხვევაშიც კი
ვუწილადებდით, იძულებული რომ გავმხდარიყავით, მარაგის
შესავსებად ვირჯინიაში ან ამერიკის რომელიმე სხვა ნავსად-
გურში შევსულიყავით, თუმცა ეს საჭირო არ გამხდარა.

ამჯერად ეკიპაჟს ახალი საფრთხე შეექმნა; ეშინოდათ,
დამშეულ კუჭზე იმ მცირე რაოდენობის საჭმელსაც არ ევნო,

ჩვენ რომ ვუწილადეთ. გემის მეთაურთან ერთად, ნავით ექვსი მეზღვაური წამოგვყვა; ეს უბედურები ისეთი გამხდრები იყვნენ, რომ ჩონჩხებს ჰგავდნენ, და ისე იყვნენ დასუსტებულნი, ნიჩბებს ძლივს უსვამდნენ. თანაშემწეც ცუდად გამოიყურებოდა, ფეხზე დგომაც კი უჭირდა. როგორც გვითხრა, ყველაფერს მეზღვაურებს უყოფდა და მათზე მეტ ლუკმასაც კი არ იდებდა პირში. ხორციანი კერძი დავუდგი და ვურჩიე, ზომიერად ეჭამა. ის იყო, სამი ლუკმა გადაყლაპა, რომ ცუდად გახდა და ჭამა შეწყვიტა. ჩვენმა ექიმმა წვნიანში რაღაც ხსნარი ჩაუსხა და უთხრა, ეს დაგანაყრებს კიდეც და გინამლებს კიდეცო. და მართლაც, რომ მიიღო, უკეთ გახდა. ამასობაში არც მეზღვაურები დამვიწყებია და მათაც მივუტანე საჭმელი; საცოდავები ისე ყლაპავდნენ, არც კი ღეჭავდნენ. საშინლად იყვნენ დამშეულები და თავს ვეღარ აკონტროლებდნენ. განსაკუთრებით ორი მათგანი ისე ხარბად ნთქავდა საკვებს, რომ მეორე დილით კინაღამ წერილი წაიღეს. ამ საცოდავების ყურებამ გული ამიჩუყა და ის საშინელი მდგომარეობა გამახსენა, მე რომ აღმოვჩნდი კუნძულზე, როცა არც საჭმელი მქონდა და არც მისი მოპოვების იმედი, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ვშიშობდი, თავად არ გავმხდარიყავი ნადირთა ლუკმა. თანაშემწე ხომალდის ეკიპაჟის სავალალო მდგომარეობას რომ აღმიწერდა, თავიდან არ ამომდიოდა დიდ კაიუტაში შეკეტილი სამი მგზავრის — დედის, შვილისა და მსახურის ამბავი, რომელთა შესახებაც უკვე ორი თუ სამი დღეა, არაფერი იცოდნენ. როგორც თავად გამიმხილა, უკიდურესობამდე მისულებმა, ისინი ბედის ანაბარად მიატოვეს. მისი ნაამბობიდან მივხვდი, რომ მათთვის ერთი ლუკმაც კი არ მიუციათ და ახლა ალბათ კაიუტის იატაკზე მკვდრები ეყარნენ.

თანაშემწე, რომელსაც კაპიტანს ვეძახდით, რომ დავაპურე, ხომალდზე დარჩენილი ეკიპაჟის წევრებიც არ დამვიწყებია; ჩემს თანაშემწეს ვუბრძანე, ჩვენი ნავით თორმეტი მეზღვაური წაეყვანა და ხომალდზე ერთი ტომარა პური და ოთხი-

ხუთი ნაჭერი ხორცი წაეღოთ. ჩვენმა ექიმმა დაარიგა, რომ იქ ხორცი მოეხარშათ და სამზარეულოში თვალყური ედევნებინათ, რომ მშიერ მეზღვაურებს უმად არ ეჭამათ ან ხარშვის დროს ქვაბიდან არ ამოეღოთ, მერე კი პატარ-პატარა ულუფებად დაერიგებინათ. მისმა წინდახედულებამ სიცოცხლე შეუნარჩუნა მეზღვაურებს, თორემ მათ გადასარჩენად გაგზავნილი საჭმელი შეიძლება, მათთვის სასიკვდილო გამხდარიყო.

ჩემს თანაშემწეს ისიც ვუბრძანე, რომ დიდ კაიუტაში შესულიყო და ენახა, რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საპრალო მგზავრები, და ოუ ცოცხლები დახვდებოდნენ, მათთვის მიეხედა და ძალის მოსაკრებად რამე ეჭმია; ეჭიმმა ერთი დიდი ხელადა ბულიონი გაატანა ისევე მომზადებული, როგორც კაპიტნის თანაშემწეს დაალევინა, რომელიც ჩვენს ხომალდზე იმყოფებოდა, და დარწმუნებული ვიყავი, მალე მოლონიერდებოდა. მაგრამ მის ნაამბობს არ დავჯერდი; მინდოდა, ჩემი თვალით მენახა, რა ცოდვა ტრიალებდა იმ ხომალდზე, ამიტომ კაპიტანი, როგორც მას ახლა ვუწოდებდით, მისივე ნავით გავიყოლე.

ხომალდზე დიდი ალიაქოთი დამხვდა; მეზღვაურები ცდილობდნენ, ქვაბიდან ჯერ კიდევ უმი ხორცი დაეთრიათ, მაგრამ ჩემს თანაშემწეს სამზარეულოს კართან ლონიერი მცველები დაეყენებინა, რომლებიც, სიტყვით რომ ვერაფერს გახდნენ, ძალით აკავებდნენ დამშეულებს. ამასობაში მისი განკარგულებით, ქვაპში ორცხობილა ჩაყარეს, რომელიც ხორცის ნახარში დარბილდა, და ცოტ-ცოტა დაურიგა, მოუთმენლობით გამოწვეული ტანჯვა რომ შეემსუბუქებინა, თანაც უხსნიდა, რომ ერთ ჯერზე ასე ცოტას მათივე საკეთილდღეოდ აძლევდა. მაგრამ ამანაც არ გაჭრა. კიდევ კარგი, მეზღვაურთა თანხლებით მე და მათი კაპიტანი მივედით და, როგორც იქნა, თუ დაყვავებით, თუ მუქაშოშმინეთ, თორემ სამზარე-

ულოში შეცვივდებოდნენ და ხორცს დაითრევდნენ, რადგან დარწმუნება მშიერ კუჭზე არ მოქმედებს. ასე იყო თუ ისე, გაშმაგებული მეზღვაურები დავაოკეთ, ჯერ ფრთხილად, ცოტცოტა მივეცით, მერე კი — მეტი და მეტი, ასე რომ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

საბრალო მგზავრების ტანჯვა სულ სხვა სახის იყო და ბევრად აღემატებოდა დანარჩენების ტანჯვას. ეკიპაჟი, რომელსაც სანოვაგის ძალიან მცირე მარავი ჰქონდა, თავიდან ცოტას უნილადებდა, ბოლოს კი სულ შეუწყვიტა მიცემა, ასე რომ, ბოლო ექვსი-შვიდი დღე ლუკმა არ ჩასვლიათ პირში, თუმცა მანამდეც თითქმის შიმშილობდნენ. საბრალო დედა, როგორც მეზღვაურებმა თქვეს, ძალზე მგრძნობიარე და კარგად აღზრდილი ქალი, ყველაფერს უშურვებლად თავის შვილს აძლევდა, ბოლოს სულ დაუძლურდა, და როცა ჩემი თანაშემწე შევიდა, მაგრად გადაბმულ ორ სკამს შორის იატაკზე იჯდა და თავი ცოცხალ-მკვდარივით ჩაექინდრა. ჩემმა თანაშემწემ მისი გონზე მოყვანა და გამხნევება სცადა, კოვზით ცოტა ბულიონი ჩაასხა პირში; ქალმა პირი გააღო და ხელი აამოძრავა. ხმას ვერ იღებდა, თუმცა ყველაფერი ესმოდა, რასაც თანაშემწე ეუბნებოდა, და ცდილობდა მიენიშნებინა, მე აღარაფერი მეშველება, ჩემს შვილს აჭამეო, და თითქოს სთხოვა, ამას მიმიხედეო. ამ სანახაობით შეძრულმა თანაშემწემ მაინც სცადა, ორი-სამი კოვზი ბულიონი ეჭმია, თუმცა მეეჭვება, რომ ეს მოახერხა. უკვე დაგვიანებული იყო, ქალი იმ ღამით გარდაიცვალა.

ყმაწვილი, რომელიც დედის მზრუნველობამ გადაარჩინა, ცოტა უკეთეს მდგომარეობაში იყო. თუმცა საწოლზე ინვა და სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობოდა. პირში ძველი ხელ-თათმანის პატარა ნაკუნი ედო, დანარჩენი დაეღეჭა და შეეჭამა. ახალგაზრდა იყო და დედაზე ძლიერი. ჩემმა თანაშემწემ რამდენიმე კოვზი ბულიონი ჩააყლაპა და ნელ-ნელა გამოცოცხლდა. მაგრამ ცოტა ხანში კიდევ სამი კოვზი რომ ჩაასხა, ძალიან ცუდად შეიქნა და აღებინა.

მერე საბრალო მოსამსახურესაც მივხედეთ. თავისი ქალბატონის გვერდით იატაკზე უგონოდ ეგდო დაკრუნჩული; ცალი ხელი სკამის ფეხისთვის ისე მაგრად ჩაევლო, ძლივს გავაშვებინეთ. მეორე ხელი თავზე შემოედო, ფეხები კი მაგიდის ფეხისთვის მიებჯინა. ერთი სიტყვით, სასიკვდილო აგონიაში მყოფს ჰერცოგავდა, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. საცოდავი, გარდა იმისა, რომ შიმშილისგან სიკვდილის პირას იყო მისული, შიშსაც აეტანა, თუმცა, როგორც მერე მეზღვაურებმა მითხრეს, დიდ განცდებში იყო იმის გამო, რომ მისი საყვარელი ქალბატონი ორი-სამი დღის განმავლობაში მის თვალწინ ნელ-ნელა ინავლებოდა. არც კი ვიცოდით, როგორ გვეშველა ამ ქალიშვილისთვის. ჩვენმა ძალზე გამოცდილმა და მცოდნე ექიმმა ყველაფერი იღონა, რომ ამქვეყნად მოებრუნებინა, თუმცა მერე კარგა ხანს მის სულიერ მდგომარეობას მკურნალობდა, რადგან ცოტა შეშლილს ჰერცოგავდა.

ვინც ამ ჩემს მოგონებებს წაიკითხავს, უნდა გაითვალისწინოს, რომ გაშლილ ზღვაში სხვა გემზე გადასვლა სულაც არ ჰერცოგს სოფლად ჩასვლას, სადაც ადამიანები ზოგჯერ ერთი ან ორი კვირა სტუმრობენ. ჩვენ უბედურ დღეში ჩავარდნილთა დახმარება გვევალებოდა და არა მათთან დარჩენა. და თუმცა ისინი თანახმანი იყვნენ, ჩვენი გეზით ევლოთ, ვერ ავიკიდებდით ხომალდს, რომელსაც ანძებიც კი არ ჰქონდა. მათმა კაპიტანმა მთავარი ანძის დაყენებაში დახმარება გვთხოვა, ამიტომ სამი-ოთხი დღე მათთან დავყავით და ხუთი კასრი საქონლის ხორცი, ერთი კასრი ლორის ხორცი, ორი ჭომარა ორცხობილა, გარკვეული რაოდენობის ბარდა, ფეხილი და სხვა ის სურსათი მივეცით, რომელიც გვემეტებოდა, სანაცვლოდ კი სამი კასრი შაქარი, რაღაც ოდენობით რომი და რამდენიმე ოქროს მონეტა გამოვართვით. ამის შემდეგ ერთმანეთს დავშორდით; მათი დაუინებული თხოვნით, ყმაწვილი და მოსამსახურე თავიანთი ბარგით ჩვენს ხომალდზე გადმოვიყვანეთ.

ყმანვილი ასე, ჩვიდმეტი წლის იქნებოდა. ლამაზი, ზრდილი, მოკრძალებული და გონიერი ახალგაზრდა იყო, მაგრამ ძალიან დათრგუნვილი დედის სიკვდილით; თანაც რამდენიმე თვის წინ ბარბადოსზე მამაც გარდაცვლია. მან ექიმს სთხოვა, დავეყოლიებინე, რომ ჩვენს ხომალდზე გადმომეყვანა, რადგან აღარ უნდოდა იმ ეკიპაჟთან დარჩენა, რომლის გულქვაობა დედამისის სიკვდილის მიზეზი გახდა. კაცმა რომ თქვას, ის მეზღვაურები მართლაც პასიური მკვლელები იყვნენ, რადგან შეეძლოთ, უმწეო ქალისთვის ცოტაოდენი საჭმელი მაინც ეწილადებინათ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. მაგრამ შიმშილმა არც მეგობრობა იცის, არც ნათესაობა, არც სამართლიანობა, არც კანონი, დაუნდობელია და თანაგრძნობის უნარს მოკლებული.

ექიმმა უთხრა, თუ სად მივცურავდით, აუხსნა, რომ თუ ჩვენთან ერთად წამოვიდოდა, ძალიან დაშორდებოდა მეგობრებს და შეიძლება, იმაზე არანაკლებ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო, რომელშიც ვიპოვეთ, ანუ შიმშილით სიკვდილის საფრთხეც რომ არ იყო გამორიცხული. მაგრამ მან უპასუხა, რომ მისთვის სულერთია, საით წავა, ოღონდ იმ სასტიკ ადამიანებს მოშორდეს, და რომ კაპიტანი, რომელმაც გადაარჩინა, — მე მგულისხმობდა, რადგან ჩემი ძმისნულის არსებობა არ იცოდა, — ალბათ არაფერს დაუშავებს. რაც შეეხება მოსამსახურეს, დარწმუნებული იყო, როგორც კი საღად აზროვნების უნარი დაუბრუნდებოდა, ძალიან მადლიერი იქნებოდა გადარჩენისთვის, და მისთვისაც არ ექნებოდა მნიშვნელობა, საით წავიყვანდით. ექიმმა ეს ყველაფერი რომ მითხრა, შევატყვე, ძალიან თანაუგრძნობდა ყმანვილს, ამიტომ დავთანხმდი, რომ ორივე ხომალდზე აგვეყვანა თავიანთი ბარგით, იმ თერთმეტი კასრი შაქრის გარდა, რომელიც გემს ზედმეტად დატვირთავდა. და რადგან ყმანვილს მათი გადაზიდვის ვალდებულების ქვითარი ჰქონდა, ხომალდის კაპიტანს ხელწერილი ჩამოვართვი, რომ ბრისტოლში თუ ჩაალ-

წევდა, მიაკითხავდა ვინმე მისტერ როჯერსს, იქაურ ფიჭარს, რომელიც ყმანვილს ნათესავად ერგებოდა, და გადასცემდა ჩემს წერილსა და საბრალო ქვრივის მთელ საქონელს. თუმცა ვეჭვობ, რომ ეს შეასრულა, რადგან ბრისტოლში იმ ხომალდის ჩასვლის შესახებ ვერაფერს შევიტყობდი. უფრო სავარაუდოა, რომ ხომალდი ოკეანეში ჩაიძირა, რადგან ისეთ სავალალო მდგომარეობაში და ხმელეთიდან ისე დაშორებული იყო, რომ პირველივე ქარიშხალი ნაფოტებად აქცევდა, რადგან ჯერ კიდევ ჩვენთან შეხვედრამდე წყალი შედიოდა ტრიუმში, რომელიც ძალიან იყო დაზიანებული.

ამჟამად ჩვენი ხომალდი ჩრდილოეთის განედის ცხრამეტ გრადუსსა და ოცდათორმეტ მინუტზე იმყოფებოდა. აქამდე ჩვენი ნაოსნობისას სავსებით ასატანი ამინდი იყო, თავიდან ქარიც ხელსაყრელი მიმართულებით უბერავდა. მკითხველს არ გადავლლი ქარის მიმართულების, ამინდის, დინების ცვალებადობისა და სხვა დეტალების აღწერით, მაგრამ თხრობა ცოტა რომ შევკვეცო, ვიტყვი, რომ ჩემს კუნძულს 1695 წლის 10 აპრილს მივაღწიე. საკმაოდ გამიჭირდა მისი პოვნა. ადრე კუნძულს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მივადექი, რადგან ბრაზილიიდან მოვდიოდი, ამჯერად კი კუნძულსა და კონტინენტს შორის აღმოვჩნდი, თან არც რუკა მქონდა ხელთ, არც რაიმე ორიენტირი ნაპირზე, ამიტომ ვერ ვიცანი, ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული არ ვიყავი, ის იყო თუ არა. დიდხანს ვუტრიალეთ, დიდი მდინარის, ორინოკოს შესართავთან რამდენიმე კუნძულზე გადავსხედით კიდეც, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა ჩემი კუნძული. ერთადერთი ხეირი ის იყო, რომ გავარკვიე, თურმე ვცდებოდი, როცა მეგონა, რომ ხმელეთი, კუნძულიდან რომ მოჩანდა, კონტინენტი იყო; სინამდვილეში ეს აღმოჩნდა გრძელი კუნძული, უფრო სწორად კი, კუნძულების ჯაჭვი, რომელიც ორინოკოს ფართო შესართავის ერთი ბოლოდან მეორემდე იყო გადაჭიმული. მაშასადამე, ის ველურები, ჩემს კუნძულზე რომ მოვიდნენ, კარიბელები კი არ იყვ-

ნენ, არამედ — იმ კუნძულის ბინადარნი, რომელიც სხვებთან
შედარებით, ჩემს კუნძულთან ახლოს იყო.

მოკლედ, უშედეგოდ გადავედი რამდენიმე კუნძულზე;
ზოგიერთი დასახლებული იყო, ზოგიერთი — უკაცრიელი.
ერთ-ერთ კუნძულზე რამდენიმე ესპანელს შევხვდი და მე-
გონა, რომ იქ ცხოვრობდნენ, მაგრამ, რომ გამოველაპარაკე,
მითხრეს, რომ იქვე მათი კანჯო იდგა და აქ მარილზე და მარ-
გალიტების საძებნელად ჩამოსულან ტრინიდადის კუნძული-
დან, რომელიც უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა, განედის
მეათე და მეთერთმეტე გრადუსებს შორის.

ამრიგად, ხან ერთ კუნძულს მივადგებოდი, ხან მეორეს,
ხან გემით, ხან ფრანგების ნავით, რომელიც ძალზე მოხერ-
ხებული აღმოჩნდა და, ფრანგების თანხმობით დავიტოვეთ;
ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი კუნძულის სამხრეთ სანაპირო-
ზე მოვხვდი და მაშინვე ვიცანი იქაურობა. ღუზა ჩავუშვით
პატარა ყურესთან, რომლის მახლობლადაც ჩემი მაშინდელი
საცხოვრებელი მდებარეობდა. როგორც კი დავინახე, მაშინ-
ვე პარასკევას დავუძახე და ვკითხე, ცნობდა თუ არა იმ ად-
გილს, სადაც ვიმყოფებოდით. აქეთ-იქით მიმოიხედა და ტაში
შემოჰკრა, თან გაჰყვიროდა: „ჰო, როგორ არა! ისაა! ჰო! ისაა!“
და ხელს ჩვენი ძველი სახლისკენ იშვერდა. სიხარულისგან
ცეკვავდა და შეშლილივით ხტოდა, ძლივს შევაკავე, თორემ
წყალში ჩახტომას აპირებდა, რომ ნაპირთან მიეცურა,

— აბა, პარასკევა, — ვკითხე. — რას იტყვი, ვიპოვით აქ
ვინმეს თუ ვერა? როგორ გგონია, ვნახავთ მამაშენს?

პარასკევა დიდხანს დუმდა, თითქოს ენა ჩაყლაპაო, მაგ-
რამ მამა რომ ვუხსენე, ამ ალერსიან საბრალო არსებას სახე
მოეღუშა და ლაპალუპით წასკდა ცრემლები.

— რა მოხდა, პარასკევა? — ვკითხე. — ნუთუ გწყინს,
რომ მამაშენი უნდა ნახო?

— არა, არა, — მითხრა, თან თავს იქნევდა. — მამაჩემი
მეტი ვერა, მეტი ვერა ვნახო!

- ვითომ რატომ, პარასკევა? რა იცი?
- ვერა! ვერა! ბევრი ხანია მკვდარი; ძალიან ბებერი.
- კმარა, კმარა, პარასკევა. წინასწარ რა იცი? როგორ ფიქრობ, სხვებს თუ ვნახავთ?

ეტყობა, პარასკევას ჩემზე მახვილი მზერა ჰქონდა, რადგან მაშინვე ჩემი ძველი სახლის გვერდით გორაკისკენ გაიშვირა ხელი, თუმცა ნახევარი მიღის სიშორეზე ვიყავით, და აყვირდა:

- მე ხედავს! მე ხედავს! ჰო, ჰო. მე ხედავს ბევრი კაცი იქ, და კიდევ იქ!

მეც დავაკვირდი, მაგრამ ვერაფერი დავინახე, ჭოგრიტითაც კი; ალბათ იმიტომ, რომ იქით არ ვიყურებოდი, საითაც საჭირო იყო; არადა, როგორც მეორე დღეს გაირკვა, პარასკევა მართალი აღმოჩნდა: გორაკზე ხუთი თუ ექვსი კაცი მდგარა და ხომალდს უყურებდნენ, ეტყობა აინტერესებდათ, ვინ ვიყავით და რა გვინდოდა.

როგორც კი პარასკევამ მითხრა, გორაკზე ხალხს ვხედავო, მაშივე გავეცი ბრძანება, კიჩოზე ინგლისის დროშა აღმართათ და სამჯერ გაესროლათ ზარბაზნიდან, რათა ისინი მიმხვდარიყვნენ, რომ სამეგობროდ ვიყავით მოსული. თხუთმეტ წუთში ყურესთან კვამლი გამოჩნდა; მაშინვე ვბრძანე, ნავი წყალში ჩაეშვათ, პარასკევა წავიყოლე და სამშვიდობო თეთრი დროშით ხელში ნაპირისკენ გავემართე. ახალგაზრდა მღვდელიც წავიყვანე, კუნძულზე ჩემი ცხოვრების ამბავი და საერთოდ ყველაფერი ვუამბე როგორც ჩემზე, ისე იმათზეც, ვინც იქ დავტოვე, ასე რომ, თავად გამოთქვა სურვილი, წამომყოლოდა. კიდევ, კარგად შეიარაღებული თექვსმეტი კაცი გვახლდა; ეს იმ შემთხვევისთვის, თუ კუნძულზე უცხო ადამიანებს გადავეყრებოდით, მაგრამ იარაღის ხმარება არ მოგვიხდა.

მოქცევის გამო წყალი კარგა ლრმა იყო, ასე რომ, ნაპირს საკმაოდ მივუახლოვდით, იქიდან კი ნავით ყურეში შევედით.

პირველი, ვისაც თვალი მოვკარი, ის ესპანელი იყო, რომელიც მე გადავარჩინე; სახით მაშინვე ვიცანი, სულ არ შეცვლილი იყო, ასევე — სამოსითაც, რომელსაც მოგვიანებით აღვწერ. თავიდან მარტო ვაპირებდი ნაპირზე გადასვლას, მაგრამ პარასკევას ნავში ვინ დააკავებდა?! ამ მოსიყვარულე არსებამ მაშინვე დაინახა მამამისი, რომელიც ესპანელებს უკან მოჰყვებოდა და მე ვერც კი შევნიშნე; ჩემი საბრალო მსახური რომ არ წამომეყვანა, წყალში ჩახტებოდა და ცურვით მიაღწევდა ნაპირს. მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, შურდულივით გაქანდა მამამისისკენ. გულქვა ადამიანსაც კი აუჩუყებდა გულს იმ დაუოკებელი სიხარულის ხილვა, პარასკევას რომ დაეუფლა მამასთან შეხვედრისას; ჯერ გადაეხვია, ჩაკოცნა, სახეზე ეფერა, მერე ხელში აიტაცა, ჯირკზე შემოსვა და იქვე მიუწვა; მერე წამოხტა და კარგა ხნით მიაშტერდა, თითქოს სურათი ყოფილიყოს, პირველად რომ ხედავდა; მერე ისევ წამოწვა, ფეხებზე ეფერებოდა და უკოცნიდა, ისევ წამოხტა და მიაშტერდა; გეგონებოდა, მოაჯადოესო. მეორე დილით კი, როცა უკვე სხვაგვარად გამოხატავდა სიხარულს, სიცილს ვერ შეიკავებდი იმის შემხედვარე, როგორ ქალბატონივით დააბრძანებდა. მამას ნაპირზე და სულ ერთთავად ნავთან მირბოდა, ხან შაქრის ნატეხს მოუტანდა, ხან — ვისკის, ხან — ორცხობილას. მერე სხვაგვარად აურია — მოხუცი მიწაზე დასვა და მის გარშემო ცეკვავდა, სულ ნაირ-ნაირ ილეთს ასრულებდა, თანაც ენას არ აჩერებდა, მამამისს თავის მოგზაურობასა და იმაზე უყვებოდა, რაც თავს გადახდომია. მშობლის მიმართ ასეთ სიყვარულს ქრისტიანულ სამყაროშიც რომ გამოხატავდნენ, მეხუთე მცნება ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა.

თემას გადავუხვიე: კუნძულზე გადასხდომის ამბავს დავუბრუნდები. არ ღირს იმის აღწერა, თუ რა ზარ-ზეიმით შემხვდნენ ესპანელები. ის ესპანელი, როგორც უკვე მოგახსენეთ, კარგად რომ ვიცნობდი, რადგან მე გადავარჩინე, ერთი კაცის თანხლებით და ხელში ასევე თეთრი დროშით, ნავთან მოვიდა;

პირველად ვერც კი მიცნო, ვერ წარმოედგინა, რომ დავბრუნდი; მერე კი, როცა პორტუგალიურად ვუთხარი, სენიორ, ვერ მიცანით-მეთქი, ჯერ ხმა არ ამოიღო, მერე თავისი მუშკეტი თანმხლებს მისცა და ბოლოს ესპანურად რაღაც თქვა, რაც წესიერად ვერც გავიგე, მკლავები გაშალა და გადამეხვია, თან ბურტყუნებდა, ეს რა მომივიდა, როგორ ვერ ვიცანი კაცი, რომელიც ციდან მხსნელ ანგელოზად მომევლინაო?! კიდევ ბევრი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვა წარმოთქვა, ასე რომ სჩვევიათ კარგად აღზრდილ ესპანელებს; მერე თავისი თანამგზავრი იხმო და დაავალა, სხვებსაც დაუძახეო. ბოლოს მკითხა, ხომ არ წამოხვალთ თქვენი საცხოვრებლის სანახავად, რომელსაც სიამოვნებით ისევ დაგითმობთ, და ნახავთ იმ ცვლილებებს, იქ რომ მოვახდინეთ, თუმცა ბევრი არაფერი შეგვიცვლიაო. მეც გავყევი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ადგილი ვერ ვიცანი, თითქოს არც არასდროს ვყოფილვარ იქ. უამრავი ხე დაერგოთ, თანაც — ძალიან ახლო-ახლო, ეს ხეები კი ათ წელიწადში ისე გაზრდილა და ისე დაუბურავს იქაურობა, რომ მხოლოდ ის თუ გაიგნებდა სახლისკენ გზას, ვინც იქ ბილიკები გათელა.

კვითხე, აქაურობა ასეთი მიუვალი რატომ გაგიხდიათ-მეთქი? მიპასუხა, — მიხვდებით, როცა შეიტყობთ, აქ როგორ ვცხოვრობდითო, — განსაკუთრებით მას მერე, რაც, თავის-და საუბედუროდ, აღმოაჩინეს, რომ კუნძული დავტოვე; ისიც მითხრა, გამიხარდა, ბედმა რომ გაგიღიმათ და წახვედით, თანაც ისეთი კარგი ხომალდით, თქვენ რომ ისურვებდითო, მერე კი ხშირად დაუფლებია იმის წინათგრძნობა, რომ ადრე თუ გვიან ისევ მნახავდა; მაგრამ ისიც დასძინა, არაფერს დაუწყვეტია ჩემთვის გული ისე ძალიან, როგორც იმას, რომ კუნძულზე დაბრუნებულს თქვენ აღარ დამხვდითო.

რაც შეეხება კუნძულზე დარჩენილ სამ ბარბაროსს, როგორც მათ უნიდებდა, მითხრა, მათზე ბევრი რამ მაქვს მოსა-

ყოლიო; ისიც აღნიშნა, ესპანელები ველურებთან უკეთ ვცხოვ-
რობდით, ვიდრე მათთან, და კიდევ კარგი, ბევრნი არ იყვნენო.

— ჩვენზე ძლიერები, რომ ყოფილიყვნენ, კარგა ხანია, იმ
ქვეყნად ვიქენებოდით, — თქვა და პირჯვარიც გადაისახა.

— იმედია, სერ, გულს არ დაგწყვეტთ, თუ გეტყვით, რომ
თავის გადასარჩენად, რაკი სხვა გზა არ იყო, იძულებული გავ-
ხდით, განგვეიარაღებინა და დაგვემორჩილებინა ისინი, რად-
გან იმას არ სჯერდებოდნენ, რომ ჩვენზე გაბატონდნენ, არა-
მედ ჩვენი დახოცვაც განიზრახეს.

ვუთხარი, რომ ამის მეც მეშინოდა, კუნძულიდან რომ მივ-
დიოდი, და ძალიან ვწუხდი, რომ ისინი ანუ ესპანელები დრო-
ულად არ დაბრუნდნენ, რათა კუნძული მათთვის გადამეცა,
ის ინგლისელი მეზღვაურები კი მათთვის დამემორჩილებინა,
რასაც იმსახურებდნენ კიდეც; და რაკი თავად დაიმორჩილეს,
ძალიანაც მიხარია და სულაც არ ვძრახავ, რადგან ურჩი, ბო-
როტი, ყველაფრის მკადრებელი არამზადები იყვნენ.

ამას რომ ვეუბნებოდი, მეორე ესპანელი დაბრუნდა და
თან თერთმეტი კაცი მოიყვანა. ისე იყვნენ ჩაცმული, მათი
ეროვნების დადგენა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩემმა ესპა-
ნელმა ყველაფერი აგვიხსნა, მეც და მათაც. ჯერ მე მომმარ-
თა: — ამათგან ზოგიერთი, სერ, გადარჩენას თქვენ უნდა გი-
მადლოდეთო, — მერე მათ მიუბრუნდა, ჩემზე ანიშნა და უთხ-
რა, ვინც ვიყავი. ამის შემდეგ სათითაოდ მომიახლოვდნენ და
ისეთი მოწინება გამოავლინეს, თითქოს უბრალო მეზღვაურე-
ბი ან ჩვეულებრივი ადამიანები კი არა, ელჩები ან წარჩინებუ-
ლი პირები იყვნენ, მე კი — მონარქი ან დიდი მბრძანებელი;
და ამ მოკრძალებასა და თავაზიანობას ისე ღირსეულად და
დახვეწილად გამოხატავდნენ, ლამის შემშურდა კიდეც, და არ
ვიცოდი, რით მეპასუხა.

კუნძულზე მათი ჩამოსვლისა და ჩემი წასვლის შემდეგ
მათი იქ ცხოვრების ამბავი იმდენად საინტერესო და იმდენად
მდიდარია მოვლენებით, რომლებსაც ისინი უკეთ გაიგებენ,

ვისაც ჩემი მონათხრობის პირველი ნაწილი წაუკითხავს, ასევე სავსეა დეტალებით, უშუალოდ რომ უკავშირდება კუნძულზე ჩემს ცხოვრებას, რომელიც თავადვე აღვწერე, ამიტომ დიდი სიამოვნებით გავუზიარებ იმათ, ვინც ჩემ შემდეგ მოვა.

ეს უკეთ რომ შევძლო, უნდა გავიხსენო ის ვითარება, როცა კუნძულს ვტოვებდი, და ის ადამიანები, რომლებზეც უნდა გიამბოთ. ჯერ ერთი, შეგახსენებთ, რომ ესპანელი და პარასკევას მამა, რომლებიც ველურებისგან ვიხსენი, თავად გავგზავნე დიდი კანოეთი კონტინენტზე, როგორც მაშინ მეგონა, რომ წამოეყვანათ დანარჩენი ესპანელები, ასევე საშინელი საფრთხე რომ ემუქრებოდათ, რათა დავხმარებოდი მათ და თუ შევძლებდით, ერთად მოგვეფიქრებინა, როგორ გვეშველა ჩვენი თავისთვის. ისინი რომ გავგზავნე, საკუთარი თავის ხსნის იმედიც კი არ მქონდა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე თუნდაც ოდნავ მეტი იმედი, ვიდრე იმ ოცი წლის განმავლობაში მქონია, და ის ხომ საერთოდ ვერ წარმომედგინა, რომ ინგლისური ხომალდი ჩემს გადასარჩენად წაპირს მოადგებოდა. და, რა თქმა უნდა, ძალიან გაუკვირდათ, რომ უკან დაბრუნებულებს აღარ დავხვდი და დახვდათ სამი უცნობი, რომლებმაც მიითვისეს ის ყველაფერი, რაც დავტოვე, არადა, მათ უნდა დარჩენოდათ.

იმით რომ დავიწყო, რაზეც შევჩერდი, ვიტყვი, რომ პირველ რიგში დაწვრილებით გამოვკითხე ესპანელი, როგორ წამოიყვანა თანამოძმენი და როგორ დაბრუნდა კუნძულზე. მიპასუხა, რომ მოსაყოლი არც არაფერია, ვზად არაფერი შემთხვევია, სულ კარგი ამინდი იყო და არც ზღვა ღელავდა, და მის თანამოძმეთ ძალიან გაუხარდათ მისი დანახვა; როგორც ჩანს, თავიანთ უფროსად მიიჩნევდნენ, რადგან მათი გემის ჩაძირვამდე კაპიტანი გარდაიცვალა. ძალიან გაუკვირდათ და დიდად გაიხარეს, რომ დაინახეს, რადგან იცოდნენ, რომ ველურებს ჩაუვარდა ხელში, და ეგონათ, რომ სხვა ტყვეებივით ისიც შეჭამეს; ხოლო როცა თავისი გადარჩენის ამბავს

მოუყვა და უთხრა, რომ მათ წასაყვანად იყო მისული, როგორც თავად თქვა, ისე გაოგნდნენ, როგორც იოსების ძმები, როცა გამოეცხადა და აცნობა, რომ ფარაონთან დიდ პატივშიცხოვრობდა. მერე კი, როცა უჩვენა იარაღი, დენთი, ტყვიები და სანოვაგე, მათთვის რომ ჰქონდა წალებული, დამშვიდდნენ და გათავისუფლების იმედით ფრთაშესხმულნი, წამოსასვლელად მზადებას შეუდგნენ.

პირველი, რაც უნდა გაეკეთებინათ, ნავები უნდა ეშოვათ, ამიტომ იძულებული გახდნენ, ფეხზე დაეკიდებინათ თავიანთი ველურების კეთილგანწყობა და მოტყუებით გამოერთმიათ ორი კანოე, აქაოდა, სათევზაოდ გვინდა წასვლა ან ზღვაში ცოტას გავისეირნებთო. მეორე დილით სწორედ ამ ნავებით წამოვიდნენ. დიდი მზადება არც დასჭირვებიათ, რადგან ბევრი არც არაფერი ჰქონდათ — არც ჩასაცმელი, არც სანოვაგე, გარდა იმისა, რაც ეცვათ და ძირხვენების ცოტაოდენი მარაგისა, რომლისგანაც საჭმელს იმზადებდნენ. სამი კვირა მოანდომეს გზას. ამასობაში, მათდა საუბედუროდ, კუნძულიდან თავის დაღწევის საშუალება მომეცა, როგორც ეს ადრე უკვე მოგახსენეთ, თანაც დავტოვე იქ სამი პირწავარდნილი არამზადა, ბოროტი, თავხედი და ყოვლად უმსგავსო ადამიანი, რომლებთან შეხვედრასაც არავის ვუსურვებდი, რაც, რათქმა უნდა, ესპანელთა დიდ წუხილსა და იმედგაცრუებას გამოიწვევდა.

ამ არამზადების ერთადერთი წესიერი საქციელი იმით გამოიხატა, რომ, ესპანელები კუნძულზე რომ ჩამოვიდნენ, ჩემი წერილი, სანოვაგე და ყველაფერი ის გადასცეს, რაც დავუტოვე, ერთი სიტყვით, ისე მოიქცნენ, როგორც ვუბრძანე. ასევე გადასცეს ჩემი დარიგებების ვრცელი ნუსხა — როგორ გამოეცხოთ პური, როგორ მოეშენებინათ თხები, როგორ დაეთესათ სიმინდი და აელოთ მოსავალი, როგორ მოევლოთ ვენახისთვის, გამოეწვათ ქოთნები და სხვა ყველაფერი, რასაც კუნძულზე ვაკეთებდი. ყველაფერი ეს დაწვრილებით ალვ-

წერე და დავუბარე, გადაეცათ ესპანელებისთვის, რომელ-თაგანაც ორმა კარგად იცოდა ინგლისური. კუნძულზე და-ტოვებულმა მეზღვაურებმა ჩემი დანაბარები შეასრულეს, ესპანელებს არაფერს უშავებდნენ, რადგან თავიდან მათ შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა. ესპანელები ჩემს საცხოვრებელში შეუშვეს, არც კი ვიცი, სახლი ვუწოდო თუ გამოქვაბული, და ყველა ერთად ცხოვრობდა. საქმეებს განა-გებდა უფროსი ესპანელი, რომელიც მაკვირდებოდა, როგორ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, პარასკევას მამასთან ერთად, ინგლისელები კი ხელს არ ანძრევდნენ, კუნძულზე დახეტია-ლებდნენ, თუთიყუშებზე ნადირობდნენ და კუებს აგროვებდ-ნენ, შებინდებისას კი, შინ მოსულებს, ესპანელების მომზადე-ბული ვახშამი ხვდებოდათ.

ესპანელები ამგვარი ვითარებითაც კმაყოფილი იქნებოდ-ნენ, ინგლისელები რომ არ ახირებოდნენ, მაგრამ იმ არამზა-დებს თავშეკავება აღარ ეყოთ და ავი ძალლივით მოქცევა და-იწყეს — არც თვითონ რომ არ ჭამს და არც სხვას აჭმევს. თა-ვიდან ერთი-ორჯერ მცირე შელაპარაკება მოუვიდათ და ამის ხსენებაც არ ღირს, მაგრამ თანდათან ინგლისელები კრიჭაში ჩაუდგნენ ესპანელებს, ნამდვილი ომი გამოუცხადეს, ურცხ-ვად და თავხედურად, არაფრის გამო, ყოვლად უმიზეზოდ, რაც სრულიად ენინააღმდეგებოდა ბუნების წესებსა და საღ-აზრს. და თუმცა ეს ყველაფერი პირველად ესპანელებისგან და, როგორც მე ვუწოდებ, ბრალმდებელი მხარისგან მოვის-მინე, სიმართლის დასადგენად ინგლისელებიც გამოვკითხე, რომლებმაც ესპანელთა ნათქვამი ერთი სიტყვაც კი ვერ გა-აბათილეს.

მაგრამ ვიდრე ამ ამბის დეტალებს მოგახსენებთ, მინდა, ჩემს ადრინდელ ნაამბობში ერთი ადგილი შევავსო. დამავიწყ-და მეთქვა, რომ სანამ ღუზას ამოვწევდით და ზღვაში გავი-დოდით, რაღაც წვრილმანის გამო ხომალდზე ჩხუბი ატყდა; ვშიშობდი, ეს ჩხუბი ისევ ამბოხში არ გადაზრდილიყო; და

მართლაც, ჩხუბი მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც კაპიტან-მა თავი ხელში აიყვანა და ყველა დასახმარებლად გვიხმო; მან თავად გააშველა მოჩხუბარნი და ჩხუბის ორ მოთავეს ბორ-კილები დაადო; რაკი ეს ორი ადრინდელი ამბოხების დრო-საც აქტიურობდა და ახლაც დიდ გულზე იყო, დაემუქრა, ასე ბორკილდადებულებს ჩავიყვანთ ინგლისში, სადაც ხომალდ-ზე შფოთის მოწყობისა და დეზერტირობისთვის ჩამოგახრჩო-ბენო. ამ მუქარამ სხვებიც შეაშფოთა და თუმცა კაპიტანი მის შესრულებას სულაც არ აპირებდა, რამდენიმე მეზღვაურმა დანარჩენები დაარწმუნა, — კაპიტანი ახლა ჩვენი გულის მო-გებას ცდილობს, მაგრამ ინგლისის რომელიმე ნავსადგურში შესვლისთანავე კი ყველას ციხეში გვიკრავს თავს და გაგვასა-მართლებსო. ეს კაპიტნის თანაშემწემ შეიტყო და გვაცნობა, და მაშინ მთხოვეს, რადგან მეზღვაურთა შორის პატივისცე-მით ვსარგებლობდი, კაპიტნის თანაშემწესთან ერთად ჩავსუ-ლიყავი მეზღვაურებთან, დამემშვიდებინა ისინი და დამერნ-მუნებინა, რომ თუ ამიერიდან კარგად მოიქცეოდნენ, ყველა-ფერს აპატიებდნენ და დაივიწყებდნენ. მეც წავედი და მეზღ-ვაურებს აღვუთქვი, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც ვუთხარი; ისინიც დამშვიდდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იმ ორ დაკავებულ მეზღვაურს, ჩემი თხოვნით, ბორკილე-ბი ახსნეს.

ამ ამბების გამო კიდევ ერთი ღამე ღუზაზე ვიდექით. ამა-სობაში ქარიც ჩადგა. როგორც კი გათენდა, გაირკვა, რომ ის ორი გათავისუფლებული შფოთისთავი გაქცეულა, თან მუშ-კეტები და დანები გაუყოლებიათ; რამდენი ტყვია-წამალი წაი-ღეს, არ ვიცოდით; კაპიტნის ნავით ნაპირზე გადავიდნენ სხვა მეამბოხეებთან. როგორც კი ეს ამბავი შევიტყვეთ, მე და თა-ნაშემწე თორმეტ მეზღვაურთან ერთად მეამბოხეთა საძებნე-ლად წავედით, მაგრამ ვერც ისინი ვიპოვეთ და ვერც ნაპირზე გადასხმული პირველი სამი შფოთისთავი. ნავი რომ დაინახეს, ტყეში გაქცეულან. კაპიტნის თანაშემწეს უნდოდა, მათ და-

სასჯელად კუნძულზე ნათესები, ქოხები და სანოვაგე გადა-
ეწვა, მაგრამ რაკი ამის უფლებამოსილება არ ჰქონდა, ვეღარ
გაბედა; გატაცებული ნავი კი წამოვიყოლეთ და ხომალდზე
დავბრუნდით. ეს ორიც რომ დაემატა, კუნძულზე ინგლისელ-
თა რიცხვმა ხუთს მიაღწია, მათგან ის პირველი სამი მეზღვა-
ური ამ ორზე უარესი ნაძირალა იყო. თანამოძმენი მხოლოდ
ორი დღე აიტანეს, მერე კი გაყარეს და უთხრეს, თქვენთან
არაფერი გვესაქმება, მოშორდით აქედან და თავშიც ქვა გიხ-
ლიათო. იმ საცოდავებმა კი ვერ მოახერხეს მათი დაყოლიება,
რომ ცოტაოდენი საჭმელი მაინც ეწილადებინათ. რაც შეეხება
ესპანელებს, ამ დროისთვის ისინი კუნძულზე ჯერ არ დაბრუ-
ნებულიყვნენ.

ესპანელები რომ დაბრუნდნენ, სიტუაცია ცოტათი მოგ-
ვარდა. მათ სცადეს, ის სამი ინგლისელი პირუტყვი დაერ-
წმუნებინათ, რომ თანამოძმეებთან ერთად ეცხოვრათ, ასე
ვთქვათ, ერთ ოჯახად, მაგრამ მათ ამის გაგონებაც კი არ სურ-
დათ. ასე რომ, ის ორი საცოდავი იძულებული გახდა, ცალკე
დასახლებულიყო და, რაკი სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ,
ეშრომათ, რომ როგორმე თავი გაეტანათ. ქოხები კუნძულის
ჩრდილოეთ ნაპირზე, უფრო დასავლეთისკენ ააგეს, რად-
გან ველურები უფრო აღმოსავლეთ სანაპიროს ადგებოდნენ
ხოლმე. ააგეს ორი ქოხი, ერთი — საცხოვრებლად, მეორე კი
— ფარდულად და ბეღლად. ესპანელებმა სიმინდის თესლი
მისცეს და ჩემი დატოვებული მუხუდოს მარაგიც უწილადეს;
მიწა დაამუშავეს, დათესეს, შემოლობეს და საკმაოდ კარგად
მოეწყვნენ. პირველი მოსავალიც მალე მოიწიეს; მართალია,
თავიდან მიწის მხოლოდ პატარა ნაკვეთი დაამუშავეს, მეტს
ვერც მოასწრებდნენ, მაგრამ მაინც საკმარისი მოიწიეს, რომ
შემდეგ მოსვლამდე ყოფნოდათ. ერთი მათგანი მზარეულის
თანაშემწე იყო და საკმაოდ გემრიელ საჭმელს ამზადებდა —
წვნიან კერძებს, პუდინგებს, ნაირ-ნაირ კერძს ბრინჯისგან,

რძისგან და იმ ცოტაოდენი ხორცისგან, რომლის მოპოვებაც კუნძულზე შეიძლებოდა.

ასე ცხოვრობდნენ პატარა მეურნეობის წყალობით, სანამ მათი თანამოძმე ის სამი გარენარი წამოადგებოდათ თავზე და ისე, თავის შესაქცევად დაიწყებდა ჭრაბახს, აქაოდა, ეს კუნძული ჩვენია, რადგან გუბერნატორმა — ეტყობა, მე მგულისხმობდნენ — ჩვენ გადმოგვცა და სხვას არავის აქვს უფლება აქაურ მიწაზე, ამიტომაც ქოხის აშენებაც კი არ შეიძლება, თუ იჯარას არ გადაიხდითო. იმ ორს თავიდან ეგონა, ხუმრობენო, და შეიპატიუეს, მოდით და ნახეთ, როგორი ქოხები ავაშენეთ, და გვითხარით, იჯარა რამდენი უნდა გადავიხადოთო. ერთ-მა მასპინძელმა ხუმრობით ისიც კი უთხრა, — რაკი მიწათმფლობელები ხართ და მიწას იჯარით გასცემთ, იმედია, მიწათმფლობელთა მსგავსად დათანხმდებით, ეს ნაკვეთი გრძელვადიანი იჯარით მოგვცეთ, რაკი ასე კარგად ვუვლით აქაურობასო, თანაც სთხოვა, ნოტარიუსი მოიყვანეთ და კონტრაქტი გავაფორმოთო. მაშინ იმ სამიდან ყველაზე შარიანმა უშვერი სიტყვებით აუხსნა, სულაც არ ვხუმრობთ და ამას ახლავე დაგიმტკიცებთო. დამხვდურებს სადილის მოსამზადებლად იქვე ცეცხლი გაეჩაღებინათ, ეს გარენარი მივარდა, მუგუზალს ხელი დაავლო და ქოხისთვის ცეცხლის წაკიდება დააპირა; ფიცრებს ალი მაშინვე მოედებოდა და მთელი ქოხი რამდენიმე წუთში გადაიბუგებოდა, ერთ-ერთ მასპინძელს რომ არ ემარჯვა — გავეშებულ სტუმარს ეცა, მუგუზალი გააგდებინა და ფეხით ძლივს ჩააქრო.

ამან კიდევ უფრო გაამწარა ის ნაძირალა. ახლა ღობეს ეცა, სარი ამოაძრო და მასპინძელს შეუტია. იმან დარტყმა მარჯვედ აიცილა და ქოხში შევარდა, თორემ იქვე გაათავებდა. მეორემ რომ დაინახა, მათ რა საფრთხე ემუქრებოდა, ისიც ქოხში შევარდა და მაშინვე ორივე, მუშკეტებით შეიარაღებული გამოვიდა. მერე იმ ინგლისელმა, რომელზეც გააფორებულმა სტუმარმა გაიწია, მუშკეტის ჭარი სთხლიშა თავში და გააგორა; ახლა

დანარჩენი ორი მივარდა მისაშველებლად, მაგრამ მასპინძლებ-
მა თოფები დაუმიზნეს და დაემუქრნენ, აქ ფეხის მოდგმა აღარ
გაბედოთო!

ცეცხლსასროლი იარაღი მომხვდურებსაც ჰქონდათ, მაგ-
რამ მასპინძელთაგან უფრო გაბედულმა, რაკი მიხვდა, რამხე-
ლა საფრთხეში აღმოჩნდნენ, დაუყვირა, არ გაინძრეთ, თორემ
ყველას დაგხოცავთო, მერე უბრძანა, იარაღი დაყარეთო. მარ-
თალია, იარაღი არ დაუყრიათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ მასპინ-
ძლები არ ხუმრობდნენ, და იქაურობას გაეცალნენ, დაჭრილი
ამხანაგიც წაიყვანეს, რომელიც საკმაოდ სერიოზულად იყო
დაშავებული. ასე იყო თუ ისე, ის ორი ძალიან შეცდა, იარაღი
რომ არ ჩამოართვეს, რაც თავისუფლად შეეძლოთ; მერე კი
ესპანელებთან უნდა წასულიყვნენ და ეს ამბავი მოეყოლათ,
რადგან ამის შემდეგ ის სამი გარენარი მხოლოდ შურისძიება-
ზე ფიქრობდა და ყოველდღიური მოქმედებით ადასტურებდა
ამას.

კანიპალებთან ბრძოლა

აქ აღარ ჩამოვთვლი იმ წვრილმან მავნებლობას, რომელ-
საც ინგლისელები თანამოძმეთა მიმართ სჩადიოდნენ დღისი-
თაც და ღამითაც; მოკლედ, ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ იძულე-
ბული გახდნენ, თავდამსხმელებისთვის ჭკუა ესწავლებინათ,
თუმცა ორნი სამს უნდა დაპირისპირებოდნენ. ამიტომ გა-
დაწყვიტეს, ციხესიმაგრესთან მისულიყვნენ — ასე უწოდებ-
დნენ ჩემს საცხოვრებელს, — სადაც ის შფოთისთავები ეს-
პანელებთან ერთად ცხოვრობდნენ, და პატიოსან ბრძოლაში
გამოეწვიათ, ესპანელებისთვის კი ეთხოვათ, თვალი ედევნე-
ბინათ, რომ ბრძოლა ნამდვილად პატიოსანი ყოფილიყო. დი-
ლაადრიან მიადგნენ, სანამ მზე ამოიწვერებოდა, და სათითა-
ოდ დაუძახეს, მაგრამ ესპანელმა გამოხედა, და მას უთხრეს,
რომ ინგლისელებთან ჰქონდათ საქმე.

ისე მოხდა, რომ მანამდე ორი-სამი დღით ადრე ტყეში
ყოფნისას ორი ესპანელი ამ ორიდან ერთ-ერთ ინგლისელს
გადაეყარა — მათ წესიერ ინგლისელებად მოვიხსენიებ — და
მან უამბო, როგორ დაესხნენ თანამოძმენი თავს, უთხრა, რომ
ასე წვალებით მოყვანილი ნათესები გაუჩანავეს, მეწველი თხა
და სამი ციკანი მოუკლეს და ახლა, თუ ესპანელები არ დაეხ-
მარებიან, შიმშილით სული ამოხდებათ. შინ დაბრუნებულმა
ერთ-ერთმა ესპანელმა ვახშმობისას საკმაოდ თავაზიანად და
თავშეკავებულად უსაყვედურა ინგლისელებს და ჰკითხა, ასე
სასტიკად და ულმობლად რატომ ექცეოდნენ თანამოძმეებს,
უწყინარ და უბოროტო ადამიანებს, ამდენს რომ შრომობდნენ
და ძლივს გაიმართნენ წელში.

ერთ-ერთმა ინგლისელმა უხეშად უპასუხა:

— აქ საერთოდ რა უნდათ? ნაპირს უნებართვოდ მოად-
გნენ; რა უფლება აქვთ, აქ რომ თესავენ და აშენებენ, ეს მათი
მინახომ არ არის.

— ჰო, მაგრამ, სენიორ, — მშვიდად შეეპასუხა ესპანელი,
— შიმშილით ხომ არ დაიხოცებიან?!

ამაზე ინგლისელმა მკვახედ მიუგო:

— დარდიც დამდგომია, იშიმშილონ, რა! აქ არც მიწის
დამუშავების უფლება აქვთ, არც შენების.

— მაში, რა ქნან, სენიორ? — ჰკითხა ესპანელმა.

— როგორ თუ რა ქნან? რა ქნან და იმუშაონ, — სიტყვა
შეაშველა ამხანაგს მეორე ნაძირალამ, — მოგვემსახურონ და
ჩვენთვის იმუშაონ.

— რა უფლება გაქვთ, რომ ეს მოსთხოვოთ? თქვენი ფუ-
ლით ნაყიდი მონები ხომ არ არიან? რატომ უნდა მოგემსახუ-
რონ? — არ ეპუებოდა ესპანელი.

— სწორედაც რომ გვაქვს უფლება, რადგან ეს კუნძული
ჩვენია, გუბერნატორმა ჩვენ ჩაგვაბარა და ჩვენ გარდა, არავის
არაფრის უფლება არ აქვს, — უპასუხა ინგლისელმა და ისიც
დასძინა, თუ ამ ჩვენს მიწაზე ახალ ქოხებს ააშენებენ, ყველას
გადავუბუგავო.

— ვითომ რატომ, სენიორ? — არ ეშვებოდა ესპანელი. —
მაშინ გამოდის, რომ ჩვენც უნდა გემსახუროთ?

— სწორედაც რომ ასე გამოდის და ასეც იქნება, სანამ
თავიდან არ მოგიშორებთ, — ძალლივით შეულრინა ინგლი-
სელმა და რამდენიმე ბილწი სიტყვაც გაურია. ამაზე ესპანელს
გაელიმა და პასუხის ღირსადაც აღარ ჩათვალა. აი, ამ პატარა
შელაპარაკებამ გააცეცხლა ინგლისელები და რომ წამოდგ-
ნენ, ერთ-ერთმა, თუ არ ვცდები, უილი ატკინსმა, მეორეს მი-
მართა:

— წამოდი, ჯეპ, ერთხელ კიდევ შევაფუცხუნოთ. მერწ-
მუნე, თავის დროზე ამ ციხესიმაგრესაც დავანგრევთ, არ მო-
მინდომეს კოლონია აქ, ჩვენს სამფლობელოში?!

ამის შემდეგ ინგლისელები გავიდნენ, თოფებით, ჰისტო-
ლეტებითა და დანებით შეიარაღებულნი, თან იმუქრებოდნენ,
როგორც კი დროს ვიხელთებთ, ამ ესპანელებსაც მივხედავ-

თო. ესპანელები, ეტყობა, ზრახვებს ვერ მიუხვდნენ, მხოლოდ ის გაიგეს, რომ ეს არამზადები მკაცრად უპირებდნენ დასჯას, იმ ორ წესიერ ინგლისელს რომ მიემხრნენ. სად წავიდნენ და რას აპირებდნენ, ესპანელებმა არ იცოდნენ. ეტყობა, გვიანობამდე იბორიალეს კუნძულზე, დაღლილები კი ჩემს იმ ქოხში მიეყარნენ დასაძინებლად, აგარაკად რომ ვიყენებდი. საქმე ის გახლავთ, რომ გადაწყვიტეს, შუალამისას მძინარ თანამოძმეთ დასხმოდნენ თავს და მათი ქოხებისთვის ცეცხლი წაეკიდებინებინათ, რათა, როგორც თავადაც გამოტყდნენ, ან ცოცხლად გამოებუგათ, ან დაეხოცათ, თუ გარეთ გამოსვლას ეცდებოდნენ. ისე, უცნაურია, ამ ბოროტმოქმედთ, დროზე რომ არ გაელვიძათ, რადგან, როგორც ცნობილია, ბოროტებას ლრმა ძილი არ სჩვევია. იმ წესიერ ინგლისელებს კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, თავიანთი გეგმა ჰქონდათ ამ არამზადებთან დაკავშირებით, თუმცა, ბევრად უფრო ლმობიერი, რადგან არც ცეცხლის წაკიდებას ითვალისწინებდა და არც მკვლელობას; და ყველასთვის სასიკეთოდ, ისე მოხდა, რომ ბევრად ადრე, ვიდრე ის სისხლისმსმელები მათ ქოხს მიაღწევდნენ, ადგნენ და წავიდნენ.

ადგილზე მისულებს რომ არავინ დახვდათ, ატკინსმა, რომელიც მათ შორის უფროსობდა, ამხანაგს უთხრა:

— ერიჼა, ჯეკ, ბუდე აქაა, ჩიტები კი გაფრენილან.

ახლა იმაზე დაიწყეს თავის მტვრევა, ასე ადრიანად რატომ უნდა აყრილიყვნენ მათი თანამოძმენი, და დაასკვნეს, ალბათ ესპანელებმა გააფრთხილესო, ამიტომ ერთმანეთს შეჰვიცეს, რომ მათაც სასტიკად აზღვევინებდნენ ამ საქციელს. მერე საბრალო ინგლისელების საცხოვრებელს ეცნენ — ცეცხლი არ წაუკიდებიათ, მაგრამ სულ ფიცარ-ფიცარ დაშალეს, ასე რომ, ქოხებისგან იმის ნიშანიც კი აღარ დარჩენილა, რომ აქ ადამიანთა საცხოვრებელი იყო. საოჯახო ნივთებიც ისე მიყარ-მოყარეს, ის საბრალოები მერე იქაურობიდან მილის დაშორებით პოულობდნენ. ქოხების საქმე რომ მოილიეს,

ახალგაზრდა ხეებს მისდგნენ, ლობეები მიანგრ-მოანგრიეს, რომელიც პირუტყვის სადგომისა და ყანისთვის შემოევლოთ. მოკლედ, ყველაფერი ისე დაარბიეს და გააცამტვერეს, თითქოს თათართა ურდომ გადაუარაო.

ის ორი კი ამათ საძებნელად წასულა, რომ სადაც კი შეხვდებოდნენ, იქ დაპირისპირებოდნენ, ორნი სამის წინააღმდეგ. და რომ შეხვედროდნენ, ნამდვილად სისხლი დაიღვრებოდა, რადგან თითოეული მათგანი, რაც გინდათ თქვით და, ძალონით სავსე და უშიშარი ჯეელი იყო.

მაგრამ, როგორც ჩანს, განგებამ სხვაგვარად ინება და ერთმანეთს არ შეახვედრა; მათი გზები ერთხელაც ვერ გადაიკვეთა. როცა ის სამი დასარბევად მივიდა, ის ორი ციხესიმაგრეს-თან იმყოფებოდა, და რომ წავიდნენ, ის სამი მაშინ დაბრუნდა შინ. ახლა შეიტყობთ, რამდენად განსხვავებული იყო მათი ქცევა. აღვირახსნილი არამზადები, რბევისგან კიდევ უფრო გახელებულნი, ციხესიმაგრეში დაბრუნებისთანავე შლეგებივით ეცნენ ესპანელებს და უამბეს, რაც მოიმოქმედეს, თანაც ჩადენილით თავს იწონებდნენ და ტრაპახობდნენ. ერთ-ერთ-მა ესპანელს ქუდი მოაძრო, ვითომ თამაშ-თამაშით, ცხვირწინ უტრიალა და თავხედური ხარხარით მიახალა:

— შენც იგივე გელის, სენიორ ესპანელო ჯეკ, თუ შენსას არ მოიშლი.

ესპანელმა, რომელიც მშვიდი ბუნების კი იყო, მაგრამ, როგორც ნამდვილ ვაჟუაცს შეეფერება, ძალაც ერჩოდა და გულიც, თავხედს ჯერ ახედ-დახედა, მერე დინჯად მიუახლოვდა და, რაკი უიარალო იყო, მუშტი ისე უთავაზა, რომ ინგლისელი დარეტიანებული ხარივით მოიცელა. ამის შემხედვა-რე მეორე ნაძირალამ, არანაკლებ თავხედმა, პისტოლეტი და-აძრო და ესპანელს ესროლა, მაგრამ ააცდინა. ტყვიებმა თმაში გაიარა, მაგრამ ერთი ყურს წამოედო და სისხლი წამოუვიდა. სისხლის დანახვაზე ესპანელმა იფიქრა, სერიოზულად დამ-

ჭრაო; აქამდე მშვიდად ეჭირა თავი, ახლა კი განრისხებულმა იფიქრა, ამას ნამდვილად აღარ შევარჩენო, ძირს გაშოტილი ინგლისელის მუშკეტს დასწვდა და ის იყო, დაუმიზნა, რომ გამოქვაბულიდან დანარჩენები გამოცვივდნენ, დაუყვირეს, არ ესროლოო, მერე იმ ორ ინგლისელს მისცვივდნენ, გაკოჭეს და განაიარალეს.

განიარალებული ინგლისელები მიხვდნენ, რომ ესპანელებიც აიმხედრეს და თანამოძმენიც, და ცოტა დაშოშმინდნენ; ახლა უკვე მოკრძალებულად სთხოვეს ესპანელებს, იარალი დაგვიბრუნეთო; მაგრამ ესპანელებმა კარგად იცოდნენ, როგორ მტრად გადაეკიდნენ ორ წესიერ ინგლისელს, და შეტაკება თავიდან რომ აეცილებინათ, უარი უთხრეს. თუმცა, დაამშვიდეს, არაფერს დაგიშავებთ და თუ ჭკუით მოიქცევით, ისევ დაგეხმარებით, მაგრამ იარალის დაბრუნებაზე არც იფიქროთო, რადგან ახსოვდათ, როგორ დაიმუქრნენ, თანამოძმეთ დავხოცავთ, თქვენ კი მონებად გაქცევთო.

მაგრამ ამ გარეწრების ჭკუაზე მოყვანა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იარალის დაბრუნებაზე უარი რომ უთხრეს, ისე განრისხდნენ, რომ შეშლილებივით იქნევდნენ ხელებს, იმუქრებოდნენ, შურს უიარაღოდაც ვიძიებთო. ესპანელებმა ურჩიეს, გვიფრთხილდით, არც პლანტაციებს და არც პირუტყვს არაფერი ავნოთ, თორემ ცოფიანი ძალლებივით მიგახვრეტთ, ხოლო თუ ცოცხლად ჩაგიგდებთ ხელში, ჩამოგახრჩობთო. ვერც ამით დააშოშმინეს, ინგლისელები ისევ ილანძლებოდნენ და ფურიებივით ბობოქრობდნენ. როგორც კი ესენი წავიდნენ, ის ორი ინგლისელი მოვარდა, ისინიც ბრაზობდნენ და იმუქრებოდნენ, თუმცა საამისოდ მეტი საფუძველი ჰქონდათ, რადგან თავიანთი გაჩანაგებული სამოსახლო უნახავთ. ინგლისელებმა თავიანთი გასაჭირი გაუზიარეს, ესპანელებმა კი თავიანთი დაპირისპირების შესახებ უამბეს. ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ სამმა კაცმა ასე დაზაფრა ცხრამეტი კაცი და ამისთვის პასუხიც არ მოეკითხა.

ესპანელები თაკილობდნენ მათთან დაპირისპირებას, განსაკუთრებით ახლა, როცა უიარალონი იყვნენ, არად აგდებდნენ მათ მუქარას; ინგლისელებს კი გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ეპოვათ და დაეხოცათ. მაგრამ ესპანელები აქაც ჩაერივნენ და განუცხადეს, უიარალონი არიან და იარაღით დადევნება და, მით უმეტეს, მათი დახოცვა არ გმართებთ.

— ეს საქმე ჩვენ მოგვანდეთ, — უთხრა ესპანელთა თავკაცმა, — ვეცდებით დავარწმუნოთ; ცოტა რომ დაშოშმინდებიან, ისევ აქ მოვლენ, რადგან ჩვენს იქით გზა არა აქვთ; ჰოდა, გპირდებით, რომ არ მივიღებთ, სანამ ყველაფერს არ აღვიძგენენ. მაგრამ თქვენც სიტყვა უნდა მოგვცეთ, რომ იარაღს არ იხმართ, თუ საკუთარი თავის დაცვის აუცილებლობა არ შეგექმნებათ.

კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ ინგლისელებმა პირობა მისცეს, თუმცა ძალიან უხალისოდ. ესპანელები არწმუნებდნენ, ასე აჯობებს, რომ სისხლის ღვრა ავიცილოთ და კონფლიქტი მშვიდობიანად მოვაგვაროთო.

— არც ისე ბევრნი ვართ, — ამტკიცებდნენ ისინი, — რომ ადგილი ყველას არ გვეყოს, და ძალიან დასანანია, რომ მშვიდობიანად თანაცხოვრებას ვერ ვახერხებთ.

ბოლოს და ბოლოს, ინგლისელები დათანხმდნენ და ესპანელების ნებართვით, მათთან დარჩნენ, რადგან საკუთარი კარ-მიდამო აღარ ჰქონდათ.

ხუთი დღის შემდეგ სამი მაწანწალა, აქეთ-იქით ხეტიალით ქანცგაცლილი და დამშეული, ციხესიმაგრესთან ტევრს მოადგა. იქ სამი ესპანელი დახვდათ, მათ შორის ის, მე რომ თავკაცად დავნიშნე. საწყლად და მორიდებით ითხოვეს დაბრუნების ნებართვა. ესპანელებმა თავაზიანად შეახსენეს, რა სისასტიკე ჩაიდინეს თანამოძმეთა მიმართ და რა უხეშად მოექცნენ ესპანელებს, ამიტომ უთხრეს, სანამ დანარჩენებს და

იმ ორინგლისელს არ დავეკითხებით, ვერაფერს გიპასუხებთ, თუმცა ახლავე წავალთ, მოვეთათბირებით და პასუხს ნახევარ საათში გაცნობებთო. ადვილი წარმოსადგენია, რა დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ეს ინგლისელები, თანაც იძულებული იყვნენ ეთხოვათ, სანამ პასუხს გვეტყვით, ცოტა-ოდენი პური გვაჭამეთო. ესპანელებს ამაზე უარი არ უთქვამთ და პურთან ერთად თხის ხორცის დიდი ნაჭერი და მოხარშული თუთიყუში გამოუტანეს, რაც დამშეულებმა მაშინვე შესანსლეს.

ნახევარსაათიანი თათბირის შემდეგ დაუძახეს და კიდევ კარგა ხანს გასტანა ურთიერთბრალდებებმა: ორი ინგლისელი მთელი თავიანთი ნაჯაფ-ნაამაგარის განადგურებას და მკვლელობის განზრახვას უყენებდა ბრალად, რაც ვერ უარყვეს, რადგან ეს ადრე თავადვე განაცხადეს. ესპანელებმა მომრიგებლის როლი იკისრეს და ისევ მოსთხოვეს ორ დაზარალებულ ინგლისელს, შურისგებაზე ხელი აეღოთ, სანამ თავდამსხმელები უიარალონი და უსუსურები იყვნენ. ბრალეულთაგან კი მოითხოვეს, რომ აეშენებინათ ორი ქოხი, ერთი დიდი და მეორე პატარა, ისევ შემოევლოთ ღობე, რომელიც მოუშალეს, გაჩეხილი ხეების ნაცვლად ახლები დაერგოთ, მოეხნათ მიწა, სადაც ნათესები გადაჯეგეს; ერთი სიტყვით, ყველაფერი ადრინდელი სახით აღედგინათ, რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

დამნაშავენი გადაწყვეტილებას დაემორჩილნენ და რაკი საჭმელს არ აკლებდნენ, ჭკვიანად იქცეოდნენ, ასე რომ, თანდათან, სიმშვიდემ დაისადგურა; თუმცა ვერანაირი შეგონებით ვერ აიძულეს, რომ დაზარალებულთა სასარგებლოდ ემუშავათ. ზოგჯერ რაიმე საქმეს მოჰკიდებდნენ ხელს, ისიც იშვიათად და ცოტა ხნით, თანაც -- უხალისოდ. მიუხედავად ამისა, ესპანელებმა უთხრეს, თუ მშვიდად და წესიერად მოიქცევით, საერთო კეთილდღეობაზე იზრუნებთ, ჯანდაბას თქვენი თავი, ნუ იმუშავებთ და ასე უსაქმოდ იყიალეთო. ასე

გავიდა ერთი თუ ორი თვე და ესპანელებმა იარაღიც დაუბრუნეს და თავისუფლად მიმოსვლის უფლებაც.

ერთი კვირაც არ იყო გასული იმ დღიდან, რაც იარაღი დაუბრუნეს, რომ ის უმადურები ისევ გათავხედდნენ და გაყოყოჩდნენ, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რომ ყველა იძულებული გახდა, სიბრაზე დაეცხროთ და თავის დასაცავად შეკავშირებულიყვნენ.

ერთ ლამით, თავკაცად დანიშნული ესპანელი, რომელიც გადავარჩინე და ახლა ესპანელებს მეთაურობდა, ლამით შეფოთმა შეიძყრო და თვალი ვერა და ვერ მოხუჭა: ფიზიკურად თითქოს არაფერი აწუხებდა, მაგრამ სული უფორიაქებდა. სულ იმაზე ფიქრი უტრიალებდა, რა დაუნდობლად უსწორდებოდნენ ერთმანეთს შეიარაღებული ადამიანები, და რომ ვეღარ მოისვენა, ადგომა გადაწყვიტა. ყველას თხის ტყავში გახვეულს ეძინა. ესპანელი ადგა და გარეთ გავიდა. უკუნეთი სიბნელე იყო, თითქმის ვერაფერს ხედავდა, გარდა იმ ხეებისა, მე რომ დავრგე და ახლა ისე გაზრდილიყო, სულ დაებურა იქაურობა. მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და ჩამიჩუმი არ ისმოდა, ამიტომ ისევ დასაწოლად გაეშურა. მაგრამ ვერა და ვერ ისვენებდა, თვალზე რული არ ეკარებოდა და შეფოთმაც არ გაუარა, თუმცა საამისო მიზეზს ვერ ხედავდა. მისი ფეხის ხმაზე კიდევ ერთ ესპანელს გაეღვიძა, იკითხა, ვინ ხარო? ამანაც უპასუხა და უთხრა, მიზეზს ვერ ვხვდები, მაგრამ გული რაღაც ცუდს მიგრძნობს და ვერ ვიძინებო; იმან კი მიუგო, — იცით, ეს უმიზეზოდ არ ხდება, მაშასადამე, ჩვენს თავს რაღაც საფრთხეაო. ახლა თავკაცმა ინგლისელები მოიკითხა; ესპანელმა უთხრა, თავიანთ ქოხებში მშვიდად სძინავთო. იმ ამბის შემდეგ მთავარი ქოხი ესპანელებმა დაიკავეს, ის სამი ინგლისელი კი მოშორებით ცალკე დააბინავეს, კიდევ რამე რომ არ გაებედათ. მერე ისიც დასძინა:

— საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ რაღაც კავშირი გვაქვს უხილავი სამყაროს ბინადარ სულებთან, რომლებიც

გვაფრთხილებენ ხოლმე, როცა საფრთხე გვექმნება, და ამას გუმანით უნდა მიხვდე. წამოდით, დავათვალიეროთ შემოგარენი და თუ საგანგაშო ვერაფერი ვნახეთ, ერთ ამბავს მოგიყვებით, ჩემი ვარაუდის სისწორეში რომ დაგარწმუნოთ.

მართლაც გავიდნენ და იმ გორაკისკენ გაემართნენ, რომელზეც მეც ხშირად ავდიოდი, ზღვა რომ დამეზვერა, და რაკი ორნი იყვნენ, ძალაც ერჩოდათ და ამიტომ არ ეშინოდათ, თამამად გადაწყვიტეს, ტყით მოევლოთ; ჩემსავით კი არ ფრთხილობდნენ გორაკის წვერზე კიბით რომ ავდიოდი და მერე ამ კიბესაც თან მივათრევდი. მაგრამ უეცრად გზად ცეცხლს მოჰკრეს თვალი და ლაპარაკის ხმა გაიგონეს, თან ორი-სამი კაცის კი არა, ბევრად მეტის.

ველურებისგან თავის დასაცავად, სულ ვცდილობდი, არ შეეტყოთ, რომ კუნძული უკაცრიელი არ იყო, ამიტომ ამბის მიმტანს ცოცხალს არ ვუშვებდი, გარდა იმ შემთხვევისა, როგორც ადრე ვთქვი, როცა სამი ველური გაგვექცა და ნავით უშველა თავს. სულ მეშინოდა, რომ უკან დაბრუნდებოდნენ და სხვებსაც მოიყვანდნენ. ეს იმ სამი ველურის მოყვანილი ხალხი იყო თუ შემთხვევით შემოეხეტნენ, ჩვეული სისხლიანი ნადიმი რომ გაემართათ, ესპანელებს, რა თქმა უნდა, არ ეცოდინებოდათ. ასე იყო თუ ისე, ან ჩუმად უნდა გასცლოდნენ იქაურობას, ველურებს რომ ვერ გაეგოთ, რომ კუნძული დასახლებული იყო, ან მოულოდნელად თავს დასხმოდნენ და ამოეხოცათ, ამიტომ მათთვის ნავებისკენ გზაუნდა მოეჭრათ, მაგრამ საამისოდ გამბედაობა არ ეყოთ და ამას მერე დიდხანს განიცდიდნენ.

რა გასაკვირია, რომ ნანახით გაოგნებულნი, მაშინვე უკან დაბრუნდნენ და თავისიანებს აცნობეს, როგორი საშიშროება ემუქრებოდათ. ყველა წამოიშალა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა მათი დარწმუნება, რომ ჩუმად ყოფილიყვნენ და ფეხი არსად გაედგათ: ყველამ მოინდომა, საკუთარი თვალით ენახა, რა ხდებოდა. სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, ეს არც ისე სახიფა-

თო იყო, და ერთხანს აკვირდებოდნენ ველურებს, რომლებიც ერთმანეთის მოშორებით დანთებული სამი კოცონის გარშემო ირეოდნენ. რას აკეთებდნენ, ესპანელებმა არ იცოდნენ, არც ის, თავად როგორ უნდა ემოქმედათ, ვინაიდან, ჯერ ერთი, ველურები ძალიან ბევრნი იყვნენ, და მეორე, ზღვის ნაპირზე ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი.

ამ სანახაობამ საკმაოდ შეაშფოთა ესპანელები; ველურები ნაპირზე დაბორიალებდნენ, ამიტომ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ადრე თუ გვიან მათ ციხესიმაგრესაც მიადგებოდნენ ან მათ რამე მიახვედრებდა, რომ აქ ადამიანები სახლობდნენ. თხის ფარაც დიდად აფიქრებდათ: თხები რომ დაეხოცათ ან წაესხათ, შიმშილისთვის განირავდნენ თავს, ამიტომაც, პირველი, რაც გადაწყვიტეს, გათენებამდე სამი კაცი — ორი ესპანელი და ერთი ინგლისელი — გაგზავნეს, რომ ფარა ხეობაში გადაერეკათ დიდ გამოქვაბულთან ან სულაც გამოქვაბულში შეერეკათ. ველურები სადმე ერთ ადგილას და, რაც მთავარია, ნავებისგან მოშორებით რომ ყოფილიყვნენ თავშეყრილნი, ასი კაციც თუ იქნებოდა, ესპანელები თავს დაესხმოდნენ, მაგრამ მათი ძირითადი ორი რაზმი ერთმანეთისგან ორიოდე მილით იყო დაშორებული და, როგორც შემდგომ გაირკვა, სხვადასხვა ტომს ეკუთვნოდა.

ბევრი იფიქრეს იმაზე, თუ როგორ ემოქმედათ, და გადაწყვიტეს, სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, მოხუცი ველური — პარასკევას მამა დასაზვერად გაეგზავნათ, რათა შეძლების-დაგვარად გაერკვია, რისთვის მოვიდნენ და რას აპირებდნენ. მოხუცი მაშინვე დათანხმდა, გაშიშვლდა, რადგან ველურთა უმრავლესობა შიშველი იყო, და მათკენ გაემართა. დაახლოებით ორ საათში დაბრუნდა და ამბავი მოიტანა: ეს ორი ერთმანეთზე გადამტერებული ტომის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა შორისაც ცოტა ხნის წინ დიდი შეტაკება მომხდარა და ტყვეებიც აუყვანიათ; მერე კი, რომ მოელხინათ და თავიანთი ნადავლიც შეეჭამათ, სრულიად შემთხვევით ორივე ჯგუ-

ფი კუნძულზე გადმომსხდარა. მისი ვარაუდით, ასე ახლო-ახლო იმიტომ დაბანაკდნენ, რომ გამთენისას, ერთმანეთზე ალესილები, ისევ შებმულიყვნენ ბრძოლის ველზე; ისიც თქვა, მგონი, არც იციან, რომ მათ გარდა კიდევ არის ვინმე კუნძულზეო. ჯერ მოყოლა არ დაესრულებინა, რომ საშინელმა ხმაურმა შეძრა გარემო; ამ ორ მცირერიცხოვან ჯარს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩალდა. პარასკევას მამას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ესპანელების დასაყოლიებლად, რომ სადმე ცოტა მოშორებით ჩასაფრებულიყვნენ და ისე ედევნებინათ თვალი; არწმუნებდა, თქვენი უსაფრთხოებისთვის ასე აჯობებს, რადგან ერთმანეთს ამოხოცავენ, ხოლო ვინც გადარჩება, თავისით გაეცლება აქაურობასო. მართალიც აღმოჩნდა, მაგრამ ყველას დარწმუნება, განსაკუთრებით ინგლისელებისა, ვერ შეძლო; ისინი იქვე შორიახლოს დარჩნენ და იქიდან უყურებდნენ, თუმცა სიფრთხილის თადარიგი მაინც დაიჭირეს, თავიანთი საცხოვრებლის მოშორებით ტყეში ხეებს ამოეფარნენ, მაგრამ ველურებმა, როგორც შემდეგ გაირკვევა, მაინც შენიშნეს.

სასტიკი ბრძოლა გაჩალდა, და თუ ინგლისელებს დავუჯერებთ, ველურთა შორის გამორჩეულად მამაცი და უდრეკი მეომრები იყვნენ, რომლებიც ბრძოლას ძალზე გონივრულად წარმართავდნენ. ინგლისელთა მტკიცებით, ორი საათის შემდეგ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, რომელი მხარე რომელს სჯაბნიდა; მერე კი ის რაზმი, რომელიც ციხესიმაგრესთან უფრო ახლოს იყო, დასუსტდა და მალე მეომართა ნაწილი ბრძოლის ველიდან გაიქცა. ამან ჩვენები ისევ დააფრთხო, რადგან . გაქცეულთაგან ბევრმა ციხესიმაგრის მახლობლად ტყეს შეაფარა თავი და თავისუფლად შეიძლებოდა, მათ საცხოვრებელს მისდგომოდა; მათ კიდევ მდევრებიც დაემატებოდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს, სახლთან იარაღით ჩასაფრებოდნენ და, როგორც კი ველურები მიუახლოვდებოდნენ, ყველა მოეკლათ, რათა თავისიანებთან ამბის წამლები ერთიც

არ გადარჩენილიყო. ისიც დათქვეს, ხანჯლები ან მუშკეტები ეხმარათ, რომ სროლის ხმით ველურების ყურადღება არ მი-ეპყროთ.

ასეც მოხდა: დამარცხებულთაგან სამი, თავის შესაფარებლად, იმ ტყეში შევარდა, ციხესიმაგრეს რომ ერტყა. სულაც არ ეგონათ, რომ იქ ვინმე ცხოვრობდა; ტყის პირთან მდგარმა გუშაგმა მაშინვე აცნობა ესპანელებს, ისიც ახარა, არავინ მოსდევთ და გამარჯვებულებს არც კი დაუნახავთ, დამარცხებულნი საით გაიქცნენო; მაგრამ ესპანელთა თავკაცმა, რომელიც მეტისმეტად ჰუმანური კაცი იყო, ველურების დახოცვა არ დაანება, უბრძანა, ზურგიდან დასხმოდნენ თავს და დაეტყვევებინათ, რაც შესრულდა კიდეც. დანარჩენი დამარცხებულნი ნავებში ჩასხდნენ და თავს უშველეს, აღარც გამარჯვებულნი დასდევნებიან, მხოლოდ ორჯერ — ეტყობა, გამარჯვების ნიშნად — ყიუინა დასცეს. იმავე დღეს ნაშუადლევს ისინიც ნავებით ზღვაში გავიდნენ და გაუჩინარდნენ. ამგვარად, კუნძული ისევ ესპანელთა განკარგულებაში დარჩა და შემდგომი რამდენიმე წელი ველურები თვალითაც აღარ უნახავთ.

მათი წასვლის შემდეგ ესპანელები სამალავიდან გამოვიდნენ და ოცდათორმეტი ცხედარი დაითვალეს. ზოგიერთი გრძელი ისრით იყო მოკლული, უმრავლესობა კი — ხის დიდი კომბლით; ბრძოლის ველზე თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი ისრით განგმირული ველური იპოვეს, იქვე უამრავი მშვილდი და ისარი ეყარა. ეს საბრძოლო კომბლები უროსავით მძიმე იყო, და მათ ხმარებას დიდი ფიზიკური ძალა სჭირდებოდა. დახოცილთაგან უმეტესობას თავი ჰქონდა გაპობილი, და როგორც ჩვენ, ინგლისელები, ვამბობთ ხოლმე, ტვინი დანთხეული, ზოგს კი ხელფეხი ჰქონდა მომტვრეული. ეს მოწმობდა, თუ რა დაუნდობლები და სასტიკნი იყვნენ ველურები ბრძოლაში. ერთი დაჭრილიც

კი ვერ იპოვეს. ასეთი წესი ჰქონიათ — ცოცხალს არავის ტო-
ვებდნენ, დაჭრილები კი თან მიჰყავდათ.

ამ ამბის შემდეგ მოურჯულებელი ინგლისელები ცოტა
თვინიერად იქცეოდნენ; ნანახმა ისინიც ძალიან შეაძრნუნა;
მიხვდნენ — ხელში რომ ჩავარდნოდნენ, ველურები არათუ
დახოცავდნენ, არამედ პირუტყვივით აქნიდნენ. იმაშიც გა-
მოტყდნენ, რომ დაიზაფრნენ, როცა წარმოიდგინეს, საქონლი-
სა თუ ცხვრის ხორცივით როგორ მიირთმევდნენ მათ, თუმცა
კი ხვდებოდნენ, რომ მკვდრები ვეღარაფერს იგრძნობდნენ.
ასე რომ, ამაზე ფიქრმა ისე დააშინა ის თავზე ხელალებული
სამი ინგლისელი, რომ რამდენიმე კვირა საკუთარ თავს აღარ
ჰეგავდნენ — სხვებივით შრომობდნენ, რგავდნენ, თესავდნენ,
მოსავალს იღებდნენ და კუნძულზე ცხოვრებას შეურიგდნენ,
თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, ისეთი რამ ჩაიდინეს, რომ
დიდი უსიამოვნება შეხვდათ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ესპანელებმა სამი ველური
დაატყვევეს, და რაკი სამივე მათგანი კარგა ზორბა იყო, თავი-
ანთ სამსახურში ჩააყენეს; კარგი მონებიც აღმოჩნდნენ; მარ-
თალია, მათ ისე არ ელოლიავებოდნენ, როგორც მე ჩემს პა-
რასკევას, — არც ის ჩაუნერგავთ მათთვის, რომ სიკვდილის-
გან იხსნეს, არც ცხოვრების წესი უსწავლებიათ, არც ქრის-
ტიანებად მოუქცევიათ, არც ველური ქცევები გადაუჩვევიათ
ტკბილი შეგონებებითა და საუბრით, — თუმცა ყოველდღიუ-
რად აჭმევდნენ, მაგრამ დილიდან დაღამებამდე ქანცის გაც-
ლამდე ამუშავებდნენ; ამიტომ ეს ტყვეები არასდროს დაეხმა-
რებოდნენ და არასდროს იბრძოლებდნენ მათი გულისთვის,
როგორც ჩემი პარასკევა, რომელიც სულით ხორცამდე ჩემი
ერთგული იყო.

ახლა კი, მოდით, კოლონიის ამბავს დავუბრუნდეთ. რო-
გორც მოგახსენეთ, საერთო საფრთხემ ყველა შეაკავშირა
— თათბირობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, მსჯელობდნენ

იმაზე, საცხოვრებლად სხვა ადგილი ხომ არ შეერჩიათ, რადგან ველურები უმთავრესად კუნძულის ამ ნაწილს ეტანებოდნენ, უფრო ღრმად, ზღვიდან მოშორებით კი უფრო გულდამშვიდებული იქნებოდნენ, არც ნათესებს და არც პირუტყვს საფრთხე არ შეექმნებოდა.

ბევრი ითათბირეს და ბოლოს ისევ ძველ ადგილზე დარჩენა გადაწყვიტეს, რადგან ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ რამეს შეიტყობდნენ თავიანთი გუბერნატორისგან ანუ ჩემგან; და თუ მათ მოსაძებნად ვინმეს გავგზავნიდი, ამ ადგილს მივუთითებდი, ხოლო თუ მათ ვერ იპოვიდნენ, ეგონებოდათ, რომ ველურებმა ყველა ამოხოცეს და უკან გაბრუნდებოდნენ, რითაც კუნძულიდან თავის დაღწევის უკანასკნელ შანსსაც დაკარგავდნენ. რაც შეეხებოდა მარცვლეულსა და პირუტყვს, საერთო გადაწყვეტილებით, ხეობაში ჩემს გამოქვაბულთან გადაეტანათ, სადაც სახნავ-სათესადაც და პირუტყვის მოსავლელადაც უკეთესი პირობები იყო. ასე რომ, მარცვლეულის გადაზიდვისა და პირუტყვის ნაწილის გადარეკვა გადაწყდა, უფრო იმიტომ, რომ თავდასხმის შემთხვევაში ერთ ნაწილს თუ გაუნადგურებდნენ, მეორე გადარჩებოდა. ძალიანაც წინდახედულად მოიქცნენ და კიდევ უფრო ჭკვიანური ის იყო, რომ დატყვევებულ ველურებს, რომლებსაც არ ენდობოდნენ, თავიანთი განზრახვა არ გაანდვეს და არც ხეობაში მიწის დამუშავებაზე დასცდენიათ სიტყვა, არც იქ პირუტყვის მოშენებაზე, მით უმეტეს — არც გამოქვაბულზე, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, საიმედო და უსაფრთხო თავშესაფრად გამოადგებოდათ; ამ გამოქვაბულში გადაიტანეს ორი კასრი დენთი, რომელიც კუნძულიდან წასვლამდე გავუგზავნე. საცხოვრებელი კი არ გამოიცვალეს. ციხესიმაგრე კარგად მქონდა გამაგრებული მიწაყრილით და უკვე ტყედ ქცეული ჩემი დარგული ხეებით. ამიტომაც, საკმაოდ უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს და გადაწყვიტეს, კიდევ უფრო გაემაგრებინათ და ძნელად მი-

საგნები და მისადგომი გაეხადათ იქაურობა. ისე გაავსეს მი-
სადგომები მსხვილი ნარგავებით, ისე ახლო-ახლო დარგეს ერ-
თმანეთთან, რომ მათ შორის არათუ ადამიანი ვერ გაივლიდა,
არამედ ძალლსაც კი გაუჭირდებოდა შეძრომა.

ამასაც არ დასჯერდნენ და იგივე გააკეთეს მარჯვენა და
მარცხენა მხარესაც და გორაკის ფერდობზეც. იქ შესვლა მხო-
ლოდ კიბით იყო შესაძლებელი, ხოლო კიბეს თუ აიღებდნენ,
ვერავინ შეაღწევდა, ერთადერთი — თუ ფრთები ექნებოდა
და გადაფრინდებოდა. შესანიშნავად იყო მოფიქრებული და
შემდგომმა მოვლენებმაც დამარწმუნა, რომ წინდახედულობა
და სიფრთხილე ნაწილობრივ განსაზღვრავს ბედისწერას. ეჭ-
ვიც არ მეპარება, რომ ბედისწერამ აიძულა ისინი, მუშაობას
შესდგომოდნენ, და ბედისწერის ხმას ყურად რომ ვიღებდეთ,
დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში ავიცილებდით უამრავ უბე-
დურებას, რომელიც თავს გვატყდება მხოლოდ იმიტომ, რომ
ამ ხმას უგულებელვყოფთ.

ისევ შეწყვეტილი ამბის თხრობას დავუბრუნდეთ. ორი
წელი მშვიდად ცხოვრობდნენ და არც ველურებს შეუწუხები-
ათ. ერთ დილით კი ძალიან შეფუცხუნდნენ, რადგან რამდე-
ნიმე ესპანელს, რომლებიც დილაადრიანად დასავლეთისკენ
წასულან, უფრო სწორად, კუნძულის დასავლეთი კიდისკენ
— სხვათა შორის, ამ ადგილს მუდამ თავს ვარიდებდი, რომ
ველურებს არ მოეკრათ ჩემთვის თვალი, — ველურებით სავ-
სე ოცამდე პატარა ნავი დაუნახავთ, რომლებიც ნაპირს უახ-
ლოვდებოდნენ. თავქუდმოგლეჯილები დაბრუნდნენ სახლში
და განგაში ატეხეს. ის დღე და მომდევნოც ციხესიმაგრიდან
ცხვირი არ გამოუყვიათ, მხოლოდ ლამით გამოვიდნენ დასაზ-
ვერად; ამჯერად გაუმართლათ, რადგან ისინი არ შეუნიშნავთ.
სად მიემართებოდნენ ველურები, რა თქმა უნდა, ვერ გაარკ-
ვიეს, თუმცა მათი შიში ამაო აღმოჩნდა, რადგან ნაპირზე არც
გადმომსხდარან.

ველურების ხელახლი შემოსვევა

ცოტა ხანიც არ გასულა, რომ იმ სამ ინგლისელთან ისევ მოხდა დაპირისპირება. მათგან ერთი, ყველაზე შარიანი, სასტიკად განურისხდა ერთ-ერთ ტყვე მონას, რომელმაც მისი ბრძანება სწორად ვერ შეასრულა ან დაუმორჩილებლობა გამოიჩინა, ცულმოლერებული ეცა არა იმიტომ, რომ ჭკუა ესწავლებინა, არამედ, რომ მოეკლა. იქვე მდგომი ესპანელი, რომელმაც დაინახა, როგორ მოუქნია ცული და დაუნდობლად ჩამოათალა მხარი, თუმცა თავში უმიზნებდა, მაშინვე მივარდა ყვირილით, არ მოკლაო, და ველურს გადაეფარა. ამან ინგლისელი ისე გაამნარა, რომ ახლა ესპანელზე გაინია, ესპანელს მოუღერა ცული, თან დაემუქრა, შენც მონად გაქცევ, რაკი მონას ექომაგებიო, მაგრამ იმან დარტყმა აიცილა და ძირს დასცა თოხის ჩარტყმით, რომელიც ხელში ეჭირა, რადგან ამ დროს ყველა ერთად სიმინდის ყანაში მუშაობდა. მეორე ინგლისელი მეგობარს წამოეშველა და ესპანელს დაარტყა; თანამოძმის საშველად ორი ესპანელი მივარდა, თუმცა იარაღი არ ჰქონდათ, მაგრამ ჩემი დაუანგული ხანჯლით შეიარაღებული მესამე ინგლისელი ეცა მათ და ორივე დაჭრა. ხმაურზე სხვებიც მოცვივდნენ და ინგლისელები გაკოჭეს. ახლა დადგა საკითხი, რა ექნათ ამ შფოთისთავებისთვის, რომელთა დაშოშმინება ვერა და ვერ მოხერხდა — სულ აყალმაყალს ტეხდნენ, არავის ინდობდნენ და უსაქმურობდნენ. ასე რომ, მათთან ერთად ცხოვრება არცთუ უსაფრთხო იყო.

ესპანელთა თავკაცმა პირდაპირ მიახალა ინგლისელებს, ჩემი თანამემამულენი რომ იყოთ, ჩამოგახრჩობდით, რადგან ყველა კანონისა და ყველა მმართველის მიზანია, საზოგადოება დაიცვას, ისინი კი, ვინც მას საფრთხეს უქმნიან, განდევნოს,

მაგრამ რაკი ინგლისელები ხართ, ჩვენ კი დაღუპვას სწორედ ინგლისელის სიკეთემ გადაგვარჩინა, მაინც სულგრძელობას გამოვიჩენ და განაჩენის გამოტანას თქვენსავე თანამოძმეთ მივანდობო. ერთ-ერთი წესიერი ინგლისელი ადგა და გამოაცხადა, არ გვინდა, ჩვენთან რომ დარჩინენო, — ვინაიდან, — თქვა მან, — იძულებული ვიქნებით, ჩამოხრჩობა მივუსაჯოთო, და ყველას გასაგონად დასძინა, იმ სამიდან ერთ-ერთმა, უილ ატკინსმა შემოგვთავაზა, ინგლისელები გავერთიანდეთ და ლამით, როცა ეძინებათ, ესპანელები ამოვხოცოთო.

ესპანელთა თავკაცმა ეს რომ გაიგონა, უილ ატკინსს მიმართა:

— სენიორ ატკინსს, ნუთუ მართლა გინდოდათ, ყველანი ამოგეხოცეთ? რას გვეტყვით ამაზე?

იმ პირნავარდნილმა ბოროტმოქმედმა ატკინსმა არც კი უარყო, რომ მართლა აპირებდა ამას, და გაგულისებულმა დაიქადა, ასეც ვიზამთ, სანამ თქვენ რამეს დაგვიპირებთო.

— კი, მაგრამ, სენიორ ატკინს, ასეთი რა დაგიშავეთ? ჩვენი დახოცვით რას მოიგებთ? და ჩვენ რა ვქნათ, რომ არ დაგვხოცოთ? თავი დაგახოცვინოთ თუ ჩვენ დაგხოცოთ? ამას რატომ გვაიძულებთ, სენიორ ატკინს? — მშვიდად ჰკითხა გალიმებულმა ესპანელმა. მის ამ შეხუმრებაზე გაცეცხლებულმა სენიორ ატკინსმა სიბრაზისგან სულ დუში ყარა, სამ კაცს რომ არ ჰყოლოდა გაკავებული, თუმცა იარაღი არ ჰქონდა, იქვე სულს გააფრთხობინებდა. მისმა ამ ნრეგადასულმა უგუნურებამ ყველა დაარწმუნა, რომ ეს უკვე სახუმარო აღარ იყო. ორ ინგლისელსა და იმ ესპანელს, რომელიც ველურს გამოექომავა, მიაჩნდათ, რომ ამ სამიდან ერთ-ერთი უნდა ჩამოხრჩოთ, რომ დანარჩენი ორისთვის ჭკუა ესწავლებინათ, კერძოდ კი ის ინგლისელი, ნაჯახით ორჯერ რომ სცადა მკვლელობა. რა თქმა უნდა, საამისოდ სრული საფუძველი ჰქონდათ, რადგან საბრალო ველური ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მისი გადარჩენა

სათუო იყო, მაგრამ ესპანელთა თავკაცი მათ არ დაეთანხმა, რადგან ყველანი ინგლისელის გადარჩენილი იყვნენ, ამიტომ ინგლისელს სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა, თუმცა თავად ეს ინგლისელი მათგან ნახევარს დაუნანებლად ამოხოცავდა; და რაკი ამაზე მსჯელობა აღარ ღირს, უნდა შეიწყალონ.

ესპანელთა თავკაცი ისე მტკიცედ იდგა თავისაზე, რომ აღარც სხვები აღუდგნენ წინ მის ნებას, თანაც გულმოწყალება მუდამ უფრო ჭრის, როცა ძალადობა მძლავრობს. მაგრამ ახლა საფიქრალი ის გაუხდათ, როგორ მოეხერხებინათ, თავიდან აეცილებინათ ის ბოროტება, რომელიც ინგლისელებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, ისინი განეიარაღებინათ, არც პისტოლეტი ჰქონდათ, არც დენთი, არც ვაზნა, არც ხმალი და არც რაიმე სხვა იარაღი; გაერიყათ და სადაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ, ისე ეცხოვრათ; არც რომელიმე ესპანელს და არც ინგლისელს არ ჰქონდა მათთან ურთიერთობა და რაიმე კავშირი; ეკრძალებოდათ საერთო საცხოვრებელთან განსაზღვრულ მანძილზე მიახლოება; და თუ რაიმე მავნებლობას ჩაიდენდნენ — რამეს გააფუჭებდნენ, გადაწვავდნენ, ვინმეს მოკლავდნენ ან ნათესებს, ნარგავებს, ნაგებობას, ღობეს გაანადგურებდნენ თუ საერთო საკუთრების პირუტყვს დახოცავდნენ, უმოწყალოდ დაისჯებოდნენ, იქვე გაათავებდნენ, სადაც წაასწრებდნენ.

ამის შემდეგ გულმოწყალე თავკაცი ცოტა ხანს დაფიქრდა და ორ წესიერ ინგლისელს მიმართა:

— ჰო, მაგრამ, ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ კარგა ხანი დასჭირდებათ მეურნეობის გასამართავად და მანამდე ხომ არ იშიმშილებენ?

მან წამოაყენა წინადადება, რომ მოკვეთილი ინგლისელებისთვის მიეცათ იმდენი სიმინდი, დასათესადაც რომ ჰყოფნო-

დათ და საჭმელადაც შემდეგი მოსავლის მოწევამდე, აგრეთვე — ექვსი მეწვეული თხა, ოთხი მამალი თხა და ექვსი ციკანი, და შრომის იარაღი მინდვრის სამუშაოებისთვის, მანამდე კი მათგან მოეთხოვათ, საზეიმოდ დაედოთ ფიცი, რომ არც ესპანელებს და არც თავიანთ თანამოძმეთ ალარაფერს დაუშავებდნენ.

ამრიგად, ეს შფოთისთავები კოლონიიდან განდევნეს. ისიც წავიდნენ, მოქუფრულები და უკმაყოფილონი, რადგან არც დარჩენა უნდოდათ, არც წასვლა. ერთი სიტყვით, საცხოვრებლად ადგილის შესარჩევად გაემართნენ, უიარალონი, მაგრამ სამყოფი სანოვაგით. ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ ისევ გამოცხადდნენ, რამე საჭმელი კიდევ მოგვეცითო, და თავკაცს უთხრეს, თუ რა ადგილი შეარჩიეს საცხოვრებლად და სახნავ-სათესად. ეს საკმაოდ მოსახერხებელი ადგილი იყო კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ძალიან ჰერცოგი იმ ადგილს, სულ პირველად რომ მივადექი, როცა გემიდან ჩამოვედი გულუბრყვილო იმედით, რომ კუნძულს ნავით შემოვუვლიდი.

ორი მშვენიერი ქოხი დადგეს და იქაურობა ჩემი პირველი საცხოვრებელივით მოაწყვეს — ქოხები მთის ძირში იდგა და ხეებით ისე იყო შემოჯარული, ცოტას კიდევ თუ დარგავდნენ, ძალიან ბევრი უნდა გეძებნა, რომ გეპოვა. სამი თხის ტყავი მოითხოვეს ლეიბად და საბნად, რომლებიც მისცეს კიდეც; და რაკი პირობა დადეს, ალარავის შევაწუხებთ და ალარც ნათე-სებს გავათუჭებთო, ნაჯახები და სხვა შრომის იარაღიც გა-იმეტეს; მუხუდო, ქერი და ბრინჯიც უნილადეს დასათესად; ერთი სიტყვით, ყველაფერი მიიღეს, რაც უნდოდათ, ცეცხლ-სასროლი იარაღისა და ტყვია-წამლის გარდა.

დაახლოებით ექვსი თვე ასე განცალკევებით ცხოვრობდნენ და პირველი მოსავალიც მოიწიეს, თუმცა — მცირე, რადგან მიწის ნაკვეთი, რომელიც დაამუშავეს, პატარა იყო. მეურნეობა რომ გაემართათ, იძულებულნი იყვნენ, ხელი გა-

ენძრიათ. მაგრამ საწოლები და საოჯახო ჭურჭელი რომ დასჭირდათ, ყურები ჩამოყარეს. წვიმების სეზონი რომ დაიწყო, რაკი მიწაში საცავი არ ჰქონდათ გაკეთებული, მთელი მარცვლეული დაუსველდათ და კინალამ დაულპათ. ამის გამო შენუხებულებმა საშველად ისევ ესპანელებს მიმართეს; ისინიც ხალისით დაეხმარნენ; ზედ მთის ძირში დიდი ხარო ამოუთხარეს სიმინდის და სხვა პროდუქტების შესანახად.

ერთი წელიც არ იყო გასული, რაც განცალკევებით ცხოვრობდნენ, რომ ამ ბედოვლათებმა ახალი მავნებლობა მოიგონეს, რამაც მათ ადრინდელ ბოროტ განზრახვასთან ერთად უამრავი უბედურება დაატეხა თავს და მთელ კოლონიასაც დიდი საფრთხე შეუქმნა. როგორც ჩანს, ამ ახალმოსახლეებს მოჰყეზრდათ გარჯით ცხოვრება, რომელსაც იძულებით ეწეოდნენ და ვერც მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივას ხედავდნენ; ამიტომ გადაწყვიტეს, კონტინენტისკენ გაეცურათ, საიდანაც ველურები მოვიდნენ, იმ იმედით. რომ რამდენიმეს დაატყვევებდნენ, ჩამოიყვანდნენ და მძიმე სამუშაოს შეასრულებინებდნენ.

არც ისეთი უაზრო გადაწყვეტილება იყო, მეტისმეტი თუ არ მოუვიდოდათ. მაგრამ არც არაფერი გაუკეთებიათ, არც არაფერი დაუსახავთ; ეტყობა, ან ჩანაფიქრი იყო კადნიერი, ან მისი განხორციელების საშუალება. მე თუ მკითხავთ, ისინი წერას ჰყავდა ატანილი, რადგან თუ არ დავუშვით, რომ აშკარა დანაშაული აშკარად ისჯება, მოვლენები ღვთაებრივი სამართლიანობით როგორ უნდა აიხსნას? ცხადია, რომ ეს იყო შურისძიება მათი ამბოხისა და ბოროტებისთვის, რამაც იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომელშიც აღმოჩნდნენ. ისე, ოდნავაც არ განიცდიდნენ სინდისის ქენჯნას იმის გამო, რაც ჩაიდინეს, და ახალ ბოროტებას სჩადიოდნენ, მაგალითად, როცა სასტიკად გაუსწორდნენ საცოდავ მონას მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მიხვდა და ალბათ არც შეეძლო მიმხვდარიყო,

რას მოითხოვდნენ მისგან, და ისეთი ჭრილობები მიაყენეს, რომ სამუდამოდ ხეიბარი დარჩებოდა. თანაც ისეთ ვითარებაში, როცა არც ექიმი იყო მის საშველად და არც წამალი. და რაც კიდევ უარესია, ეს იყო განზრახ მკვლელობის მცდელობა, რასაც სხვა დროსაც არ მორიდებიან, კერძოდ, როცა მძინარე ესპანელების გულგრილად და აუღელვებლად დახოცვას აპირებდნენ.

ერთ დილასაც ესპანელებს დაადგნენ და ძალიან მოკრძალებულად სთხოვეს, სალაპარაკო გვაქვსო. ესპანელებიც დათანხმდნენ. ინგლისელებმა შესჩივლეს, ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლია, ჩვენგან კარგი მუშაკები ვერ დადგება, დაუხმარებლად ვერაფერს რიგიანად ვერ ვაკეთებთ და შიმშილით სიკვდილი გვემუქრება, მაგრამ თუ ერთ ნავს გამოიმეტებთ და იარაღსა და ტყვია-წამალს მოგვცემთ, კონტინენტზე წავალთ და თქვენც აღარ შეგანუხებთ დახმარების თხოვნითო.

ესპანელებს გულში კი გაუხარდათ, მათი თავიდან მოშორების შესაძლებლობა რომ ეძლეოდათ, მაგრამ გულწრფელად აუხსნეს, რა საფრთხეშიც იგდებდნენ თავს. უთხრეს, რომ სწორედ იმ ადგილას ისეთი გაჭირვება გადაიტანეს, წინასწარმეტყველება არ სჭირდებოდა იმის თქმას, რომ შიმშილისა და სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდათ, და ურჩიეს, კარგად დაფიქრებულიყვნენ, რაზეც მათ უდარდელად უჰასუხეს, აქაც იგივე გველის, რადგან მუშაობა არც შეგვიძლია და არც გვინდა, ამიტომ — რა მნიშვნელობა აქვს, შიმშილით სული სად ამოგვხდება? და თუ დაგვხოცავენ, ცოლ-შვილი ჩვენ არ გვყავს, რომ იგლოვონ, ამიტომ მაინც წავალთ, იარაღს მოგვცემთ თუ არაო.

ესპანელებმა უთხრეს, რაკი წასვლას არ იშლით, ასე ცარიელ-ტარიელებს ხომ ვერ გაგიშვებთ, თავის დასაცავად იარაღი დაგჭირდებათო. მართალია, თვითონაც არ ჰქონდათ სამყოფი, მაგრამ მისცეს ორი მუშკეტი, პისტოლეტი და ხან-

ჯლები, აგრეთვე — ნაჯახი თითოეულს, და ეს საკმარისად მიიჩნიეს. ასევე გაატანეს ერთი თვის სამყოფი პური და თხის ხორცი. იმდენი, რომ სანამ გაფუჭდებოდა, ჰყოფნოდათ, ერთი დიდი კალათა ქიშმიში, დოქით წყალი და ცოცხალი ციკანი. ასე დატვირთულები თამამად ჩასხდნენ ნავში და ზღვაში გავიდნენ, რომელიც იმ ადგილას სიგანეში თითქმის ორმოც მილს აღწევდა. ნავი კი მათთვის საკმაოდ დიდი იყო, თხუთმეტი-ოცი კაცი თავისუფლად ჩაეტეოდა, მაგრამ რაკი ზურგის ქარი ქროდა და დინებაც ხელს უწყობდა, ადვილად მართავდნენ. გრძელი ჭოკისგან ანძა გააკეთეს და ზონრებით გადაბმული ოთხი გამომშრალი თხის ტყავისგან კარგა გვარიანი იალქანი აღმართეს; ასე რომ, მხიარულად გავიდნენ ზღვაში. დამშვიდობებისას ესპანელებმა მიაძახეს — Bon voyage, იმ იმედით, რომ აღარასოდეს მოუწევდათ მათთან შეხვედრა.

ესპანელები და მათთან დარჩენილი ორი ინგლისელი საუბრისას ხშირად ახსენებდნენ მათ, აღნიშნავდნენ, რა მშვიდად და კარგად ვცხოვრობთ მათ გარეშეო; აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს შარიანები შეიძლებოდა, ისევ დაბრუნებულიყვნენ. დაახლოებით ოცდაორ დღეში ერთ-ერთმა წესიერმა ინგლისელმა, რომელიც მოშორებით პლანტაციაში მუშაობდა, სამი უცნაურად გამოწყობილი თოფიანი კაცი დაინახა.

ინგლისელმა მუშაობას თავი ანება და ისე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, თითქოს ეშმაკები მისდევდნენ; დამფრთხალი და გაოგნებული, ესპანელთა თავკაცთან მივარდა და უთხრა, ცუდადაა ჩვენი საქმე, ნაპირს ვიღაც უცხოები მოადგნენ, თუმცა, ვინ არიან, ვერ გეტყვითო. ესპანელმა ჰკითხა:

— რას ნიშნავს, ვერ მეტყვი, ვინ არიან? რა თქმა უნდა, ველურები იქნებიან.

— არა, არა, — უარყო ინგლისელმა, — ჩაცმულები არიან და შეიარაღებულნიც.

— მაში, რალამ შეგაშფოთა? — ჰკითხა თავკაცმა, — თუკი ველურები არ არიან, მეგობრები იქნებიან, რადგან ნებისმიერი ქრისტიანი სამეგობროდ იქნება მოსული და არა — სამჭროდ.

სანამ ესენი საუბრობდნენ, სამი ინგლისელი ახალგაშენებულ კორომს მიუახლოვდა და ესპანელებს შეეხმიანა. მაშინვე იცნეს ხმაზე, მაგრამ ისინი ახლა უკვე სხვა რამემ გააოცა — იმ სამ მოხეტიალეს რა უნდა შემთხვეოდა ისეთი, უკან რომ დაბრუნდნენ?

მაშინვე შინ შეიყვანეს და გამოჰკითხეს, სად იყავით და რას აკეთებდითო? იმათაც მოკლედ უამბეს საკუთარი თავგადასავალი: ორი დღეც არ დასჭირვებიათ, ხმელეთისთვის რომ მიეღწიათ, მაგრამ იქაურები მათ დანახვაზე ისე დაფრთხნენ, რომ მაშინვე მშვილდ-ისრები მოიმარჯვეს, ამიტომ ნაპირს აღარ მიადგნენ და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღეს; ექვსი თუ შვიდი საათი იცურეს, სანამ გაშლილ ზღვაში გავიდოდნენ; იქიდან დაინახეს, რომ ხმელეთი, ჩვენი კუნძულიდან რომ ჩანდა, კონტინენტი კი არა, ჩვეულებრივი კუნძული ყოფილა; ხელმარჯვნივ, ჩრდილოეთისკენ კიდევ ერთი კუნძული შენიშნეს, ხოლო დასავლეთისკენ — კუნძულების მთელი ჯგუფი, და რაკი სადმე ხმელეთზე უნდა გადამსხდარიყვნენ, ამ დასავლეთის კუნძულთაგან ერთ-ერთს მიადგნენ. აქაურები თავაზიანად და მეგობრულად შეეგებნენ, ძირხვენებითა და ხმელი თევზით გაუმასპინძლდნენ, როგორც ჩანს, გაუხარდათ მათი ჩასვლა. ქალებიც, ისევე როგორც მამაკაცები, კარგაშორიდან ხალისით უზიდავდნენ თავზე შემოდგმულ ნაირ-ნაირ საჭმელს, მოკლედ, ყველაფერი მოჰქონდათ, რაც კი მოეპოვებოდათ. აქ ოთხი დღე დარჩნენ; აქაურები გამოჰკითხეს, ხელების ქნევით და სხვადასხვაგვარი მინიშნებით, რა ხალხი ცხოვრობსო, იმათაც უპასუხეს, რომ ირგვლივ თითქმის

ყველგან სასტიკი და დაუნდობელი ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც ადამიანთა ხორცით იკვებებოდნენ. რაც შეეხება თავად კუნძულის ბინადართ, ისინი არც ქალებს ჭამდნენ, არც მამაკაცებს, მხოლოდ ბრძოლაში დატყვევებულებს, და ასეთ შემთხვევაში დიდ ნადიმს მართავენ.

ინგლისელებმა იკითხეს, ბოლოს ასეთი ნადიმი როდის გქონდათო, რაზეც ველურებმა უპასუხეს, ორი თვის წინო, რაც ჯერ მთვარეზე მინიშნებით და მერე ორი თითის ჩვენებით გააგებინეს. ისიც უთხრეს, დიდმა მეფემ ომში ორასი კაცი დაატყვევა და ახლა მათ კარგად აჭმევენ, შემდეგი ნადიმისთვის რომ გაასუქონო. ინგლისელებმა სცადეს, ველურები მიეხვედრებინათ, რომ ტყვეების ნახვა უნდოდათ, მათ კი ისე გაიგეს, რომ რამდენიმე ტყვე უნდოდათ თან წაეყვანათ და თავად შეეჭამათ, ამიტომ ჯერ მზის ამოსვლის მხარეს მიანიშნეს, მერე ჩასვლის მხარეს, რაც იმას ნიშნავდა, — ხვალ დილით რამდენიმეს მოგიყვანთო. მართლაც, მეორე დილითვე ხუთი ქალი და თერთმეტი მამაკაცი მოჰვარეს, რომ თან წაეყვანათ, ზუსტად ისევე, როგორც ხარ-ძროხას მოდენიან ხოლმე ნავმისადგომთან, რომ მერე გემზე დაკლან და საჭმელი მოამზადონ.

მთელი თავიანთი სისტიკისა და ბარბაროსობის მიუხედავად, რომელსაც ეს ინგლისელები კუნძულზე ავლენდნენ, ამის შემხედვარეს ლამის მუცლები ამოუტრიალდათ და არც კი იცოდნენ, რა ელონათ; ველურებს ძლვენზე უარს ვერ ეტყოდნენ, შეიძლება სწყენოდათ, არადა, ტყვეებისთვის რა ექნათ, არ იცოდნენ. ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, ძლვენი მიეღოთ, თავის მხრივ კი მასპინძლებს ერთი ნაჯახი, ძველი გასაღები, დანა და ექვსი თუ შვიდი ტყვია აჩუქეს, რომლებიც ველურებს განსაკუთრებით მოეწონათ, თუმცა არც კი იცოდნენ, რა იყო. მერე საბრალო ტყვეებს ზურგს უკან ხელები შეუკრეს და ინგლისელების ნავში ჩასხეს.

ინგლისელები იძულებულნი იყვნენ, მაშინვე გასცლოდნენ იქაურობას, რადგან იფიქრეს, რაკი ასეთი ძვირფასი ძლვენი მოგვართვეს, ალბათ იმედი აქვთ, რომ დილით ჩვენთან ერთად ორ-სამ ტყვეს დაკლავდნენ და ერთად მოილხენდნენ. ამიტომ განსაკუთრებით თავაზიანად და მადლიერებით დაემშვიდობნენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ ადამიანთა შორის, ერთმანეთს სიტყვასაც რომ ვერ აგებინებენ, ჩასხდნენ ნავში და პირველ კუნძულთან დაბრუნდნენ, სადაც რვა ტყვე გაუშვეს, რადგან ძალიან ბევრნი იყვნენ. გზად ისინი ტყვეებთან კონტაქტს ცდილობდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც კი დაელაპარაკებოდნენ, ან რამეს მისცემდნენ, ან მათ რამეს გაუკეთებდნენ, საბრალოებს ეგონათ, მოკვლას გვიპირებენო. პირველ რიგში, ხელები შეუხსნეს. ტყვეებმა, განსაკუთრებით ქალებმა, ისეთი ყვირილი მორთეს, თითქოს დანით ყელის გამოჭრას უპირებდნენ; საჭმელს თუ მიაწვდიდნენ, მაშინაც იგივე ხდებოდა; ეგონათ, იმიტომ გვაჭმევენ, რომ მოგვასუქონო; თუ რომელიმეს შეხედავდნენ, დანარჩენები ფიქრობდნენ, იმიტომ უყურებენ, რომ ჩვენზე მსუქანია და პირველს მას შეჭამენო; რამდენიმე დღის შემდეგაც, თუმცა ახალი ბატონები კარგად ექცეოდნენ და უყვავებდნენ, სულ იმის მოლოდინში იყვნენ, რომ დღეს თუ არა ხვალ მათ სადილად ან ვახშმად იქცეოდნენ.

ინგლისელთა ეს უცნაური ნაამბობი რომ მოისმინა, ესპანელთა თავკაცმა ჰქითხა, ტყვეები სად არიანო. როცა შეიტყვეს, რომ უკვე კუნძულზე იყვნენ და ინგლისელებს ერთერთ თავიანთ ქოხში შეუყვანიათ, თავად კი მათთვის საჭმლის სათხოვნელად მოვიდნენ, ესპანელებმა და იმ ორმა ინგლისელმაც, ანუ ყველამ ერთად, მათი ნახვა გადაწყვიტეს. მათ პარასკევას მამაც გაჲყვა. ტყვეები მართლაც ქოხში იყვნენ. კუნძულზე რომ გადმოვიდნენ, ინგლისელებს მათთვის ხელები ისევ გაუკოჭავთ, რომ ნავით არ გაპარულიყვნენ. ველურე-

ბი სრულიად შიშვლები იყვნენ. მათ შორის სამი ახალგაზრდა იყო, კარგი გარეგნობის და მშვენიერი აღნაგობის, ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის; ხუთი ქალიდან ორი ოცდაათიდან ორმოც წლამდე ასაკის იქნებოდა, კიდევ ორი — ოცდაოთხი თუ ოცდახუთი წლის, ხოლო ერთი, ლამაზი და კოხტა ქალიშვილი, — ჩვიდმეტი წლის; მშვენიერი გარეგნობა ჰქონდათ, მაგრამ მუქანიანები იყვნენ; განსაკუთრებით ორნი, თეთრკანიანები რომ ყოფილიყვნენ, ლონდონის პირობაზეც კი ძალიან ლამაზებად ჩაითვლებოდნენ, რადგან სასიამოვნო გამომეტყველებითა და მოკრძალებული ქცევით გამოირჩეოდნენ; განსაკუთრებით როცა ჩააცვეს, თუკი იმას, რაც ჩააცვეს, ტანსაცმელი შეიძლება ენოდოს.

ალბათ, დამერწმუნებით, რომ ის, რაც ნახეს, დიდად არ ესიამოვნებოდათ ესპანელებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით ისეთი მშვიდი და ხალისიანი ადამიანები იყვნენ, იშვიათად რომ შემხვედრია, თანაც — ძალზე კეთილშობილები; მართლაც მძიმე და უსიამოვნო სანახავი იქნებოდა სამი შიშველი მამაკაცი და ხუთი შიშველი ქალი, გაკოჭილები და იმის შიშით შეპყრობილები, რომ ნებისმიერ წუთს კრავივით დაკლავდნენ და მიირთმევდნენ.

ესპანელებმა ქოხში ჯერ მოხუცი ინდიელი, პარასკევას მამა შეუშვეს, რათა ენახა, ტყვეთაგან ვინმეს ხომ არ იცნობდა, და გააგებინებდა თუ არა რამეს თავის ენაზე. მოხუცი შევიდა თუ არა, ყველა სერიოზული სახით შეათვალიერა, მაგრამ ვერავინ იცნო. ტყვეთაგან მისი ნათქვამი ვერავინ გაიგო და ვერც მის რაიმე მინიშნებას მიხვდა, ერთი ქალის გარდა. თუმცა, ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მიეხვედრებინათ, ქრისტიანებთან იმყოფებოდნენ, ასე რომ, მოკვლასა და შექმას არავინ უპირებდა. ეს რომ გაიგეს, უცნაურად, ძალიან მოუქნელად და უჩვეულოდ გამოხატეს თავიანთი სიხარული, და ამის აღწერა სრულიად შეუძლებელია; როგორც ჩანს, სხვადასხვა ტომის

წარმოშედგენლები იყვნენ. იმ ქალის დახმარებით, თარჯიმნის როლს რომ ასრულებდა, ჰკითხეს, მზად იყვნენ თუ არა ემსახურათ იმ ადამიანებთან, რომლებმაც ისინი ტყვეობიდან იხსნეს და სიკვდილს გადაარჩინეს? ამის პასუხად როკვა დაიწყეს, მერე, რაც ხელში მოხვდათ, მხარზე შემოიდეს იმის ნიშნად, რომ სიამოვნებით იმუშავებდნენ.

ესპანელთა თავკაცმა მიიჩნია, რომ ამდენი მამაკაცის გარემოცვაში ქალები შეიძლება უსიამოვნების, ჩხუბის ან სულაც სისხლის ღვრის მიზეზი გამხდარიყვნენ, ამიტომაც სამინგლისელს ჰკითხა, ქალებს რას უპირებთ — მსახურებად გეყოლებათ თუ ცოლებადო? ერთ-ერთმა ინგლისელმა, არც დაფიქრებულა, მაშინვე მიუგო, მსახურადაც და ცოლადაცო, რაზეც ესპანელმა შენიშნა:

— ამას, რა თქმა უნდა, ვერ დაგიშლით, თქვენი საქმის თქვენ იცით, მაგრამ, წესით და რიგით, თითოეულმა თქვენგანმა ერთი ქალი უნდა აირჩიოს ცოლად და სხვები მას აღარ უნდა გაეკარონ; მართალია, აქ ჯვარს ვერავის დაგნერთ, მაგრამ თუკი ქალს ცოლად წაიყვანოთ, სამართლიანობა მოითხოვს, კიდეც მიხედოთ მას და მოუაროთ, სანამ აქ იქნებით, და იმედია, თქვენ შორის უთანხმოება და დაპირისპირება რომ არ მოხდეს, ამას გაითვალისწინებთ.

ეს მოთხოვნა ყველამ სამართლიანად მიიჩნია და დაუთანხმა.

მერე ინგლისელებმა ესპანელებს ჰკითხეს, რომელიმე ქალი ცოლად ხომ არ გინდათო, რაზეც ყველამ უარი თქვა; ზოგმა განაცხადა, ესპანეთში ცოლი მელოდებაო, ზოგმა, ურჯულოს ცოლად ვერ შევირთავო; ერთი სიტყვით, ერთხმად თქვეს უარი და ისიც დასძინეს, არც ერთ ქალს არ გავეკარებითო. ზნეობრიობის ასეთ მაგალითს ჩემი მოგზაურობისას არასდროს შევხვედრივარ. სამაგიეროდ, ხუთივე ინგლისელმა ქალები ცოლებად ჩამოირიგეს ანუ — დროებით ცოლებად,

და შესაბამისად, ცხოვრების წესიც შეიცვალეს. ესპანელები და პარასკევას მამა ჩემს ციხესიმაგრეში დარჩნენ, რომელიც მნიშვნელოვნად გააფართოეს. მათთან დარჩა ის სამი ველურიც, ბოლო ბრძოლაში ტყვედ რომ აიყვანეს; ძირითადად ისინი უვლიდნენ კოლონიას, დანარჩენებს საკვებით უზრუნველყოფნენ და შეძლებისდაგვარად ყველაფერში ეხმარებოდნენ.

მთელ ამ ამბავში ყველაზე გასაკვირი ის არის, როგორ მშვიდობიანად დაინაწილეს ქალები ამ ერთმანეთს გადაკიდებულმა ჩხუბისთავებმა, ანუ ქალების არჩევისას შელაპარაკებაც კი არ მოსვლიათ, თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამი ტყვე ქალი ორ დანარჩენს აშკარად სჯობდა. უსიამოვნება რომ აეცილებინათ, კარგი რამ მოიფიქრეს: ხუთივე ქალი ერთ ქოხში შეუშვეს, თავად მეორეში შევიდნენ და კენჭი ყარეს, რა რიგითობით აერჩიათ.

ვისაც ცოლის შერჩევა პირველს ერგო, მარტო შევიდა ქოხში, სადაც საბრალო ქალები იყვნენ, და ხუთიდან ყველაზე ხნიერი და შეუხედავი შეარჩია, რის გამოც არა მარტო ინგლისელებმა, არამედ თავშეკავებულმა ესპანელებმაც სიცილი დააყარეს. თუმცა, ეს ინგლისელი სხვებზე ჭკვიანი აღმოჩნდა; მან გარეგნობის მიხედვით კი არ შეარჩია, არამედ იფიქრა, ყველაზე გამრჯე და თვინიერი იქნებაო, და არც შემცდარა — ეს ქალი მთელ დასახლებაში საუკეთესო ცოლი აღმოჩნდა.

საბრალო ქალები რომ ჩაამწკრივეს და ქოხიდან სათითაოდ გამოჰყავდათ, ისევ დაფრთხენენ, ვაითუ, მოსაკლავად გავყავართო?! ინგლისელი მეზღვაური რომ შევიდა და ერთ-ერთი მათგანი აირჩია, დანარჩენები გამოსამშვიდობებლად ისე ჩაეკონნენ და ისეთი საშინელი ქვითინი და გოდება მორთეს, რომ ქვეყნად ყველაზე გულქვა კაცი ვერ გაუძლებდა; ქალები მანამ ვერ დაამშვიდეს, სანამ პარასკევას მოხუცი მამა არ მოიყვანეს და არ აუხსნა, რომ ხუთ ინგლისელს მათგან ცოლი უნდა შე-

ერჩია. როცა ეს ყველაფერი დასრულდა და ქალებიც შედარებით დამშვიდნენ, ინგლისელები საქმეს შეუდგნენ, ესპანელებიც დაეხმარნენ და რამდენიმე საათში ახალი ქოხები დადგეს; ხელსაწყოები, საოჯახო ნივთები და სანოვაგეც მისცეს. სამი ინგლისელი მოშორებით დაბინავდა, ორი — უფრო ახლოს, ჩრდილოეთის სანაპიროსთან, რადგან ჯერ კიდევ თავს არიდებდნენ ერთმანეთს. ამგვარად, ჩემს კუნძულზე უკვე სამი დასახლება გაჩნდა, და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საძირკველი სამ ქალაქს ჩაეყარა.

აქ უპრიანი იქნება, აღვნიშნო, რომ, როგორც ეს ხშირად ხდება ცხოვრებაში, — თუმცა იმის თქმა არ შემიძლია, თუ რა ბრძნულ მიზანს ისახავს ასეთ შემთხვევაში ღვთის ნება, — ორ წესიერ ინგლისელს უფრო შეუხედავი ცოლები შეხვდათ, ხოლო სამ არამზადას, ყოვლად უვარგისები რომ იყვნენ და არათუ სხვას, საკუთარ თავსაც ვერაფერს რგებდნენ, ჭკვიანი, მზრუნველი და გამრჯე ცოლები ერგოთ. ვერც დანარჩენ ორს დაინუნებდით ზნითა თუ ქცევით — ხუთივე სათნო, მშვიდი და თვინიერი არსება გახლდათ, თუმცა მონები უფრო იყვნენ, ვიდრე ცოლები, ანუ იმის თქმა მინდა, რომ იმ სამივით საზრიანები, ხელმარჯვენი და გამრჯენი არ იყვნენ. და კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ერთი მხრივ, გამრჯეთა და გულმოდგინეთა სანაქებოდ, და მეორე მხრივ, ზარმაცთა, უგერგილოთა და ფუქსავატთა სამარცხვინოდ: როცა მივედი და დავათვალიერე, როგორ იყო შეცვლილი, განაშენიანებული და გამართული რამდენიმე დასახლება, თვალში მეცა, რამდენად უფრო კეთილმოწყობილი იყო ორი წესიერი ინგლისელის კარ-მიდამო იმ სამი არამზადის კარ-მიდამოსთან შედარებით. მათ იმდენი მინა გამოყვეს სიმინდის მოსაყვანად, რამდენიც სჭირდებოდათ, და ეს იმ ჩემი წესის მიხედვით გააკეთეს, რომლის თანახმადაც, ბუნება თავად გვარნახობს — იმაზე მეტი სიმინდის დათესვა არ ღირს, ვიდრე გჭირდება. მაგრამ ნათე-

სის მოვლაში, შემოლობვასა და სხვა ყველაფერშიც განსხვავება ერთი შეხედვითაც ჩანდა.

ორ ინგლისელს თავიანთი ქოხების გარშემო ხეები და-ერგოთ და ისე დაებურათ იქაურობა, რომ ქოხები აღარც კი ჩანდა, და თუმცა კარ-მიდამო ორჯერ გაუნადგურდათ, ერთხელ თანამოძმეთა ხელით, ერთხელაც მტრის ხელით, მაინც ყველაფერი აღადგინეს და ააყვავეს. ვაზიც გაეშენებინათ, თანაც, ვენახს ისე სათუთად უვლიდნენ, რომ დიდი მტევნებით იყო დახუნძლული; ტყის სიღრმეში საკუთარი ხელით გამოთხარეს გამოქვაბული, სადაც საფრთხის შემთხვევაში ისე დამალავდნენ ცოლ-შვილს, რომ ვერავის ეპოვა; ირგვლივ იმდენი ხე დაერგოთ, ლამის გაუვალ ტყედ ქცეულიყო იქაურობა, და როგორც ადრე აღვნიშნე, მხოლოდ ალაგ-ალაგ დაეტოვებინათ გასასვლელი.

რაც შეეხება იმ სამ ნაძირალას, რომლებსაც სავსებით სამართლიანად მოვიხსენიებ ასე, ადრინდელთან შედარებით ცოტა მორჯულდნენ, ისეთ შარზეც აღარ იყვნენ, ალბათ უფრო იმიტომ, რომ საბაბს ვერ პოულობდნენ; მაგრამ ერთი მავნე თვისება, უვარგის ადამიანებს რომ სჩვევიათ, მაინც ვერ მოიშორეს — ეს იყო სიზარმაცე. მართალია, ქერს თესავდნენ და ლობესაც ავლებდნენ, მაგრამ მათზეა ზედგამოჭრილი სოლომონის სიტყვები: „ზარმაცის ყანასა და უგუნურის ვენახს ჩავუარე და რა ვნახე: ყველგან სარეველა ამოსულიყო, იქაურობას ჭინჭარი მოსდებოდა და ქვის კედელი დანგრეულიყო“. მათი მოსავლის სანახავად ესპანელები რომ მივიღნენ, მათ ყანას სარეველა ისე მოსდებოდა, რომ ნათესი აღარ ჩანდა; ლობე ისე იყო მორღვეული, რომ გარეული თხები ყანას შესეოდნენ და ნათესებს მიირთმევდნენ; ორი ინგლისელის მამული კი გულს ახარებდა; სარეველას სანთლითაც ვერ იპოვიდა კაცი; ამას კი სოლომონის სხვა სიტყვები შეესატყვისებოდა: „მუყაითის ზრახვები სიუხვეს აჩენს, ხოლო მოჩქარისა — სიდუხჭი-

რეს". მათთან ყველაფერი ხარობდა და ყვაოდა, სახლიც სავსე ჰქონდათ; შინაური პირუტყვიც სხვებზე მეტი ჰყავდათ; უხვად ჰქონდათ ჯამ-ჭურჭელი და სხვა ნივთები, და კიდევ, მათ სახლებში ხალისი და კმაყოფილება სუფევდა.

სამი ინგლისელის ცოლები მართლა ძალიან ხელმარჯვენი იყვნენ; ქოხებიც სულ დაწერიალებული ჰქონდათ; ინგლისურ ყაიდაზე ისწავლეს ჩაცმა და მზარეულობაშიც გაიწაფნენ, რასაც იმ წესიერ ინგლისელს უნდა უმადლოდნენ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ხომალდზე სამზარეულოში რომ მუშაობდა. რაც შეეხება ამ გამრჯე ქალების ქმრებს, უქმად დაყიალობდნენ, კუს კვერცხებს აგროვებდნენ, თევზაობდნენ და ჩიტებს იჭერდნენ, მოკლედ, უსაქმურობდნენ, რაც ეტყობოდა კიდეც მათ მეურნეობას. გამრჯე კარგად ცხოვრობს, უქნარას კი უჭირს, და ეს ყოველთვის და ყველგან ასეა.

ახლა კი ერთ ამბავს მოგიყვებით, რომლის მსგავსი არც მე გადამხდენია, არც იმათ. ერთხელ, გამთენისას ნაპირს ხუთი თუ ექვსი ნავი მოადგა, ინდიელებით თუ ველურებით სავსე, როგორც გინდათ, ისე უნოდეთ; აშკარად იმ განზრახვით, რომ ნადიმი გაემართათ და ტყვეები შეეჭამათ. ეს აღარც ესპანელებს გაჰკვირვებიათ და აღარც ჩემს თანამოძმეთ, ამიტომ აღარც შეშინებიათ, რადგან გამოცდილებით იცოდნენ, როგორც ერთ დროს ამას მეც მივხვდი, რომ ველურები თუ ვერ შენიშნავდნენ, კუნძულს გაეცლებოდნენ; კუნძულზე თუ ვინმე სახლობდა, ველურებმა არ იცოდნენ. სამივე დასახლებაში გაიცა ბრძანება, გარეთ ცხვირი არ გამოეყოთ და ხმა არ გაეღოთ, მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში მზვერავები დააყენეს, რომ გაეგოთ, როდის გაეცლებოდნენ კუნძულს.

რასაკვირველია, ეს სავსებით სწორი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ამჯერად შემთხვევითობამ მთელი ეს მცდელობა წყალში ჩაუყარა და ველურებმა შეიტყვეს, რომ კუნძულზე ადამიანები იყვნენ, რაც მთელ კოლონიას დიდ საფრთხეში აგ-

დებდა. მას შემდეგ, რაც ველურების ნავები ნაპირს მოშორდა და ისევ ზღვაში გავიდა, ესპანელები საფრიდან გამოვიდნენ; რამდენიმე მათგანი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და იმ ადგილს მიაშურეს, სადაც ველურების ნასუფრალი იყო. აქ თავისდა გასაოცრად დაინახეს, რომ სამი ველური მიწაზე გაშოტილიყო და ლრმად ეძინა. ესპანელებმა იფიქრეს, ისე დამძლარან, რომ სხვებთან ერთად წასვლის თავიც აღარ ჰქონიათ, ან ტყეში დახეტიალებდნენ და დანარჩენებს ველარ მიუსწრესო.

ამ სანახაობით გაოგნებული ესპანელები ჯერ დაიბნენ და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ; ისე მოხდა, რომ თავკაციც ახლდათ და რჩევა ჰკითხეს, მაგრამ ვერც მან მოიფიქრა რამე. ველურების დახოცვა არავის უფიქრია. როგორც ესპანელთა თავკაცმა მითხრა, თავში არც მოსვლიათ, რომ უდანაშაულო ადამიანთა სისხლი დაეღვარათ; საბრალო არსებებს მათთვის არაფერი დაუშავებიათ; არც თავს დასხმიან, არც სახლში შეჭრიან, არანაირი მიზეზი არ ჰქონიათ, რომ სიცოცხლისთვის გამოესალმებინათ. აქ კი ესპანელთა სანაქებოდ უნდა აღვნიშნო, — მართალია, ამბობენ, მექსიკა-სა და პერუში ესპანელები უამრავ სისასტიკეს სჩადიოდნენ, მაგრამ არასდროს შევხვედრივარ ჩვიდმეტ კაცს, რომელიმე ეროვნების წარმომადგენელს ან რომელიმე ქვეყანაში, ასეთ დინჯს, თავშეკავებულს, გულმოწყალესა და სამართლიანს; რაც შეეხება სისასტიკეს, მათ საერთოდ არ ახასიათებდა, არც რაიმე არაადამინური თვისება, არც ბარბაროსობა, არც გადაჭარბებული ვნებათაღელვა. ყველა მათგანი სულგრძელი იყო, თუმცა არც ჯან-ლონე აკლდათ და არც სიმამაცე. მათი სიმშვიდე და თავშეკავება ჯერ კიდევ სამ ინგლისელთან დაპირისპირებისას გამოვლინდა. ამჯერად კი ველურებისადმი საოცარი სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს. მოითათბირეს და გადაწყვიტის, ცოტა ხანს კიდევ დალოდე-

ბოდნენ, იქნებ ეს სამი ველური თავისი გზით წასულიყო. მაგრამ თავკაცს გაახსენდა, რომ ნავი არ ჰქონდათ და კუნძულზე ხეტიალი რომ დაეწყოთ, უთუოდ გადააწყდებოდნენ ვინმეს. ამის დაშვება კი არ შეიძლებოდა. ამიტომ მოიფიქრეს, უკან დაბრუნებულიყვნენ და მძინარე ველურები დაეტყვევებინათ. ასეც მოიქცნენ. საბრალოები ძალიან იყვნენ შეშინებულნი; როგორც ჩანს, ეგონათ, რომ დახოცავდნენ და შეჭამდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამქვეყნად ყველა მათსავით იქცეოდა და ადამიანის ხორცს ჭამდა; მაგრამ მალე დამშვიდნენ და მორჩილად გაჰყვნენ.

საბედნიეროდ, ტყვეები ციხესიმაგრეში კი არა, ჯერ გორაკთან ჩემს სააგარაკო ქოხში მიიყვანეს, მერე — იმ ფანჩატურში, საიდანაც თხების ფარას მწყემსავდნენ ან ყანებში მუშაობას აკვირდებოდნენ, ბოლოს კი — ორი ინგლისელის საცხოვრებელში. აქ ვითომ უნდა ემუშავათ, მაგრამ საქმე ვერაფერი მოუნახეს. და არ ვიცი, მცველების გაუფრთხილებლობით მოხდა, თუ ეგონათ, რომ ეს ველურები არაფერს იღონებდნენ თავის დასახსნელად, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ტყეში გაექცათ და მის შესახებ მერე აღარაფერი სმენიათ. სრული საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ თავის კუნძულზე დაბრუნდა, რადგან სამი თუ ოთხი კვირის შემდეგ, ნაპირს ისევ მოადგნენ ველურები, რომლებმაც, როგორც ყოველთვის, ერთი-ორი დღე ინადიმეს და ისევ წავიდნენ, და ალბათ იმათ გაჰყვა. ამის გაფიქრებამ ესპანელები საშინლად დააფრთხო. მათ ივარაუდეს, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ გაქცეულმა მშვიდობიანად ჩააღწია თავისიანებთან, უთხრა, კუნძულზე ადამიანები არიანო, მაგრამ ცოტანი, და მაშასადამე, წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევენო; კიდევ კარგი, ის არ გაუმხელიათ, რამდენი იყვნენ, მისი თანდასწრებით ცეცხლსასროლი იარაღი არ უსმარიათ და ისეთი სამალავები არ უჩვენებიათ, როგორიც ხეობაში ბუნებრივი გამოქვაბული და

ორი ინგლისელის გამოთხრილი თავშესაფარი ან სხვა ამგვარი ადგილები იყო.

პირველი დადასტურება იმისა, რომ იმ ველურმა თავისიანებს ამბავი ჩაუტანა, ის გახლდათ, რომ ორ თვეში ჩრდილოეთ სანაპიროს მოადგნენ, რაც ადრე არასდროს მომხდარა. ექვსი კანოეთი იყვნენ, თითოეულში შვიდი, რვა ან ათი კაცი იჯდა. მზის ამოსვლიდან ასე, ერთ საათში ველურები სანაპიროზე მოხერხებულ ადგილას, ორი ინგლისელის საცხოვრებლიდან დაახლოებით ერთი მილის დაშორებით გადმოსხდნენ. როგორც ესპანელთა თავკაცმა თქვა, ყველანი იქ რომ ყოფილიყვნენ, შედეგი ასეთი სავალალო არ იქნებოდა, რადგან ვერც ერთი ვერ გაასწრებდათ ცოცხალი. ორი კაცი კი ორმოცდა-ათის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა, ძალიან დიდი იყო მათი უპირატესობა. მაგრამ, კიდევ კარგი, ინგლისელებმა მანამდე შენიშნეს ველურები, რომლებიც თითქმის ერთ საათს მოუნდნენ ხმელეთზე გადმოსხდომას, მათ საცხოვრებლამდე მისასვლელადაც გარკვეული დრო დასჭირდებოდათ. ინგლისელებმა, ახლა უკვე დარწმუნებულებმა, რომ მათ გაქცეული ტყვე გზას მოასწავლიდა, პირველი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ ბოლოს დატყვევებული ორი ველური გაკოჭეს. ქალებთან ერთად ჩამოყვანილი სამიდან ორი ტყვე, რომლებიც მეტისმეტად ერთგულნი აღმოჩნდნენ, და თავიანთი ცოლები, ტყის სიღრმეში გათხრილ იმ სამალავში გადაიყვანეს, რომელიც ადრე ვახსენე. შემდეგ სადგომიდან მეწველი თხები გამორეკეს და ტყეში გაუშვეს, რომ მომხდურთ ველური თხები ჰგონებოდათ; მაგრამ გაქცეული ტყვე საკმაოდ გამჭრიახი აღმოჩნდა და ველურებს პირდაპირ მათკენ მოუძღოდა.

როცა დამფრთხალმა ინგლისელებმა თავიანთი ცოლები და ბარგი-ბარხანა სამალავში დააბინავეს, ქალებთან ერთად ჩამოყვანილი ერთი ტყვე სასწრაფოდ გაგზავნეს ესპანელებთან, რომ განვაში აეტეხათ და დახმარება გამოეგზავნათ, თა-

ვად კი იქვე სამალავის შორიახლოს იარაღით ხელში ჩასაფრდნენ და თვალს ადევნებდნენ ველურებს. საკმაოდ შორს იყვნენ თავიანთი ქოხებიდან, მაგრამ მაინც დაინახეს, რომ ველურთა მცირერიცხოვანი რაზმი პირდაპირ მათი საცხოვრებლისკენ გაემართა და რამდენიმე წუთში ალიც ავარდა — მათი ქოხები და ყველაფერი, რაც იქ ჰქონდათ, იწვოდა. შეძრნუნებულნი შესცეროდნენ, როგორ ნადგურდებოდა მთელი მათი სარჩო-საბადებელი. ეს მათთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო, რომლის აღდგენასაც კარგა ხანს ვერ შეძლებდნენ. ცოტა ხანში ველურები ტყის ნადირივით მოედვნენ იქაურობას, ყველაფერს აჩანაგებდნენ და ყოველ კუთხე-კუნჭულში ეძებდნენ ნადავლს, განსაკუთრებით კი — ადამიანებს, რომელთა არსებობაც უკვე დანამდვილებით იცოდნენ.

ამის შემხედვარე ინგლისელებმა იფიქრეს, რომ აქ ჩასაფრებულნი უსაფრთხოდ არ იყვნენ, რადგან ველურები შეიძლებოდა, თავს წამოსდგომოდნენ, თანაც — ბევრი ერთად; ამიტომ გადაწყვიტეს, კიდევ ნახევარი მილით უკან, ტყის სილრმეში დაეხიათ. თანაც იმედი ჰქონდათ, რაც გამართლდა კიდეც, რომ ველურები რაც მეტად ლრმად შემოვიდოდნენ ტყეში, მით უფრო დაიქსაქსებოდნენ. მალევე მიადგნენ ტყის ლამის გაუვალ ადგილს, სადაც დიდფულუროიანი ხე დაინახეს, და იქ შეიმალნენ. სულ ცოტა ხანში დაინახეს, რომ მათკენ ისე მოემართებოდა ორი ინდიელი, თითქოს იცოდა, სადაც იყვნენ შემალულები; იმათ კიდევ სამი მოჰყვათ, მერე — კიდევ ხუთი; კიდევ შვიდი თუ რვა ველური სხვა მხარეს მიემართებოდა; ერთი სიტყვით, ისე დაძრნოდნენ, როგორც სანადიროდ გამოსული მხეცები.

საბრალო ინგლისელებმა ალარ იცოდნენ, რა ელონათ: ფულუროში მსხდარიყვნენ თუ გაქცეულიყვნენ. ცოტა ხანს იფიქრეს და დაასკვნეს, რომ თუ ველურები ასე მოედებოდნენ ტყეს, შეიძლება, იმ სამალავისთვისაც მიეგნოთ, სადაც ცო-

ლები შეაფარეს, და ვეღარც დახმარება მოუსწრებდა; მაშინ კი აღარაფერი ეშველებოდა; ამიტომ გადაწყვიტეს, ფულუროში დარჩენილიყვნენ და თუ ბევრი ველური ერთად მოაწყებოდა, ხეზე ასულიყვნენ და იქიდან აეტეხათ სროლა, სანამ ტყვია-წამალი ეყოფოდათ, თუმცა შეიძლებოდა, კუნძულზე გადმოსულ ორმოცდაათამდე ველურს ერთად შემოეტია.

ამაზე რომ შეთანხმდნენ, მერე იმაზე იმსჯელეს, ჯერ იმ პირველი ორისთვის ესროლათ, თუ დაეცადათ, სანამ შემდეგი სამიც მიუახლოვდებოდა, და ამგვარად შუაში დაემიზნებინათ, რომ ორკაციანი და ხუთკაციანი ჯგუფები ერთმანეთისთვის გაეთიშათ; ბოლოს გადაწყვიტეს, ის პირველი ორი გაეტარებინათ, თუ მათ ვერ შენიშნავდნენ და თავს არ დაესხმებოდნენ; იმ ორმა ხეს გვერდი აუარა, მაგრამ მათ უკან მომავალი სამ- და ხუთკაციანი ჯგუფები პირდაპირ ხისკენ წამოვიდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ ინგლისელები იქ იმალებოდნენ. ხეს რომ მიუახლოვდნენ, ინგლისელებმა იფიქრეს, იქნებერთი გასროლით სამივე გავაგოროთო, ამიტომ ერთ-ერთმა სამი თუ ოთხი ტყვია ჩადო მჭიდში, ხის ჭუჭრუტანიდან დაუმიზნა და ელოდა, ოცდაათ იარდზე მოახლოებულიყვნენ, რომ არ აეცდინა.

მოახლოებულ სამ ველურში ინგლისელებმა ის ტყვე შეიცნეს, რომელიც მათ გაექცა; შეთანხმდნენ, რომ ცოცხალი არ გაეშვათ, ამიტომ, როცა ერთმა ესროლა, მეორესაც მიზანში ჰყავდა ამოლებული და ისიც აპირებდა სროლას, თუ პირველი აცდებოდა. მაგრამ ინგლისელი კარგი მსროლელი აღმოჩნდა და არ ააცდინა. ერთ ველურს ტყვია თავში მოხვდა და უსულოდ დაეცა, მეორეს, სწორედ იმას, ტყვედ რომ ჰყავდათ, ტანში გაუარა, ისიც დაეცა, მაგრამ არ მომკვდარა; მესამეს კი ბეჭი გაუკანრა, ეტყობა, იმავე ტყვიამ, რომელიც მეორეს მოხვდა, და ისე შეშინდა, თუმცა არც ისე დიდად დაშავებულა, რომ იქვე მიწაზე დაეცა და საშინლად აღრიალდა.

მათ უკან მომავალი ხუთი ველური, უფრო ამ ხმაურით დაფეხული, ვიდრე მოსალოდნელი საფრთხით, ადგილზე გაშემდა; თითქოს მთელი ტყე აგუგუნდაო, ისე გაისმა ექო, ამას კიდევ, დამფრთხალ ფრინველთა ფრთხიალი დაემატა და მთელი ტყე ახმაურდა, ზუსტად ისევე, როგორც მაშინ, როცა კუნძულზე პირველად გავისროლე.

როცა ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ველურები, რაკი ვერ მიხ-ვდნენ, რა მოხდა, თამამად მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც მათი თანამოძმენი ეყარნენ. ამ საბრალო, ბრიყვ არსებებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ იგივე ბედი ელოდათ, ამიტომ დაჭრილთან შეგროვდნენ, ეტყობა, ეკითხებოდნენ, რა დაგე-მართაო? იმან კი აღბათ უთხრა, რომ ჯერ ცეცხლმა იელვა, მერე გრუხუნი გაისმა, და ლმერთების ნატყორცნმა მეხმა ჯერ ის ორი მოკლა, მერე კი ისიც დაჭრა. ეს ჩემი ვარაუდია, რად-გან ირგვლივ ვერავის ხედავდნენ, სროლის ხმა არასდროს გა-უგონიათ და არც იარაღი უნახავთ; არც ის სმენიათ, რომ შო-რიდან შეიძლება კაცის მოკვლა, ამიტომ სრულიად უშიშრად შემოხვეოდნენ თავიანთ თანამოძმეთ და სულ არ ფიქრობდ-ნენ, რომ მათაც იგივე ელოდათ...

ის ჩვენი ინგლისელები, როგორც თავად მითხრეს, დიდად შენუხებული იყვნენ იმით, რომ იძულებული გახდნენ, ამდენი საბრალო ველური ამოეხოცათ, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა საფრთხეში ჩაიგდეს თავი. რაკი ასე ხელსაყ-რელად შეჯგუფდნენ, ერთმა ინგლისელმა ისევ დატენა თო-ფი, და ორივენი შეთანხმდნენ, ვის რომელი ამოელო მიზანში, ასე რომ, ერთდროულად ატეხეს სროლა და მოკლეს ან მძიმედ დაჭრეს ოთხი ველური; მეხუთე, რომელსაც შიშისგან ლამის გული გაუსკდა, სხვებთან ერთად დავარდა, ინგლისელებს კი ეგონათ, ხუთივე დავხოცეთო.

რაკი ყველა მკვდარი ეგულებოდათ, ინგლისელები თამა-მად გამოვიდნენ ფულუროდან ისე, რომ თოფები არ დაუტე-ნიათ, რაც, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო; ადგილზე რომ

მივიდნენ, ძალიან გაუკვირდათ, რომ ოთხი ცოცხალი დახვდათ, აქედან ორი — მსუბუქად დაჭრილი, ერთი კი — სრულიად საღ-სალამათი; მაშინ უკვე მუშკეტები მოიმარჯვეს და პირველ გაქცეულ ტყვეს გააფრთხობინეს სული, რაკი ის იყო მთელი ამ უბედურების თავიდათავი, მერე კი — ორ დანარჩენს; ის კი, დაჭრილიც რომ არ იყო, ინგლისელებს მუხლებში ჩაუვარდა, ხელები აღაპყრო და ხვეწნა-მუდარა მორთო, რაკი სიტყვებით ვერაფერს გააგებინებდა, ხელის მოძრაობით მიანიშნებდა, არ მომკლათო. ხის ძირში დასვეს, ხელ-ფეხი გაუკოჭეს და ხეზე მიაბეს თოკით, რომელიც ერთ-ერთს შემთხვევით აღმოაჩნდა ჯიბები, თავად კი თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ ორი ველურის კვალზე იმის შიშით, რომ ისინი, და შეიძლება მათთან ერთად სხვებიც, მიაგნებდნენ სამალავს, სადაც ცოლები და ის სარჩო-საბადებელი შეაფარეს, რომლის წამოლებაც მოასწრეს. დაინახეს კიდეც ორი ველური, ოღონდ — შორიდან; საბედნიეროდ, ისინი ზღვისკენ მიემართებოდნენ და არა ტყისკენ, ასე რომ, ინგლისელები უკან, იმ ხესთან დაბრუნდნენ, რომელზეც გაკოჭილი ტყვე მიაბეს, მაგრამ იქ აღარ დახვდათ, თოკი კი იქვე ხესთან ეგდო, ამიტომ იფიქრეს, რომ თავისიანებმა გაათავისუფლეს.

ინგლისელები ისევ აფორიაქდნენ, აღარ იცოდნენ, საით წასულიყვნენ, წარმოდგენა არ ჰქონდათ, რამდენად ახლოს იყო მტერი და — რა რაოდენობით, ამიტომ ისევ სამალავისკენ აიღეს გეზი, რათა ენახათ, როგორ იყვნენ იქ მათი ცოლები. მართალია, ისინიც ველურები იყვნენ, მაგრამ ამ თავდამსხმელების ძალიან ეშინოდათ, ეტყობა, მათ შესახებ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე ინგლისელებმა. ადგილზე მისული ინგლისელები მიხვდნენ, რომ ველურები იქვე ახლომახლო ყოფილან, მაგრამ სამალავისთვის ვერ მიუგნიათ, რადგან იგი მართლაც კარგად იყო დაცული ხშირი ტყით და ვერავინ მიაგნებდა, თუკი გზას არ მიასწავლიდნენ; იქაურობა უვნებლად დახვდათ,

ოლონდ ქალები იყვნენ ძალიან შეშინებული. მალე მათ დასახ-
მარებლად შვიდი ესპანელი მოვიდა; დანარჩენმა ათმა კი, მსა-
ხურებთან და პარასკევას მამასთან ერთად, თავიანთ საცხოვ-
რებელს მიაშურეს, რათა ენახათ, რა მდგომარეობა იყო იქ, რა
დღეში იყო მათი ნათესები და პირუტყვი. როგორც გაირკვა,
ველურებს ასე ღრმად არ შეუღწევიათ. შვიდ ესპანელს ახლდა
ერთი ველური იმ სამიდან, ადრე რომ დაატყვევეს, და ისიც,
რომელიც ინგლისელებმა ხეზე მიბმული დატოვეს; იმ ხესთან
ჩაუვლიათ, ის შვიდი დახოცილი უნახავთ და ეს გადარჩენილი
თან წამოუყვანიათ, მაგრამ ისევ გაკოჭეს, რადგან იქ კიდევ
ორი ტყვე ჰყავდათ იმ სამისგან, რომლებისგანაც ერთი გაექ-
ცათ.

ახლა ეს ტყვეები ტვირთად აწვებოდათ, თანაც ეშინოდათ,
არ გაქცეულიყვნენ, და ის იყო, მათი დახოცვა გადაწყვიტეს,
რათა თავი გადაერჩინათ. მაგრამ ესპანელთა თავკაცმა არ
დაანება, თუმცა ბრძანა, ხეობაში ჩემს ძველ გამოქვაბულში
წაეყვანათ, სადაც ორი ესპანელი უდარაჯებდა და საჭმელიც
საკმარისად იყო მომარავებული. ასე რომ, იმ ღამეს ტყვეებს
ხელ-ფეხი ისევ გაუკოჭეს.

საშველად ესპანელთა მოსვლის შემდეგ ორი ინგლისელი
ისეთ გულზე იყო, ადგილზე ველარ ისვენებდნენ; ხუთი ესპა-
ნელის თანხლებით, ოთხი მუშკეტით, ერთი პისტოლეტითა და
ორი სქელი, რკინისთავიანი კეტით შეიარაღებულნი, ველუ-
რებთან საბრძოლველად გაემართნენ. ჯერ იმ ხესთან მივიდ-
ნენ, სადაც დახოცილები დატოვეს, და აღმოაჩინეს, რომ მა-
ნამდე იქ ველურები მისულან და ცხედრების წალება უცდიათ,
მაგრამ ორი გზად მიეტოვებინათ; მერე იმ გორაკზე ავიდნენ,
საიდანაც ცოტა ხნის წინ უყურებდნენ, როგორ არბევდნენ და
ბუგავდნენ მათ დასახლებას შემოსეული ველურები; იქაუ-
რობას ჯერ კიდევ ასდიოდა კვამლი, მაგრამ ველურები აღარ
ჩანდნენ; მერე განადგურებული ყანებისკენ წავიდნენ და დაი-

ნახეს, რომ ინდიელები ისევ ნავებში სხდებოდნენ; ჯერ გული დასწყდათ, რომ ვერ მიუსწრეს და ვერ ამოჟუჟეს, თუმცა იმით კმაყოფილნი დარჩინენ, რომ თავიდან მოიშორეს.

საბრალო ორ ინგლისელს უკვე მეორედ გაუჩანაგეს მთელი ნაჯაფი, მაგრამ დანარჩენები შეპეირდნენ, ყველაფრის აღდგენაში დაგეხმარებითო; მათმა თანამოძმებმაც კი, რომლებსაც აქამდე სხვის სასიკეთოდ ხელი არ გაუნდრევიათ, როგორც კი ეს ამბავი შეიტყვეს, — ისინი აღმოსავლეთის სანაპიროზე ცხოვრობდნენ და არაფერი გაუგიათ, სანამ ყოველივე დამთავრდებოდა, — მოვიდნენ და დახმარება შესთავაზეს; და მართლაც მიიღეს მონაწილეობა ქოხების მშენებლობაშიც და სხვა მხრივაც გაუმართეს ხელი. ასე რომ, ინგლისელები ისევ ნელში გაიმართნენ.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ზღვამ ველურების სამი ნავი და კიდევ ორი ველურის ცხედარი გამორიყა, რამაც ყველას საფუძვლიანად აფიქრებინა, რომ ისინი ძლიერ შტორმში მოყვნენ; სწორედ იმ ღამეს, როცა კუნძული დატოვეს, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ზღვა მძვინვარებდა; თუმცა, ვინმე შეიძლებოდა გადარჩენილიყო, ამბავი ჩაეტანა და მეტი ძალებით წამოსულიყვნენ; მაგრამ ამბის ჩამტანი ახალს ბევრს ვერაფერს ეტყოდა, რადგან საკუთარი თვალით არც ერთ ველურს არავინ უნახავს, ხოლო კუნძული რომ დასახლებული იყო, ეს ისედაც იცოდნენ.

დიდი გამარჯვება

ხუთი თუ ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ. კოლონისტებს ამ ხნის განმავლობაში ველურებზე არაფერი სმენიათ და იმედოვნებდნენ, რომ ან აღარ ახსოვდათ თავიანთი წარუმატებლობა, ან ხელი აიღეს განზრახვაზე. მაგრამ ერთხელაც კუნძულს ველურებით სავსე ოცდარვა ნავი მოადგა: მშვილდ-ისრებით, დიდი კეტებითა და მძიმე ხის ხმლებით იყვნენ შეიარაღებული, თან ისეთი რაოდენობით, რომ ჩვენებს შიშის ზარი დასცეს.

საღამო ხანი იყო, როცა კუნძულის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში გადმოსხდნენ. კოლონისტებმა ის ღამე თეთრად გაათენეს იმაზე მსჯელობაში, თუ რა უნდა ეღონათ მომხვდურთა მოსაგერიებლად. პირველ რიგში, გაითვალისწინეს, რომ თავის დასაცავად უმჯობესი იქნებოდა, დამალულიყვნენ, რაც საკუთარი გამოცდილებითაც იცოდნენ, თანაც, რაკი მტერი ბევრად მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე წინა ჯერზე, გადაწყვიტეს, აეღოთ ის ორი ქოხი, ინგლისელებს რომ დაუდგეს, და მათი თხებიც გამოქვაბულში შეერეკათ: ვარაუდობდნენ, რომ ველურები გათენებისთანავე სწორედ იმ ქოხებთან მივიდოდნენ; მერე მთელი ფარა იმ ძველი ქოხისკენ გადაერეკათ, სააგარაკე ქოხს რომ ვუწოდებდი და სადაც ახლა ესპანელები ცხოვრობდნენ; თანაც, თითო-ოროლა კაცი დაეტოვებინათ ყველგან, სადაც შესაძლებელი იქნებოდა. მეორე დილით მთელი თავიანთი ძალებით ორი ინგლისელის მამულისკენ წავიდნენ, რათა მტერს იქ დახვედროდნენ. როგორც ივარაუდეს, ისეც მოხდა. ახლანდელმა დამპურობლებმა ნავები აღმოსავლეთ სანაპიროსთან დატოვეს და ნაპირ-ნაპირ სფლით სწორედ იქ მივიდნენ. ასე, ორას ორმოცდაათი კაცი იქნებოდა, როგორც ესპანელებმა ივარაუდეს. მათთან შედარებით, აქაუ-

რები ძალზე ცოტანი იყვნენ, თანაც, იარაღი ყველას არ ჰქონდა; ერთი სიტყვით, ჩვენების ჯარს შეადგენდა: ჩვიდმეტი ეს-პანელი, ხუთი ინგლისელი, პარასკევას მოხუცი მამა, ქალებთან ერთად ჩამოყვანილი სამი მონა, რომლებიც მეტად ერთგულნი აღმოჩნდნენ, და კიდევ სამი ტყვე, ესპანელებთან რომ ცხოვრობდნენ; შეიარაღებაში ჰქონდათ: თერთმეტი მუშკეტი, ხუთი პისტოლეტი, სამი სანადირო თოფი და ის ხუთი მუშკეტი და თოფი, რომლებიც ამბოხებულ მეზღვაურებს ჩამოვართვი, აგრეთვე — ორი ხმალი და სამი ძველი ალებარდი.

მონებისა და ტყვეებისთვის არც მუშკეტები ჰქონდათ და არც ვაზნები, ამიტომ ისინი ალებარდებით, გრძელი, ორლესული რკინისნვეტიანი კეტებითა და ნაჯახებით შეაიარალეს; ჩვენებიდან ნაჯახი ყველას ჰქონდა. ორმა ქალმა თავი გამოიდო, ჩვენც ვიბრძოლებთო, და მათ ის მშვილდ-ისრები მისცეს, ორი ტომის ველურთა ურთიერთდაპირისპირების შემდევ რომ დარჩათ; ნაჯახები ქალებსაც დაურიგეს.

ჩვენებს ესპანელთა თავკაცი მეთაურობდა, ასე ხშირად რომ ვახსენებ, ხოლო უილ ატკინსი, ეს საშინელი და სასტიკი, მაგრამ გამორჩეულად უშიშარი კაცი, მას თანაშემწეობას უნდევდა. ველურები ლომებივით გამდვინვარებულნი უტევდნენ, ჩვენები ცუდ დღეში აღმოჩნდნენ, რადგან არანაირი უპირატესობა არ ჰქონდათ, და მხოლოდ უილ ატკინსმა იმარჯვა, რომელიც ამჯერად ძალზე საჭირო აღმოჩნდა; ექვს სხვასთან ერთად, ბუჩქნარში იყო ჩასაფრებული და ნაბრძანები ჰქონდა, ველურთა ერთი ნაწილი გაეტარებინა, მერე კი, მათ უკან მომავალთათვის ცეცხლი გაეხსნა; ამის შემდევ სასწრაფოდ უკან უნდა დაეხია და ჩასაფრებული ესპანელებისთვის ზურგი გაემაგრებინა.

ველურები ჯგუფ-ჯგუფად უნდესრიგოდ მოიწევდნენ წინ. ასე, ორმოცდაათი მეომარი ატკინსმა გაატარა და როცა შემდეგი მჭიდროდ შეკრული ჯგუფი წამოვიდა, მისი ბრძანებით, სამ-

მა ესპანელმა მუშკეტებით გაუხსნა ცეცხლი; თითოეულს პის-ტოლეტის ტყვიებივით დიდი ექვსი თუ შვიდი ტყვიით ჰქონდა მჭიდი დატენილი; რამდენი დახოცეს თუ დაჭრეს, წარმოდგენა არ ჰქონდათ, მაგრამ ველურთა შორის ამან ნამდვილი კოშმარი გამოიწვია — ტყვიების საშინელი ზუზუნი და სროლის ხმა ესმოდათ, მათ თვალწინ დახოცილი თუ დაჭრილი მათი თანამოძმენი მოცელილებივით ეცემოდნენ, იმას კი ვერ ხედებოდნენ, თუ ვინ სჩადიოდა ამას; გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, რომ უილ ატკინსმა და ესპანელთა მეორე სამეულმა გაუხსნეს ცეცხლი; ამასობაში პირველმა სამმა ისევ დატენა მუშკეტები და უკვე მესამედ დაუშინა ტყვიები.

ამის შემდეგ, უილ ატკინსს თავისი ხალხით უკან რომ დაეხია და სროლა ესპანელთა მეორე ჯგუფს განეგრძო, ველურები კისრისტებით გაიქცეოდნენ, რადგან ისინი უფრო იმან დაზაფრა, რომ ვერავის ხედავდნენ. ეგონათ, მათი განრისხებული ღმერთები უშენდნენ ცეცხლს, მაგრამ ვიდრე ატკინსის ჯგუფი იარაღს ტენიდა, კვამლი გაიფანტა და ველურები თავიანთ შეცდომას მიხვდნენ; ერთმა ნაწილმა თვალი მოჰკრა ჩა-საფრებულ თეთრკანიანებს, მათ ზურგიდან შემოუარა, თავად ატკინსი დაჭრა, ხოლო მისი თანმხლები ერთ-ერთი ინგლისელი ისრით განვირა; მერე კიდევ ერთი ესპანელი და ქალებთან ერთად ჩამოყვანილი ერთი მონა მოკლეს, რომელიც თავდადებით იბრძოდა და ხუთი კაცი დახოცა, თუმცა მხოლოდ კომბლითა და ცულით იყო შეიარაღებული.

ველურთა ასეთმა იერიშმა ჩვენები აიძულა, ტყის სიღრმეში დაეხიათ და მთის ფერდობზე გამაგრებულიყვნენ. იმ ესპანელებმაც უკან დაიხიეს, რომლებმაც სამჯერ ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს ველურთა რიგებს, რადგან თავდამსხმელები ისევ მრავლად იყვნენ, თუმცა მანამდე ორმოცდაათამდე მეომარი მოუკლეს, ერთი ამდენი კი დაუჭრეს. ისე ჯიქურ მოიწევდნენ და ისრების ისეთ წვიმას უშენდნენ, რომ წინააღმდეგობის განევა შეუძლებელი გახდა; უნდა ითქვას, რომ მათი დაჭრილე-

ბიც, თუ ძალა კიდევ ერჩოდათ, მეტი გააფიქრებით იბრძოდნენ.

როცა ჩვენებმა უკან დაიხიეს, დახოცილი ესპანელი და ინგლისელი დატოვეს, და როცა ველურები მოვიდნენ, მკვდრებს კეტებითა და ხის ხმლებით დაერივნენ და ხელ-ფეხი დაამტვრიეს. ჩვენებს აღარ დასდევნებიან, წრე შეკრეს და ეტყობა, თავიანთი ჩვეულებისამებრ, გამარჯვების ნიშნად ორჯერ ყიუინა დასცეს. ამის შემდეგ, დამწუხრებულნი შესცექეროდნენ, როგორ იცლებოდნენ სისხლისგან მათი დაჭრილი თანამოძმენი.

როცა ესპანელთა თავკაცმა ყველანი შემაღლებულ ადგილას შეკრიბა, ატკინსმა, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო, დაიუინა, ყველა ერთად წავიდეთ და მტერს ბოლო მოვულოთო, მაგრამ ესპანელმა უთხრა:

— სენიორ ატკინს, ხომ ნახეთ, როგორ იბრძოდნენ მათი დაჭრილები. დილამდე მოვიცადოთ, ჭრილობებისგან დასუსტდებიან, სისხლისგან დაიცლებიან და წინააღმდეგობასაც ნაკლებად გავვიწევენ.

ეს რჩევა ყველას ჭკუაში დაუჯდა, თუმცა ატკინსმა მხიარულად შენიშნა:

— მეც დაჭრილი ვარ და სწორედ ამიტომ მინდა შევებრძოლო, სანამ სულ დავსუსტებულვარ.

ამაზე ესპანელმა უპასუხა:

— სენიორ ატკინს, თქვენ მართლა ღირსეულად იბრძოდით, პირნათლად მოიხადეთ თქვენი ვალი; ახლა თქვენ მაგივრადაც ჩვენ ვიბრძოლებთ; და მაინც, მგონია, რომ ჯობს, დილამდე მოვიცადოთ.

ასეც მოიქცნენ.

მაგრამ რადგან მთვარიანი ღამე იყო, ველურები კი ხმაურით აქეთ-იქით აწყდებოდნენ, აშკარად აფორიაქებულნი იყვნენ, ამდენი ხალხი რომ დაუხოცეს და დაუჭრეს. მაინც გადაწყვიტეს, ღამით დასხმოდნენ თავს, მით უმეტეს, რომ ხელ-

საყრელი მომენტი იყო, რადგან ველურები მათ ვერ ხედავდნენ. იმ ორი ინგლისელისგან, ვის დასახლებასთანაც ბრძოლა მიმდინარეობდა, ერთმა ისინი ტყისა და ნაპირის შემოვლით, დასავლეთისკენ წაიყვანა, მერე საშხრეთისკენ გადაუხვიეს და იმ ადგილს მიადგნენ, სადაც ყველაზე მეტი ველურს მოეყარა თავი; და სანამ ისინი დაინახავდნენ, რვა კაცმა ტყვიები დაუშინა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა; ნახევარ წუთში მეორე რვაკაციანმა ჯგუფმაც გახსნა ცეცხლი და დაჭრილი და დახოცილი ველურები პანტაპუნტით ცვიოდნენ ძირს, თან ვერც მონინააღმდეგეს ხედავდნენ, რომ საპირისპირო მხარეს გაქცეულიყვნენ.

ესპანელებმა სასწრაფოდ დატენეს თოფები, მერე სამ ჯგუფად გაიყვნენ, რომ მტერს ერთდროულად დასხმოდნენ თავს. თითო ჯგუფში რვა-რვა კაცი იყო ანუ სულ — ოცდაოთხი, აქედან ორი — ქალი, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ; იარაღიც, ალებარდებიც და კეტებიც თანაბრად გაინაწილეს. ქალებს ბრძოლაში მონაწილეობა ვერაფრით გადაათქმევინეს; ჩვენი ქმრების მხარდამხარ ვიბრძოლებთ და თუ დაღუპვაა, ერთად დავიღუპებითო. ამგვარად, მცირერიცხოვანი ჯარი შექმნეს და საბრძოლო ყიუინით მტერს შეუტიეს; თავგზააბნეული ველურები ერთად შეჯგუფდნენ, სამი მხრიდან დაცემულმა ყიუინამ ისინი კიდევ უფრო დააბნია; ველარც მშვილდ-ისარს ხმარობდნენ, რადგან ვერ ხვდებოდნენ, საით ესროლათ; რამდენიმე ისარი მაინც ბრმად ისროლეს და პარასკევას მოხუცი მამა დაიჭრა, თუმცა — მსუბუქად. ჩვენებმა გონზე მოსვლის საშუალება არ მისცეს და სამი მხრიდან კიდევ დაუშინეს ცეცხლი, მერე პირისპირ ეკვეთნენ, ამჯერად უკვე მუშკეტებით, ხმლებითა და ცულებით და ისეთი დღე აყარეს, რომ ველურები განწირული ხმით გაჰყვიროდნენ და სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ, რომ თავი გადაერჩინათ.

ჩვენებს არაქათი გამოეცალათ — ორ ბრძოლაში თითქმის ას ოთხმოცი კაცი დაჭრეს ან დახოცეს, დანარჩენები კი,

შიშით დაზაფრულები, კისრისტებით გარბოდნენ, ზოგი მთა-
მთა, ზოგი ტყე-ტყე, სანაპიროზე იმ ადგილისკენ, სადაც გად-
მოსხდნენ და ნავები ეგულებოდათ. მაგრამ მათი უბედურე-
ბა ამით არ დასრულებულა: იმ საღამოს ისეთი ძლიერი ქარი
ამოვარდა, რომ ზღვაში გასვლა შეუძლებელი გახდა; შტორმი
მთელი ღამე გაგრძელდა; ზღვის მოქცევამ ბევრი ნავი ნაპირ-
ზე შორს გამორიყა და უკან ზღვისკენ მათ გადათრევას დი-
დი ძალისხმევა დასჭირდებოდა, ზოგიერთი ნავი კი ნაპირთან
მიჯახებისას საერთოდ დაიმსხვრა. ჩვენებმა, თუმცა გამარ-
ჯვებით ფრთაშესხმულნი იყვნენ, იმ ღამით ცოტა დაისვენეს
და როგორც კი ოდნავ ძალები მოიკრიბეს, კუნძულის იმ მხა-
რისკენ გაემართნენ, საითაც ველურები გაიქცნენ. გზად იქაც
გაიარეს, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა — ზოგი ცოცხალ-
მკვდარი იყო, ზოგი სულს ღაფავდა, ზოგიც უგონოდ ეგდო.
ომი რისი ომია, თუ მოწინააღმდეგე არ გაანადგურე, მაგრამ
კეთილშობილი კაცისთვის მართლაც ძნელი საყურებელია
ადამიანის ტანჯვა, თუნდაც მტერი იყოს. ამ შემთხვევაში რა-
იმე ბრძანების გაცემაც კი არ გახდა საჭირო: ესპანელთა მსა-
ხურმა ველურებმა ამ საცოდავებს თავიანთი ცულებით მოუ-
ლეს ბოლო.

მერე იმ ადგილამდეც მიაღწიეს, სადაც განადგურებული
ჯარის გაუბედურებული მეომრები ეყარნენ. ასამდე ველური
გადარჩენილიყო. უმრავლესობა მუხლებში თავჩარგული იჯ-
და მიწაზე. ორი გასროლის მანძილზე რომ მიუახლოვდნენ,
ესპანელთა თავკაცმა ბრძანა, ორი ფუჭი გასროლა მოეხდი-
ნათ, რათა ველურების რეაქცია ენახა და გაერკვია, ჯერ კი-
დევ შერჩენოდათ ბრძოლის უინი თუ აღარაფრის თავი აღარ
ჰქონდათ, რომ თავადაც შესაბამისად ემოქმედათ. ამან გაჭ-
რა; როგორც კი სროლის ხმა გაიგონეს, ელდანაცემებივით წა-
მოცვივდნენ და როგორც კი ჩვენები დაინახეს, სულ ყვირილ-
ყვირილით გაიქცნენ კუნძულის სიღრმისკენ.

თავიდან ჩვენებს უნდოდათ, დროზე გამოდარებულიყო, რომ ველურები კუნძულიდან წასულიყვნენ, ის კი აღარ უფიქრიათ, რომ შეიძლებოდა, ისევ დაბრუნებულიყვნენ, თანაც იმ რაოდენობით, რომ მათ ველარ გაუმკლავდებოდნენ, ან იმდენი და ისე ხშირად დასხმოდნენ თავს, რომ კუნძულზე ყველაფერი გაეჩანავებინათ, მაშინ ხომ მართლა შიმშილით ამოხდებოდათ სული. აქ სწორედ უილ ატკინსი აღმოჩნდა კარგი მრჩეველი, ატკინსი, რომელიც, ჭრილობის მიუხედავად, წუთითაც არ მოშორებია დანარჩენებს. მისი აზრით, ველურების ნავები უნდა გაენადგურებინათ, რომ კუნძულიდან ველარ წასულიყვნენ და მერე ისევ არ დაბრუნებულიყვნენ სამტროდ. ამაზე ბევრი იმსჯელეს, ზოგი წინააღმდეგი იყო, რადგან ფიქრობდა, რომ ველურები კუნძულზე მიმოიფანტებოდნენ, დამშეული ნადირივით ითარეშებდნენ, ნათესებს გაუნადგურებდნენ და თხებს გაუწყვეტდნენ — მოკლედ, სიცოცხლეს გაუმწარებდნენ.

ამაზე უილ ატკინსმა მიუგო: ჯობს, ას კაცთან ვიქონიოთ საქმე, ვიდრე ას ტომთან და არა მარტო ნავები უნდა გავუნადგუროთ, არამედ ისინიც უნდა ამოვხოცოთ, რომ თავად არ ამოგვხოცონო. ამ სიტყვების შემდეგ ყველა დაეთანხმა, ამიტომ ჯერ ნავებს მისდგნენ — ფიჩხი მოაგროვეს და ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ ზოგიერთი ისე იყო წყლით გაუღენთილი, რომ არ იწვოდა. იმდენი მაინც მოახერხეს, რომ ნავები ზღვაში გასასვლელად გამოუსადეგარი გახადეს.

ამის შემხედვარე ინდიელთა ერთი ნაწილი ტყიდან გამოვიდა, მუხლებზე დაემხო და ყვირილი მორთო: „ოა, ოა, ვარამოკოა“, კიდევ რაღაც სიტყვებს გაჰყვიროდნენ თავიანთ ენაზე, რაც ვერავინ გაიგო, მაგრამ უესტებითა და მინიშნებებით მაინც გააგებინეს, რომ ითხოვდნენ, ნავი დაგვიტოვეთ, წავალთ და აღარასდროს დავბრუნდებითო. მაგრამ ესპანელების აზრით, ეს ერთადერთი გზა იყო, რომ თავი გადაერჩინათ და თავიანთი კოლონია შეენარჩუნებინათ, ამიტომ არ

უნდა დაეშვათ, რომ თუნდაც ერთი ველური წასულიყო და აქაური ამბები ჩაეტანა. ველურები აღარ დაინდვეს და ყველა ნავი გაუნადგურეს, რომელიც კი ქარიშხალს გადაურჩა. ამის დანახვაზე ტყეს შეფარებულმა ველურებმა საშინელი ღრიალი მორთეს, მერე კი ისე შლეგებივით დარბოდნენ კუნძულზე. ესპანელებმა, გონიერების მიუხედავად, ის ველარ გაითვალისწინეს, რომ მეტი ყურადღებით უნდა მიეხედათ თავიანთი ნათესებისთვის, რადგან ასე გამწარებული ველურებისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მართალია, მთავარ დასახლებებს ვერ მიაგნეს, ჩემს ციხესიმაგრეს და ხეობაში გამოქვაბულს ვგულისხმობ, თორემ საავარაკო ქოხი სულ დაანგრიეს და იქაური პლანტაციები სულ მოაოხრეს — ღობეები მოანგრიეს, ახალი ნარგავები ამოთხარეს, ნათესები გადაჯეგეს, მთელი ვენახი გაკრიფეს — არადა, სწორედ მაშინ დამწიფდა ყურძენი, — ერთი სიტყვით, ჩვენებს დიდი ზარალი მიაყენეს, თავად კი ვერაფერი იხეირეს.

კოლონისტებს ნებისმიერ ღროს შეეძლოთ ველურებს შებმოდნენ, მაგრამ მათი დევნა ან მათზე ნადირობა შეუძლებელი იყო, რადგან ძალიან ფეხმარდები და მკვირცხლები იყვნენ, და რომელიმე რომ დასდევნებოდა კიდეც, შეიძლება უკვე სხვა ველურების ალყაში აღმოჩენილიყო. კიდევ კარგი, უიარაღონი იყვნენ, ისრები გამოელიათ, აღარც რაიმე სხვა იარაღი შემორჩათ. მოკლედ, ინდიელები მართლაც საშინელ დღეში ჩაცვიდნენ, თუმცა კარგი დღე არც ჩვენებს დასდგომიათ: მართალია, საცხოვრებელი გადაურჩათ, მაგრამ სურსათის მარაგი გაუნადგურდათ, მოსავალი გაუჩანავდათ და აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ. ერთადერთი, ხეობაში გადამალული პირუტყვი და მარცვლეული ანუგეშებდათ, და კიდევ, სამი ინგლისელის გადარჩენილი ნათესები. თუმცა ამ სამიდან მხოლოდ ორიღა დარჩა — ატკინსი და მისი ერთი მევობარი, მეორე კი, ყველაზე დაუნდობელი, სწორედ ის, ნაჯახით მონა რომ აჩეხა, მერე კი ესპანელის მოკვლასაც აპირებდა,

ბრძოლაში დაიღუპა, ისარი პირდაპირ საფეთქელში მოხვდა და სამუდამოდ დაადუმა.

როგორც შევატყვე, მაშინ მათი საქმე უარესად იყო, ვიდრე ჩემი, სანამ ქერისა და ბრინჯის მარცვლებს აღმოვაჩენდი და მივხვდებოდი, როგორ დამეთესა და მომენია მოსავალი და როგორ მომეშენებინა პირუტყვი, რადგან ახლა ველურების სახით კუნძულზე ასამდე დამშეული მგელი დაძრნოდა, რომლებიც ყველაფერს შემუსრავდნენ, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ.

როცა ნახეს, რა ვითარებაში აღმოჩნდნენ, გადაწყვიტეს, ველურები კუნძულის ყველაზე დაშორებული ნაწილისკენ, სამხრეთ-დასავლეთისკენ გაერეკათ, რათა კუნძულს ახალი პარტია რომ მოსდგომოდა, ერთმანეთს ვერ შეხვედროდნენ; მერე დასდევნებოდნენ და ეხოცათ, ბოლოს კი, ვინც გადარჩებოდა, მოერჯულებინათ, მიეცათ თესლი და მარცვლეულის მოყვანა, ყოველდღიური შრომით თავის რჩენა ესწავლებინათ. ამიტომ სულ სდევნიდნენ, ცეცხლსასროლი იარაღით აშინებდნენ და რამდენიმე დღეში ისე დააფრთხეს საბრალონი, რომ ვინმე ინდიელს რომ ესროდა, რომც აეცდინა, ის მაინც, დამფრთხალი, მაშინვე ძირს ეცემოდა. ველურები ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ ცდილობდნენ, თვალში არ მოხვედროდნენ თეთრკანიანებს, რომლებიც თითქმის ყოველდღე ხოცავდნენ მათ, ამიტომ ტყიდან ცხვირს არ ჰყოფდნენ, სულ უფრო შორს მიდიოდნენ ხეობებით და ისე შიმშილობდნენ, რომ ტყეში ხშირად პოულობდნენ შიმშილით დახოცილებს.

ამის შემხედვარე ესპანელებს გული მოულბათ და ველურები შეებრალათ, განსაკუთრებით — მათ თავკაცს, რომელიც კეთილშობილებით გამოირჩეოდა; სწორედ მან მოიფიქრა, რომ, თუ მოახერხებდნენ, ერთი ველური შეეპყროთ და თავიანთი განზრახვა აეხსნათ, რომ მას თანამოძმეთათვის გადაეცა, მერე კი როგორმე მოეხერხებინათ, რომ ველურებიც გადარჩენილიყვნენ და მათთვისაც ვნება არ მიეყენებინათ.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე რომელიმე ინდიელს დაიჭერდნენ; ბოლოს მაინც მოახერხეს. თავიდან ტყვე სულ მოქუფრული იჯდა და დანა პირს არ უხსნიდა, არც საჭმელს იკარებდა, არც სასმელს. მაგრამ თანდათან, როცა დაინახა, რომ არაფერს უშავებდნენ, საჭმელს არ აკლებდნენ და არც მოკვლას უპირებდნენ, ცოტა მორჯულდა.

მოხუცი პარასკევა მიუჩინეს, რომელიც სულ უჩიჩინებდა, თეთრკანიანებს თქვენთვის სიკეთე უნდათ, დახოცვას არ გიპირებენ, მიწასაც გამოგიყოფენ, თესლსაც მოგცემენ, რომ მარცვლეული მოიყვანოთ და შიმშილით სული არ ამოგხდეთ, მანამდე კი საჭმელსაც გინილადებენ, ოღონდ იმ პირობით, რომ მონიშნული საზღვრებიდან არ გამოხვალთ, დასახლებებს არ გაეკარებით და არანაირ ვნებას არ მიაყენებთო. ბოლოს მოხუცმა პარასკევამ ტყვეს უთხრა, წადი და დაელაპარაკე შენს თანამოძმეთ, ნახე, რას გეტყვიან და ისიც გადაეცი, რომ თუ არ დათანხმდებიან, ყველას ამოგხოცავენ-თქო.

საბრალო, გაუბედურებული ინდიელები, რომლებიც სულ ოცდაჩვიდმეტი კაცილა დარჩენილიყვნენ, მაშინვე დათანხმდნენ და ცოტაოდენი საჭმელი ითხოვეს. კარგად შეიარაღებული თორმეტი ესპანელი და ორი ინგლისელი, სამი ტყვე ინდიელისა და მოხუცი პარასკევას თანხლებით მივიღნენ მათთან. სამმა ინდიელმა მონამ ბლომად პური და მოხარშული და მზეზე გამხმარი ბრინჯი მიუტანა, სამი თხაც მიუყვანა; მერე გორაკის ფერდობზე შეკრიბეს, სადაც ინდიელები მიწაზე დასხდნენ და დიდი მაღლიერებით შემუსრეს მიტანილი სანოვაგე, თან ირწმუნებოდნენ, მუდამ თქვენი ერთგულნი ვიქნებითო; დაპირება მართლაც შეასრულეს და არასდროს მიახლოებიან თეთრკანიანთა დასახლებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭმელს ან მითითების მიცემას ითხოვდნენ. ასე ცხოვრობდნენ კუნძულზე, როცა იქ ჩავედი. ასწავლეს მარცვლეულის მოყვანა, პურის გამოცხობა, თხების მოშენება და წველა. არაფერი აღარ სჭირდებოდათ, გარდა ცოლებისა, რომ თავიანთი ჯიში

გაემრავლებინათ და ტომად ჩამოყალიბებულიყვნენ. კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში, ის ადგილი, სადაც ველურები დაასახლეს, სულ კლდეებით იყო გარემოცული, ნინ კი ზღვა გადაშლილიყო. საკმაოდ დიდი და ნაყოფიერი მიწაც გამოუყვეს, ერთ-ნახევარი მილი სიგანისა და სამი-ოთხი მილი სიგრძის; ასწავლეს ხის ბარების გაკეთება, ისეთის, მე რომ ვაკეთებდი, თორმეტი ნაჯახი და სამი თუ ოთხი დანაც მისცეს; და ცხოვრობდნენ იქ ეს ძალზე მორჩილი და თვინიერი არსებები.

ვიდრე კუნძულზე ჩავიდოდი, ეს კი ამ ამბებიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ მოხდა, იქ სრული სიმშვიდე და თანხმობა სუფევდა. თუმცა, დროდადრო, კუნძულს საზარელი ნადიმის გასამართავად ველურები მოადგებოდნენ ხოლმე; მაგრამ რაკი სხვადასხვა ტომს განეკუთვნებოდნენ და შეიძლება, არც კი იცოდნენ აქ მომხდარი ამბების შესახებ, ამიტომ არავინ ეძებდა თავის თანამოძმეთ და, რომც მოეძებნა, საეჭვოა, ეპოვა.

ამგვარად, ვფიქრობ, დაწვრილებით გიამბეთ ყველაფერი, რაც კუნძულზე ჩემს დაბრუნებამდე მოხდა, და მგონი, ღირდა ამის მოყოლა. ინდიელები მშვენივრად ეზიარნენ ცივილიზაციას, მათ ხშირად აკითხავდნენ, თუმცა სასტიკად უკრძალავდნენ თავიანთ დასახლებაში მისვლას, რათა ყოველგვარი საფრთხე გამოერიცხათ. ყველაზე აღსანიშნავი კი ის არის, რომ ინდიელებს წვნა ასწავლეს და მალე მათ თავიანთ პატრონებსაც კი აჯობეს ამ საქმეში. არაჩვეულებრივ ნივთებს ამზადებდნენ, განსაკუთრებით — კალათებს, საცრებს, სკამებს, სამფეხებს, საწოლებს, ტახტებს. თანაც, მუშაობაში დიდ გამომგონებლობას ავლენდნენ.

ჩემმა ჩასვლამ ძალიან შეუმსუბუქა მდგომარეობა ინდიელებს, რადგან დანები, მაკრატლები, ბარები, ნიჩბები, ნერაქვები და სხვა საჭირო იარაღი ჩავუტანე. ამას ყველაფერს ისე მარჯვედ ხმარობდნენ, რომ ბოლოს გადაწყვიტეს, ლამაზი

წნული ქოხები დაედგათ. ეს ცოტა უცნაური, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებითი მიგნება იყო. წნული ქოხები ძალზე მოხერხებული აღმოჩნდა სიცხისგან და ათასგვარი მწერისგან თავის დასაცავად და ჩვენებს ისე მოეწონათ, რომ ველურებს თავიანთთვისაც გააკეთებინეს. ასე რომ, კუნძულზე ჩასულმა ინგლისელთა დასახლებები რომ დავინახე, შორიდან ფუტკრების სკას მივამსგავსე.

რაც შეეხება უოლ ატკინსს, რომელიც სრულიად შეიცვალა და მუყაითი და ჭკუადამჯდარი კაცი გამხდარიყო, ისეთი წნული ქოხი დაედგა, როგორსაც კაცი ვერსად ნახავდა; თავად გავზომე და ას ოცი ნაბიჯის გარშემოწერილობა ჰქონდა; დაახლოებით შვიდი ფუტი სიმაღლის მფიდროდ დაწნული მყარი კედლები კუთხეებში სქელი ბოძებით იყო შეკრული; ქოხი რვაკუთხედის ფორმის იყო და რვა ნივნივაზე დადგმული ლამაზი და წვიმაგაუმტარი ხის სახურავით გადახურული. რაკი ლურსმნები არ ჰქონდა, სამსჭვალები თავად დაემზადებინა იმ რკინისგან, მე რომ დავტოვე. ამ კაცმა მართლაც დიდი გამომგონებლური ნიჭი გამოავლინა; პატარა სამჭედლოც კი მოიწყო, გრდემლითა და ხის საბერველით, რომელზეც ჭანჭიკებს, კაუჭებს, კავებს, კბილანებსა და ანჯამებს ამზადებდა.

ახლა ისევ სახლს დავუბრუნდეთ, რომელშიც ათი ოთახი იყო, აქედან ერთი დიდი, ოცი ფუტი სიგანისა და ოცდაათი ფუტი სიგრძის, დერეფნები, ექვსი სათავსი და ოთხი ბეღელი ჰქონდა. ეს ყველაფერი ძალიან მოხერხებულად განელაგებინა, ყველა ოთახს დერეფნიდან შესასვლელი თავისი კარი ჰქონდა. ამ სახლის მსგავსს ქვეყნად მეორეს ვერ ნახავდით. და ამ სკასავით გულმოდგინედ მოფიქრებულ და ასევე გულმოდგინედ ნაგებ სახლში ცხოვრობდნენ: უილ ატკინსი, მისი მეგობარი და დაღუპული მეგობრის ცოლი სამი შვილით. ქვრივს ყველაფერს უნანილებდნენ ანუ: მარცვლეულს, რძეს, ყურძენს, სხვა სანოვაგეს, ამარავებდნენ ველური ციკნისა და კუს ხორცით, როცა მოინადირებდნენ; და მაინც, ისე დოვლა-

თიანად ვერ ცხოვრობდნენ, როგორც ორი ინგლისელი, რომლებიც განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ.

აქ კიდევ ერთ თემას — რელიგიას უნდა შევეხო. ვერ გეტყვით, რომ დიდად მორწმუნენი იყვნენ, თუმცა ღმერთის არსებობას ხშირად შეახსენებდნენ ერთმანეთს მეზღვაურებისთვის ჩვეული წესით ანუ — მის სახელს იფიცებდნენ; მათ საბრალო ველურ და უმეცარ ცოლებს კი ბევრი ვერაფერი სიკეთე მოუტანა იმან, რომ ქრისტიანი ქმრები ჰყავდათ, რადგან თავადაც ბევრი არაფერი იცოდნენ ღმერთისა და რელიგიის შესახებ და ცოლებისთვის რა უნდა ეთქვათ?!

და რაც მთავარია, უნდა ვითხრათ, რომ ერთადერთი, რაც ცოლებმა მათგან ისწავლეს, ინგლისურად ლაპარაკი იყო; და მათმა შვილებმა, სულ ოცნი იყვნენ, ენა ინგლისურად აიდგეს, თუმცა თავიდან, დედების მსგავსად, „დამტვრეული“ ინგლისურით ლაპარაკობდნენ; კუნძულზე ჩემი ჩასვლის მომენტში ყველაზე უფროსები ექვსი წლისანი იყვნენ. მათ გონიერი, მშვიდი, გამრჯე დედები ჰყავდათ, მოკრძალებული და თავაზიანი; ერთმანეთს ხალისით ეხმარებოდნენ, თავიანთ ბატონებს — ენა არ მიტრიალდება, მათ ქმრები ვუწოდო — თვალებში შესციცინებდნენ და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ერთი ქრისტიანულ რწმენასთან ზიარება და ჯვრის დაწერალა აკლდათ.

**წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა**

ფრანგი მღვდლის რჩევა

რაკი ზოგადად კოლონიისა და გარკვეულწილად ჩემი ხუთი მეამბოხე ინგლისელის შესახებ მოგახსენეთ, ახლა ერთი-ორი სიტყვით ესპანელებს შევეხები, რომლებიც კოლონიის ძირითად ბირთვს ნარმოადგენდნენ და რომლებსაც საკმაოდ ლირსშესანიშნავი ამბები უკავშირდება.

მათთან ხშირად მისაუბრია და მიკითხავს, როგორ ცხოვ-რობდით ველურთა ტყვეობაში-მეთქი? მათაც ალალად მითხ-რეს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი შემთხვევაც არ ახსენდებათ, რომ საზრიანობა ან სიმარჯვე გამოეჩინათ; საწყალი, გაუბედურებული და უღიმლამო არსებანი იყვნენ და, თავიანთი მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობაც რომ მისცემოდათ, ვერ გამოიყენებდნენ, რადგან ისე დარიათ ხელი უიმედობამ და თავს დატეხილმა უბედურებამ ისე წარუკვეთა სასო, რომ შიმშილით სიკვდილის მეტს აღარაფერს ელოდ-ნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ჭკვიანმა და სერიოზულმა კაცმა მითხრა, ახლა ვხვდები, როგორ ვცდებოდი, გონიერ ადამიანს არ მართებს ფარ-ხმლის დაყრა და ყოველთვის უნდა ეძებოს გამოსავალი და უკეთესი მომავლისთვის იბრძოლოსო. ისიც დასძინა, გულგატეხილობა ყველაზე მავნე გრძნობაა, რადგან იგი წარსულისკენაა მიმართული, რომელსაც ვერც დაიბრუ-ნებ და ვერც შეცვლი, და უგულებელყოფს მომავალს, კლავს საკუთარი ხვედრის შეცვლის სურვილსო, და მოიყვანა ერთი ესპანური ანდაზა, რომელიც ჩემებურად ვთარგმნე ინგლი-სურად და ასე უღერს: „უბედურებაზე ვაი-ვიში უბედურებას აორკეცებს“.

მერე ისიც შემახსენა, რამდენი რამის გაკეთება შევძე-ლი, სრულიად მარტო რომ ვიყავი, და რა დაუცხომელ გარ-ჯად დამიჯდა ეს, სწორედ რომ ასე თქვა; და კიდევ, როგორ

გავიუმჯობესე პირობები, რომლებიც თავიდან იმაზე ბევრად უარესი იყო, ვიდრე ისინი, რომელშიც თავად აღმოჩნდნენ, ან თუნდაც ახლა, როცა ყველანი ერთად არიან. ისიც თქვა, რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია: ინგლისელები რთულ ვითარებაში ბევრად მეტად ავლენენ სულის სიმტკიცეს, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხიო; რომ ესპანელები და პორტუგალიელები მსოფლიოში ყველაზე უვარვისები არიან საიმისოდ, რომ ბედის უკულმართობას ებრძოლონ, რადგან მაშინვე სასოწარკვეთილებას ეძლევიან და აზრადაც არ მოსდით, რომ თავის გადასარჩენად ხელი გაანძრიონ.

მე ვუთხარი, რომ მათი მდგომარეობა სრულიად განსხვავდებოდა ჩემი მდგომარეობისგან; ისინი ნაპირზე ცარიელ-ტარიელები აღმოჩნდნენ, არც საჭმელი ჰქონდათ და არც მისი მოპოვების საშუალება. თუმცა ჩემი უბედურება ის გახლდათ, რომ მარტო ვიყავი, მაგრამ ბედმა არ გამნირა და ყველანაირი საშუალება მომცა, რომ თავი გამეტანა: როცა გემს მოულოდნელად ნაპირზე გამორიყავს, ნებისმიერი ისე მოიქცევა, როგორც მე მოვიქეცი.

— სენიორ, — მითხრა ესპანელმა, — ჩვენ, საცოდავი ეს-პანელები თქვენნაირ ვითარებაში რომ აღმოვჩენილიყავით, ხომალდიდან იმის ნახევარსაც კი ვერ გადავზიდავდით ნაპირზე, რაც თქვენ გადაზიდეთ, და ვერც იმას მოვიფიქრებდით, რა ხერხით გადაგვეზიდა ეს ყველაფერი, რომელიმე ჩვენგანი კი თქვენსავით მარტო რომ აღმოჩენილიყო, ნამდვილად განწირული იქნებოდა.

ისიც მითხრა, მთელი უბედურება ის იყო, რომ იქ, სადაც აღმოვჩენდით, ხალხი კი დაგვხვდა, მაგრამ საჭმელი არ იყო. რომ მოეფიქრებინათ და ისევ ზღვაში გასულიყვნენ, მოშორებით ისეთ კუნძულს მიადგებოდნენ, სადაც საჭმელი კი იყო, მაგრამ ხალხი არ დახვდებოდათ, რადგან ადრე ტრინიდადიდან ესპანელებს ხშირად ჩაჰყავდათ ამ კუნძულზე თხები და ლორები, რომლებსაც აშენებდნენ, კუ და ზღვის ფრინველიც

მრავლად მოიპოვებოდა, თუმცა პური არ იყო; იქ კი, სადაც აღმოჩნდნენ, ძირხვენებსა და მცენარეებს სჯერდებოდნენ, რომლებსაც იქაურები მოზომილად აძლევდნენ, რადგან უკეთესს ვერაფერს სთავაზობდნენ, გარდა იმისა, რომ კანიბალები გამხდარიყვნენ და ადამიანის ხორცის ჭამა დაეწყოთ.

მათ მიამბეს, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერა და ვერ აზიარეს ეს ველურები ცივილიზაციას, ვერ მიაჩვიეს წესებით ცხოვრებას. ცდილობდნენ, ჩაეგონებინათ მათვის, რომ ყურად ელოთ იმათი დარიგება, ვისაც მათი დახმარება და საჭმლის მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმათ-თან, ვინც წესების გარეშე ცხოვრებასაა მიჩვეული, არანაირი დარიგება არ ჭრის; აღმინერეს ის მძიმე ვითარება, რომ არა-ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა რამდენიმე დღე ლუკმა არ ჩაუდვიათ პირში. კუნძული, სადაც აღმოჩნდნენ, დასახ-ლებული იყო უქნარა ველურებით და სულაც არ სჭირდებო-დათ ის ყოველდღიური სიკეთე, რომლითაც ადამიანები მთელ მსოფლიოში სარგებლობენ. თუმცა ის კი აღნიშნეს, რომ ეს ველურები ნაკლებად ძუნწები და მტაცებლები იყვნენ იმათ-თან შედარებით, ვისაც მეტი საჭმელი ჰქონდათ. ისიც დასძი-ნეს, მოწყალე ღმერთმა არ გავვნირა, თქვენი თავი მხსნელად მოგვივლინა და ამდები ტანჯვისა და წვალების შემდეგ შვება ვიგრძენით და უკეთეს პირობებში ვცხოვრობთო.

ისიც გამანდვეს, რომ ველურებს, რომლებთანაც მოხვდნენ, უნდოდათ, თავიანთ ომებში ისინიც ჩაებათ. ესპანელებს ცეცხლსასროლი იარაღი კი ჰქონდათ, რაც მტერშიც და მოყვარეშიც შიშს იწვევდა, მაგრამ არ ჰქონდათ ტყვია-წამალი, თან არც ომში მონაწილეობა სურდათ, რადგან ბრძოლის ველ-ზე ველურებზე უარეს დღეში ვარდებოდნენ, რადგან მშვილდისარი არ ჰქონდათ და რომც ჰქონოდათ, ხმარება არ იცოდნენ. ჰოდა, ისლა დარჩენოდათ, მდგარიყვნენ მშვიდად და ისრებით დაჭრილიყვნენ, სანამ მტრის პირისპირ აღმოჩნდებოდნენ და

ალებარდებითა და ხიშტებით ეკვეთებოდნენ. მაგრამ ხშირად მრავალრიცხოვან ბრძოსთან უხდებოდათ დაპირისპირება და მათი სახიფათო ისრებისგან თავი რომ დაეცვათ, ხისა და ნადირის ტყავისგან სამოსი დაიმზადეს. მიუხედავად ამისა, საფრთხე დიდი იყო, და ერთხელაც, როცა მტერმა იმძლავრა, ერთ-ერთი მათგანი ტყვედ აიყვანეს და ეს სწორედ ის ესპანელი იყო, რომელიც მე ვიხსენი. მაგრამ საშველად მათი ველურები მოვიდნენ და გადაარჩინეს, მტერსაც სძლიერ, თუმცა მე-გობარი დაკარგეს, რომელიც დაღუპული ეგონათ. ისიც მითხრეს, რა სასიამოვნოდ გაკვირვებულები დარჩნენ, როცა მათი მეგობრის დაბრუნება გაუხარდათ ველურებს, და როგორ გა-აოგნათ მისმა ნაამბობმა, რომ შორიახლოს ვიღაც ქრისტიანი იმყოფება, რომლის კაცთმოყვარეობის წყალობითაც გადარჩნენ. ისიც თქვეს, რომ გააოცა ყველაფერ იმის ნახვამ, რაც მქონდა, განსაკუთრებით კი პურის დანახვამ, რომელიც მას მერე არ უნახავთ, რაც ამ დაწყევლილ ადგილას აღმოჩნდნენ. პურს ჯვარი გარდასახეს, რადგან ლვთის წყალობად აღიქვეს. ნავებისა და სხვა დანარჩენის დანახვაზე ხომ ენით აუნერელი სიხარული დაეუფლათ, ატირდნენ კიდეც, ზოგიერთს გულიც კი შეუწუხდა. მთელმა ამ ნაამბობმა სულის სიღრმემდე შემძრა და ის აღტაცება გამახსენდა, პარასკევას რომ დაეუფლა მამის დანახვაზე, და იმ საცოდავთა აღფრთოვანება, ცეცხლნაკიდებული გემიდან ნავებში გადამსხდარნი ზღვიდან რომ ამოვიყვანე, და თავად ჩემი უსაზღვრო სიხარული იმ გემის დანახვისას, რომელმაც კუნძულზე ოცდარვანლიანი ტყვეობიდან მიხსნა და სამშობლოში დამაბრუნა. ყოველივე ამის გა-მო კიდევ უფრო მგრძნობიარე და კეთილგანწყობილი გავხდი ამ ესპანელთა მიმართ.

ახლა კი, როცა უკვე აღვწერე, თუ რა მდგომარეობაში დამ-ხვდა კუნძული, მოგახსენებთ, თუ რა გავაკეთე მისი ბინადრებისთვის და რა პირობებში დავტოვე. ისინი ირწმუნებოდნენ, და

მეც დავეთანხმე ამაში, რომ ველურების აღარ ეშინოდათ, და კი-დეც რომ მოსულიყვნენ, საკადრისად დახვდებოდნენ, თუნდაც ორჯერ მეტნი ყოფილიყვნენ, ვიდრე პირველად; ამიტომ ეს დიდად აღარც ანალვლებდათ. მერე სერიოზული სჯა-ბასი მქონდა ესპანელთა თავკაცთან კუნძულზე მათი ცხოვრების შესახებ, რადგან მათთან ჩავედი არა იმიტომ, რომ ვიღაც წამეყვანა და ვიღაც დამეტოვებინა, თუმცა შეიძლებოდა, არც მოესურვებინა დარჩენა, არამედ იმიტომ, რომ დავხმარებოდი აქ დაფუძნებაში, რისთვისაც, და ესეც ვაცნობე, ყველაფერი ჩავუტანე, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავდაცვისთვის შეიძლება დასჭირდეთ; თანაც ის ხალხიც ჩავიყვანე, რომელიც იქ დარჩებიან და ბევრი ისეთი ხელობა იციან, ახლა კუნძულზე ძალიან რომ გამოადგებათ.

ყველა ერთად იყო შეკრებილი, როცა ამას ვეუბნებოდი. ვიდრე იმ ტვირთს გადავცემდი, რომელიც ჩავუტანე, ყველა სათითაოდ გამოვკითხე, საბოლოოდ დაივიწყეს თუ არა ძველი მტრობა და მზად არიან თუ არა, ამიერიდან მეგობრულად იცხოვონ საერთო ინტერესების საკეთილდღეოდ და აღარ ჰქონდეთ შუღლი და გაუგებრობა.

უილ ატკინსმა სრულიად გულწრფელად და ხალისიანად მითხრა, საერთო უბედურებამ ჭკუა გვასწავლა და საერთო მტერმა დაგვამეგობრაო; თანაც ირნმუნებოდა, პირადად მე მზად ვარ, ამათთან ერთად ვიცხოვო და ამათთან ერთად მოვკვდეო; ესპანელების ნინააღმდეგ რაიმე სივეს გულშიც კი აღარ გავივლებ, ხოლო იმ სისულელის და სისასტიკის გამო, წარსულში რომ ჩავიდინე, მზად ვარ, ბოდიში მოვუხადოო; ხოლო ინგლისში დაბრუნებას რაც შეეხება, ამაზე არც კი ვფიქრობ, თუნდაც კიდევ ოცი წელი არ ჩავალო.

ესპანელებმა კი გამომიცხადეს, ატკინსი და მისი მეგობრები უმსგავსი ქცევისთვის განვაიარალეთ და მოვიკვეთეთ, მაგრამ ველურებთან დიდი შეტაკებისას ისე ვაჟუაცურად იბ-

რძოდა და კიდევ ბევრ სხვა შემთხვევაში ისე ლირსეულად მოიქცა და საერთო საქმისთვის ისეთი ერთგულება და თავდადება გამოავლინა, ძველი შუღლი წარსულს ჩავაბარეთო. ახლა, მათი აზრით, იგი ლირსი იყო, სხვებივით ეტარებინა იარაღი და მიეღო თავისი წილი იმ ყველაფრისგან, რაც ჩავუტანე; თავიანთი კეთილგანწყობა კი უკვე გამოხატეს იმით, რომ თავკაცის თანაშემწედ დანიშნეს, და რაკი მასაც და მის თანამოძმეთაც სავსებით ენდობიან, ისარგებლეს შემთხვევით და აღმითქვეს, რომ აღარ გაემიჯნებიან და მზად არიან, საერთო კეთილდღეობისთვის მათთან ერთად იმოქმედონ.

თანხმობისა და მეგობრობის გამომხატველი ამ გულწრფელი სიტყვების შემდეგ გადავწყვიტეთ, მეორე დღეს ერთად გვექეიფა და მართლაც მშვენივრად მოვილხინეთ. კერძების მომზადება ხომალდის მზარეულსა და მის თანაშემწეს დავავალე. ხომალდიდან ჩამოვზიდეთ ექვსი დიდი ნაჭერი საქონლის და ოთხი ნაჭერი ლორის ხორცი, ჭურჭელი პუნშისთვის და ბევრი სხვა რამ ჩვენი მარაგიდან, მათ შორის ათი ბოთლი ფრანგული ლვინო და ათი ბოთლი ინგლისური ლუდი, სხვადასხვა ისეთი საჭმელი, რომელიც არც ესპანელებს და არც ინგლისელებს მრავალი წელი აღარ გაესინჯათ და მგონი, ძალიანაც გავახარეთ. ესპანელებმა ხუთი ციკანი მზარეულს მისცეს შესანვავად, სამი კი ხომალდზე გაგზავნეს, რომ მეზღვაურებსაც მიერთმიათ ახალი ხორცი.

ქეიფის შემდეგ, რომელმაც ძალზე მხიარულად ჩაიარა, ხომალდიდან ჩემი ჩამოტანილი ტვირთი გადმოვზიდეთ. დარიგებისას არავითარი დავა არ მომხდარა, რადგან ყველაფერი საკმარისად იყო და თანაბრად ნაწილდებოდა. ჯერ ტანსაცმელი დავარიგე; ყველას ოთხ-ოთხი პერანგი მივეცი, მერე, ესპანელის თხოვნით, ორ-ორიც დავუმატე. ჩატანილი მქონდა: თხელი ინგლისური ქსოვილი, ცხელ ამინდში ჩასაცმელი მსუბუქი სერთუკებისთვის, თან ვუთხარი, – რომ დაძველდება,

სხვა საჭიროებისთვის გამოიყენეთ-მეთქი; ფეხსაცმელები, წინდები, ქუდები და სხვა. ბევრს მივიწყებულიც კი ჰქონდა ამ ყველაფრის ხმარება. ვერც კი აღვწერ, რა სიხარული ენერათ სახეზე, როცა ამ ნივთებს ვალაგებდი; მეუბნებოდნენ, ჩვენი მამა-მარჩენალი ხარ, ქვეყნიერების ამ მიყრუებულ კუთხეში რომ არ დაგვივიწყე და ასეთი ზრუნვა და ყურადღება გამოიჩინეო. მერე ყველა თავისი ნებით შემპირდა, რომ ჩემს უკითხავად კუნძულიდან ფეხს არ მოიცვლიდა.

ამის შემდეგ წარვუდგინე ადამიანები, რომლებიც ჩავიყვანე, მათ შორის ყველაზე საჭირო ხელობის — თერძი, მჭედელი და ორი ხურო, და კიდევ ჩემი ხელმარჯვე ოსტატი, რომელიც მათ ძალიან გამოადგებოდათ. თერძი მაშინვე შეუდგა საქმეს და, სანამ იქ ვიყავი, ყველას რაღაც შეუკერა; ქალებს კი ჯერ ნემსის დაჭერა, მერე კი ჭრა-კერვა ასწავლა, თანაც დაარიგა, როგორი ჰერანგები უნდა შეეკერათ თავიანთი ქმრებისა და სხებისთვისაც; რაც შეეხებათ დურგლებს, არა მგონია, საჭირო იყოს იმის აღნიშვნა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ; დაშალეს ჩემი უხეში და დიდი ნივთები და ახალი, მოხერხებული და კოხტა მაგიდები, სკამები, საწოლები, კარადები, თაროები და სხვა საჭირო ნივთები გააკეთეს. მაგრამ დურგლები ჯერ უიღ ატკინსის წნული სახლის სანახავად წავიყვანე. ორივე გააოცა ატკინსის გამომგონებლობამ, ასეთი მოხერხებული და უჩვეულო ნაგებობა არსად გვინახავსო. მერე ერთმა მითხრა, ამას ჩვენ რაში ვჭირდებით, მხოლოდ შრომის იარაღი მიეცით და ყველაფერს თვითონ გააკეთებსო.

ყველას ჩამოვურიგე თითო ბარი, ნიჩაბი, ფოცხი; სახნისი და გუთანი არ გვქონდა; ყოველ დასახლებას გამოვუყავი წერაქვი, ძალაყინი, ფართოპირიანი ნაჯახი და ხერხი, თანაც გავაფრთხილე, თუ გატყდა ან გაფუჭდა, მაშინვე ჩემი ჩამოტანილი მარაგიდან ახლით შეცვალეთ-მეთქი; ლურსმნები, კავები, სატეხები, დანები, მაკრატლები და სხვა სახის ხელსაწყოები

საჭიროების მიხედვით უნდა დაერიგებინათ; მჭედელს კი ორი ტონა რკინის მადანი დავუტოვე.

ტყვია-წამალი და იარაღი იმდენი ჩავიტანე, რომ საყოველ-თაო აღტაცება გამოვიწვიე. ახლა შეეძლოთ, ორ-ორ თოფასხ-მულს ევლოთ, როგორც მე დავდიოდი, და საჭიროების შემთხ-ვევაში, ათას ველურსაც კი გამკლავებოდნენ, თუკი ხელსაყ-რელ პოზიციას დაიკავებდნენ, რაც აშკარად არ გაუჭირდებო-დათ.

კუნძულზე ის ყმაწვილიც გადავიყვანე, შიმშილით დედა რომ დაელუპა, და მისი მოსამსახურეც; ის ძალზე გონიერი, გა-ნათლებული, ღრმად მორწმუნე ახალგაზრდა ქალი იყო, ისე-თი უწყინარი, რომ ყველა კეთილად განეწყო და სასიამოვნო სიტყვებს არ იშურებდა მისთვის. ხომალდზე ის ერთადერთი ქალი იყო და ამის გამო თავს ძალიან უბედურად გრძნობდა. ერთხანს კუნძულზე ცხოვრებას აკვირდებოდნენ, ხედავდნენ, რომ იქ ყველაფერი კარგად ეწყობოდა, აღმოსავლეთ ინდო-ეთში კი არც რამე ესაქმებოდათ და არც არავინ ეგულებო-დათ, თანაც კიდევ დიდხანს მოუწევდათ შორი ნაოსნობა, ამი-ტომ ორივემ მთხოვა, აქ დავრჩებით, ამ თქვენს ოჯახშიო — ასე უწოდეს ჩემი კუნძულის მცხოვრებთ. სიამოვნებით დავ-თანხმდი. მაშინვე გამოუყვეს მიწის ნაკვეთი, სადაც სამი ქოხი დადგეს, ატკინსის კარ-მიდამოსავით წნულლობეშემოვლებუ-ლი, სწორედ მისი პლანტაციის მოსაზღვრედ. ქოხები ისე იყო განლაგებული, რომ ერთში ყმაწვილს ეცხოვრა, მეორეში — მსახურ ქალს, შუა კი საერთო ყოფილიყო. ის ორი ინგლისე-ლიც იქვე გადმოსახლდა, ამიტომ კუნძულზე სამი კოლონია წარმოიქმნა. ერთში, მთის ძირას მდებარე და ციხესიმაგრედ წოდებულ ჩემს კარ-მიდამოში, ესპანელები, პარასკევას მამა და პირველი მსახურები ცხოვრობდნენ. აქაურობა კუნძულის დედაქალაქად ითვლებოდა და მთელ დუნიაზე არ მეგულე-ბა ადგილი, უფრო მეტად რომ ყოფილიყო ტყეში შემალული.

მერწმუნეთ, კუნძულს ათასი კაცი რომ შესეოდა და ეს დასახლება მთელი თვე ეძებნა, ვერ მიაგნებდა, ისე იყო ტყეში შემალული და ისე მიჯრით იყო ხეები დარგული, რომ კაცი ვერ გაივლიდა, მხოლოდ ორი შესასვლელი ჰქონდა — ერთი წყაროსთან, მეორე კი მაღლა, გორაკის ფერდობზე.

მეორე კოლონიას უილ ატკინსის დასახლება წარმოადგენდა. იქ ცხოვრობდნენ: ინგლისელების ოთხი ოჯახი, რომლებიც აქ დავტოვე, თავიანთი ცოლ-შვილით, სამი ტყვე ინდიელი, მოკლული ინგლისელის ქვრივი, ყმანვილი და მსახური ქალი, რომელიც ჩემს წამოსვლამდე გავათხოვეთ. აქვე დასახლდნენ ორი დურგალი და თერძი, ვაჭარი და ის ახალგაზრდა, რომელსაც ხელმარჯვე ოსტატი შევარქვი. ის ერთი ოც კაცს უდრიდა, ისეთი მოხერხებული და გონიერი იყო, თანაც — ძალზე მხიარული ზნის. ჩემს წამოსვლამდე სწორედ მას შევრთეთ ის მსახური ქალიშვილი, როგორც ადრე გითხარით, ყმანვილთან ერთად რომ ავიყვანეთ გემზე.

რაკი სიტყვა ქორწინებაზე ჩამოვარდა, არ შემიძლია არ შევეხო იმ ფრანგ სასულიერო პირს, რომელიც გემზე ზღვაში ავიყვანეთ. იგი რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელი იყო და შეიძლება, ვინმეს ენტინოს, მის გამორჩეულ ღირსებებს თუ აღვწერ, თუმცა იმასაც დავძენ, რომ ჯერ ერთი, კათოლიკე იყო, მეორე — კათოლიკე მღვდელი იყო და მესამე — ფრანგი კათოლიკე მღვდელი იყო; თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, გითხრათ, რომ იგი დინჯი, გონიერი, ღვთისმოსავი და თითქმის ყოველმხრივ სანიმუშო პიროვნება აღმოჩნდა. და არა მგონია, ვინმემ გამკიცხოს ასეთი პიროვნებისადმი კეთილგანწყობისა და პატივისცემის გამო, მისი მრნამსის მიუხედავად. ვფიქრობ და შეიძლება, სხვებმაც იფიქრონ, ვინც ამას წაიკითხავს, რომ რელიგიურ არჩევანში მწარედ იყო შემცდარი:

როგორც კი აღმოსავლეთ ინდოეთში წამოსვლას დამთანხმდა, ერთი საათი ვისაუბრეთ და ამ საუბარმა აღმაფრ-

თოვანა. რელიგიაზე სიტყვა რომ ჩამოვარდა, პირჯვარი გადაისახა და თავაზიანად მითხრა:

— სერ, ღვთის წყალობით, თქვენ არა მარტო გადამარჩინეთ, არამედ თქვენი ხომალდით მოგზაურობაც შემომთავაზეთ, თქვენს ოჯახში მიმიღეთ და თავისუფლად ლაპარაკის საშუალება მომეცით. ახლა, როცა იცით, თუ რომელ რწმენას ვიზიარებ, ეს რწმენა კი ეწინააღმდეგება თქვენსა და თქვენი ხალხის რწმენას, არადა, ჩემი მოვალეობაა, კათოლიციზმი ვიქადაგო, რომ რაც შეიძლება, მეტი ადამიანი მოვაქციო ჩემს რწმენაზე, მაგრამ რაკი აქ თქვენი წყალობით ვიმყოფები და თქვენებურ წესებს უნდა დავემორჩილო, თქვენი ნებართვის გარეშე თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, რომ რელიგიის საკითხებზე ვიკამათო.

ამაზე ვუპასუხე, რომ მისმა მოკრძალებამ მაიძულა, მელიარებინა, რომ ჩვენ სწორედ ის ხალხი ვართ, კათოლიკენი ერეტიკოსებს რომ უწოდებენ, და რომ ის პირველი კათოლიკე როდია, რომელთანაც ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ვსაუბრობდი ან რაიმე სირთულის კითხვას გავურბოდი; და ნუ იდარდებს, რომ განსხვავებული შეხედულებები გვაქვს და თუ საუბრისას ერთმანეთის მოსაზრებების მიმართ შეუწყნარებლობა არ გამოვიჩინეთ, ეს მისი დამსახურება უფროა, ვიდრე ჩვენი.

ამაზე მიპასუხა, რომ სავსებით შესაძლებლად მიაჩნია, მშვიდად ვისაუბროთ და სულაც არ აპირებს, თავს მომახვიოს საკუთარი აზრები; ურჩევნია, ისე მელაპარაკოს, როგორც ჯენტლმენი და არა როგორც საეკლესიო პირი; საერთოდაც არ შეეხება რელიგიის თემას, თუ ჩემგან ნებართვა არ ექნება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ თუ ამის ნებას დავრთავ, საკუთარი მოსაზრებების დაცვას შეძლებს. მერე კი თქვა, როგორც მღვდელი და როგორც ქრისტიანი, ჩემს მოვალეობას მოვიხდი და თქვენი ხომალდისა და ხომალდზე მყოფი ყველა

ადამიანისთვის ვილოცებო. ნამდვილი ჯენტლმენივით თავაზიანად იქცეოდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ კეთილგონიერი და დიდად განსწავლული პიროვნება იყო.

საინტერესოდ მომითხოვ თავის ცხოვრებაზე; მიამბომრავალი თავგადასავლის შესახებ, რომელიც უცხოეთში ყოფნისას რამდენიმე წლის განმავლობაში გადახდა თავს; ისიც მითხოვა, რომ ხუთჯერ ასულა ხომალდზე და ისე ჩამოსულა, რომ ერთხელაც არ მიუღწევია იქამდე, სადაც მიდიოდა. თავდაპირველად მარტინიკაზე უნდოდა მოხვედრა და სენტ-მალოში იქით მიმავალ ხომალდზე ავიდა, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ხომალდმა გეზი შეიცვალა და ლისაბონისკენ გაემართა, სადაც მდინარე ტახოს შესართავში მეჩეჩის წამოედო და დაზიანდა, ამიტომ იქვე მოუხდათ გემის დაცლა. იქ მადეირაზე მიმავალ პორტუგალიურ ხომალდზე ავიდა იმ იმედით, რომ მარტინიკისკენ მიმავალ ხომალდს შეხვდებოდა. მაგრამ პორტუგალიური გემის კაპიტანი უხეირო ზღვაოსანი აღმოჩნდა და გაანგარიშებაში შეცდა, რის შედეგადაც, ფაიალს მიადგნენ; რაკი იქ თავისი ტვირთისთვის, რომელიც სიმინდისგან შედგებოდა, მშვენიერი გასაღების ბაზარი იპოვა, გადაწყვიტა, მადეირაზე აღარ წასულიყო, მაიას კუნძულზე მარილი დაეტვირთა და ნიუფაუნდლენდისკენ აეღო გეზი. რაკი სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იმავე გემს გაჰყვა და მშვენივრად იმგზავრა ბენქ-სამდე — ასე უწოდებენ იმ ადგილს, სადაც თევზს იჭერენ, — იქ კი ფრანგულ გემს შეხვდნენ, რომელიც საფრანგეთიდან კვებეკში, იქიდან კი, სურსათით დატვირთული, მარტინიკისკენ წავიდოდა, და იფიქრა, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლებდა თავდაპირველი მიზნის მიღწევას. მაგრამ როდესაც კვებეკში ჩავიდნენ, გემის კაპიტანი გარდაიცვალა და გემმა ვზა ვეღარ განაგრძო. მაშინ გადაწყვიტა, საფრანგეთში დაბრუნებულიყო იმ ხომალდით, რომელსაც ზღვაში ცეცხლი გაუჩნდა და ზღვიდან ჩვენ ამოვიყვანეთ, და აი, ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიემგზავრება ჩვენთან ერთად, როგორც უკვე

მოგახსენეთ. ამგვარად, ხუთი მოგზაურობისას არ გაუმართლა, თუმცა მე ამას ერთ მოგზაურობას ვუწოდებდი, თუ კიდევ მომეცა შესაძლებლობა, რომ მის შესახებ გიამბოთ.

მაგრამ ახლა თავს არ შეგანყენთ სხვისი ამბებით, რომლებსაც ჩემს ამბავთან კავშირი არ აქვს, და ისევ კუნძულზე ცხოვრებას დავუბრუნდები. ერთ მშვენიერ დღეს, როცა კუნძულის ყველაზე შორეულ კიდეში ინგლისელების დასახლების მონახულებას ვაპირებდი, მღვდელი მომადგა; სანამ იქ ვიმყოფებოდით, ისიც თან გვახლდა. როგორც მოგახსენეთ, მომადგა და ძალიან სერიოზული სახით განმიცხადა, რომ უკვე რამდენიმე დღეა, ჩემთან საუბარი სურს და იმედია, არ გავუნანყენდები, რადგან იმას ეხება, რომ ჩემს კუნძულზე ახალი კოლონია წარმატებით განვითარდეს და ამ საქმეს ღვთის წყალობა არ მოაკლდეს.

ცოტა არ იყოს გაოცებულმა მივუგე:

— რატომ უნდა მოაკლდეს ღვთის წყალობა, სერ? ხომ ხედავთ, როგორი თანაშემწენი მყავს და აქაური ამბებიც ხომ მოგიყევით.

— თუ ინებებთ და ყურადღებით მომისმენთ, სერ, — ძალიან თავაზიანად მითხრა მან, — გეტყვით, რომ შეიძლება იყოს ვინმე, ვინც ხელს შეუშლის ამას. ხომ იცით, რომ ერთი აქანის საქციელის გამო, ღმერთმა მთელი ისრაელის ძენი დასაჯა, თუმცა მათ ბრალი არაფერში მიუძლოდათ.

მისმა სიტყვებმა ამაღელვა და ვთხოვე, ინგლისელთა კოლონიაში წამომყოლოდა და იქ თამამად ეთქვა თავისი სათქმელი.

— კეთილი, სერ, — მიპასუხა მან. — სიამოვნებით მოგცემთ რამდენიმე რჩევას. მართალია, ჩვენ განსხვავებულად ვუდგებით რელიგიურ დოქტრინებს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, მაგრამ არსებობს საერთო პრინციპები, რომლებშიც ვთანხმდებით ანუ — რომ არსებობს ღმერთი, რომ ღმერთმა ცხოვრების საყოველთაო წესები დაგვიდგინა, რომ

ლებიც უნდა შევასრულოთ და მის ნებას წინ არ უნდა აღვუდგეთ. და ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი ვალდებულია, ასე მოიქცეს და სხვებსაც იგივე მოსთხოვოს. ამიტომ, არ შემიძლია არ ვიზრუნო თქვენი ხალხის სულზე, თუმცა პროტესტანტები არიან, და არ ვეცადო, თუკი ამის ნებას მომცემთ, ავარიდო ისეთ ცოდვას, რომელიც ღვთის რისხვას დაატეხოთ თავს.

თავიდან ვერც კი მივხვდი, რას გულისხმობდა, თუმცა დავეთანხმე, მადლობა გადავუხადე, რომ იესოსავით ცდილობდა, ჩვენთვის ცოდვები აერიდებინა, და ვთხოვე, გარკვევით აეხსნა, რას გულისხმობდა.

— ჩემი აზრით, სერ, სამი რამ უშლის ამას ხელს, — თქვა მან. — და ამის გამოსწორება შესაძლებელია. პირველი ის გახლავთ, რომ აქ გყავთ ოთხი ინგლისელი, რომლებმაც ველური ქალები შეირთეს ცოლებად და შვილებიც იყოლიეს, თუმცა, ჯვარი არ დაუწერიათ, როგორც ამას ღვთის კანონიც მოითხოვს და ადამიანთა კანონიც. ვიცი, ამაზე მეტყვით, სერ, ღვთისმსახური არ ჰყავდათო, არც კალამი და ქალალდი ჰქონდათ, რომ საქორნინო ხელშეკრულება გაეფორმებინათო. ისიც ვიცი, სერ, რომ ესპანელთა თავკაცმა მათ მოსთხოვა, საკუთარი ცოლის გარდა სხვა ქალებს არ გაჰქარებოდნენ და თავიანთ ცოლ-შვილზე ეზრუნათ, მაგრამ ეს ქორნინებად ან ცოლებთან საქორნინო ხელშეკრულების დადებად ვერ ჩაითვლება, უთანხმოების თავიდან აცილების მიზნით მამაკაცებს შორის დადებულ ხელშეკრულებას უფრო ჰგავს. ახლა კი, სერ, როცა მოესურვებათ ან შემთხვევა მიეცემათ, შეიძლება, ცოლ-შვილი მიატოვონ და სხვა ქალი შეირთონ. — მერე კიდევ სინანულით დასძინა: — ნუთუ გგონიათ, რომ ეს ღვთის სასურველი საქმეა? ან როგორ ექნება ღვთის წყალობა თქვენს სასიკეთო წამოწყებებს, როცა თქვენი ქვეშევრდომნი ასე აშკარად სცოდავენ?

მართალი გითხრათ, ამ ფაქტზე არანაკლებად მისმა არგუმენტებმა შემაშფოთა და ახალგაზრდა მღვდლის წინაშე თა-

ვის მართლებას შევუდექი: იმ დროს აქ არ ვიყავი, მას მერე დიდი ხანი გავიდა და ანი უკვე რაღა ეშველება-მეთქი?

— სურ, მართალი ბრძანდებით, — მიპასუხა მღვდელმა, — მაშინ აქ არ იყავით და ბრალიც არ მიგიძლვით, მაგრამ ბოდიშის მოხდით მოგახსენებთ, რომ ახლა შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ, გამოასწოროთ მდგომარეობა. ქორწინება კანონიერად უნდა გაფორმდეს ანუ მამაკაცსა და ქალს წერილობითი ხელშეკრულება უნდა დაადებინოთ, ყველა დამსწრემაც, როგორც მოწმემ, ხელი უნდა მოაწეროს და მაშინ ქორწინება ყველა ევროპული კანონის თანახმად კანონიერად ჩაითვლება.

მართლაც გამაოცა მისმა ასეთმა ღვთისმოსაობამ და გულწრფელმა სურვილმა, განსხვავებული რწმენის ადამიანთა სულების გადარჩენაზე ეზრუნა, და ვუთხარი, რომ მისი ნათქვამი სავსებით სამართლიანად მიმაჩნდა და ამას ყველაფერს გადავცემდი ინგლისელებს, თანაც იმედი გამოვთქვი, რომ წინააღმდეგი არ წავიდოდნენ, რადგან მაშინ მათი ქორწინება ინგლისშიც ისეთივე კანონიერი იქნებოდა, როგორიც ინგლისელი მღვდლის ჯვარდანერილი ქორწინება.

მერე ვთხოვე, ეთქვა მეორე მიზეზი, რომელსაც შეიძლებოდა, ხელი შეეშალა ჩემი კუნძულის კეთილდღეობისთვის. თან მადლობაც გადავუხადე რჩევისთვის. ამაზე მითხრა, რომ ის ჩემი ინგლისელი ქვეშევრდომები, როგორც იგი უნდებდა, უკვე შვიდი წელია, თავიანთ ცოლებთან ცხოვრობენ, ინგლისურად ლაპარაკი და კითხვაც კი ასწავლეს, რაც საფუძველს აძლევს, ივარაუდოს, რომ ნიჭიერი და გონიერი ქალები არიან. თუმცა არანაირად არ აზიარეს ქრისტიანულ რელიგიას, არც ის ჩაუნერგეს, რომ ღმერთი არსებობს და მას უნდა ემსახურებოდე, ხოლო კერპთაყვანისმცემლობა, რაღაც გაუგებარი ღვთაებების თაყვანისცემა მცდარი და აბსურდული რწმენაა. მისი თქმით, ეს მიუტევებელი დაუდევრობაა, რისთვისაც მო-

ეკითხებათ კიდეც. ამ ყველაფერს ძალიან გულისხმიერად და სიყვარულით ამბობდა.

— დარწმუნებული ვარ, მათ სადმე ველურ ქვეყანაში რომ ეცხოვრათ, საიდანაც მათი ცოლები არიან წარმოშობით, ველურები უფრო გულმოდგინედ ეცდებოდნენ, ისინი კერპთაყვანისმცემლებად მოექციათ და ეშმაკის სამსახურში ჩაეყენებინათ, ვიდრე რომელიმე მათგანმა სცადა, ცოლი ჭეშმარიტ რწმენაზე მოექცია. არადა, ჩვენთვის ხომ, ორივესთვის, სასიხარულო იქნება, თუ ეშმაკის მსახურნი ქრისტიანული რელიგიის საფუძვლებს ეზიარებიან, შეიტყობენ მაინც ღმერთსა და მაცხოვარზე, ცოდვათა მონანიებასა და მომავალ ცხოვრებაზე ანუ იმას, რაც ჩვენ ორივეს გვნამს, და მაშინ იქნებ უფრო მიუახლოვდნენ ჭეშმარიტ ეკლესიას და დაიხსნან თავი კერპთაყვანისმცემლობისა და ეშმაკის მსახურებისგან.

ახლა კი თავი ველარ შევიკავე და გადავეხვიე.

— რა შორს ვყოფილვარ ქრისტიანობის მთავარი არსის გაგებისგან, — წამოვიძახე, — როგორ არ მცოდნია ჭეშმარიტი ეკლესიის სიყვარული და ადამიანთა სულების გადარჩენის მთელი სიკეთე და ის, თუ რას ნიშნავს, იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი.

— არა, სერ, ამას ნუ იტყვით, — მიპასუხა მან, — ეს თქვენი ბრალი სულაც არ არის.

— კი, მაგრამ რატომ არასდროს დავფიქრებულვარ ამაზე? — ვიკითხე.

— არც ახლაა გვიან, — მომიგო მან. — ნუ იჩქარებთ თავის დადანაშაულებას.

— ახლა რაღა ეშველება? — ვკითხე მე, — ხომ იცით, რომ უნდა წავიდე?

— თუ ნებას მომცემთ, დაველაპარაკები იმ საბრალოებს.

— რასაკვირველია, მთელი სულითა და გულით გაძლევთ ნებას, — ვუთხარი. — იმათ კი ვაიძულებ, თქვენი რჩევა შეისმინონ.

— ეს უკვე მაცხოვრის ნებას უნდა მივანდოთ. ჩვენ კი მხოლოდ ის გვევალება, რომ დავეხმაროთ, გავამხნევოთ და სწორ გზაზე დავაყენოთ, — მიპასუხა.

ბოლოს მესამე მიზეზიც ამიხსნა.

— საქმე ეხება თქვენს საპრალო ველურებს, რომლებიც დაატყვევეთ. ყველა ქრისტიანი, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ეკლესიას ემსახურება, ჭეშმარიტსა თუ ცრუს, ნესად უნდა იხდიდეს ქრისტიანობის გავრცელებას ყველა შესაძლო მეთოდით და ყველა შესაძლო შემთხვევაში. სწორედ ამიტომ გზავნის ჩვენი ეკლესია მისიონერებს სპარსეთში, ინდოეთ-სა და ჩინეთში, ჩვენი სამღვდელოება კი, ყველაზე მაღალი რანგისაც, სიამოვნებით მონაწილეობს სახიფათო რეისებში და ყველაზე საშიშ ადგილებშიც ჩადის, სადაც მკვლელები და ბარბაროსები სახლობენ, რათა აზიაროს ისინი ჭეშმარიტ ლმერთს და მოაქციოს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ახლა, სერ, თქვენც გეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ოცდათექვსმეტი თუ ოცდაჩვიდმეტი წარმართი ჭეშმარიტ ლმერთს, შემოქმედსა და მხსნელს აზიაროთ და როგორ უნდა გაუშვათ ხელიდან ისეთი კეთილი საქმე, რომელიც მთელ ცხოვრებად ლირს?!

სრულიად გაოგნებული, ხმასაც კი ვერ ვიღებდი. გული ლვთის სიყვარულითა და ქრისტიანული რწმენით ამევსო. ადრე რელიგიაზე ამდენი არასდროს მიფიქრია და საჭიროდაც არ ვთვლიდი, რომ მეფიქრა. ამ ველურებს კი მონებად აღვიქვამდი, რომლებსაც, სამუშაო რომ არ გვქონდა, მართლა მონებად გამოვიყენებდით ან სადმე სხვაგან, ქვეყნიერების სხვა კუთხეში გადავასახლებდით, რომ თავიდან მოგვეშორებინა. მისმა სიტყვებმა დამამუნათა და არც კი ვიცოდი, რა მეპასუხა.

ჩემი დაბნეულობა რომ შენიშნა, შენუხებულმა შემომხედა.

— სერ, ძალიან ვწუხვარ, თუ ჩემმა ნათქვამმა გული გატკინათ, — მითხრა მან. — არა, რას ბრძანებთ, თქვენმა ნათ-

ქვამმა კი არ მატკინა გული, არამედ იმან, რომ ამაზე ადრე არასდროს მითიქრია და ახლაც არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ხომ იცით, სერ, რა სიტუაციაშიც ვიმყოფები. ჩვენი ხომალდი ვაჭრებმა იქირავეს და აღმოსავლეთ ინდოეთში მივდივართ. კუნძულზე მხოლოდ თორმეტი დღით გაჩერების უფლება მაქვს, მე კი უკვე ოცდაათი დღეა, აქ ვარ. ყველა მოცდენილ დღეზე სამი გირვანქა სტერლინგის გადახდა მომიწევს. ასე რომ, ეს საქმე რომ ვითავო, ისევ აქ დარჩენა მომიწევს. ოცდაჩვიდმეტი წარმართის გაქრისტიანება მართლაც ღვთის სასიკეთო საქმეა და, რაკი ეს თქვენი უშუალო მოვალეობაცაა, რატომ თავად არ ითავებთ?

— ეს რომ ვუთხარი, მკვეთრად შემობრუნდა და მდაბლად დამიკრა თავი.

— მთელი სულითა და გულით მადლიერი ვარ უფლის და თქვენიც, სერ, — თქვა მან, — რაკი ამ კეთილშობილურ საქმეს ვერ მოჰკიდებთ ხელს და მე მთავაზობთ, რასაც სიამოვნებით შევასრულებ და ჩავთვლი, რომ ეს შესაძლებლობა ღმერთმა წყალობად მომივლინა ხიფათითა და სირთულეებით აღსავსე წარუმატებელი მოგზაურობის სანაცვლოდ.

ამას რომ მეუბნებოდა, სახეზე აღტაცება შევატყვე; თვალები უელავდა, სახეზე აღმური მოსდებოდა, ერთი სიტყვით, დაკისრებული მისით გახარებული და გაბრწყინებული გამოიყურებოდა. მართალი გითხრათ, კარგა ხანს ვერ მოვითიქრე, რა მეთქვა, რადგან გამაოცა მისმა ასეთმა გულწრფელმა სიხარულმა. ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე კიდეც, მართლა სწამდა, რომ ამ საბრალო ველურებს კუნძულზე ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცევდა და ამ სათუო საქმის გამო სამუდამოდ ამ უკაცრიელ კუნძულზე დარჩებოდა? მღვდელი მომიბრუნდა და მკითხა, — სათუო საქმეს რას ეძახითო?

— ილოცეთ, სერ, — მითხრა მან. — როგორ გგონიათ, რატომ დაგთანხმდით აღმოსავლეთ ინდოეთში ხომალდით გამგზავრებას?

— ალბათ იმიტომ, რომ წარმართებისთვის გექადაგათ,
— ვუპასუხე.

— მართალს ბრძანებთ, — შენიშნა მან, — და როგორ
ფიქრობთ, ოცდაჩემდეტი კაცის ქრისტეს რჯულზე მოქცევა
არ მიღირს იმად, რომ კუნძულზე დავრჩე? ამაზე მეტი რა უნ-
და ვინატრო? ამდენი კაცის სულის ხსნა ჩემს სიცოცხლედაც
ლირს და ოცი ჩემნაირის სიცოცხლედაც. ღმერთს მადლობას
ვწირავ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა, თუნდაც სამუდა-
მოდ აქ დავრჩე და სამშობლოში ჩასვლას ვეღარ ვეღირსო. და
რაკი ეს მისია მომანდვეთ, მთელი ცხოვრება თქვენთვის ვი-
ლოცებ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს.

— რა გინდათ მთხოვოთ? — ვკითხე.

— თქვენი პარასკევა დამიტოვეთ, რომ თარჯიმნობა გა-
მინიოს, რადგან მის დაუხმარებლად ვერც მე გავაგებინებ
იმათ რამეს, ვერც ისინი — მე.

ეს თხოვნა პირდაპირ გულში მომხვდა. პარასკევასთან გან-
შორება, მრავალი მიზეზის გამო, ვერც კი წარმომედგინა: ის
იყო ჩემი თანამგზავრი ყველა მოგზაურობაში; ჩემი უერთ-
გულესი ადამიანი და უაღრესად მოსიყვარულე; იმასაც კი
ვფიქრობდი, რომ ჩემი სიკვდილის შემთხვევაში ყველაფრით
უზრუნველყოფილი დამეტოვებინა. თანაც პარასკევა პრო-
ტესტანტი იყო და კათოლიკე ვერ გახდებოდა, ეს სრულიად
შეურყევდა რწმენას; და სანამ სული ედგა პირში, ვერასდროს
დაიჯერებდა, რომ მისი პატრონი ერეტიკოსი აღმოჩნდა და
წარმართობაში დასაპრუნებლად განირა. მაგრამ უცებ ერთ-
მა აზრმა გამიელვა და ვუთხარი, რომ პარასკევას ვერავითარ
შემთხვევაში ვერ მოვიშორებდი, თუმცა კი მესმოდა, რომ საქ-
მე, რომელიც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად ულირდა, ბევრად
უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემი მსახურთან განშორე-
ბა. იმაშიც დავარწმუნე, რომ პარასკევა თვითონ არასვით არ
დათანხმდებოდა, მე კი ვერ ვაიძულებდი, რადგან შევპირდი,
რომ სულ ჩემთან იქნებოდა.

ამ სიტყვებზე მღვდელი ძალიან შენუხდა, რადგან მართლა გაუჭირდებოდა ველურებთან ურთიერთობა და ერთ სიტყვასაც ვერ გააგებინებდა, მაგრამ როცა ვუთხარი, რომ პარასკევას მამამაც იცოდა ესპანური და, როგორც შევატყვე, მასაც ესმის, მიხვდა, რომ თარჯიმნად ისიც გამოადგებოდა, და კმაყოფილი დარჩა, რადგან ვეღარაფერი გადააფიქრებინებდა დარჩენას და ველურების ქრისტიანებად მოქცევას. მაგრამ განგებამ ყველაფერი სხვაგვარად წარმართა და უფრო სასიკეთოდაც.

ახლა ისევ მღვდლის პირველ შენიშვნას დავუბრუნდები. ინგლისელებთან რომ მივედით, ყველა შევკრიბე და იმის ახსნას შევუდექი, თუ რა არაქრისტიანულად ცხოვრობდნენ და რა მძიმე ცოდვაში იყვნენ ჩავარდნილნი, რაც ასე სამართლიანად აღნიშნა. ფრანგმა მღვდელმა. მაგრამ თავდაპირველად ის ვკითხე, ცოლიანები იყვნენ თუ უცოლოები? როგორც გაირკვა, ორი ქვრივი იყო, დანარჩენი — უცოლოები. მერე ისიც გამოვკითხე, როგორ მოხდა ამ ქალების ცოლად შერთვა, თან ამდენი შვილიც რომ გააჩინეს, რაზეც ის პასუხი მივიღე, რასაც ველოდი, ანუ — არავინ იყო, მათთვის ჯვარი რომ დაეწერა, — მაგრამ თავკაცის წინაშე პირობა დადეს, რომ ცოლებივით მოექცეოდნენ და იზრუნებდნენ მათზე, ამიტომ ეგონათ, რომ მათი ქორწინება ისეთივე კანონიერი იყო, როგორიც ჯვრისწერის და ყველა ფორმალობის დაცვის შემთხვევაში იქნებოდა.

ამაზე ვუთხარი, რომ ლვთის წინაშე ცოლ-ქმარნი იყვნენ, ცოლებზე ზრუნვა კი მათ ნამუსზეა, თუმცა ადამიანთა კანონები განსხვავებულია და შეიძლება, ისე მოხდეს, რომ ეს საბრალო ქალები და შვილები მიატოვონ, მაშინ რაღა ეშველებათ ამ უმნეო მარტოხელა ქალებს-მეთქი? მერე ისიც დავძინე, რომ ასეთ შემთხვევაში ჩემგან ვერავითარ სიკეთეს ვეღარ ეღირსებიან და მათ ნაცვლად, ყველაფერს ეს ქალები და ბავშვები მიიღებენ; და კიდევ, თუ არ დამარწმუნებენ, რომ ოფიცი-

ალურად გააფორმებენ ქორწინებას, შეუძლებლად მიმაჩნია მათი როგორც ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრება, რადგანაც ეს ღვთისმგმობი საქციელი იქნება და ალარც ღვთისგან შენდობის იმედი უნდა ჰქონდეთ.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდი. უილ ატკინსმა თქვა და, როგორც ჩანდა, ყველას სახელით, რომ თავიანთი ცოლები ისევე უყვართ, როგორც ინგლისელი ცოლები ეყვარებოდათ, და არასდროს მიატოვებენ და დარწმუნებული არიან მათ წესიერებასა და სათნოებაში და რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ თავიანთი ქმრებისა და შვილებისთვის; უილ ატკინსმა ისიც თქვა, ვინმემ რომ შემომთავაზოს, ინგლისში დაბრუნდი და სამხედრო ფლოტის საუკეთესო გემის კაპიტანად დაგნიშნავო, თუ ცოლ-შვილის წაყვანის ნებას არ მომცემენ, არ დავთანხმდებიო, და თუ ხომალდზე მღვდელი გყავთ, ახლავე სიამოვნებით დავიწერ ჯვარსო.

სწორედ ამას ველოდი. იმ მომენტში მღვდელი თან არ მახლდა, თუმცა იქვე შორიახლოს იყო, და ატკინსს გამოსაცდელად ვუთხარი, თუ ამას გულწრფელად ამბობ, მღვდელი მყავს და შენც და შენს თანამოძმეთაც ხვალვე დაგწერთ ჯვარს-მეტე. ისიც ვურჩიე, დაფიქრდი და სხვებსაც შეუთანხმდი-მეტე, რაზეც მიპასუხა, მე დაფიქრებაც არ მჭირდება, ახლავე მზად ვარ, დანარჩენებს კი დავეკითხები, თუმცა მგონია, რომ ისინიც თანახმანი იქნებიანო. მერე ვუთხარი, რომ ჩემი მღვდელი ფრანგი იყო და ინგლისური არ ჩცოდა, ამიტომ მე თარჯიმნობას გავუწევდი. არც კი უკითხავს, მღვდელი კათოლიკეა თუ პროტესტანტი, რისიც მეშინოდა. მერე მღვდელს მივაშურე, ატკინსი კი დანარჩენ ინგლისელებთან წავიდა. არ მინდოდა, ფრანგი მღვდელი მანამ დალაპარაკებოდა მათ, სანამ საქმე საქმეზე არ მიდგებოდა.

სანამ მათი კოლონიიდან წამოვიდოდი, ოთხივე ინგლისელი მოვიდა და მითხვეს, რომ იმსჯელეს, კმაყოფილება გა-

მოთქვეს იმით, რომ მღვდელი მყავდა, სიამოვნებით შეასრულებდნენ ჩემს თხოვნას და ჯვარს დაიწერდნენ, რა დროსაც კი ვისურვებდი, რადგან აზრადაც არ მოსვლიათ ცოლებთან განშორება და თავის დროზეც პატიოსანი განზრახვით შეირთეს ისინი. შევთანხმდით, რომ მეორე დილითვე შევხვდებოდით, მანამდე კი ცოლებს ქორწინების არსს გააცნობდნენ და აუხსნიდნენ, რომ ეს მარტო იმიტომ კი არ იყო საჭირო, რომ ნესი და რიგი მოითხოვდა, არამედ იმიტომაც, რომ ქმრებს ველარასდროს მიეტოვებინათ.

ქალები ადვილად მიხვდნენ ყველაფერს და ძალიანაც კმაყოფილები დარჩენენ, საამისოდ მიზეზიც ჰქონდათ. მეორე დილით ყველა ჩემს ქოხში გამოცხადდა, მღვდელიც მოვიდა და თუმცა არც ინგლისელი და არც ფრანგი მღვდლის ანაფორა არ ეცვა, ისე იყო შემოსილი, როგორც ღვთისმსახურს შეეფერება; რაც შეეხება ენას, თარჯიმნობას მე ვუწევდი. მღვდელმა მათ მიმართ ისეთი სერიოზულობა და სიდინჯე გამოავლინა, თუმცა ჯვრისწერის თაობაზე ეჭვი გამოთქვა, რადგან ქალები მონათლულები არ იყვნენ; ინგლისელები მისდამი პატივისცემით განიმსჭვალნენ და არც მისი მღვდლობა მიუჩინევიათ სათუოდ. მისმა ეჭვმა ცოტა შემაშფოთა, ვიფიქრე, ვაითუ, ჯვარი არ დაწეროს-მეთქი, მაგრამ ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა, სანამ ჯვარს დავწერ, უნდა დაველაპარაკო. სხვა რა გზა იყო, დავთანხმდი.

მღვდელმა ინგლისელებს აცნობა, რომ მათ შესახებ ყველაფერი ავუხსენი და ჩემი თხოვნით სიამოვნებით დასწერს ჯვარს, მაგრამ მანამდე გაესაუბრება. მან აუხსნა, რომ ქრისტიანული საზოგადოების თვალში ის ურთიერთობა, რომელიც ცოლებთან ჰქონდათ, დიდი ცოდვაა, ამიტომ ან ჯვარი უნდა დაიწერონ, ანდა ცოლებს უნდა დაშორდნენ, ჯვრისწერას კი ის ართულებს, რომ მათი ცოლები მოუნათლავები არიან, არა-

და, ქრისტიანული წესი გამორიცხავს წარმართებთან ქორწინებას; როგორც ჩანს, არც თავადაც არიან ღრმად მორწმუნე ქრისტიანები, ლვთის შესახებ ბევრი არაფერი იციან და არც საქმენი უფლისანი გაეგებათ, ამიტომ, ვერც თავიანთ ცოლებს გააგებინებდნენ რამეს, მაგრამ ახლა უნდა შეჰქირდნენ, რომ ყველანაირად ეცდებიან დაარწმუნონ ისინი, ქრისტიანობა მიიღონ, და აზიარებენ უფლის, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს რწმენას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ქორწინება კანონიერად ვერ ჩაითვლება.

ინგლისელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ეს ყველაფერი, რაც შეძლებისდაგვარად ზუსტად ვუთარგმნე, მხოლოდ ხანდახან თუ ჩავურთავდი ჩემს მოსაზრებას; მერე მითხრეს, ეს ჯენტლმენი სიმართლეს ამბობს, ღრმა რწმენით მართლაც არ გამოვირჩევით და არც ცოლებთან გვისაუბრია რელიგიაზეო. მერე ატკინსმა თქვა:

— თავად განსაჯეთ, სერ, თვითონაც არაფერი ვიცით უფლის შესახებ და ცოლებისთვის რა უნდა გვესწავლებინა? ჩვენ ღმერთსა და ქრისტეს მოძღვრებაზე, სამოთხესა და ჯოჯონეთზე რომ გველაპარაკა მათთან, ხომ მასხრად აგვიგდებდნენ, ანდა, რომ ეკითხათ, თავად თუ გწამთო, და ჩვენც გვეთქვა, რომ გვწამს, მაგალითად, ის, რომ კეთილი ადამიანი სამოთხეში მოხვდება, ბოროტი კი — ჯოჯონეთში, და დაინტერესებულიყვნენ, თქვენ სად მოხვდებითო, რა უნდა გვეპასუხა? სად ხვდებიან ჩვენისთანა ბოროტი და ავი ადამიანები? და სხვა რომ აზიარო რწმენას, თავად ხომ უნდა იყო მორწმუნე?

— უილ ატკინს, — მივმართე მე, — სამწუხაროდ, თქვენი ნათქვამი სავსებით შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ განა არ უნდა აუხსნათ თქვენს ცოლს, რომ იგი შემცდარია, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არსებობს, მისი ღმერთები კი კერპები არიან, რომლებსაც არც რამის თქმა შეუძლიათ, არც მოსმენა; რომ დიდია უფალი, მან შექმნა ყოველივე, სიკეთისთვის გვწყა-

ლობს, ბოროტებისთვის გვსჯის და ყველაფრისთვის, რასაც ამქვეყნად ჩავდივართ, განგვიკითხავს. არც ისეთი უმეცარი ხართ, რომ ეს ჭეშმარიტება არ იცოდეთ. და მოხარული ვარ, თუ თავად გწამთ ღმერთის.

— დიახ, სერ, მწამს, — მიპასუხა ატკინსმა, — მაგრამ რა პირით უნდა ვუთხრა ეს ჩემს ცოლს, რომელიც მომიბრუნდება და მეტყვის, ეს ყველაფერი ტყუილია?

— რატომ არის ტყუილი? — ვკითხე.

— აბა, მე როდის დამსაჯა ღმერთმა იმისთვის, რაც ჩავიდინე?

ეს ყველაფერი ვუთარგმნე მღვდელს, რომელსაც ერთი სული ჰქონდა გაეგო, რას ამბობდა ატკინსი.

— გასაგებია, — თქვა მღვდელმა, — მაგრამ უთხარი, რომ მონანიებაა ის გზა, რომელიც ნამდვილ ღვთისმოსავად აქცევს და მის ცოლსაც დაარწმუნებს ჭეშმარიტებაში, რადგან სინანული მხოლოდ ნამდვილ მორწმუნეს ძალუძს. მაშინ აღარ გაუჭირდება ცოლის დარწმუნება იმაში, რომ ღმერთი არათუ არსებობს და სიკეთისა და ბოროტებისთვის სათანადოდ მოგვაგებს, არამედ უსაზღვროდ გულმოწყალეა, კეთილი და მიმტევებელი, რაც არის კიდეც მისი არსებობის უტყუარი დასტური.

მღვდლის სიტყვები ზუსტად გადავეცი ატკინსს, რომელიც ძალიან ყურადღებით მისმენდა და აშკარად აღელვებული იყო.

— ეს ყველაფერი ადრეც ვიცოდი, მაგრამ თავს უფლება ვერ მივეცი, ჩემი ცოლისთვის მეთქვა, რადგან ღმერთია მონამე და ჩემი სინდისიც, რომ ისე ვიცხოვრე, თითქოს ღმერთისა და იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ არაფერი მსმენდა, და ეს ჩემმა ცოლმაც მშვენივრად იცის. მონანიება რაღას მიშველის, უკვე ყველაფერი დამთავრებულია, — თქვა მან, სულის სილრმემდე შეძრულმა, და თვალები აუცრემლიანდა.

ატკინსის ნათქვამი მღვდელს სიტყვასიტყვით გადავეცი და ამ გულისხმიერ ადამიანსაც თვალზე ცრემლი მოადგა.

— ერთი ის ჰკითხეთ, — მთხოვა მან, — კმაყოფილია, რომ უკვე ყველაფერი დამთავრებულია, თუ წუხს ამის გამო?

ატკინსს რომ ვკითხე, ძალიან აღელვებულმა მიპასუხა, როგორ უნდა იყოს კმაყოფილი ადამიანი, როცა იცის, რომ სამუდამო ტანჯვისთვისაა განწირულიო?

ეს რომ ვუთხარი, მღვდელმა თავი გააქნია და თქვა:

— თუ ასეა, მაშინ ჰქონდეს იმედი, რომ მაცხოვარი მიუტევებს. მაგრამ უნდა ილოცოს, რადგან არც ერთ ადამიანს არ განირავს უფალი, ჩვენ კი ღვთისმსახურებმა, ქრისტეს სახელით გულმოწყალება უნდა გამოვიჩინოთ ყველას მიმართ, ვინც კი გულწრფელად ინანიებს, ასე რომ, მონანიება გვიანი არასდროს არის.

ატკინსს ეს რომ ვუთხარი, ძალიან დინჯად მომისმინა და მითხრა, წავალ, ცოლს დაველაპარაკებიო, ჩვენ კი საუბარი სხვებთან გავაგრძელეთ. როგორც გაირკვა, დანარჩენებიც ისეთივე უმეცარნი იყვნენ რელიგიის საკითხებში, როგორიც მე ვიყავი, როცა მამაჩემის სახლი დავტოვე, თუმცა საუბრისთვის თავი არავის აურიდებია და ყველამ განაცხადა, წავალთ და ყველანაირად ვეცდებით, ცოლები დავარწმუნოთ, რომ ქრისტიანობა მიიღონ.

მათი ნათქვამი რომ ვუთარგმნე, მღვდელმა გამიღიმა, ჯერ არაფერი თქვა, მერე თავი გაიქნია და მითხრა:

— ჩვენ, ქრისტეს მსახურთ სხვა არა შეგვიძლიარა, თუ არა ის, რომ ჭეშმარიტება ვუქადაგოთ ადამიანებს და სწორ გზაზე დავაყენოთ, და მერწმუნეთ, სერ, მიუხედავად იმისა, რაც იცით იმ კაცის შესახებ, უილიამ ატკინსს რომ უწოდებთ, მართლაც გულწრფელად ინანიებს თავის წარსულ საქციელს, და ლრმად მჯერა, რომ ცოლსაც სწორედ საკუთარი მაგალითით დაარწმუნებს.

საუბრის შემდეგ მღვდელმა ორ წყვილს ჯვარი დასწერა, უილ ატკინსი და მისი ცოლი კი არა და არ ჩანდნენ. მღვდელს ძალიან აინტერესებდა, ასე რატომ დაიგვიანა ატკინსმა და მთხოვა:

— გემუდარებით, სერ, იქნებ წავიდეთ და ვნახოთ, რა ხდება. ალბათ, თავის ცოლს რელიგიას აზიარებს.

ეს მეც ვიფიქრე, ამიტომ მღვდელს იმ გზით გავუძეხი, რომელიც ჩემ გარდა არავინ იცოდა. ბოლოს ხშირ კორომს მივადექით და სიმწვანეში ატკინსი და მისი ფერადკანიანი ცოლი დავინახე. დაველოდე, როდის მომიახლოვდებოდა მღვდელი და მასაც დავანახვე. ყურადღებით ვაკვირდებოდით, როგორ მიუთითებდა ცოლს ხან მზეზე, ხან ცაზე, ხან მიწაზე, ხან საკუთარ თავზე, მერე მისკენ, ტყისკენ და ხეებისკენ იშვერდა ხელს.

— ხომ ხედავთ, — მომმართა მღვდელმა, — ცოლს უხსნის, ეს ყველაფერი ღმერთმა შექმნაო.

— დიახ, მეც ასე მგონია, — მივუგე.

ამასობაში ატკინსი ფეხზე წამოდგა, მერე დაიჩოქა, მერე ისევ ცოლს მიუჯდა გვერდით და ლაპარაკი განაგრძო. ქალი ყურადღებით უსმენდა, იმას ვერ ვხედავდით, ისიც ამბობდა რამეს თუ არა. დაჩოქილი ატკინსი რომ დავინახეთ, მღვდელმა ცრემლები ვერ შეიკავა, კინალამ მეც ავტირდი. სამწუხაროდ, ძალიან შორს ვიყავით და სიტყვები არ გვესმოდა. ახლოსაც ვერ მივიდოდით, რადგან შეიძლებოდა, ისინი დაგვეფრთხო, ამიტომ ჩუმად განვაგრძობდით ყურებას. როგორც გითხარით, ატკინსი ისევ მიუჯდა ცოლს და ისევ მგზნებარედ უმტკიცებდა რაღაცას; რამდენჯერმე მოეფერა და დაუყვავა, მერე ცხვირსახოცი ამოილო და ცოლს ცრემლი შეუმშრალა, მერე ისევ მისგან გასაკვირი სითბოთი მიეალერსა. ასე რამდენჯერმე გამეორდა, მერე ცოლს ხელი შეაშველა, წამოაყენა, განზე გაიყვანა და იქ ორივემ დაიჩოქა. ორიოდ წუთი ასე დაჩოქილები იყვნენ.

ამის შემხედვარე მღვდელმა ვეღარ გაუძლო და ხმამაღლა აღმოხდა:

— დიდება უფალს! დიდება უფალს! ლოცულობენ.

შემეშინდა, არ გაეგონათ, და ვთხოვე, თავი შეეკავებინა, რომ იქნებ ბოლომდე გვენახა, რას იზამდნენ. და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი შთამბეჭდავი ცხოვრებაში არაფერი მინახავს. მღვდელი ერთხანს თავს იკავებდა, მაგრამ იმაზე ფიქრმა, რომ ეს წარმართი ქალი ქრისტიანობას ეზიარა, ისე აღაფრთოვანა, რომ ხელები აღაპყრო, პირჯვარი გადაისახა და ხან ლათინურად, ხან ფრანგულად ლოცულობდა. ასე გაგრძელდა თხუთმეტი წუთი და მერე ატკინსი და მისი ცოლი თვალს მიეფუარნენ.

მღვდელს ვუთხარი, ჯერ ერთი, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც ვნახეთ, რადგან ეს ყველაფერი საოცრად გულწრფელად გამოიყურებოდა, როგორც ატკინსის, ისე მისი ცოლის ქცევაც, და იმედია, ამას ბედნიერი დასასრული ექნება, მაგრამ ერთ სირთულეს მაინც უნდა შევეხო, რადგან მთელი მისი გულმოდგინების მიუხედავად, რომ ქრისტიანულ რჯულზე მოაქციოს ეს საბრალო ხალხი, ისინი კათოლიკეები ვერ გახდებიან, რაც მას ერთადერთ ხსნად მიაჩნია, და ამის გამო მათ ერეტიკოსებად ხომ არ მიიჩნევს, რაც იგივეა, რაც წარმართობა?

ამაზე მღვდელმა ალალად მიპასუხა:

— სერ, მე რომის ეკლესიის წარმომადგენელი და წმინდა ბენედიქტეს ორდენის მღვდელი ვარ და კათოლიკური რწმენის ყველა პრინციპს ვიზიარებ, მაგრამ მაინც გეტყვით, მერწმუნეთ, არა თქვენდა საამებლად ან ჩემი მისისა და თქვენი განზრახვის სასიკეთოდ, არამედ იმიტომ, რომ მჯერა, თქვენც ისევე ცხონდებით, როგორც ჩვენ; სულაც არ მგონია, რომ ქრისტეს წყალობა თქვენზე არ ვრცელდება; ამავე დროს, ნება მომეცით, როგორც კათოლიკემ, ერთმანეთისგან განვასხვავო პროტესტანტი და წარმართი, რომელთაგან ერთი კი

ალიარებს ქრისტეს — თუმცა კი ვფიქრობ, ეს შორსაა ჭეშმარიტი რწმენისგან, — მეორეს კი, ველურსა თუ ბარბაროსს, არც ლმერთზე სმენია რამე, არც მაცხოვარზე; და თუმცა კათოლიკენი არ ხართ, იმედია, თქვენ უფრო შეგიძლიათ, ჭეშმარიტ რწმენას დაუბრუნდეთ, ვიდრე მათ, ვინც არაფერი იცის ლმერთისა და მისი ეკლესიის შესახებ; განა შეიძლება, გული არ ხარობდეს, როცა ხედავ, რომ ეს კაცი, როგორც თქვით, ყოვლად ზნედაცემული და ლამის მკვლელი, მუხლმოყრილი ევედრება იესო ქრისტეს?! ღრმად მნამს, რომ დადგება უამი და მის გულში უფლის სიყვარული დაისადგურებს და ლმერთი წყალობის თვალით გადმოხედავს მასაც და მის ცოლსაც. რასაკვირველია, ვინატრებდი, რომ ამერიკაში ყველა წარმართმა, ამ საპრალო ქალის მსგავსად, შეიცნოს ჭეშმარიტი ლმერთი და ირწმუნოს მისი ყოვლისშემძლეობა და უსაზღვრო სიკეთე.

უილ ატკინსონსა და მისი ცოლის საუბარი

გაოცებული ვიყავი ამ ღვთისმოსავი კათოლიკე მღვდლის გულწრფელობითა და რწმენის სიმტკიცით და მისი არგუმენტების გავლენის ქვეშ მოვეძეცი; იმაზე დავთიქრდი, რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი მტკიცე რწმენით იყოს აღსავსე ადამიანთა გულები ყველგან, მაშინ ხომ ყველანი კათოლიკები ვიქნებოდით ჩვენი პროფესიისა თუ ეკლესიური კუთვნილების მიუხედავად და სათნოების ძალა სწორ პრინციპებს ჩაგვინერგავდა. მას სჯეროდა, რომ სათნოება ყველას კათოლიკედ გვაქცევდა, მე კი ვუთხარი, რომ მისი ეკლესიის წევრები შედარებით მოკრძალებულნი რომ ყოფილიყვნენ, უფრო მალე გახდებოდნენ პროტესტანტები. ამით თემა ამოვნურეთ და აღარასდროს გვიკამათია. მაგრამ მისთვის სხვა რამეც მქონდა სათქმელი. მის ხელს ხელი ჩავკიდე და ვუთხარი:

— მეგობარო, ნეტავ რომის კათოლიკური ეკლესიის ყველა მღვდელი თქვენსავით თავშეკავებული და სულგრძელი იყოს! ყველაფერში გეთანხმებით, მაგრამ უნდა გითხრათ, რაც ახლა ბრძანეთ, ესპანეთსა თუ იტალიაში რომ იქადაგოთ, უთუოდ ინკვიზიციის ხელში აღმოჩნდებით.

— შესაძლოა, — მითხრა, — არ ვიცი ესპანეთსა თუ იტალიაში რას იზამენ, მაგრამ არა მგონია, თავიანთი სიმკაცრით უკეთესი ქრისტიანები გახდნენ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ სათნოება არ შეიძლება, მწვალებლობას გულისხმობდეს.

როგორც კი უილ ატკინსი და მისი ცოლი თვალს მიეფურნენ, ჩვენც წამოვედით. დასახლებაში რომ დავბრუნდით, ისინიც იქ დაგვხვდნენ. ჩვენი საუბრის გათვალისწინებით მღვდელს შევეკითხე, ლირდა თუ არა, ატკინსისთვის გვეთქვა, ბუჩქებში რომ დავინახეთ? მიპასუხა, არ ლირსო, მაგრამ დასძინა, დაველაპარაკოთ, ვნახოთ, თავად რას გვეტყვისო.

ასე რომ, ატკინსი ცალკე გავიყვანეთ და მისი წარმოშობისა და განათლების შესახებ გამოვკითხე. პირდაპირ მითხრა, რომ მამამისი მღვდელი იყო, რომელიც სიკეთეს უნერგავდა, მან კი არც ერთი მისი დარიგება არ შეისმინა; მამასთან ურთიერთობა გაწყვიტა და თავისი დაუმორჩილებლობითა და უხეშობით სიკვდილი მოუსწრაფა, უსაზღვრო სიყვარულის პასუხად, საკუთარი უმადურობით გული მოუკლა.

მისი სიტყვები ისეთი სინრთელითა და სინანულით იყო სავსე, რომ გული მეტკინა. სხვა ვერაფრის თქმა ვერ შევძელი და გამოვუტყდი, რომ კეთილშობილ მამაჩემსაც მე შევუმოკლე დღე ჩემი უსაქციელობით, სიჯიუტითა და ეგოიზმით. მისმა სიტყვებმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ უცებ ვიფიქრე, ამ კაცისთვის ჭკუის დარიგებას ვაპირებდი, არადა, ჭკუის დამრიგებლად თავად მომევლინა-მეთქი.

ჩემი ეს ფიქრები ახალგაზრდა მღვდელს გავანდვე და ისიც ჩაფიქრდა, მერე მომიბრუნდა და თქვა:

— აკი გითხარით, სერ, როგორც კი ეს კაცი ჭეშმარიტების გზაზე მოექცევა, მოძლვრად მოგვევლინება-მეთქი?! მერწმუნეთ, სერ, რომ სწორედ ეს კაცი, თუ გულწრთელად მოინანიებს, კუნძულის ყველა მცხოვრებს ქრისტიანად მოაქცევს და აღარც კი ვიქნები საჭირო.

ცოტა რომ დავმშვიდდი, უილ ატკინსთან საუბარი განვაგრძე.

— ერთი მითხარით, უილ, — ვკითხე, — ამ ამბავმა ასე რატომ აგაღელვათ?

უ.ა. — სერ, თქვენ ისეთი საქმე მომანდვეთ, რომელმაც ისარივით გამიპო გული. ჩემს ცოლს ღმერთსა და რელიგიაზე ველაპარაკე, რომ, როგორც ბრძანეთ, ქრისტიანად მომექცია, მან კი ისე მიქადაგა, ცხოვრებაში არ დამავიწყდება.

რ.კ. — არა, არა, თქვენმა ცოლმა კი არ გიქადაგათ, როცა რელიგიურ მცნებებზე ესაუბრებოდით, თქვენივე ცნობიერებამ დაგიბრუნათ თქვენივე ნააზრევი.

უ.ა. — დიახ, სერ, თანაც ისეთი ძალით, წინააღმდეგობა-საც რომ ვერ გავუწევდი.

რ.კ. — ილოცე, უილ. მითხარი ერთი, შენსა და შენს ცოლს შორის რა მოხდა? თუმცა ნაწილობრივ მივხვდი კიდეც.

უ.ა. — ყველაფრის ზუსტად აღწერა შეუძლებელია, სერ. ისე ვარ აღელვებული, რომ სიტყვები არ მყოფნის. თუ უნდა, თავად თქვას, მე კი, თუმცა ყველაფრის გადმოცემა გამიჭირდება, ერთს ვიტყვი: ამიერიდან ჩემი ცხოვრება უნდა შევცვალო.

რ.კ. — რამე მაინც გვითხარით, უილ, რითი დაიწყეთ საუბარი? მეტისმეტად უჩვეულო შემთხვევაა; მას მართლაც უქადაგია თქვენთვის, რაკი მისმა სიტყვებმა ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე.

უ.ა. — თავიდან ბუნების კანონებზე, ქორწინებაზე და იმაზე ველაპარაკე, თუ რატომ ქორწინდებიან ადამიანები, რომ არც მამაკაცს და არც ქალს არ აქვს ქორწინების დარღვევის უფლება, რადგან მაშინ შეუძლებელი გახდება კანონისა და წესრიგის დაცვა, მამაკაცები მიატოვებენ ცოლ-შვილს, სხვებთან გააბამენ ურთიერთობას და ოჯახის მთლიანობაც მოიშლება და მემკვიდრეობითობის უფლებაც დაირღვევა.

რ.კ. — შეგნებული კაცივით მსჯელობთ, უილ. მოახერხეთ აგეხსნათ მისთვის, რას გულისხმობდით მემკვიდრეობითობისა და ოჯახის ცნებებში? ველურებიც ხომ ქმნიან ოჯახებს, თუმცა, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაზე, ნათესაობასა და ოჯახის სიწმინდეზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. უფრო მეტიც, როგორც მსმენია, და-ძმა, მამა-შვილი და, წარმოიდგინეთ, დედა-შვილიც ქორწინდებიან.

უ.ა. — დარწმუნებული ვარ, ეს ტყუილია, სერ, და ჩემმა ცოლმაც მითხრა, ასეთი რამ მათთვისაც მიუღებელია. შესაძლოა, შორეულ ნათესავებს შორის ასეთი რამ ჩვენსავით არ ეჩოთირებოდეთ, მაგრამ, როგორც მითხრა, ახლო ნათესავებს შორის, თქვენ რომ ბრძანეთ, ასეთი რამ დაუშვებელია.

რ.კ. — მაინც რა გიპასუხა, ეს რომ უთხარი?

უ.ა. — ძალიან მოეწონა. თქვა, ასე ბევრად უკეთესია, ვიდრე ჩემს ქვეყანაშიო.

რ.კ. — ხომ აუხსენით, ქორწინება რასაც ნიშნავს?

უ.ა. — დიახ, საუბარი სწორედ ამით დავიწყეთ. ვკითხე, ჩვენი კანონების დაცვით ცოლად თუ გამომყვები-მეთქი? მან მკითხა, ეს რას ნიშნავსო? და ავუხსენი, რომ ქორწინება ღვთისგან უნდა იყოს ნაკურთხი; მერე კი ჩვენმა დიალოგმა ისეთი უცნაური სახე მიიღო, არა მგონია, ოდესმე რომელიმე მამაკაცს თავის ცოლთან ჰქონოდა.

.. უილ ატკინსისა და მისი ცოლის საუბარი მისი სიტყვებიდან ჩავიწერე.

ცოლი — ღვთისგან ნაკურთხი! არის ღმერთი ჩემი ქვეყანაში?

უ.ა. — კი, ძვირფასო, ღმერთი ყველა ქვეყანაშია.

ცოლი — ჩემი ქვეყანაში შენი ღმერთი არ არის, იქ უძველესი და დიადი ღმერთი, ბენამუქე.

უ.ა. — ჩემო კარგო, ღმერთის ჩვენება არ შემიძლია, ის ზეცაშია, მან შექმნა ცაც და მიწაც, ზღვაც და ყველა სულიერიც.

ცოლი — მიწა არა შეუქმნია, თქვენი ღმერთი არა შეუქმნია მიწა, არა შეუქმნია ჩემი ქვეყანა.

(უილ ატკინსს გაეცინა, როცა ცოლმა უთხრა, რომ მისი ქვეყანა ღმერთს არ შეუქმნია.)

ცოლი — ნუ იცინი. რათა იცინი ჩემზე? ეს არის არა სასაცილო.

(ცოლმა სავსებით სამართლიანად უსაყვედურა, რადგან საუბრის დასაწყისში ის ატკინსზე უფრო სერიოზული იყო.)

უ.ა. — მართალი ხარ, აღარ გავიცინებ, ძვირფასო.

ცოლი — რატომ შენ თქვი, თქვენი ღმერთი შექმნა ყველაფერი?

უ.ა. — ჰო, ჩემო კარგო, ჩვენმა ღმერთმა შექმნა ყოველივე: მთელი სამყარო, მე, ცა, ყველაფერი, რაც ირგვლივაა, რადგან ის არა მარტო ჭეშმარიტი ღმერთია, არამედ ის ერთადერთია, და არ არის სხვა ღმერთი მის გარდა. ის ზეცაში ცხოვრობს.

ცოლი — ადრე რატომ არა მითხარი?

უ.ა. — ამაშიც მართალი ხარ; მაგრამ გზააბნეული გარენარი ვიყავი, და არა მარტო დამავიწყდა, შენთვის მეთქვა ეს ყველაფერი, თავადაც ისე ვცხოვრობდი, რომ ღმერთი არ მახსოვდა.

ცოლი — ესა რატომ? თქვენი ქვეყანაში არის დიდი ღმერთი, თქვენ კი ის არ გახსოვთ? არ ეუბნებით „დიდება შენდა“? რა გააკეთეთ კარგი მისთვის? ეს არა შეიძლება.

უ.ა. — მართალია, მაგრამ ისე ვცხოვრობთ, თითქოს ზეცაში ღმერთი არ იყოს ანდა მისი ძლიერება მიწაზე არ ვრცელდებოდეს.

ცოლი — მაგრამ ღმერთი რატომ მოგცათ ამის ნება? რატომ არა გაიძულათ, უკეთ იცხოვროთ?

უ.ა. — ამაში ბრალი ჩვენ მიგვიძლვის.

ცოლი — შენ თქვი, რომ ღმერთი დიდი, ძალიან დიდი, რომ ძალა მისი ძალიან დიდი, შეუძლია მოკლას, თუ უნდა. რატომ არა მოგკლავთ, როცა არ ემსახურებით? როცა არ ეუბნები „დიდება შენდა“? როცა არ ვინდა იყო კარგი?

უ.ა. — მართალია, უნდა მოვეკალი, ღირსიც ვიქნები, თუ მომკლავს, რადგან უზნეო არამზადა ვარ, მაგრამ ღმერთი მოწყალეა და ისე არ გვსჯის, როგორც ვიმსახურებთ.

ცოლი — და თქვენ არა უთხარით მადლობა?

უ.ა. — მართლაც არ გამომიხატავს მისდამი მადლიერება, თუმცა კი შიშით მეშინოდა მისი.

ცოლი — მაშინ თქვენი ღმერთი არ არის ღმერთი. არ მჯერა, რომ ის ყოვლისშემძლეა. არა მოგკლათ, თუმცა ასე განარისხეთ.

უ.ა. — ნუთუ ჩემი ცოდვებით ალსავსე ცხოვრება გიშ-ლის ხელს იმაში, რომ ღმერთი ირწმუნო? მართლა რა ამაზრ-ზენი არსება ვყოფილვარ! რა სამწუხარო სიმართლეა ის, რომ ქრისტიანთა ცოდვილი ცხოვრება წარმართთა ჭეშმარიტების გზაზე მოქცევას უშლის ხელს!

ცოლი — როგორ მე ვიფიქრო, რომ ზეცაში (და ხელი ცის-კენ აღაპყრო) დიადი ღმერთი გყავთ, თქვენ კი არა აკეთებთ სიკეთეს? ხედავს კი ეს ღმერთი, თქვენ რას აკეთებთ?

უ.ა. — კი, კი, მან ყველაფერი იცის და ყველაფერს ხე-დავს. ისიც კი იცის, გულში რას ვფიქრობთ.

ცოლი — როგორ? არა ესმის, თქვენი ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა?

უ.ა. — როგორ არა, ყველაფერი ესმის.

ცოლი — მაშინ, სადა მისი ძლევამოსილება?

უ.ა. — ის გულმოწყალეა და ცოდვების მიმტევებელი და მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. სწორედ ეს მოწმობს, რომ ჭეშმარიტი ღმერთია. სწორედ იმიტომ არ გვსჯის, რომ ღმერთია და არა — ადამიანი.

(აქ უილ ატკინსმა გვითხრა, როგორ შეაძრწუნა იმის გა-ფიქრებამ, რომ ცოლს ცხადად უთხრა, ღმერთი ყველაფერს ხედავს, ისიც კი ესმის, რასაც გულში გავიფიქრებთ, და ყველა ჩვენი ნამოქმედარი იცისო, თავად კი ასეთი საძრახისი საქმე-ები ჩაიდინა.)

ცოლი — გულმოწყალეა? ასე ამბობთ, ხომ?

უ.ა. — ის მამაა ჩვენი და შემოქმედი, ვებრალებით და გვიცავს.

ცოლი — რაკი ის არა გკლავთ და არა გიბრაზდებათ, რო-ცა ასე ცუდად იქცევით, მაშინ ისიც თქვენსავით ცუდია ან უძ-ლური.

უ.ა. — არა, არა, ჩემო კარგო, ის უსაზღვროდ კეთილი და ძლევამოსილია და თავისუფლად შეუძლია ჩვენი დასჯა. ზოგ-ჯერ, თავისი სამართლიანობა რომ გვიჩვენოს, რისხვას ატეხს

თავს ცოდვილთ და ანადგურებს. ბევრიც ამის შემყურე აღარ სცოდავს.

ცოლი — მაგრამ არ გკლავთ. იქნებ გეუბნებათ, არა მოგკლავო და მასთან შეთანხმებით ისევ ცუდად იქცევით. არა ბრაზდება შენზე, მაგრამ სხვაზე ბრაზდება.

უ.ა. — არა, ჩემი ცოდვები ჩემი უზნეობით ჩავიდინე, დანარჩენი კი მისი ნებაა, და ძალიანაც სამართლიანი იქნება, თუ მეც ისევე გამანადგურებს, როგორც სხვა ცოდვილთ.

ცოლი — და მაინც არ მოგკლა. შენ კი სანაცვლოდ რა გაუკეთე? მადლობა უთხარი?

უ.ა. — მე უმადური ძალლი ვარ.

ცოლი — რატომ არ შეგქმნა უფრო კარგი? ხომ ამბობ, მან შეგვექმნაო.

უ.ა. — მეც ისევე შემქმნა, როგორც სამყარო. ეს მე გავხდი ცუდი და ვერ დავუფასე სიკეთე. არამზადად ვიქეცი.

ცოლი — მინდა, შენი ღმერთი გამიცნოს. მე არა განვარისხებ, რადგან არა ვაკეთებ ცუდს.

(აქ უილ ატკინსმა მითხრა, გული ჩამწყდა, როცა ამ უმეცარმა საბრალო არსებამ განმიცხადა, თქვენი ღმერთის გაცნობა მინდაო, მე კი, ცოდვილ არამზადას, ღმერთზე ხმის ამოღების რა უფლება მქონდა?! ცოლმა ის კი ვერ გაიგო, რატომ იდანაშაულებდა თავს, თუმცა განუცხადა, თქვენს ღმერთს ვერ ვიწამებ, რაკი შენისთანა დამნაშავე აქამდე არ გაანადგურაო.)

უ.ა. — ჩემო ძვირფასო, ეს შენ გინდა, რომ გასწავლო ღმერთის შეცნობა, და არა ღმერთს — შენი შეცნობა, რადგან მან უკვე შენ შესახებაც იცის და იმ ფიქრების შესახებაც, გულის სილრმეში რაც გაგივლია.

ცოლი — მაშ, თუ იცის, რასაც გეუბნები, ისიც ხომ იცის, რომ მისი შეცნობა მინდა. როგორ შევიცნო ის, ვინც შემქმნა?

უ.ა. — ჩემო კარგო, ეს მან უნდა გასწავლოს, მე არ შემიძლია. მე მხოლოდ ვილოცებ, რომ შეიცნო უფალი. მომიტევე, მაგრამ მე უღირსს რა უფლება მაქვს, შენ გასწავლო?!

(საბრალო ატკინსი ძალიან ააღელვა იმან, რომ მის ცოლს ღმერთის შეცნობა მოუნდა, ამიტომ მუხლი მოიყარა მის წინა-შე და ღმერთს შესთხოვა, ეზიარებინა იგი იესოს მოძღვრების-თვის. ევედრებოდა, მიეტევებინა ჩადენილი ცოდვები და მისი უუნარობა, ჩაეგონებინა ცოლისთვის რელიგიის არსი. ამის შემდეგ ისევ გვერდით მიუჯდა და მისი დარწმუნება განაგრძო. დავინახეთ, როგორ დაუჩოქა და როგორ ჩაჰკიდა ხელები.)

ცოლი — რატომ დაიჩოქე? ხელები რატომ ჩამკიდე? რას ლაპარაკობ? ვის ელაპარაკები? ეს რას ნიშნავს?

უ.ა. — მუხლი იმიტომ მოვიყარე, რომ თაყვანი ვცე ჩემს შემოქმედს. „დიდება შენდა“ ვუთხარი, როგორც შენ თქვი და როგორც თქვენი უხუცესები მიმართავენ თავიანთ კერპ ბენა-მუქის. ეს ნიშნავს, რომ ღმერთს ვევედრები.

ცოლი — რატომ უთხარი „დიდება შენდა“?

უ.ა. — შევევედრე, რომ თვალი აგიხილოს, შეაღწიოს შენს გულში, რომ შეიცნო იგი, და რომ შეგიწყალოს.

ცოლი — ესეც შეუძლია?

უ.ა. — ჰო, მას ყველაფერი შეუძლია.

ცოლი — ახლა მესმის, რასაც მეუბნები.

უ.ა. — ჰო, მისი ნებაა, რომ შევვედრებოდით, და მისი ნებაა, რომ ისმინოს ჩვენი.

ცოლი — მისი ნებაა? ეს როგორ? რანაირად? გესმით, რა-საც გეუბნებათ?

უ.ა. — არა, რას გვეუბნება, არ გვესმის, მაგრამ მრავალ-გზის გამოგვცხადებია სხვადასხვა სახით.

(აქ კი ძალიან გაუჭირდა იმის ახსნა, რომ ღმერთი გვე-ლინება სიტყვით უფლისა და რა არის ეს სიტყვა უფლისა. ბო-ლოს კი ამგვარად აუხსნა)

უ.ა. — ღმერთი შორეულ წარსულში ზოგიერთ გამორჩე-ულ ადამიანს ელაპარაკა, ელაპარაკა ზეციდან ყველაზე მარ-ტივი და გასაგები სიტყვებით. შთააგონებდა მათ თავისი სუ-ლით და მათ ყველა ღვთიური კანონი წიგნად დაწერეს.

ცოლი — ვერ გავიგე. წიგნი სად არის?

უ.ა. — დიდად ვწუხვარ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ეს წიგნი არ მაქვს, თუმცა იმედია, ოდესმე მექნება და წაგაკითხებ.

(აქ ატკინსი ცოლს დიდი სიყვარულით გადაეხვია და თან ენითაუნერელი წუხილი გამოხატა იმის გამო, რომ ეს წიგნი არ ჰქონდა.)

ცოლი — კი, მაგრამ როგორ ასწავლა ამ წიგნის დაწერა?

უ.ა. — იმავე წესით, რა წესითაც ვიცით, რომ ის ღმერთია.

ცოლი — რა წესია ეს? როგორ იცით, რომ ის ღმერთია?

უ.ა. — ის გვასწავლის, მუდამ სიკეთე ვაკეთოთ, სწორად მოვიქცეთ და არ შევცოდოთ, მას უნდა, რომ უკეთესები ვიყოთ და თანაც — ბედნიერები; იგი გვიკრძალავს ყოველგვარ მანკიერებას, რადგან მან კიერება წარმოშობს ბოროტებას.

ცოლი — გავიგე, ყველაფერს მივხვდი. ის გვასწავლის სიკეთეს, თვითონაც კეთილია, ესმის, როცა ვთქვა „დიდება შენდა“, შენ როგორც უთხარი. კეთილს გამხდის, თუ მინდა, რომ კეთილი ვიყო. დამიცავს, არ მომკლავს, თუ შევცდები. და ის დიადი ღმერთი, მე მწამს ეს ღმერთი და შენთან ერთად ვეტყვი, ძვირფასო, „დიდება შენდა“.

აქ უკვე ვეღარ მოითმინა გულაჩუყებულმა საბრალო ატკინსმა, ცოლი წამოაყენა და ერთად მოიყარეს მუხლი. ევედრებოდა უფალს, რომ მას ეწამა ღმერთი, რომ განგებას მათთვის ბიბლია ებოძა, რათა ზიარებოდა უფლის სიტყვას. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა დავინახეთ, რომ წამოაყენა და მერე ერთად დაიჩოქეს.

როგორც ჩანს, მერე კიდევ არაერთხელ უსაუბრიათ ღმერთზე. ცოლმა პირობა ჩამოართვა, რაკი თავადაც აღიარე, უკეთურად ვცხოვრობდიო, შეიცვლები და არ განარისხებ უფალს, რადგან მაშინ უფალი მოგკლავს და მე მარტო დავრჩები და ვეღარასდროს შევიცნობ ღმერთს და შენც უბედური იქნები, როგორც — და ეს თავად თქვი — უბედურები არიან ცოდვილნი სიკვდილის შემდეგაც.

ატკინსის ნაამბობი უცნაური იყო, მაგრამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით — ახალგაზრდა მღვდელზე. გაოცებული იყო, თუმცა ამ ქალთან ლაპარაკი არ შეეძლო, რადგან ინგლისური მან არ იცოდა, ქალიც დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობდა და ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ, მაგრამ მღვდელი მე მომიბრუნდა და მითხრა, ამ ქალს მეტი დახმარება სჭირდება, ვიდრე მხოლოდ ქორწინებაო. ვერ მივუხვდი და ამიხსნა, რომ ნათლობას გულისხმობდა. დავეთანხმე და ვიფიქრე, რომ ახლავე მონათლავდა.

— არა, სერ, აქ მოთმინებაა საჭირო, — მითხრა მან, — ისე, მეც ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა მოინათლოს, მაგრამ მაინც მინდა დავრწმუნდე, რომ მის ქმარს უილ ატკინსს გულით სწადდა, იგი ქრისტიანობისთვის ეზიარებინა და დაარწმუნა ღმერთის არსებობაში. მაინტერესებს, ესაუბრა თუ არა ღვთის ძალაზე, სამართლიანობასა და გულმოწყვალებაზე, იესო ქრისტეზე, ღვთის რწმენაზე, ნმინდა სულსა და განკითხვის დღეზე.

ისევ დავუძახე ატკინსს და ვკითხე, ის კი, საცოდავი, ცრემლმორეული გამოტყდა, — მსგავსი არაფერი მითქვამს, რადგან თავად სინდისგარეცხილი ცოდვილი კაცი ვარო. შიშობდა, რომ მისი ცოლი, რომელმაც ეს იცოდა, უნდობლობით მოეკიდებოდა ქრისტიანულ რელიგიას, თუმცა იმავდროულად გვარწმუნებდა, რომ მისი გული და გონება გახსნილი იყო ქრისტიანობის მისაღებად და თუ მე დაველაპარაკებოდი, დავრწმუნდებოდი, რომ მართლაც ასეა.

ახლა ატკინსის ცოლი ვიხმე და თარჯიმნობა ვიკისრე მისი და მღვდლის საუბრისას. მაგრამ შევატყვე, რომ მღვდლის ქადაგება ზუსტად იმეორებდა იმას, რასაც ბოლო ნლებში რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურნი ქადაგებდანენ, ამიტომაც ვუთხარი, რომ დიდად ვაფასებდი მისი, როგორც ჭეშ-

მარიტი ქრისტიანის ცოდნასა და გულწრფელობას, მაგრამ ვთხოვე, იმ კათოლიკე ეპისკოპოსთა მსგავსად ექადაგა, რომ-ლებიც მანამდე ქადაგებდნენ, სანამ რომის ეკლესია ადამიანთა სულებზე გაბატონდებოდა. მან სულ რამდენიმე სიტყვით აზიარა ღვთის რწმენას ქალი, რომელმაც გაოცებულმა და გახარებულმა ირწმუნა ღმერთი და მისდამი ისეთი სიყვარული გამოავლინა, რომელსაც თუ წარმოიდგენთ, თორემ აღნერა შეუძლებელია. ამის შემდეგ, თავადვე ითხოვა, მომნათლეთო, და მოინათლა კიდეც.

ნათლობის რიტუალის დაწყებამდე მღვდელს ვთხოვე, სიფრთხილე გამოეჩინა და დიდად არ წარმოეჩინა რომის კათოლიკური ეკლესიისადმი თავისი კუთვნილება, რათა ამას უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლოდა, რადგან სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ვიყავით. ამაზე მიპასუხა, აქ არც სამრეკლო გვაქვს და არც ნათლობისას საჭირო სხვა საეკლესიო ნივთები, ამიტომ გამიჭირდება კიდეც ჩემი კათოლიკეობის გამოვლენაო. ამიტომ შემდეგნაირად მოიქცა: ჯერ ლათინურად აღავლინა ლოცვა, მერე ქალს თავზე თასით წყალი გადასხა, ფრანგულად წარმოთქვა სახელი „მარი“, რომელიც მე როგორც ნათლიამ დავანათლე მისი ქმრის თხოვნით, და წარმოთქვა: „ნათელ იღე სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა“, ასე რომ, ვერავინ მიხვდა რომელი ეკლესიის წარმომადგენელი იყო. ბოლოს ლათინურად დალოცა, ატკინსი კი ან მიხვდა, რომ ფრანგული არ იყო, ან საერთოდ არ მიაქცია ყურადღება.

ამის შემდეგ ტაქორნინდნენ. ცერემონიის შემდეგ მღვდელი ატკინსს მიუბრუნდა და სთხოვა, არ დავიწყებოდა თავისი დანაპირები და შეეცვალა თავისი ცხოვრება, რადგან შონანიებას არავითარი აზრი არ ექნებოდა, თუკი შემდგომშიც ჩაიდენდა დანაშაულს, და უთხრა, რომ ღმერთის წყალობით, მან თავისი ცოლი ქრისტიანად მოაქცია და სიფრთხილე მართებ-

და, რომ უფლის სახელი არ შეებლალა. მერე ორივეს ბევრი სიკეთე უსურვა და დალოცა. ეს ყველაფერი ინგლისურად ვუ-თარგმნე და ცერემონიაც დასრულდა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო. მაგრამ მღვდელს ოცდაჩვიდმეტი ველურის გაქრისტიანების სურკილი არ ასვენებდა და სიამოვნებით დარჩებოდა კუნძულზე, რომ ეს სისრულეში მოეყვანა, მაგრამ დავარწმუნე, რომ, ჯერ ერთი, მისი დარჩენა შეუძლებელი იყო, და მეორე, აღვუთქვი, რომ ამ საქმეს უმისოდაც მოვაგვარებდი, რამაც სავსებით დააკმაყოფილა.

როგორც კი კუნძულზე ყველა საქმე მოვაგვარე და ხომალდზე დაპრუნებას ვაპირებდი, ის ყმაწვილი გამომეცხადა, მოშიმშილეთა გემიდან რომ ავიყვანე; მოვიდა და მითხრა, როგორც შევიტყვე, აქ მღვდელი გყოლიათ და ინგლისელები ველურებზე დაგიქორნინებიათ; მეც მყავს წყვილი, რომელსაც ასევე უნდა, რომ დააქორნინოთ, სანამ გაემგზავრებით და იმედია, წინააღმდეგი არ იქნებით, რადგან ორივე ქრისტიანიათ.

მივხვდი, რომ ეს დედამისის მსახური ახალგაზრდა ქალი იქნებოდა, რადგან კუნძულზე სხვა ქრისტიანი ქალი არავინ მეგულებოდა, ამიტომ დავუწყე გადარწმუნება, ცოლად არ შეერთო, რადგან ის ჯერ ერთი, ღარიბი იყო, თანაც — მსახური და სოციალური მდგომარეობით არ შეეფერებოდა, და მეორეც, ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლის მაინც იქნებოდა, როცა თავად, ჩვიდმეტი თუ თვრამეტის იყო. მერე კი, ამ კუნძულიდან თავს რომ დააღწევს და სამშობლოში დაპრუნდება, იქნებჩემი დახმარებითაც, შეიძლება, სანანებელი გაუხდეს; კიდევ მეტის თქმასაც ვაპირებდი, მაგრამ შემაწყვეტინა და თავაზიანი ლიმილით მითხრა, რომ ჩემი ვარაუდი მცდარი იყო და ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია; ის კი დიდად ესიამოვნა, რომ უკანა გზაზე აქ გამოვლას და ინგლისში მის წაყვანას ვაპირებდი; ისიც თქვა, რომ კუნძულზე დარჩენას არც იფიქრებდა, მაგრამ

წინ ისეთი ხანგრძლივი და სახიფათო მოგზაურობა მელოდა, რომ ასე ამჯობინა; მითხრა, პატარა მიწის ნაკვეთს თუ გამომიყოფთ და ერთ-ორ მსახურს მომცემთ, სანამ აქ ვიქნები, მეურნეობას ავანწყობო; მერე მთხოვა, — იმედია, უარს არ მეტყვით და ჩემს მეგობრებს ლონდონში წერილებს ჩაუტანთ, რათა შეიტყონ, რამდენი სიკეთე გამიკეთეთ და სად და როგორ დამტოვეთო; ის მეურნეობა კი, რომელსაც აქ გავმართავ, მთლიანად თქვენი იქნება მას შემდეგ, რაც უკანა გზაზე აქედან წამიყვანთო.

თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად სათქმელი ისე თავაზიანად და ტაქტიანად ჩამოაყალიბა, რომ ფრიად კმაყოფილი დავრჩი, მით უმეტეს, როცა შევიტყვე, რომ დაქორწინებას თვითონ არ აპირებდა. ჩემი მხრიდან შევპირდი, რომ თუ მშვიდობით დავბრუნდებოდი ინგლისში, მის წერილებს უთუოდ ჩავიტანდი და მის საქმესაც მივხედავდი, თან დავაიმედე, რომ არ დამავიწყდებოდა, რა ვითარებაში დავტოვე კუნძულზე. ერთი სული მქონდა გამეგო, ვინ იყო ის კაცი, ვინც დედამისის მსახურ სიუზენზე დაქორწინებას აპირებდა. ეს ჩემი ხელმარჯვე ოსტატი აღმოჩნდა, რამაც ძალიან გამახარა. ეს პიროვნება ადრე უკვე დაგიხასიათეთ და ახლა მსახურ ქალზე მოგახსენებთ: ძალიან პატიოსანი, მორწმუნე, მოკრძალებული და გონიერი ახალგაზრდა ქალი იყო, საკმაოდ ლამაზი და დახვენილი მანერებით, გამრჯე და კარგი დიასახლისი, იმდენად, რომ მთელი კუნძულის მეურნეობასაც კი ჩააბარებდა კაცი; არც სიტყვა ეშლებოდა და არც ქცევა.

წყვილი იმავე დღეს დავაქორწინეთ. საკურთხეველთან მამის მაგივრად მე მივაცილე და მზითევიც მივეცი ანუ მასა და მის ქმარს დიდი მიწის ნაკვეთი გამოვუყავი სახნავ-სათესად და რაკი ახალგაზრდა ჯენტლმენმაც მთხოვა მიწის ნაკვეთი, ისე მომიწია გაყოფამ, რომ შემდგომში მათ შორის უსიამოვნება არ მომხდარიყო.

კოლონისტებს შორის მიწის ნაკვეთების დანაწილება უიღა ატკინსს მივანდვე. მისგან გულმოდგინე, გამრჯე და სერიოზული მმართველი ჩამოყალიბდა, თანაც მჯეროდა, რომ ყველაფერი გულწრფელად მოინანია; მან სამართლიანად გაანაწილა მიწებიც და ჩატანილი ნივთებიც ისე, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩენილა; ყველას ქონებრივი უფლებები და მიწის საზღვრები აისახა დოკუმენტში, რომელსაც ხელი მოვაწერე და, რომლის თანახმადაც, კუნძულის დაუსახლებელი მიწები ჩემს საკუთრებაში დარჩა. ამავე დოკუმენტით, მემკვიდრეობის უფლებით, სრულ მფლობელობაში გადავეცი პლანტაციებიც და ფერმებიც იმ პირობით, რომ მიხედავდნენ და განავითარებდნენ მეურნეობას, მე კი იჯარას გადამიხდიდნენ თერთმეტი წლის შემდეგ, თუკი მე ან ჩემი წარგზავნილი პირი მოითხოვდა. რაც შეეხება კუნძულის მართვის ფორმასა და კანონებს, ვუთხარი, რომ ამას ჩემზე უკეთ თავად დაადგენდნენ, ერთადერთი იმის პირობა ჩამოვართვი, რომ თანხმობით იცხოვრებდნენ და ერთმანეთს კარგ მეზობლობას გაუწევდნენ. ამის შემდეგ კი კუნძულის დატოვება გადავწყვიტე.

კიდევ ერთი რამ არ მინდა გამომრჩეს, კერძოდ ის, რომ კუნძულზე ყველა თანხმობით ცხოვრობდა და ყველას ბევრი საქმე ჰქონდა საკეთებელი, მაგრამ ოცდაჩვიდმეტი ინდიელი კუნძულის მიყრუებულ ადგილას განმარტოებით ცხოვრობდა, სრულიად უსაქმოდ; თუ იმას არ ჩავთვლით, რომ გარკვეული წვალებით უხდებოდათ საკვების მოპოვება, არც რამე საქმე ჰქონდათ და არც არაფერი ებადათ. ამიტომ, კუნძულის მმართველ ესპანელს დავავალე, პარასკევას მამასთან ერთად წასულიყო და დაერწმუნებინა ისინი, რომ დანარჩენებს ხვნათესვაში ან მოსავლის აღებაში დახმარებოდნენ, ან ახალმოსახლეთა სახლებში მოსამსახურეებად განაწილებულიყვნენ, ოღონდ გავაფრთხილე – არავითარ შემთხვევაში არ ექციათ ისინი მონებად, რადგან თავისუფლება იმით დაიმსახურეს, რომ დანებდნენ, და ეს პირობა არ უნდა დაერღვიათ.

ინდიელები ხალისით დათანხმდნენ; სამ-ოთხ მათგანს მინის ნაკვეთებიც გამოვუყავით ქოხების ასაგებად და სახნავ-სათესად; დანარჩენები კი რამდენიმე ოჯახმა მსახურებად დაიყენა. ამგვარად, ჩემი კოლონია ასე გამოიყურებოდა: ეს-პანელებს ჩემი თავდაპირველი საცხოვრებელი ეკავათ, რომელიც დედაქალაქად ითვლებოდა, თავიანთი ყანები კი ნაკა-დულის გაყოლებაზე აღმოსავლეთისკენ გააფართოეს, სადაც ჩემი ფანჩატური იდგა; ინგლისელები ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, სადაც თავიდან უილ ატკინსი და მი-სი მეგობრები დასახლდნენ, და სამხრეთისა და სამხრეთ-და-სავლეთისკენ ფართოვდებოდნენ; თითოეულ მოსახლეს, თუ დასჭირდებოდა, შეეძლო ნაკვეთის გაფართოება ისე, რომ ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ. კუნძულის დასავლე-თი ნაწილი დაუსახლებელი რჩებოდა, ასე რომ, ველურები რომც გადმომსხდარიყვნენ თავიანთი ჩვეული ბარბაროსუ-ლი ნადიმის გასამართავად, თავისუფლად შეეძლოთ მოსვლა და წასვლა, თუ არავის შეანუხებდნენ; ასეც ხდებოდა, ხშირად გადმომსხდარან და უკან წასულან, და ერთხელაც არ მსმენია, რომ ახალმოსახლეთ თავს დასხმოდნენ.

კუნძულიდან ბრაზილიისკენ გამგზავრება

ასეთ ვითარებაში ჩემს მეგობარ მღვდელს ვახარე, რომ ველურების გაქრისტიანება, რაც სულითა და გულით ეწადა, მის ჩაურევლადაც ბუნებრივად და წარმატებით მოხდებოდა, რადგან ისინი საცხოვრებლად ქრისტიანებთან დანაწილდებოდნენ.

მღვდელი დამეთანხმა, თუმცა დაინტერესდა, როგორ მოხერხდებოდა ეს ამბავი. ვუთხარი, რომ ყველას შევკრებდით და ამას დავავალებდით. ბოლოს გადაწყდა, რომ ესპანელებს ის დალაპარაკებოდა, რადგან კათოლიკები იყვნენ, მე კი პროტესტანტ ინგლისელებთან წავედი. ყურადღებით მოგვისმინეს და შეგვპირდნენ, რომ ინდიელებს ქრისტიანულ რჯულზე მოაქცევდნენ, ღმერთისა და მაცხოვრის რწმენას აზიარებდნენ და ამ პროცესში არანაირად არ მიაქცევდნენ ყურადღებას, ვინ კათოლიკე იყო და ვინ — პროტესტანტი, გარდა ამისა, არასდროს იკამათებდნენ ერთმანეთში რელიგიის საკითხებზე.

უილ ატკინსთან შინ რომ მივედი, სასიამოვნოდ გამაოცა იმან, რომ ის ლრმად მორწმუნე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ადრე ვახსენე, და ატკინსის ცოლი დამეგობრებულიყვნენ და წარმატებით დაეგვირგვინებინათ ის საქმე, ატკინსმა რომ დაიწყო, თუმცა მხოლოდ ოთხი დღე იყო გასული, რაც ისინი ერთმანეთს გავაცანი. ატკინსის ველური ცოლი ისეთი მორწმუნე და ლვთის მოშიში დამხვდა, რომ მსგავს შემთხვევას არც თავად შევსწრებივარ და არც ოდესმე მსმენია. იმ დილით, სანამ მათთან წავიდოდი, სხვა საჭირო ნივთებთან ერთად ბიბლიაც წავიღე, რომელიც ლისაბონიდან ჩემმა ახლობელმა ქვრივმა გამომიგზავნა ასი გირვანქა სტერლინგის ლირებულების ტვირთთან ერთად. ეს კეთილი ქალი ვერც კი წარმოიდგენდა

რამხელა სიკეთე გასწია იმით, რომ ამანათში სამი ბიბლია და ლოცვების წიგნი ჩაუდვია.

ერთი ბიბლია ჯიბეში მოვათავსე და ატკინსის სახლს რომ მივუახლოვდი, ის გამომევება და გახარებულმა მაცნობა, ახალგაზრდა ქალი და ჩემი მონათლული ცოლი რელიგიაზე საუბრობენო; მერე შინ შემიძლვა. ქალები მართლაც ისხდნენ და შთაგონებული სახეებით საუბრობდნენ;

— შეხედეთ, სერ, — მომმართა ატკინსმა, — მე, ყოვლად უღირსსა და ცოდვილს, ღმერთმა მომივლინა ეს ქალი, რომელმაც სასწაულებრივად მოაქცია ჩემი ცოლი ჭეშმარიტ რჯულზე, რასაც მე, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი, და მას მთელი კუნძულის ველურების მოქცევაც არ გაუჭირდება.

ამ სიტყვებზე ქალს სახე აეფაკლა და წასასვლელად წამოდგა, მაგრამ ვთხოვე, დარჩენილიყო და ვუთხარი, რომ ღვთის სასიკეთო საქმეს აკეთებს და ამიტომ უფლის წყალობა არ მოაკლდება.

ხანმოკლე საუბრის შემდეგ ჯიბიდან ბიბლია ამოვილე და ატკინსს ვუთხარი:

— აი, ის, რაც ყველაფერში დაგეხმარებათ.

ატკინსი ჯერ შეცბა, მერე ორივე ხელით სათუთად გამომართვა და ცოლს მიუბრუნდა:

— აი, ძვირფასო, აკი გითხარი, რომ ღმერთი, თუმცა მაღლა ცაშია, ყველაფერს იგებს, რასაც ვამბობთ და რასაც ვფიქრობთ. ეს სწორედ ის წიგნია, რომელსაც მაშინ ვევედრებოდი, იქ, ტყეში დაჩოქილები რომ ვლოცულობდით. ჰოდა, შეისმინა ჩემი ვედრება.

წარმოთქვა თუ არა ეს, სიხარულისა და მადლიერებისგან ბავშვივით ატირდა.

ქალიც გაოგნებული იყო და ოდნავაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ღმერთმა ეს წიგნი მისი ქმრის თხოვნით მოუვლინა. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო, მაგრამ იმ წუთებში საბრალო

ქალს იმაშიც ადვილად დაარწმუნებდი, რომ ღმერთმა ციდან ანგელოზი სპეციალურად გამოგზავნა, რომ ეს წიგნი გამოეტანებინა. მაგრამ უცებ დავფიქრდი, რომ არც ის ივარგებდა, ახალმონათლულს მუდამ ამგვარი სასწაულების იმედი ჰქონდა, და ახალგაზრდა ქალს ვთხოვე აეხსნა, რომ არ ღირდა ღვთის წყალობის ასე პირდაპირ გაგება.

ახალგაზრდა ქალმა შემდგომში ეს ჩემი თხოვნა ისე წარმატებით შეასრულა, რომ ღვთისმსახურის ჩარევა სულაც არ გამხდარა საჭირო; უილ ატკინსის განცდების აღწერა კი მართლაც შეუძლებელია; მერწმუნეთ, რომ ამ შემთხვევაში, ეს სულაც არ იყო მოჩვენებითი. არა მგონია, ოდესმე ვინმე ასე მადლიერი და გახარებული ყოფილიყო ბიბლიის ჩუქების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცოდვებით დამძიმებული, თავნება, დაუნდობელი და გულბოროტი კაცი იყო, თუმცა ის ყველა ჩვენგანისთვის იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის სწორად აღზრდა, კერძოდ კი მშობლებმა არასდროს არ უნდა შეწყვიტონ შვილების სწავლება და აღზრდა, თუნდაც თავიანთი ძალისხმევის წარმატების იმედი გაუცრუვდეთ, თუნდაც შვილები ჯიუტად უწევდნენ წინააღმდეგობას, რადგან თუ მათ ცნობიერებას ოდესმე ღვთაებრივი ჩანაფიქრი შეეხება, წარსულში მიღებული განათლება თავისას იზამს, მეხსიერებაში წლების მანძილზე მიძინებული მშობელთა შეგონებანი წამოუტივტივდებათ და უთუოდ მოუტანს სარგებლობას. ამ საბრალოსაც ასე მოუვიდა: რაც უნდა უმეცარი ყოფილიყო რელიგიური თუ ქრისტიანული ცოდნის თვალსაზრისით, აღმოაჩინა, რომ კიდევ უფრო დიდ უმეცრებასთან შეხებისას კეთილი მამის დარიგებანი, მეხსიერებაში რომ ამოუტივტივდა, ახლა ძალიან გამოადგებოდა.

ატკინსს ისიც გაახსენდა, როგორი დაბეჯითებით ჩააგონებდა მამამისი ბიბლიის უდიდეს მნიშვნელობას, იმ სიკეთე-

სა და მადლს, ამ საღვთო წიგნს რომ მოაქვს ხალხებისთვის, ოჯახებისა და ცალკეული ადამიანებისთვის; თუმცა, მამის ეს შეგონებანი მანამ არ გახსენებია, სანამ წარმართებთან, ველურებთან და ბარბაროსებთან საუბარმა არ მოუწია და საამისოდ წმინდა წიგნის დახმარება არ დასჭირდა. ახალგაზრდა ქალმაც ძალიან გაიხარა, თუმცა მას თავისი ბიბლიაც ჰქონდა, მაგრამ მისი ბარგი ნაპირზე ჯერ არ გადმოეტანათ. ამ ახალგაზრდა ქალზე უკვე ბევრი რამ ვთქვი, მაგრამ არ შემიძლია, კიდევ ერთ ამბავს არ მოგიყვეთ, რომელიც ძალზე საყურადღებოდ და ჭკუის სასწავლებლად მიმაჩნია.

ის უკვე გიამბეთ, თუ რა უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი ახალგაზრდა ქალი; როგორ გარდაიცვალა შიმშილით მისი ქალბატონი იმ დაწყევლილ ხომალდზე, რომელსაც ზღვაში გადავაწყდით, და რა უკანასკნელ დღეში იყო გემის მთელი ეკიპაჟი. კეთილშობილ ქალბატონს, მის ვაჟსა და მოსამსახურეს თავიდან კი აძლევდნენ ცოტა საჭმელს, მაგრამ შემდეგ სრულიად შეუწყვიტეს და ისინი შიმშილის უკიდურეს ზღვრამდე იყვნენ მისული. ერთხელაც, როცა ხომალდზე შექმნილ საშინელ მდგომარეობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ვკითხე, ხომ არ შეეძლო აღენერა, რას გრძნობდა, რას განიცდიდა შიმშილობისას და საერთოდაც როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? მიპასუხა, შემიძლიაო, და ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბა:

— თავიდან, რამდენიმე დღე ძალიან გაგვიჭირდა — ცუდად ვიკვებებოდით და შიმშილის გრძნობა გვტანჯავდა; ბოლოს სულ ულუკმაპუროდ დავრჩით, შაქრის, ცოტაოდენი ლვინისა და წყლის ამარა. პირველ დღეს, როცა არაფერი მქონდა ნაჭამი, საღამო ხანს მშიერი კუჭი ამტკივდა, ღამით კი მთქნარება ამიტყდა და ძილი მომერია. დიდ კაიუტაში წამოვწექი ტახტზე და დაახლოებით სამი საათი მეძინა. ცოტა დასვენებულმა გავიღვიძე, დაწოლის წინ ერთი ჭიქა ლვინო მქონდა დალეული. დაახლოებით სამი საათის გაღვიძებული

ვიყავი, დილის ხუთი საათი იქნებოდა, და კუჭი, რომელშიც ლუკმა არ ჩამსვლია, საშინლად ამტკივდა; ისევ დავწექი, მაგრამ ვეღარ დავიძინე, ძალიან ვიყავი მისუსტებული და თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. მეორე დღეც ასევე გავატარე, ისევ შიმშილი, ისევ შეუძლოდ ყოფნა, და ამას კიდევ გულისრევის შეგრძნებაც დაემატა.

მეორე ლამით, როცა იძულებული გავხდი, საჭმლის ნაცვლად ერთ ყლუპ წყალს დავჯერებოდი, დავიძინე და დამესიზმრა, რომ ბარბადოსში ვიყავი ბაზარში, რომელიც სურსათ-სანოვაგით იყო სავსე. ცოტა სანოვაგე ჩემი ქალბატონისთვის ვიყიდე, მივუტანე და გემრიელადაც ვისადილეთ. მეგონა, რომ კარგად ვიყავი დანაყრებული, როგორც ეს გემრიელი სადილის შემდეგ ხდება ხოლმე; მაგრამ რომ გამეღვიძა, ძალიან ავნერვიულდი, რადგან უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩენდი. უკანასკნელი ჭიქა ღვინო მე დავლიე და შიგ შაქარიც ჩავუმატე, რომ ცოტა ნოყიერი ყოფილიყო, მაგრამ კუჭში მოსანელებელი არაფერი მქონდა, ღვინის დალევის ერთადერთი შედეგი ის აღმოჩენდა, რომ ღვინო თავში ამივარდა და ვიწექი, როგორც მერე მითხვეს, გაბრუებული, თითქოს კარგა ბლომად დამელიოს. მესამე დღეს, გამთენისას, უცნაური და არეულ-დარეული სიზმრების ნახვის შემდეგ, როცა უფრო ვთვლემდი, ვიდრე მეძინა, ძალიან მშიერმა და აღელვებულმა ვავიღვიძე; და დამებადა კითხვა, ცნობიერება რომ არ დამბრუნებოდა, დედა რომ ვყოფილიყავი და პატარა ბავშვი რომ მყოლოდა, ამ ბავშვის სიცოცხლეს ხომ საფრთხე დაემუქრებოდა. ასეთი მდგომარეობა დაახლოებით სამ საათს გამიგრძელდა, ამასობაში, თურმე ნამდვილი შეშლილივით ვიქცეოდი, როგორც ეს ჩემმა ახალგაზრდა ბატონმა მითხვა, და ახლა შეუძლია, თქვენც დაგიდასტუროთ.

ამ სიგიურისა და შეშლილობის ერთ-ერთი შეტევის დროს დავეცი, სახე იმ სანოლის კუთხეს ჩამოვარტყი, რომელზეც

ჩემი ქალბატონი იწვა და ცხვირიდან ბლომად სისხლი წამ-სკდა, რომელიც იუნგას მოტანილ პატარა თასში ჩავღვარე; ეტყობა, სისხლდენამ გონს მომიყვანა და თავი უკეთ ვიგრძენი; თითქოს შიმშილმაც გამიარა; მერე ისევ ცუდად გავხდი და გულისრევის შეგრძნება დამეუფლა, თუმცა გულს ვერ ვირევ-დი, რადგან კუჭი ცარიელი მქონდა. სისხლი რომ დავკარგე, გარკვეული ხნის შემდეგ გული შემიღონდა და ყველას ეგონა, რომ მოვკვდი; მაგრამ მალევე მოვედი გონს და საშინელი, ენი-თაუწერელი კუჭის ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ ეს კუჭის ტკი-ვილი კი არ იყო, არამედ — შიმშილის აუტანელი გრძნობა. კი-დევ ერთი ყლუპი შაქრიანი წყალი დავლიე, მაგრამ უცებ ამო-ვალებინე; მერე ერთი ყლუპი უშაქრო წყალი მივაყოლე და შე-მერგო; დავწექი და გულმხურვალედ ვლოცულობდი, ღმერთს ვევედრებოდი, წავეყვანე, და ამ ფიქრებში მიმეძინა, ხოლო როცა გამეღვიძა, მეგონა, რომ ვკვდებოდი; სული ღმერთს მი-ვანდვე და გულწრფელად ვნატრობდი, ნეტავ, ვინმემ ზღვაში გადამაგდოს-მეთქი!..

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ქალბატონი ჩემ გვერ-დით იწვა და მეგონა, რომ სულს ღაფავდა, მაგრამ ის ჩემზე მეტი მოთმინებით იტანდა შიმშილს; პურის უკანასკნელი ნა-ჭერიც შვილს, ჩემს ახალგაზრდა ბატონს მისცა, რომელიც არ ართმევდა, მაგრამ დედამ აიძულა, რომ ეჭამა; დარწმუნებული ვარ, ამან გადაარჩინა. დილისთვის ისევ ჩამეძინა და როცა გა-მომეღვიძა, ძალიან მომინდა მეტირა, რადგან შიმშილს ვეღარ ვუძლებდი; ტანჯვით გავიღვიძე, ლამის ხელები დამეჭამა; ბოლოს ის თასი დავინახე, რომლეშიც წინადღეს ცხვირიდან წამსკდარი ჩემი სისხლი ესხა, ვეცი და ისე ხარბად დავეწაფე, თითქოს მეშინოდა, ვინმეს არ წაერთმია და თავად არ დაელია. კუჭში რომ ჩამივიდა, თუმცა თავში საშინელი აზრები მიტ-რიალებდა, შიმშილი შემიმსუბუქდა. კიდევ ერთი ყლუპი წყა-ლი დავლიე და რამდენიმე საათის განმავლობაში თავს უკეთ

ვგრძნობდი. ეს მეოთხე დღე იყო. და ასეთი მდგომარეობა დაღამებამდე გაგრძელდა, როცა სამი საათის შემდეგ ყველა-ფერი თავიდან გამიმეორდა, ანუ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, ძილი მერეოდა, გონება მებინდებოდა, ტირილი მინდებოდა და ისევ შიმშილი მტანჯავდა; ასე მემართებოდა თხუთმეტ წუთში ერთხელ და თანდათან ძალა მელეოდა; ღამით რომ დავწექი, ცუდად ვიყავი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ დილამდე ვერ მივაღწევდი.

მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალი; შიმშილი მძიმე ავად-მყოფობად მექცა; ხან სად მჭვალავდა, ხან — სად; ნაწლავებს ბუყბუყი გაჰქონდა; ასე გაგრძელდა დილამდე, როცა ჩემი ახალგაზრდა ბატონის ყვირილი და მოთქმა ჩამესმა, რომელ-მაც გამომძახა, დედა მიმი მოკვდაო. ძლივს ოდნავ წამოვდექი, რადგან სრულიად დაუძლურებული ვიყავი, და დავინახე, რომ ქალბატონი ცოცხალი იყო, თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობოდა. ამ დროს მეც საშინელი შეტევა დამეწყო, შიმშილისგან ისე ვიტანჯებოდი, როგორც წამებით სიკვდი-ლისას იტანჯება ადამიანი; და უეცრად ზემოდან მეზღვაუ-რების ყვირილი შემომესმა: „გემი! გემი!“ — გაჰყვიროდნენ და ისე დახტოდნენ და ლრიალებდნენ, თითქოს ყველა ერთად გაგიჟებულიყო. წამოდგომის ძალაც არ მქონდა, ჩემი ქალბა-ტონი ჩემზე უარესად იყო; ახალგაზრდა ბატონი კი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, მეგონა, კვდებოდა; არც ერთს არ შეგვეძლო კაიუტის კარის გაღება, რათა გაგვეგო, რამ გამო-იწვია ასეთი ლრიანცელი. თორმეტი დღე არ დავლაპარაკე-ბივართ გემის ეკიპაჟს, რომელმაც გვითხრა, ერთი ნამცეცი საჭმელიც კი აღარ გვაქვსო, და როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ეგონათ, რომ დავიხოცეთ. ასეთ შემზარავ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, თქვენ რომ გამოჩნდით და გვიხსენით; ხოლო როგორ გვიპოვეთ, ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

ასეთი იყო მისი მონათხრობი, რომელიც იმდენად ზუს-ტად აღნერდა მომაკვდინებელ შიმშილობას, რომ, უნდა გა-

მოვტყყდე, აქამდე მსგავსი არაფერი მსმენია, და ეს ჩემთვის ძალიან საყურადღებო იყო. მინდა მჯეროდეს, რომ ეს ყველა-ფერი სიმართლეა, რადგან ამ ამბის უდიდეს ნაწილს ახალ-გაზრდები მომიყვნენ, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ არც იმ ახალგაზრდა მსახური ქალივით მგრძნობიარე ვარ, მით უმე-ტეს, რომ, როგორც ჩანს, დედამ საკუთარი სიცოცხლის ფა-სად გადაარჩინა თავისი შვილი; საბრალო მსახური კი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ქალბატონი, რომელიც უკვე ასაკოვანი და სუსტი იყო, მისი ორგანიზმი უფრო მედგრად ებრძოდა შიმშილს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მან უფრო ადრე განიცადა აღსასრულის მოახლოება, ვიდრე მისმა ქალბატონმა. ის სრულიად ნათელია, რომ ბედად ჩვენი ან რომელიმე სხვა ხომალდი რომ არ გადაჰყორდათ, რამდენი-მე დღეში მათი სიცოცხლე დასრულდებოდა.

ახლა კი სხვა ადამიანებს დავუბრუნდები. და პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ მრავალი მიზეზის გამო მათ არ უნდა სცოდნოდათ ერთანბიანი პატარა გემის შესახებ, რომე-ლიც აღვჭურვე და მინდოდა, მათთან გამეგზავნა; ვინაიდან მათ შორის დაქსაქსვის მიღრეკილება შევნიშნე, ყოველ შემ-თხვევაში — პირველი ჩასვლისას, და მივხვდი, ერთანბიანი გემი მათთვის რომ დამეტოვებინა, უბრალო უსიამოვნების შემთხვევაში გაუცხოვდებოდნენ ერთმანეთის მიმართ და და-იფანტებოდნენ ან, შესაძლოა, მეკობრეები გამხდარიყვნენ და კუნძული ქურდების თავშესაფრად ექციათ, ნაცვლად წესიე-რი და მორწმუნე ხალხის საცხოვრებლისა, როგორც მე მქონ-და ჩაფიქრებული; არც სპილენძის ორი თოფი დავუტოვე და არც გემბანის ორი სათადარიგო ქვემეხი, ჩემმა ძმისწულმა რომ მომცა; ვფიქრობდი, რომ მათ ხელთ არსებული იარაღი საკმარისი იყო, რათა მხოლოდ თავი დაეცვათ თავდამსხმე-ლებისგან და ერთმანეთს არ დარეოდნენ ან სხვებზე არ მიე-ტანათ იერიში, რაც მათ დალუპავდა და გაანადგურებდა. ამი-

ტომ ხომალდი და იარაღი მათივე სასიკეთო სხვა საქმისთვის შემოვინახე, რომლის შესახებაც სხვა დროს გიამბობთ.

კუნძულზე საქმეები რომ მოვითავე და ყველა მხნედ და წელგამართული დავიგულე, 6 მაისს ხომალდზე დავბრუნდი. კუნძულზე თითქმის ოცდახუთი დღე დავყავი და რაკი ყველამ დარჩენა გადაწყვიტა, სანამ მათ წასაყვანად დავბრუნდებოდი, შევპირდი, — თუ მოვახერხებდი, ბრაზილიიდანაც გავუგზავნიდი დახმარებას, უმთავრესად პირუტყვის — ცხვარ-ძროხისა და ლორების სახით. ის ორი ძროხა და ხბოები, ინგლისიდან რომ წამოვიყვანე, გზაში დავკალით, რადგან მგზავრობა გაგვიგრძელდა და თივა აღარ გვეყო.

მეორე დღეს კუნძულელებთან დამშვიდობების ნიშნად ხუთჯერ გავისროლეთ ზარბაზნიდან, იალქნები გავშალეთ და დაახლოებით ოცდაორ დღეში ბრაზილიის ყველა წმინდანის ყურეს მივადექით. გზად მნიშვნელოვანი არაფერი შეგვმთხვევია, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ზღვაში გასვლიდან მესამე დღეს, საღამო ხანს, ოდნავაც რომ არ უბერავდა ნიავი, თუმცა ძლიერი დინება ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიგვაქანებდა, ეკიპაჟმა ერთი-ორჯერ დაიყვირა, აღმოსავლეთით მიწა მოჩანსო, თუმცა, კონტინენტი იყო თუ კუნძული, ვერ გავარკვიეთ; სწორედ მესამე დღის მშვიდი და წყნარი საღამო იყო, როცა დავინახეთ, რომ ზღვას რაღაც სიშავე მოსდებოდა, თითქოს მიწა იყო მოყრილი. კარგა ხანს ვერ მივხვდით, რა იყო. მერე კაპიტნის თანაშემწემ, რომელიც ანძაზე ავიდა და ჭოვრიტიც მოიმარჯვა, დაიყვირა, ლაშქარიაო; ვერც კი მივხვდი, რას გულისხმობდა და ერთი კარგად შევუკურთხე.

— ტყუილად მიბრაზდებით, სერ, — ჩამომძახა მან. ... ეს მართლაც ლაშქარია ანდა მთელი ფლოტილია. ათასამდე კანოეს ვხედავ, თქვენც შეგიძლიათ დაინახოთ, ერთად არიან შეჯგუფული და ჩვენკენ მოემართებიან.

ცოტა არ იყოს დავიბენი, ჩემი ძმისწული კაპიტანიც შეშფოთდა, რადგან კუნძულზე უამრავი საშინელება მოისმინა

ველურებზე, თანაც ამ ზღვებში მსგავსი რამ არასდროს ყოფილა, ამიტომ აღარ იცოდა, რა ეფიქრა, ერთი-ორჯერ კი ჩაილუდლუდა, ყველას შეგვჭამენო. უნდა გამოვტყდე, რომ უქარობისა და ძლიერი დინების გამო, რომელიც ნაპირისკენ მიგვაქანებდა, მეც გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ მაინც ყველას მოვუნოდე, შიშს არ აჰყოლოდნენ, და გავეცი ბრძანება, ზღვაში ჩასაშვებად ნავები მოემზადებინათ ხომალდის ცხვირთან და კიჩოსთან და მზად ყოფილიყვნენ იმისთვის, რომ ველურები შეიძლება, ხომალდისთვის ცეცხლის წაკიდებას ცდილიყვნენ.

ერთხანს ასეთ მდგომარეობაში ვიცდიდით, ველურთა ნავები კი სულ უფრო გვიახლოვდებოდა. არა მგონია, ვინმე ქრისტიანს ოდესმე ენახა ასეთი შემზარავი ველურები. კაპიტნის თანაშემწენე ნაკების რაოდენობაში შეცდა, სულ ას ოცდაექვსამდე ნავი დავთვალეთ, უმეტესობაში თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი კაცი იყო, ზოგში მეტიც, რამდენიმეში კი — ექვსი-შვიდი. რომ მოგვიახლოვდნენ, შევატყვეთ, რომ ჩვენი დანახვით გაოგნებული იყვნენ, თუმცა გაბედულად მოიწევდნენ წინ; ნავებში მყოფ ჩვენს მეზღვაურებს ვუბრძანე, უფრო ახლოს აღარ მოეშვათ. ბრძანების გაცემა და მათი იერიშზე გადმოსვლა ერთი იყო. ხუთი-ექვსი ნავი პირდაპირ მოადგა ჩვენს ხომალდს; ჩვენებმა ხელით ანიშნეს, უკან დაიხიეთო, ისინიც მიგვიხვდნენ და დაიხიეს, მაგრამ ხუთასამდე ისარი მაინც დაგვიშინეს, ასე რომ, ჩვენი მეზღვაური მძიმედ დაიჭრა. ჩემი ბრძანებით, ცეცხლი არ გაგვიხსნია, ნავებში მსხდომთ კი ფიცრები გადავაწოდეთ, ისრებისგან თავი რომ დაეცვათ, თუკი ისევ დაგვიშენდნენ.

ნახევარ საათში უკან მობრუნდნენ და ისე მოგვიახლოვდნენ, რომ მაშინვე ვიცანი, ჩემი ძველი ნაცნობი ველურები იყვნენ, ისინი, ვისთანაც ადრეც არაერთხელ მომიხდა ბრძოლა. ცოტა ხანში ისევ უკან დაიხიეს, ნავები ჩვენს ხომალდს გაუსწორეს და მერე იმდენად ახლოს მოვიდნენ, რომ ჩვენი ლაპარაკის ხმაც ესმოდათ. ეკიპაჟის წევრებს ვუბრძანე, საბრძო-

ლო პოზიცია დაეკავებინათ და იარაღი დაეტენათ. რაკი ისე ახლოს იყვნენ, რომ ხმას მივაწვდენდით, პარასკევა გემბაზე გამოვიძახე, რომ ველურებისთვის ეკითხა, რა უნდოდათ? ვერ გეტყვით, პარასკევას ნათქვამი გაიგეს თუ ვერა, მაგრამ ყველაზე ახლოს მყოფმა და ყველაზე დიდ ნავში მჯდომმა ექვსმა ველურმა ზურგი გვაქცია, დაიხარა და შიშველი უკანალი მოგვიშვირა; ვერ გეტყვით, ეს რას ნიშნავდა, გამოწვევას, უბრალოდ შეურაცხყოფას თუ ბრძოლის დაწყების ნიშანს, ის კია, რომ პარასკევამ დაგვიყვირა, სროლას აპირებენო, და მაშინვე სამასამდე ისარი დაგვიშინეს; საუბედუროდ, სამი ისარი პარასკევას მოხვდა და იქვე გაათავა, სამიც მასთან ახლოს დაეცა. ჩემდა ჭირად, ეს წყეული ველურები მარჯვე მსროლელები აღმოჩნდნენ.

ჩემი მეგობრისა და უერთგულესი მსახურის სიკვდილმა ისე გამამწარა, რომ მაშინვე ვპრძანე, ხუთი ზარბაზანი პატარა ჭურვებით, ოთხი კი დიდი ჭურვებით დაეშინათ, და ისეთი ცეცხლი გავუხსენით, თავის დღეში რომ არ ენახათ. ჩვენმა მეზარბაზნეებმა ისე ზუსტად დაუმიზნეს, რომ მარტო ერთმა გასროლამ სამი თუ ოთხი ნავი ამოაყირავა. საცოდავი ველურები საშინელმა პანიკამ მოიცვა და თუმცა ბრძოლა უთანასწორო იყო და ასეთი სისასტიკე არ გვმართებდა, მაგრამ თავად დაუნდობლად შემოგვიტიეს და საბრალო პარასკევა მომიკლეს, ასე რომ მიყვარდა და ასე რომ ვაფასებდი; ამიტომ ჩავთვალე, რომ ლირსები იყვნენ, მე კი მართალი ვიყავი ღვთისა და კაცის წინაშე; და რომ შემძლებოდა, ყველა ნავს ამოვუყირავებდი, თითოეული მათგანი რომ დამეხრჩო.

ვერ გეტყვით, ამ შეტაკებაში რამდენი ველური დავხოცეთ და რამდენი დავჭერით, მაგრამ ასეთი თავზარდაცემული და დამფრთხალი ჯერ არავინ მინახავს. ცამეტი თუ თოთხმეტი ნავი ნაფოტებად იქცა, იქ მსხდომი ველურები კი ცდილობდნენ, ცურვით გადაერჩინათ თავი. დანარჩენებმა, შიშით დაზაფრულებმა, უკანმოუხედავად მოკურცხლეს ნაპირისკენ

და თანამოძმენი ბეჭის ანაბარა მიატოვეს. ვფიქრობ, ველურ-თა შორის მსხვერპლი დიდი იყო. მათი წასვლიდან სამ საათ-ში მხოლოდ სამი თუ ოთხი დამსხვრეული კანოე ტივტივებდა, ზღვაში ალარავინ ჩანდა. იმავე საღამოს ქარმაც დაუბერა, იალქნები გავშალეთ და ბრაზილიისკენ ავიღეთ გეზი.

ერთი ველური ტყვედ ავიყვანეთ. მოღუშული იჯდა და და-ნა პირს არ უხსნიდა; არც მუქარა ჭრიდა და არც დაყვავება, ვი-ფიქრეთ, რომ შიმშილით ამოხდებოდა სული. ამიტომ ბრძანება გავეცი, ნავთან მიეყვანათ, რითაც მივანიშნე, რომ ისევ ზღვაში გადავაგდებდით, და ამანაც რომ არ გაჭრა, მართლაც გადავაგ-დეთ. საბრალო, ცურვით მოგვყვებოდა და თავის ენაზე რაღა-ცას გვიყვიროდა. ისევ ამოვაყვანინე, რადგან მისი დახრჩობა არც მიფიქრია.

აფრებგაშლილი ხომალდი ზღვის ტალღებს მიაპობდა, მე კი ქვეყნად ყველაზე უბედურ ადამიანად ვგრძნობდი თავს, რადგან პარასკევა აღარ მყავდა. სიამოვნებით დავბრუნდებოდი კუნძულზე, რომ მისი შემცვლელი შემერჩია, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთი ტყვე გვყავდა და დიდი ხანი დაგვჭირდა, მისთვის რამე რომ გაგვეგებინე-ბინა. ბოლოს, როცა ცოტა მოვარჯულეთ და მეზღვაურებ-მა დამტვრეული ინგლისურით აალაპარაკეს, თუმცა ძლივს ვიგებდით, რას ამბობდა, ისეთ უცნაურ ხმებს გამოსცემდა ხორხიდან, თითქოს ბუკს უბერავენო, და, როგორც იქნა, შე-ვიტყვეთ, რომ თურმე თავიანთ მეფეებთან ერთად საომრად მიდიოდნენ. რომ ვკითხეთ, რამდენი მეფე ჰყავდათ, გვიპა-სუხა, ხუთი ტომი ვართ და ყველას ჩვენ-ჩვენი მეფე გვყავსო; ისიც გავარკვიეთ, რომ ორი ტომის ნინაალმდეგ მიდიოდნენ სალაშქროდ. მერე დავინტერესდით, ჩვენ რატომდა მოგვიახ-ლოვდნენ, რაზეც გვიპასუხა, იმდენად უჩვეულოდ გამოიყუ-რებოდით, რომ დავინტერესდითო. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ინდიელები, ისევე როგორც აფრიკელები, ინგლისურს რომ სწავლობენ, ბოლო ხმოვანს აგრძელებენ და ამიტომ უცნაუ-

რი კილოთი მეტყველებენ; ძალიან გამიჭირდა, რომ პარასკევა გადამეჩვია ამისთვის და ძლივს მოვახერხე.

უკანასკნელად კიდევ უნდა ვახსენო ჩემი საპრალო, საყვარელი პარასკევა. ზარბაზნების თერთმეტი ზალპის თანხლებით, დიდი პატივით მივაბარეთ მისი ნეშტი ზღვას. ასე დასრულდა ქვეყნად ყველზე ერთგული, კეთილშობილი, წესიერი და ალერსიანი მსახურის სიცოცხლე.

ზურგის ქარი უბერავდა, გეზი ბრაზილიისკენ გვეჭირა და სამხრეთის განედის ექვს გრადუსზე ხმელეთს მივადექით, რომელიც ამერიკის ამ ნაწილის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო იყო. ოთხი დღე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გვეჭირა გეზი, წმინდა ავგუსტინეს კონცხს გვერდი ავუარეთ და ოთხი დღე სანაპიროს გასწვრივ ვიცურეთ, მერე კიდევ სამი დღე დაგვჭირდა, სანამ ყველა წმინდანის ყურეში ღუზას ჩავუშვებდით. ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ტყვეობიდან გავთავისუფლდი და ჩემი ბედის წალმა-უკულმა ტრიალი დაიწყო. ამ ნავსადგურში იშვიათად უშვებდნენ ხომალდებს და დიდი წვალება დამჭირდა, ნაპირზე გადასვლის უფლება რომ მიმედო. ვერც ჩემმა კომპანიონმა მიშველა, რომელიც იქ საკმაოდ გავლენიანი კაცი იყო, ვერც ჩემმა ნდობით აღჭურვილმა ორმა კომერსანტმა, ვერც კუნძულზე ჩემი სასწაულებრივი გადარჩენის ამბავმა. მაგრამ ჩემმა კომპანიონმა გაიხსენა, რომ წმინდა ავგუსტინეს მონასტერს ხუთასი ლუიდორი შევწირე, ღარიბ-ღატაკთ — კიდევ ორას სამოცდაჩვიდმეტი, ამიტომ მონასტრის წინამდლვარი წაიყოლა გუბერნატორთან საშუალებით, რათა ნება მოეცა, ნაპირზე გადავსულიყავით მხოლოდ მე და კაპიტანი, კიდევ ერთი პირი, ჩემი შერჩევით, და რვა მეზღვაური, იმ პირობით, რომ ხომალდიდან ნაპირზე არანაირ ტვირთს არ გადავიტანდით და არც იქიდან არავის გავიყოლებდით უნებართვოდ. ისე მკაცრად გაჩერიკეს ჩემი

პარგი, რომ ძლივს გადავიტანე სამი ფუთა, რომლებშიც ჩემი კომპანიონისთვის ინგლისიდან საჩუქრად წამოლებული ქსოვილები და ტანსაცმელი მეწყო.

ჩემი კომპანიონი ძალიან კეთილშობილი და გულლია კაცი გახლდათ. მასაც ჩემსავით მცირედით დაეწყო თავისი საქმე. სანამ შეიტყობდა, რომ მასთან ხელცარიელი არ ჩამოვსულვარ, ხომალდზე ოცდაათი ლუიდორის ღირებულების სურსათ-სანოვაგე, ღვინო, ტკბილეული, თამბაქო და სამი თუ ოთხი ლამაზი ოქროს მედალი გამომიგზავნა. ჩემი ძლვენიც არ იყო ნაკლები. როგორც უკვე გითხარით, ჩამოვიტანე თხელი ინგლისური მაუდი, მაქმანები, ლამაზი ჰოლანდიური ქსოვილი, ასევე; ასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სხვა საქონელი და დავავალე, ჩემი კოლონიისთვის ინგლისიდან წამოლებული ერთანძიანი პატარა გემი, ადრეც რომ ვახსენე, სასმლით დაეტვირთა და იქ გაეგზავნა.

მან მუშები დაიქირავა და მალევე, რამდენიმე დღეში დატვირთა გემი. კაპიტანს ზუსტად ავუხსენი, როგორ უნდა მიეგნო კუნძულისთვის, და მიაგნო კიდეც, როგორც მერე კომპანიონმა მაცნობა. ერთ-ერთმა მეზღვაურმა, რომელიც ნაპირზე მახლდა, სურვილი გამოთქვა, ამ გემს გაჰყოლოდა და კუნძულზე დასახლებულიყო, ამიტომ კუნძულის მმართველ ესპანელთან წერილი გავატანე, რომელშიც ვთხოვდი, სამოსახლოდ და სახნავ-სათესად მიწა, აგრეთვე — ტანსაცმელი და შრომის იარაღი გამოეყო ამ მეზღვაურისთვის, რომელიც, მისივე თქმით, ადრე მერილენდში მიწათმოქმედებას მისდევდა და მეკობრეობდა კიდეც. იმით წავახალისე, რომ ყველაფერს შევპირდი, რაც კი მოისურვა, ერთი ტყვედ აყვანილი ველური მსახურადაც გამოვუყავი და მმართველს შევუთვალე, მისთვის ყველა ის საჭირო ნივთი მიეცა, რომელიც წილად ეკუთვნოდა.

ამ მეზღვაურს გასამგზავრებლად რომ ვამზადებდით, ჩემმა კომპანიონმა მითხრა, რომ მის ერთ ნაცნობს, ძალზე წე-

სიერ ბრაზილიელ პლანტატორს საეკლესიო ხელისუფლება შემოსწყომოდა.

— მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რა ბრალი მიუძღვის,
— მითხრა მან, — მაგრამ ვეჭვობ, რომ გულის სიღრმეში ერე-
ტიკოსია და ინკვიზიციას ემალება.

ისიც დასძინა, დიდად გაიხარებს, თუ ნებას მისცემთ,
თქვენს კუნძულზე დასახლდეს, თავის ცოლთან და ორ ქალიშ-
ვილთან ერთად, და მიწასაც გამოუყოფთ, სხვა ყველაფრით კი
მე მოვამარაგებ, რადგან რაც კი ებადა, ყველაფერი ეკლესიამ
ჩამოართვა და მხოლოდ საოჯახო ნივთები და ორი მონა შერ-
ჩაო; მერე ისიც აღნიშნა, მის პრინციპებს მეც ვგმობ, მაგრამ
არ მინდა, ინკვიზიციას ჩაუვარდეს ხელში, რადგან უთუოდ
კოცონზე დაწვავენო. მაშინვე დავთანხმდი. ეს კაცი ცოლ-შვი-
ლით ჩვენს ხომალდზე დავმალეთ, სანამ ერთანძიანი გემი და-
იტვირთებოდა, ხოლო როცა ზღვაში გადიოდა, გემში გადავს-
ვით, სადაც წინასწარ გვქონდა მოთავსებული მათი ნივთები.
ინგლისელმა მეზღვაურმა დიდად გაიხარა, ახალი პარტნიორი
რომ შეიძინა; ბარგიც ერთნაირი აღმოაჩნდათ — თან მიჰეონ-
დათ შაქრის ლერწმის მოსაყვანად საჭირო ყველანაირი იარა-
ღი, ასევე — ჩითილები; როგორც გაირკვა, ეს საქმე პორტუ-
გალიელს კარგად სცოდნია.

სხვა ყველაფერთან ერთად, ერთანძიანი გემით კუნძულ-
ზე გავგზავნე: სამი მეწველი ძროხა, ხუთი ხბო, ოცდაორი ლო-
რი, აქედან სამი — ნერბი, ორი ფაშატი და ერთიც დროგის
ცხენი. სამი ბრაზილიელი ქალიც დავიყოლიე, რომ კუნძულზე
წასულიყვნენ და იქ გათხოვილიყვნენ. მეტი ქალიც შემეძლო
გამეგზავნა, მაგრამ დევნილ ბრაზილიელსაც ორი ქალიშვი-
ლი ჰყავდა, კუნძულზე საცოლე კი მხოლოდ ხუთი ესპანელი
მამაკაცი გახლდათ, დანარჩენები ცოლიანები იყვნენ, თუმცა
ცოლები ესპანეთში ჰყავდათ. ერთანძიანი გემით გაგზავნილ-
მა ტვირთმა მშვიდობიანად ჩააღწია კუნძულამდე და ძნელი
მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ გაიხარეს კოლონისტებმა.

ახალმოსახლეთა ჩათვლით მათმა რიცხვმა სამოცს თუ სამოცდაათს მიაღწია, პატარა ბავშვებს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ. შინ რომ დავბრუნდი, თითქმის ყველა მათგანის წერილი დამხვდა, რომლებიც უკან დაბრუნებულ ერთანძიან გემს გამოატანეს ბრაზილიაში, იქიდან კი, ლი-საბონის გავლით, ლონდონში გამომიგზავნეს.

აქ მთავრდება კუნძულის შესახებ ჩემი თხრობა. მის შესახებ აღარაფერს მოვყვები, და ვინც გადაწყვეტს, ჩემი ჩანაწერები ბოლომდე ჩაიკითხოს, აქვე უნდა დაემშვიდობოს მას, რადგან მერე უკვე ერთი ჩურჩუტი მოხუცის ამბებია აღწერილი, რომელსაც ვერც საკუთარმა და ვერც სხვისმა გასაჭირმა ასწავლა ჭკუა, ვერც თითქმის ორმოცწლიანმა ხეტიალმა და ბედუკულმართობამ დაადინჯა, ვერც სიმდიდრემ და ქონებამ აუსრულა საწადელი, კარგა გვარიანად რომ დაუგროვდა, და ვერც წარმოუდგენელმა ხიფათმა და განსაცდელმა მიაჩვია სიფრთხილეს.

საშინელი ამბები მაღასპარზე

სრულიად არაფერი მესაქმებოდა აღმოსავლეთ ინდოეთში ისევე, როგორც ნიუგეითის ციხის უფროსთან არაფერი ესაქმება სრულიად უდანაშაულო კაცს, მაგრამ მაინც მიღის და სთხოვს, საპყრობილები გამომამწყვდიეო, რათა იქ სხვა ტუსაღებივით იტანჯოს და იშიმშილოს. მე რომ ინგლისში ერთი პატარა ხომალდი მეშოვა და პირდაპირ კუნძულზე წავსულიყავი; დამეტვირთა ეს ხომალდი იმით, რაც კოლონისტებს სჭირდებოდათ, როგორც სხვა ხომალდი დავტვირთე; აქ მთავრობისგან საკუთრების დამადასტურებელი და მხოლოდ ინგლისის ქვეშევრდომობის მოწმობა ამეღო; ქვემეხები და ტყვია-წამალი წამეღო, მსახურები და მოსახლენი წამეყვანა, რათა ინგლისის საკეთილდღეოდ გამეძლიერებინა და ამეყვავებინა კოლონია, რაც თავისუფლად შემეძლო; იქ დავსახლებულიყავი და ხომალდი უკან მოსავლით დატვირთული გამომეგზავნა, რაც ექვს თვეში შემეძლო, და ჩემი მეგობრებისთვის მეთხოვა, ხომალდი ისევ დაეტვირთათ და კუნძულზე გამოეგზავნათ; ეს ყველაფერი რომ გამეკეთებინა და თავადაც იქ დავრჩენილიყავი, სავსებით გონივრული საქციელი იქნებოდა, მაგრამ გამჩენი არ მასვენებდა და არც რამე მოგებას ვიყავი გამოდევნებული, და მხოლოდ ის მინდოდა, რომ მეპატრონა და მომევლო იშათთვის, ვინც იქ დავასახლე, სიკეთითა და დოვლათით ამევსო ისინი, ძველი პატრიარქალური მონარქის მსგავსად, როგორც ეს დიდი ოჯახის მამა-მარჩენალს შეეფერება. მაგრამ არასდროს განმიზრახავს, რომელიმე მთავრობისა თუ ქვეყნის კუთვნილებად გამომეცხადებინა, ერთი მმართველისთვის დამემორჩილებინა, ჩემი ხალხი რომელიმე ერთი ერისთვის მიმეკუთვნებინა; კუნძულისთვის სახელიც კი არ დამირქმევია, ისეთივე

დავტოვე, როგორიც ვიპოვე, მოსახლეობა არავის დავუმორჩილე, მხოლოდ მე ვიყავი მათთვის მრჩეველი და კეთილისმყოფელი, არავისთვის მიმიცია უფლება, ებატონა მათზე, და მხოლოდ ერთობლივად დადგენილ კანონებს ემორჩილებოდნენ. და მაინც, კარგს ვიზამდი, იქ რომ დავრჩენილიყავი. მაგრამ მეორედ რომ დავტოვე იქაურობა, აღარც დავბრუნებულვარ. კუნძულის ამბებს ჩემი პარტნიორი მატყობინებდა, რომელმაც მოგვიანებით დატვირთული გემი კიდევ ერთხელ გაგზავნა კუნძულზე; მათ წერილებსაც ის მიგზავნიდა ლონდონში; ბოლო წერილები დაწერის დღიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩამომივიდა ჩემი პარტნიორისგან. კოლონისტები იწერებოდნენ, კუნძულზე ცხოვრება გვიჭირსო. ჩიოდნენ, ძალიან გაგვიგრძელდა აქ ყოფნაო, მაცნობებდნენ, უილ ატკინსი გარდაიცვალა, ხუთმა ესპანელმა კუნძული დატოვა, ველურებს დიდად არ ვაწუხებთ, მაგრამ რამდენჯერმე დაპირისპირება მოგვიხდაო; მახსენებდნენ ჩემს დანაპირებს, რომ ჩავიდოდი და კუნძულიდან წამოვიყვანდი, რათა სიკვდილის წინ მაინც ენახათ თავიანთი სამშობლო.

მე კი ამასობაში სახიფათო მოგზაურობა წამოვიწყე, და თუ ვინმეს გაინტერესებთ, რა გადამხდა თავს, შეგიძლიათ, ჩემთან ერთად ჩაერთოთ ახირებულ, სარისკო და ხიფათით აღსავსე თავგადასავალში, და ნახოთ, როგორ აშკარად ვლინდება განგების ნება და უზენაესი ძალის ყოვლისშემძლეობა, როგორ შეიძლება, ახირებული სურვილი უბედურებად გიქციოს და დაგსაჯოს იმისთვის, რაც სრულ ბედნიერებას განიჭებს. ახლა არ შევუდგები განსჯას, ღირდა თუ არა იმის გაკეთება, რაც გავაკეთე, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ სამოგზაუროდ წასვლა მინდოდა და წაკვედი კიდეც.

ახლა მხოლოდ ერთი-ორი სიტყვით მოგახსენებთ ჩემს კეთილ კათოლიკე მღვდელზე, რომელიც, მართალია, ჩვენც და ყველას, ვინც კათოლიკე არ არის, ერეტიკოსებს გვიწოდება.

დებდა, დარწმუნებული ვარ, სულითა და გულით ყველას სიკეთეს უსურვებდა; ისიც ვიცი, რომ სულ ცდილობდა, თავისი გამონათქვამებით არ ვეწყენინებინე; წმინდა ქალწულის, წმინდა იაკობის და მფარველი ანგელოზის ხსენებასაც კი ერიდებოდა, ასე ხშირად რომ ახსენებენ კათოლიკენი. ამიტომ სულაც არ მეპარება ეჭვი მის გულწრფელობასა და კეთილზრახვებში და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სულაც არ ჰგავდა სხვა კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც საბრალო თათრებს და ლაპლანდიელებს კი არ უქადაგებენ, რაკი მათ ბევრს ვერაფერს გამორჩებიან, არამედ მოსდებიან ისეთ მდიდარ წარმართულ ქვეყნებს, როგორებიცაა ინდოეთი, სპარსეთი და ჩინეთი, და ოღონდ კი თავიანთ ეკლესიას სარგებელი მოუტანონ, ლამის ჩინელი კონფუციც საკუთარ წმინდანად შერაცხონ.

აქ ჩემი და იმ კათოლიკე მღვდლის გზები გაიყარა. ის გადაჯდა ხომალდზე, რომელიც ლისაბონში მიემართებოდა, თანაც მითხვა, ვერც ერთი ჩემი მოგზაურობა ბოლომდე ვერ მივიყვანეო. ვინ იცის, იქნებ აჯობებდა, მასთან ერთად წავსულიყავი, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, განგებამ სხვაგვარად განსაჯა; მასთან ერთად რომ წავსულიყავი, ამდენი რამ თავს არ გადამხდებოდა, რისთვისაც ღმერთის მადლიერი ვარ, და ვერც მკითხველი წაიკითხავდა რობინზონ კრუზოს მოგზაურობისა და თავგადასავლის მეორე ნაწილს; ასე რომ, აღარ გავაგრძელებ მსჯელობას იმაზე, რა და როგორ აჯობებდა, და ჩემი მოგზაურობის შესახებ მოყოლას შევუდგები.

ბრაზილიიდან პირდაპირ გადავსერეთ ატლანტის ოკეანე და კეთილი იმედის კონცხს მივადექით. ჩვენმა ნაოსნობამ კარგად ჩაიარა, თუმცა ქარიშხალშიც მოვყევით, ზოგჯერ ქარის საპირისპიროდაც გვიწევდა ცურვა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აღებულ კურსს ვცდებოდით, მაგრამ ზღვაზე ჩემი ფათერაკები დასრულდა, სამაგიეროდ, ხმელეთზე გაგრძელდა.

ჩვენი ხომალდი სავაჭრო რეისს ასრულებდა, ასე რომ, ტვირთის მეპატრონის რწმუნებულიც გვახლდა, რომლის შუამდგომლობითაც კონცხზე რამდენიმე დღე დავყავით, სხვა ნავსადგურებშიც ჩვენი გაჩერება მისი საფრახტო კონტრაქტით განისაზღვრებოდა. თუმცა, ეს ამბები მე არ მეხებოდა; ამ საკითხებს ჩემი ძმისწული კაპიტანი და მეპატრონის რწმუნებული აგვარებდნენ. კონცხზე იმდენ ხანს დავრჩით, რამდენიც საჭირო იყო იმისთვის, რომ წყლის მარაგი შეგვევსო, მერე კი ყველანაირად ვეცადეთ, კორომანდელის სანაპირომდე მიგველნია. გზად შევიტყვეთ რომ საფრანგეთის სამხედრო ხომალდი, რომელიც ორმოცდაათი ქვემეხით იყო აღჭურვილი, და ორი სავაჭრო გემი, ასევე ინდოეთისკენ მიემართებოდნენ და, რაკი საფრანგეთთან საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, ცოტა არ იყოს მაშტოთებდა მათთან შეხვედრა, მაგრამ ისინი თავიანთი გზით წასულან და მათ შესახებ აღარაფერი გვსმენია.

მკითხველს თავს არ შევაწყენ ადგილმდებარეობის, ხომალდის უურნალის ჩანაწერების, კომპასის ჩვენებების, განედებისა და ქარის მიმართულების აღწერით, მხოლოდ იმ ნავსადგურებს ვახსენებ, რომლებსაც მივადექით, და მოგახსენებთ, რა გადაგვხდა გზად, როცა ერთი ადგილიდან მეორისკენ მივემართებოდით. ჯერ მადაგასკარის კუნძულს მივადექით, რომლის მოსახლეობაც სისასტიკითა და მუხანათობით გამოირჩევა, სულ იარაღზე იყურება და განსაკუთრებული სიმარჯვით ხმარობს შუბსა და მშვილდ-ისარს, თუმცა საკმაოდ მშვიდობიანად შეგვხვდნენ და რაღაც წვრილმანებში — რამდენიმე დანასა და მაკრატელში კარგად წასუქი მოზვრები მოგვცეს, რომლებიც დავკალით, ხორცის ნაწილი შევჭამეთ, ნაწილი კი დავამარილეთ და მარაგად შევინახეთ.

აქ რამდენიმე ხანს მოგვიხდა დარჩენა და რაკი ყოველთვის მაინტერესებდა უცნობი ადგილების თვალიერება, ყველა

კუთხე-კუნძულის ნახვა, ნაპირზე გადავდიოდი, როგორც კი მომიხერხდებოდა. ერთ საღამოს, როცა კუნძულის აღმოსავ-ლეთ ნაწილში ნაპირზე გადავედით, უამრავი ადამიანი შემოგ-ვეხვია გარს; შორიდან გვაკვირდებოდნენ. რაკი მათთან თავი-სუფალი აღებმიცემობა გვქონდა და მათი კეთილგანწყობაც აშკარა იყო, ვიფიქრეთ, რომ ცუდი არაფერი გვემუქრებო-და. მაგრამ ამდენი ერთად რომ დავინახეთ, სამი დიდი ტოტი მოვჭერით და სამი მხრიდან შემოვიწყვეთ, რაც ამ ქვეყანა-ში მეგობრობისა და მშვიდობის ნიშანია. ამის შემდეგ მათაც შემოიწყვეს ტოტები სამი მხრიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინიც სამშვიდობოდ იყვნენ განწყობილნი; ჩვენსა და მათ მონიშნულ ადგილებს შორის სივრცე ურთიერთობისა და ვაჭ-რობის ტერიტორია იყო, ოღონდ იქ იარაღით შესვლა არ შე-იძლებოდა; არც ისინი გადმოდიოდნენ იარაღით და თავიანთ შუბებს იმ მონიშნული ადგილის ფარგლებში ტოვებდნენ; მაგ-რამ თუ საფრთხეს იგრძნობდნენ, მაშინვე დაბრუნდებოდნენ და იარაღს მოიმარჯვებდნენ, და აქ უკვე მშვიდობა მთავრდე-ბოდაა.

ერთ საღამოს, როცა ნაპირზე გადავედით, უჩვეულოდ ბევრი ხალხი შემოგვეგება, თუმცა კეთილგანწყობილი და უიარაღო-ნი იყვნენ; თან სურსათ-სანოვაგეც მოეტანათ, რაც წვრილმან ნივთებში გაგვიცვალეს; ქალებმა რძე და ძირხვენები მოგვი-ტანეს და კიდევ, ჩვენთვის საინტერესო რაღაც ნივთები. მშვი-დი და წყნარი ვითარება იყო, ამიტომ ტოტებისგან ქოხი ავა-გეთ, სადაც ღამის გატარებას ვაპირებდით. არ ვიცი, რატომ, მაგრამ შიშველ მიწაზე წოლა არ მომინდა და გადავწყვიტე, ნავში მოვკალათებულიყავი. ნავი ნაპირთან გვქონდა დატო-ვებული და ორი ჩვენი მეზღვაური დარაჯობდა. ერთ-ერთი მათგანი ტოტების მოსაკრეფად გავგზავნე, რომ ზემოდან დაგვეფარებინა, ნავის ფსკერზე იალქანი დავაფინე და დასა-ძინებლად დავწექი.

ასე, ლამის ორი საათი იქნებოდა, რომ ნაპირიდან ერთ-ერთი ჩვენიანის საშინელი ყვირილი შემოგვესმა: ლვთის გულისათვის, ნავი მოაყენეთ და მოგვეშველეთ, თორემ სულ ყველას ამოგვხოცავენო! მაშინვე მუშკეტის ხუთი გასროლა გავიგონე, მერე — კიდევ და კიდევ, მაგრამ ეტყობა, ამერიკელ ველურთაგან განსხვავებით, აქაურებს ცეცხლსასროლი იარაღის დიდად არ ეშინოდათ. ვერ მივხვდი, რა მოხდა, მაგრამ მაშინვე მოვუსვით ნიჩბები და ნაპირისკენ გავემართეთ, თან ნავში დატოვებული სამი თოფიც მოვიმარჯვეთ. ჩვენები უკვე ნაპირთან იყვნენ და წყალში შევიდნენ, რომ ნავამდე ცურვით მოეღწიათ. მათ სამასიდან ოთხასამდე ველური მოსდევდა, ჩვენები კი სულ ცხრანი იყვნენ, აქედან თოფი მხოლოდ ხუთს ჰქონდა, დანარჩენები პისტოლეტებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულნი და ამ შემთხვევაში ისინიც გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

შვიდი ჩვენიანი ნავში ამოვიყვანეთ, სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობები ჰქონდათ, სამი კი მძიმედ იყო დაჭრილი. წყლიდან მათი ამოყვანისას ჩვენც ისეთივე სამიზნე ვხდებოდით, როგორიც ნაპირზე დარჩენილები, თან ისეთი სიხშირით გვიშენდნენ ისრებს, რომ კიდევ კარგი, მოვასწარით და ნავში შემთხვევით შემორჩენილი რამდენიმე ფიცარი ავიფარეთ. მადლობა ლმერთს, ბნელოდა, თორემ დღის შუქზე ნამდვილად არ აგვაცდენდნენ, ისეთი კარგი მსროლელები იყვნენ. მთვარის შუქზე ჩვენც ვხედავდით მათ სილუეტებს და ცეცხლი გავუხსენით. ატყდა იმათ რიგებში ყვირილი, მაგრამ ადგილიდან ფეხს მაინც არ იცვლიდნენ.

ნავში ვიწექით და ვერც ღუზას ვხსნიდით და ვერც იალქანს ვშლიდით, რომ ხომალდისკენ გაგვეცურა, რადგან ფეხზე რომ წამოვმდგარიყავით, ისეთივე სამიზნე ვიქნებოდით, როგორიც მონადირისთვის ხეზე შემომჯდარი ფრინველია. ხომალდს განვაშის სიგნალი მივეცით და თუმცა კარგა მანძილ-

ზე იყო დაშორებული, ჩემმა ძმისწულმა სროლის ხმა გაიგონა, მერე ჭოგრიტითაც დაინახა, რომ ნაპირისკენ ვისროდით, და ყველაფერს მიხვდა. მაშინვე ამოსწიეს ღუზა და რაც შეიძლებოდა მოგვიახლოვდნენ, თან ჩვენს საშველად ათი მეზღვაური დაიძრა ნავით. დავუყვირეთ, რომ ძალიან ახლოს არ მოეცურათ, ისიც ავუხსენით, თუ რა დღეშიც ვიმყოფებოდით, მაგრამ ერთი მეზღვაური ცურვით წამოვიდა, თან სქელი ბაწარი მოჰქონდა, რომელიც ნავს ჩავაბით, მერე ღუზის ტროსი გადავჭერით, და ბუქსირით წაგვიყვანეს ისეთ მანძილზე, სადაც ისრები ვეღარ მოგვწვდებოდა. როგორც კი უსაფრთხო მანძილზე გავაღნიეთ, ხომალდიდან ნაპირს ისეთი ცეცხლი დაუშინეს და ტყვიების ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ თავდამსხმელები საშინელმა პანიკამ მოიცვა.

ხომალდზე რომ ავედით და თავი სამშვიდობოს დავიგულეთ, მაშინდა დავფიქრდით იმაზე, თუ რას უნდა გამოეწვია ეს დაპირისპირება. რწმუნებულმაც, რომელიც ამ მხარეში ხშირად ყოფილა, დამიდასტურა, რომ დაზავების შემდეგ აქაურები არავითარ შემთხვევაში თავს არ დაგვესხმოდნენ, საამისოდ სერიოზული მიზეზი რომ არ ჰქონოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, გაირკვა: ერთმა მოხუცმა ქალმა ჩვენს მონიშნულ ადგილზე რძე მოიტანა გასაცვლელად, მას ქალიშვილიც ახლდა, რომელსაც ძირხვენები და ბალახეულობა მოეტანა; ეს მოხუცი ქალი ამ ქალიშვილის დედა იყო თუ არა, არავინ იცოდა, მაგრამ რომელილაც მეზღვაურმა ამ ქალიშვილის მიმართ რაღაც უხამსობა იკადრა, რამაც მოხუცი აღაშფოთა; მეზღვაურმა თავისი არ მოიშალა და ქალიშვილი სიბნელეში, ტყის სიღრმეში შეათრია; მოხუცი თავისიანებთან დაბრუნდა და ყველაფერი უამბო, მერე კი, სამ-ოთხ საათში მთელი ეს ჯარი მოგვადგა და შეიძლებოდა, ცოცხალს ვერავის გამოგვესწრო.

ერთი ჩვენი მეზღვაური თავდასხმისთანავე შუბით განგმირეს როგორც კი კარვიდან გამოვიდა. დანარჩენმა ყველამ თავს უშველა, იმ ერთის გარდა, რომლის მიზეზითაც ეს ყვე-

ლაფერი მოხდა და რომელსაც ძვირად დაუჯდა. ჩადენილი ძალადობა. მის შესახებ კარგა ხანს ვერაფერი შევიტყვეთ. ორი დღე ზურგის ქარი უბერავდა, მაგრამ ხომალდი არ დავძარით და იმ იმედით, რომ რამეს შევიტყობდით, ნავით ნაპირის გასწვრივ დავცურავდით, მაგრამ — ამაოდ. წესით არც უნდა გვეძებნა, მაშინ მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა. მაგრამ ვერ მოვისვენე და ნაპირს ისევ მივადექი. თავდასხმიდან უკვე მესამე ლამე იყო. წესით კი უნდა განმეჯვრიტა, რამხელა საფრთხეში ვიგდებდით თავს. ნაპირზე ლამით გადავედით, რომ კვლავ არ დაგვსხმოდნენ თავს.

ხომალდის ეკიპაჟიდან თორმეტი საიმედო და ჯანმაგარი მეზღვაური შევარჩიე, რწმუნებულიც თან მახლდა; შუალამემდე ცოტა ხნით ადრე ნაპირს იმ ადგილას მივადექით, სადაც თავდასხმა მოხდა. მაინტერესებდა, რა კვალი დარჩა ბრძოლის შემდეგ და იმასაც ვფიქრობდი, თუ ვინმე ცოცხალს გადავეყრებოდით, ტყვედ აგვეყვანა, რომ მერე ჩვენს მეზღვაურზე გაგვეცვალა.

ნაპირზე უხმაუროდ გადავედით და ორ ჯგუფად გავიყავით; ერთს მე ვმეთაურობდი, მეორეს — ბოცმანი. არაფერი ჩანდა და ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ცოტა ხანში წინ წასულმა ბოცმანმა ცხედარს ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. იქ გაჩერდნენ და დაიცადეს, სანამ მეც მივიდოდი. გადავწყვიტეთ, მთვარის ამოსვლას დავლოდებოდით, რათა გვენახა, რა შედეგი მოჰყვა ხომალდიდან ცეცხლის დაშენას. მთვარის შუქზე ოცდათორმეტი ცხედარი დავთვალეთ, აქედან ორი ახალი გარდაცვლილი იყო; ერთს ხელი ჰქონდა წაწყვეტილი, მეორეს — ფეხი და თავში იყო დაჭრილი. სხვა დაჭრილები, როგორც ჩანს, თან წაეყვანათ. მეტი რაღა უნდა შეგვეტყო და ხომალდზე დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ ბოცმანმა და მისმა ჯგუფმა ველურთა დასახლებისკენ წასვლა მოისურვეს, რათა ენახათ, სადცხოვრობდნენ ეს ცოფიანი ძალლები, როგორც ისინი აბორიგენებს უწოდებდნენ. მეც მთხოვეს, გავყოლოდი. იმედი ჰქონ-

დათ, რომ დასახლებაში რამე ნადავლსაც იშოვიდნენ და ტომ ჯეფრის შესახებაც — ასე ერქვა იმ დაკარგულ მეზღვაურს — რამეს შეიტყობდნენ.

ბევრი ვეცადე დამერწმუნებინა, თუ რაოდენ სახითათო იყო ეს განზრახვა; ისიც ვუთხარი, ხომალდისა და ტვირთის ბედი გვაპარია, ნაოსნობა შეგვიფერხდება, შეიძლება, თქვენც ტომ ჯეფრის ბედი გაიზიაროთ-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. თავადაც წავიდნენ და ჩემი ჯგუფიდანაც აიყოლიეს მეზღვაურები. ის კი მითხრეს, ნუ გაგვიბრაზდებით, გამოცდილი მეზღვაურები ვართ, ფრთხილად ვიქნებით და მალე დავბრუნდებითო. მარწმუნებდნენ, ველურთა დასახლებამდე სულ ნახევარი მილი თუ იქნებაო, მაგრამ იქამდე ორი მილის გავლა მოუხდათ.

ამგვარად, მე, რწმუნებული და ერთი მეზღვაური ნავთან დავრჩით, ისინი კი გზას გაუდგნენ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ კი ფრთხილობდნენ, მაგრამ უშიშრად და შეუპოვრად მიდიოდნენ, შეიარაღებითაც კარგად იყვნენ შეიარაღებული — ყველა აღჭურვილი იყო მუშკეტითა და თოფით, ხიშტითა და პისტოლეტით, ოცდაათიოდე ხელყუმბარაც ჰქონდათ. თუმცა, მათი მთავარი მიზანი — დასახლების გაძარცვა იყო, თანაც იმედი ჰქონდათ, რომ იქ დიდძალ ოქროს იშოვიდნენ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ შურისძიების წყურვილმა ისინი ნამდვილ მხეცებად აქცია.

თავიდან იმედი გაუცრუვდათ, რადგან თორმეტ თუ ცამეტკომლიან პატარა სოფელს მიადგნენ. ჯერ უნდოდათ, თავს დასხმოდნენ და ყველა ამოეხოცათ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს იმის შიშით, ვაითუ, ვინმე გაგვექცეს და დიდ დასახლებას შეატყობინოსო, ამიტომ მძინარე სოფელს არ გაჰკარებიან და გზა განაგრძეს, თუმცა არც კი იცოდნენ, საით უნდა წასულიყვნენ. ცოტა ხანში ხეზე მიბმული ლაინახეს და აუშვეს იმ იმედით, რომ ის დასახლებამდე მიიყვანდა. მართლაც ასე მოხდა. მალე მიადგნენ დასახლებას, საღაც თრასზე მეტი ქოხი იდგა,

თანაც ზოგიერთი ისეთი დიდი, რომ ეტყობოდა, რამდენიმე ოჯახი ერთად ცხოვრობდა.

დასახლებაში ყველას ეძინა და სრული სიჩუმე სუფევდა. აქაც იმსჯელეს, როგორ მოქცეულიყვნენ. გადაწყვიტეს, სამ ჯგუფად დაყოფილიყვნენ, სამი მხრიდან წაეკიდებინათ ცეცხლი და დასახლება გაეძარცვათ, თანაც ენახათ, რამხელა იყო და შეძლებდნენ თუ არა მის დარბევას.

ბოლოს იფიქრეს, რომ შეძლებდნენ. უეცრად ერთ-ერთი ჯგუფიდან ყვირილი მოესმათ, — თომას ჯეფრი ვიპოვეთო. ყველა იქით გაიქცა და ხეზე ცალი ხელით ჩამოკიდებული, სრულიად შიშველი და ყელგამოლადრული თანამოძმე დაინახეს. იქვე ერთი დიდი ქოხი იდგა, სადაც თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი თავკაცი შეკრებილიყო და თათბირობდნენ; მათგან ორი თუ სამი დაჭრილი იყო, ეტყობა — ჩვენი იარაღით. ჩვენებმა თავიდან არც იცოდნენ, რამდენი იყვნენ.

საბრალო დასახიჩრებული თანამოძმის დანახვამ მეზღვაურები ისე გაამნარა, დაიფიცეს, რომ შურს იძიებდნენ და არავის დაინდობდნენ. მაშინვე საქმეს შეუდგნენ, თუმცა თავიდან — არც ისეთი გაშმაგებით. განზრახული ჰქონდათ, ნადავლი ეგდოთ ხელთ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ამ დასახლებას ბევრს ვერაფერს გამორჩებოდნენ, რადგან აქ უმეტესად ღარიბული და ნამჯერ დახურული ქოხები იდგა. ამიტომ, ოთხი თუ ხუთი მხრიდან დასახლებას ცეცხლი წაუკიდეს, პირველ რიგში კი — იმ ქოხს, სადაც ადგილობრივთა თავკაცები იყვნენ.

როგორც კი ქოხს ცეცხლი მოედო, საბრალო ველურები თავის გადასარჩენად გარეთ გამორბოდნენ, მაგრამ ჩვენები იქვე ხოცავდნენ; თავად ბოცმანმა ერთი თუ ორი კაცი ხანჯლით აჩეხა. ყველა ამოხოცეს, ვინც კი ამ ქოხში იმყოფებოდა, მაგრამ უკან კიდევ ყოფილა სათავსი, სადაც ველურების მეფე და რამდენიმე კაცი იყო შეფარებული; ისინი ქოხშივე ამოიბუგნენ.

თავიდან იარაღიდან არც ისროდნენ, რომ მძინარე ველუ-რები არ გაეღვიძებინათ, მაგრამ ცეცხლი ისე მაღე მოედო ქო-ხებს, რომ დაფეხული ველურები ყვირილით გამორბოდნენ გარეთ, სადაც ჩვენი მეზღვაურები ხვდებოდნენ, რომლებიც ერთმანეთს ამხნევებდნენ და ტომ ჯეფრის სახელის შეძახი-ლით ახელებდნენ.

სანამ დასახლებაში ეს ამბები ხდებოდა, მე ნაპირთან ვიც-დიდი და ძალიან ვლელავდი, განსაკუთრებით, როცა ცეცხლის ალი დავინახე. ცეცხლი ხომალდ ზეც შენიშნეს და ჩემი ძმისწუ-ლი გააღვიძეს, რომელიც ძალზე შეშფოთდა, განსაკუთრებით ჩემი და აგენტის ბედი აღელვებდა; ამას სროლის ხმაც რომ მოჰყვა, რადგან უკვე ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენეს, ჩემი ძმისწული ცამეტი კაცის თანხლებით, ჩვენს დასახმარებ-ლად ნაპირისკენ წამოვიდა.

ნაპირზე მოსულს ძალიან გაუკვირდა, მხოლოდ ორი კაცის თანხლებით რომ დაგვინახა მე და აგენტი და თუმცა, გაუხარ-და, საღ-სალამათები რომ დავხვდით, გადაწყვიტა, თავადაც წასულიყო და გაეგო, რა ხდებოდა, მით უმეტეს, რომ ხანძარი და ხმაური სულ უფრო ძლიერდებოდა. როგორ არ ვცადე გადა-მეფიქრებინა, როგორ არ ვუსაბუთე ამ განზრახვის უაზრობა, ისიც შევთავაზე, რომ ჩვენ წავიდოდით და ამბავს მოვუტან-დით, მაგრამ არაფერმა გაჭრა; ხომალდის ბედიც, ვაჭრების წი-ნაშე პასუხისმგებლობაც, საკუთარი და სხვების სიცოცხლეც სასწორზე შეაგდო.

მეც იძულებული გავხდი, წავყოლოდი. ჩემმა ძმისწულმა ორ მეზღვაურს უბრძანა, მისი ნავით ხომალდ ზე დაბრუნებუ-ლიყვნენ და იქიდან დიდი ბარკასით კიდევ თორმეტი მეზღვა-ური წამოეყვანათ დასახმარებლად, აქედან ექვსი ნაპირთან დარჩენილიყო ნავების სადარაჯოდ, დანარჩენები კი გაჰყო-ლოდნენ. ამგვარად, ხომალდ ზე მხოლოდ თექვსმეტი კაცი

რჩებოდა, რადგან ეკიპაჟი სულ სამოცდახუთი კაცისგან შედგებოდა, რომელთაგან ორი ველურთა თავდასხმისას დავკარგეთ.

ხანძრის ადგილისკენ ისეთი სისწრაფით გავრბოდით, ლამის ფეხს არ ვაკარებდით მიწას. სროლა რომ ატყდა, ისეთი განწირული ღრიალი შემოგვესმა, რომ სულის სილრმემდე შეგვძრა. უნდა გამოვტყდე, რომ ადამიანთა დარბევას არასდროს შევსწრებივარ. კი მსმენია, რომ კრომველმა ირლანდიის ქალაქი დროედა დაარბია და მამაკაცი, ქალი და ბავშვი მოუკლავს; ისიც წამიკითხავს, რომ გრაფმა ჭილიმ ქალაქ მაგდებურგის აღებისას ოცდაორ ათას კაცსა და ქალს ყელი გამოსჭრა, მაგრამ ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ და იმ საშინელებას, რაც ვნახე, ვერასდროს წარმოვიდგენდი. როგორც იქნა, მივადექით დასახლებას, თუმცა სილრმეში შესვლა გაჭირდა, ისე ბობოქრობდა ხანძარი. პირველი, რაც დავინახეთ, ნაცარტუტად ქცეული ქოხი იყო, სადაც დახოცილთა გვამები ეყარა, მათგან ოთხი მამაკაცი იყო, სამი — ქალი, კიდევ ორი ცეცხლში იწვოდა. ყველაფერს მართლაც რომ არაადამიანური სისასტიკის კვალი აჩნდა და შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ეს ცოდვის კითხვა ჩვენმა მეზღვაურებმა დაატრიალეს. და თუ ასე იყო, თითოეული მათგანი სიკვდილზე უარესს იმსახურებდა. მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ?!.. უეცრად, საშინელი წივილკივილით სამმა შიშველმა ქალმა ჩაგვიქროლა, მათ უკან, ასევე შემაძრნუნებელი ღრიალით, ჩვიდმეტიოდე მამაკაცი მორბოდა, რომლებსაც სამი ჩვენი მეზღვაური მოსდევდა და რომ ვერ დაეწა, სხვებმა, რომ დაგვინახეს, ჩვენც მოძალადენი ვეგონეთ და გამაყრუებელი ღრიალი მორთეს, განსაკუთრებით — ქალებმა, რომელთაგან ორი უგონოდ დაეცა.

ამის შემხედვარეს, სიმწრისგან სული ყელში მომებჯინა და სისხლი გამეყინა. ძლივს შევიკავე თავი, რომ ჩემი ხალხის-

თვის არ მებრძანებინა, ეს სამი მეზღვაური დაეხოცათ. საბრალო ველურებს ვანიშნეთ, რომ არაფერს დავუშავებდით; ისინიც ხელებაპყრობილნი მუხლებზე დაეცნენ და გვევედრებოდნენ, გვიხსენითო, და რომ მიხვდნენ, რომ არ ვერჩოდით, ზურგს უკან ამოგვეფარნენ. ჩემიანებს მითითება მივეცი, ველურებისთვის არაფერი დაეშავებინათ და იქნებ როგორმე ხმა მიეწვდინათ დანარჩენი მეზღვაურებისთვის, გაერკვიათ, ეს რა ეშმაკი შეუჯდათ, რას აპირებდნენ და ისიც გადაეცათ, რომ გათენებამდე ასი ათასი ველური წამოვიდოდა მათ წინააღმდეგ. თავად, ორი მეზღვაურის თანხლებით, უბედურ ველურებთან მივედი და ვნახე, რომ ზოგიერთს ფეხები დასწოდა, ზოგს — ხელები, ერთი ქალი ძლივს გადარჩენილიყო ცოცხლად დაწვას, ორ თუ სამ მამაკაცს ზურგსა და ფერდებზე მახვილით მიყენებული ლია ჭრილობები ჰქონდათ, ერთს კი ტყვია მოხვედროდა და ჩემს იქ ყოფნაში სული განუტევა.

გაუბედურებულ ველურებს ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, მაგრამ მათი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე, თუმცა მინიშნებებით მივხვდი, რომ თავადაც არაფერი იცოდნენ. იქ ვეღარ გავძელი და ჩემებთან დავბრუნდი, რათა მეთქვა, რომ უნდა წავსულიყავით და ჩვენი მეზღვაურები მოგვეძებნა. სწორედ ამ დროს დავინახეთ ოთხი მათგანი ბოცმანის მეთაურობით, სისხლით მოთხვრილნი და მტვერში ამოგანგლულნი ცხედრებს შორის მოაბიჯებდნენ. ჩემებმა რამდენჯერმე გასძახეს და, როგორც იქნა, გააგონეს.

ბოცმანმა რომ დაგვინახა, სიხარულის ყიუინა დასცა, ეგონა, მის დასახმარებლად მოვედით. ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი, რომ მომმართა:

— კაპიტანო! ჩემო კეთილო კაპიტანო! კიდევ კარგი, მოხვედით. საქმე ჯერ არ დაგვისრულებია. ამ ცოფიანი ძალებიდან ერთსაც არ ვაცოცხლებ. იმდენი უნდა დავხოცო, რამდენი ლერი თმაც ტომ ჯეფრის ჰქონდა თავზე. დაფიცებუ-

ლი გვაქვს, რომ ამათ მუსრს გავავლებთ, — თქვა და გახარებული, ჩვენკენ წამოვიდა, მე კი განრისხებულმა შევყვირე:

— ეს რა ჩაიდინე, შე მტარვალო?! ახლავე შეწყვიტე ეს ხოცვა-ულეტა, თორემ მართლა ცოფიანი ძალლივით გაგაგორებ. განძრევაც კი არ გაბედო!

— ამას რად მეუბნებით, სერ? — გაიკვირვა მან. — ნუთუ არ იცით, რა ჩაიდინეს? მაშ, წამობრძანდით და ნახეთ. — ამ სიტყვებით იმ ხესთან მიგვიყვანა, სადაც ყელგამოლადრული ჩვენი მეზღვაური ეკიდა.

ნანახმა ისე შემზარა, რომ, მართალი გითხრათ, სხვა შემთხვევაში ამას დაუსჯელს არც მე დავტოვებდი, მაგრამ ამჯერად ჩვენების სისასტიკე ყველა ზღვარს გასცდა და გამახსენდა იაკობის სიტყვები, თავის ძეთ — სიმონსა და ლევის რომუთხრა: „დაწყევლილი იყოს მათი რისხვა, რადგან სისასტიკეა, და მათი მრისხანება, ვინაიდან ულმობლობაა“. ახლა უკვე სხვა საზრუნავი გამიჩნდა, რადგან ჩემმა თანმხლებმა მეზღვაურებმაც დაინახეს ის, რაც მე ვიხილე, და მათაც ვეღარ ვაკავებდი. ჩემი ძმისწულიც მათ მიემხრო და ხმამაღლა მომმართა, ერთადერთი ის მაფიქრებს, ველურების დაჯაბნა ხომ არ გაგვიჭირდება, თორემ არც ერთი არ არის სიცოცხლის ღირსი, რადგან მკვლელები არიან და მკვლელებივით უნდა დაისაჯონ. ამ სიტყვების თქმა იყო და, ჩემგან რვა კაცი ბოცმანსა და მის ჯგუფს შეუერთდა, რომ ეს სისხლის ღვრა ბოლომდე მიეყვანათ. მე კი, რაკი მივხვდი, რომ მათ ვეღარ შევაკავებდი, ჩაფიქრებული და დაღვრემილი განზე გავდექი, რადგან ამ სასაკლაოს ყურება, ამ უბედურთა მოთქმა-გოდების მოსმენა აღარ შემეძლო.

მხოლოდ მე, რწმუნებული და ორი მეზღვაური დავბრუნდით ნავებთან. ვალიარებ, რომ ეს საკმაოდ სარისკო იყო, რადგან უკვე გათენდა, თანაც, როგორც ხმა დაირხა, ადრე ნახსენებ იმ სოფელში, სადაც სულ ცამეტიოდე ქოხი იდგა, შუბებით შეია-

რაღებულ ველურთა ორმოცკაციანი რაზმი იყო ჩასაფრებული. ხომალდზე რომ ავედით, ნავი უკან დავაბრუნე, რომ დანარჩენებიც წამოსულიყვნენ. გემბანიდან დავინახე, რომ ცეცხლმა იკლო და ყვირილის ხმაც მინელდა. ნახევარ საათში ისევ გავიგონე სროლის ხმა და დავინახე, რომ ძლიერი კვამლი ავარდა. როგორც მოგვიანებით მივხვდი, ეს ჩვენებმა გაუხსნეს ცეცხლი იმ რაზმს, გზად პატარა სოფელში რომ იყო ჩასაფრებული. თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი მეომარი მოუკლავთ, სოფელი მთლიანად გადაუწვავთ, მაგრამ ქალებისა და ბავშვებისთვის ხელი არ უხლიათ.

როგორც კი ნავი ნაპირს მიადგა, ჩვენი მეზღვაურები ჯგუფ-ჯგუფად გამოჩნდნენ, ასე რომ, ველურებს გამბედაობა რომ ჰყოფნოდათ, თავისუფლად ამოხოცავდნენ, მაგრამ ისე იყვნენ დაზაფრულები, რომ ჩვენი ხუთი მეზღვაურის დანახვაზე ასკაციანი რაზმიც კი თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა. ამ საშინელი ამბის განმავლობაში მათი მხრიდან ერთი კაციც არ მოიძებნა, თავის დასაცავად რამე რომ მოემოქმედებინა, ისე დააბნია და დააშინა ლამის თავდასხმამ. ჩვენი მხრიდან სერიოზულად არც არავინ დაშავებულა, მხოლოდ ერთს ფეხი ეღრძო, ერთს კი ხელი დასწვოდა.

ნაპირზე მიტოვებული

ძალიან გაბრაზებული ვიყავი მეზღვაურებზე და განსაკუთრებით, ჩემს ძმისნულ კაპიტანზე იმის გამო, რომ ხომალდის მეთაურის მოვალეობა და ნაოსნობის ინტერესები უგულებელყო, აჟყვა მრისხანებით დაბრმავებულ თავის მეზღვაურებს და ასეთ სისხლიან და სასტიკ რბევაში ჩაერთო. მან ძალიან თავაზიანად მიპასუხა, ასე უმოწყალოდ და მხეცურად მოკლული ჩვენი მეზღვაური რომ დავინახე, გონება დამიბნელდა და თავს ვეღარ მოვერიე; როგორც გემის მეთაური, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ამას ვერ გავუძელიო. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი ჩემს დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდნენ და ეს მშვენივრად იცოდნენ, ამიტომ არც ჩემი აღშტოთება ანალვლებდათ. მეორე დილით გზას გავუდექით და ამ ამბის შესახებ აღარაფერი გვსმენია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენმა მეზღვაურებმა ას ორმოცდაათამდე მამაკაცი, ქალი და ბავშვი გაუუჟეს და დასახლებაში ერთი ქოხიც არ დატოვეს. რაც შეეხება საბრალო ტომ ჯეფრის, ის უკვე მკვდარი იყო და აღარაფერი ეშველებოდა, ამიტომ მხოლოდ ხიდან ჩამოხსნეს.

როგორც კი მომხდარზე სიტყვა ჩამოვარდებოდა ხოლმე, ყოველთვის ვუპირისპირდებოდი მათ და სულ ვეუბნებოდი, ამ სისხლის ღვრისთვის ღმერთი დაგვსჯის და ნაოსნობისას განსაცდელს მოგვივლენს-მეთქი. მართალია, ველურებმა ტომ ჯეფრი მოკლეს, მაგრამ ის მოძალადე იყო, ზავი დაარღვია და ასე ბოროტად გამოიყენა ახალგაზრდა ქალის ნდობა.

ბოცმანი სხვაგვარად ფიქრობდა; ამტკიცებდა, — მართალია, ზავი თითქოს ჩვენ დავარღვიეთ, მაგრამ თავს ისინი დაგვესხნენ და ერთი უდანაშაულო კაცი მოგვიკლეს, და თუ

თავის დასაცავად მათთან შებრძოლების უფლება გვქონდა, მათი, თუნდაც ასე სასტიკად დახოცვის უფლებაც გვქონდა, და თუმცა იმ უბედურმა თავს ზედმეტის უფლება მისცა, ამის გამო მაინც არ უნდა მოეკლათ, მით უმეტეს — ასე სასტიკადო; სამართლიანობაც და ღვთის კანონებიც მოითხოვს მკვლელების დასჯასო. მართალია, ეს სულაც არ იყო საკმარისი არგუმენტი საიმისოდ, რომ წარმართებსა და პარბაროსებს თავს დავსხმოდით, მაგრამ ძნელია, ადამიანს რამე შეაგნებინო, თუ საკუთარმა გამოცდილებამ არ უკარნახა.

ჩვენი ხომალდი სპარსეთის ყურეში კორომანდელის მიმართულებით მიცურავდა, სურატში ცოტა ხნით უნდა შევსულიყავით, დანიშნულების პუნქტი კი ბენგალის ყურე იყო; თუ იქ რწმუნებული საქმეს ვერ მოაგვარებდა, ჩინეთში გამგზავრება მოგვინევდა. პირველი უბედურება სპარსეთის ყურეში დაგვატყდა თავს. ხუთი ჩვენი მეზღვაური, რომლებიც არაბეთის სანაპიროზე გადავიდნენ, იქაურებმა იგდეს ხელთ და ან დახოცეს, ან მონებად წაასხეს, ნავში მყოფი ეკიპაჟის დანარჩენი წევრები ვერც მათ მიეშველნენ და თავადაც ძლივს უშველეს თავს. ესეც ღვთის სამართლიან სასჯელად მივიჩნიე, რაზეც ბოცმანმა მითხვა, უკვე ზედმეტი მოგდით და თქვენი სიტყვების დასტურად სახარებიდანაც კი ვერაფერს მოიშველიებთო, თავად კი ლუკას სახარების მეოთხე თავი მომიყვანა, სადაც მაცხოვარი ამბობს: „ან რა გგონიათ, ის თვრამეტი კაცი, რომელთაც შილოახის კოშკი დაეცა ზედ და ამონტყვიტა, უფრო დამნაშავენი იყვნენ, ვიდრე ყველა ის ადამიანი, იერუსალიმში რომ ცხოვრობს“, მაგრამ ერთადერთი, რის გამოც აღარ შევეპასუხე, ის იყო, რომ იმ ხუთიდან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა მადაგასკარის სასაკლაოში. სწორედ სიტყვა „სასაკლაოს“ ვახსენებდი ხოლმე და სწორედ ეს სიტყვა ინკვდა მეზღვაურთა გაღიზიანებას.

ამ თემაზე ჩემს ქადაგებას ისეთი სავალალო შედეგი მოჰყვა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. ერთხელაც ბოცმანმა საკუთალდ გაღიზიანებულმა მითხრა: ყველას თავი მოგვაბეზრეთ ამ თქვენი საყვედურებით, მცდარი მსჯელობით, არადა, ჩვეულებრივი მგზავრი ხართ, არც ხომალდის მეთაურობა გაბარიათ და არც ნაოსნობის ბედი, ასე რომ, სულაც არ ვართ ვალდებული, ეს ვითმინოთ, თანაც, კაცმა არ იცის, ინგლისში რომ დავბრუნდებით, რას დაგვაბრალებთ; თქვენისთანა კაცთან ერთად ნაოსნობა სახიფათოა და თუ ამ თქვენს შეგონებებს არ შეწყვეტთ, ხომალდს დავტოვებო.

პასუხად საკმაოდ მშვიდად მივუგე: დიახაც, ძალიან აღშფოთებული ვარ იმით, რაც მადაგასკარზე ჩაიდინეს, და მართალია, ხომალდის მეთაურობა არ მაბარია და ჩვეულებრივ მგზავრად ვითვლები, მაგრამ ხომალდის წილობრივი მეპატრონე ვარ, ამიტომ რასაც საჭიროდ მივიჩნევ, იმას ვიღაპარა-კებ-მეთქი. ამაზე არც კი შემეპასუხა და ჩავთვალე, რომ საკითხი ამოინურა. ამ დროს ბენგალიისკენ მივცურავდით და ერთხელაც გაჩერებისას, იქაური ნაპირის დასათვალიერებლად ხმელეთზე გადავედი. საღამო ხანს, ის იყო, ხომალდზე დაბრუნებას ვაპირებდი, რომ ერთი მეზღვაური მომიახლოვდა და მითხრა, ნავში ჩაჯდომაზე თავს ნულარ შეინუხებთ, რადგან ხომალდზე მაინც აღარ აგიშვებენო. წარმოიდგინეთ, რა მოულოდნელი იყო ჩემთვის ასეთი თავხედური რჩევის მოსმენა. ის კი ვკითხე, ამის თქმა ვინ დაგავალა-მეთქი, რაზეც მიპასუხა, ხომალდის მესაჭემო.

მაშინვე მოვძებნე რწმუნებული და ეს ამბავი ვუთხარი, ისიც დავძინე, ვიცოდი, ხომალდზე ამბოხება რომ მოხდებოდა-მეთქი; ვთხოვე, ხომალდზე დაბრუნებულიყო და ეს ამბავი კაპიტნისთვის ეცნობებინა. ეს შემეძლო არც მეთხოვა, რადგან ხომალდზე საქმე უკვე გადაეწყვიტათ. როგორც კი ნაპირ-

ზე გადავედი, ბოცმანი, მეზარბაზნე და ხურო, აგრეთვე სხვა ოფიცირები კაპიტანთან მისულან და შეხვედრა მოუთხოვიათ. ბოცმანს მისთვისაც უთქვამს ყველაფერი, რაც მე მითხრა, ისიც განუცხადებია, კიდევ კარგი, თავისით გადავიდა ნაპირზე, თორემ ვაიძულებდით, ახლა კი ხომალდზე თუ აღარ დაბრუნდება, ჩვენ ისევ ერთგულად და პატიოსნად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომალდიდან ჩავალთო. ამის თქმა იყო და, გემბანზე შეკრებილმა მეზღვაურებმა ერთხმად შესძახეს, ყველა ასე ვფიქრობთო.

ჩემმა ძმისწულმა კაპიტანმა, რომელიც ძლიერი ნებისყოფისა და ნათელი გონების კაცი იყო, ეს რომ მოისმინა, მშვიდად უთხრა, — სანამ პირადად არ დაველაპარაკები, ვერაფერს გეტყვითო. კი სცადა, გადაეთქმევინებინა, დაუსაბუთა კიდეც, — ხომალდის მეწილეა, ინგლისში დაბრუნებულებს პასუხს გაგებინებენო, — მაგრამ ჯიუტად იდგნენ თავისაზე. მაშინ ჩემმა ძმისწულმა ნაპირზე მომაკითხა; ბოცმანის წამოყვანაც უნდოდა, რომ საკითხი მშვიდობიანად მოგვეგვარებინა, მაგრამ მას სასტიკი უარი განუცხადებია.

ჩემი ძმისწულის დანახვა ძალიან გამიხარდა, რადგან იმაზეც ვდელავდი, რომ მასაც არ ახირებოდნენ, ამიტომ ვუთხარი, რომ ნაპირზე დავრჩებოდი და თავად გავიგნებდი გზას ინგლისისკენ, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ვიდრე კუნძულზე ყოფნისას. ჩემს ძმისწულს მხოლოდ ის ვთხოვე, ჩემი ნივთები გადმოეზიდა და სამყოფი ფული დაეტოვებინა. ასე რომ, რამდენიმე საათში ყველაფერი მოგვარდა, ეკიპაჟი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მე კი იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა გზას დავდგომოდი.

ქვეყნიერების დასალიერს სრულიად მარტო აღმოვჩნდი, ჩემს კუნძულთან შედარებით აქაურობა ინგლისიდან სამი

ათას საზღვაო მილზე მეტად იყო დაშორებული; ერთადერთი — ინგლისამდე ჩაღნევა ხმელეთითაც შემეძლო, თუ დიდ მოგოლთა იმპერიის გავლით სურატში ჩავიდოდი, იქიდან სპარსეთის ყურით ბასორაში ჩავალნევდი, საქარავნო გზით არაბეთის უდაბნოს გავივლიდი ალეპომდე და ისკანდერუნამდე, საიდანაც უკვე ზღვით იტალიაში ჩავიდოდი, მერე კი ხმელეთით — საფრანგეთში; მეორე გზაც არსებობდა — სუმატრის კუნძულის ქალაქ აჩინიდან ბენგალიისკენ მიმავალ ინგლისურ ხომალდს დავლოდებოდი, მაგრამ რაკი აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის ლიცენზია არ მქონდა, ეს ცოტა გაჭირდებოდა და ხომალდის კაპიტნის გულმოწყალების იმედად უნდა ვყოფილიყავი.

გულდამძიმებული ვუყურებდი, როგორ დაიძრა ხომალდი უჩემოდ. ჩემმა ძმისწულმა ორი მსახური დამიტოვა, უფრო სწორად — ერთი თანამგზავრი და ერთიც მსახური; პირველი ხაზინადარის კლერკი იყო, მეორე კი — ჩემი ძმისწულის მსახური. ბინა ინგლისელი ქალის სახლში ვიქირავე, სადაც ვაჭრები ცხოვრობდნენ, მათგან რამდენიმე ფრანგი იყო, ორი იტალიელი ან უფრო — ებრაელი, ერთიც ინგლისელი. აქ ცხრა თვეზე მეტხანს დავყავი. ცოტაოდენი ინგლისური საქონელი მქონდა, ჩემი ძმისწულის დატოვებული კარგა ბლომად ფულიც და საკრედიტო ბარათიც, რომლითაც შეუზღუდავად შემეძლო მესარგებლა, თუ დამჭირდებოდა. საქონელი საკმაოდ მაღე და სარფიანად გავყიდე და შევიძინე ალმასები, რაც ძალზე ხელსაყრელი იყო ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში, რადგან რაც მებადა, სულ თან შემეძლო მეტარებინა.

იქ ყოფნისას ინგლისში დაბრუნების ბევრი ვარიანტი მქონდა, მაგრამ ჭკუაში არც ერთი არ დამიჯდა. ერთხელ დილაადრიან შემომიარა ჩემმა მეზობელმა ინგლისელმა ვაჭარმა, რომელსაც საკმაოდ დავუახლოვდი, და მითხრა:

— ერთი კომერციული აზრი დამებადა, ძალიან მომწონს და ვიფიქრე, იქნებ დაინტერესდეთ-მეთქი. ჩვენი სამშობლო-დან ამ სიშორეზე რომ ვიმყოფებით, თუ გონივრულად ვი-მოქმედებდით, იქნებ ბლომად ფულიც გვეშოვა, რადგან არა მგონია, აქ ვინმემ ჩვენზე კარგად იცოდეს ვაჭრობა. თუ ჩემს ათას გირვანქა სტერლინგს თქვენს ათასსაც დავუმატებთ და რაიმე პატარა ხომალდს ვიყიდით, თქვენ კაპიტანი იქნებით, მე — ვაჭარი, და სავაჭროდ ჩინეთში შეგვეძლება წასვლა. ასე უქმად ხომ არ ვიქნებით, როდესაც მთელი მსოფლიო მოქმე-დებაშია?!

ამ წინადადებამ ძალიანაც მომხიბლა, თანაც — ასე კე-თილგანნყობით შემოთავაზებულმა. ვაჭრობა საჩემო საქმე დი-დად არ იყო, მაგრამ მოგზაურობისა და უცხო ქვეყნების ნახვის პერსპექტივამ კი მომხიბლა. ისე, კარგა ხანი დაგვჭირდა, ხო-მალდი რომ გვეშოვა, მერე კიდევ, მეზღვაურთა შეგროვება გაგ-ვიჭირდა, თანაც იმდენის, ხომალდის სამართავად რომ გვჭირ-დებოდა. მაგრამ მაინც შევაგროვეთ, თანაშემწესაც მივაგენით, ბოცმანსაც, ინგლისელ მეზარბაზნესაც, ჰოლანდიელ ხუროსაც და სამ გამოცდილ მეზღვაურსაც. დანარჩენი ეკიპაჟი ინდოელი მეზღვაურებით შევავსეთ.

მზადება რომ დავასრულეთ, აჩეპისკენ გავემართეთ, კუნ-ძულ სუმატრაზე, იქიდან გეზი სიამისკენ ავიღეთ, სადაც ჩვენი საქონელი ოპიუმსა და სხვადასხვა მაგარ სასმელზე გადავცვა-ლეთ; ოპიუმი იმხანად ჩინეთში დიდად ფასობდა და მოთხოვ-ნილებაც დიდი იყო; მერე სასკანისკენ გავემართეთ. ამასობაში რვა თვეც გავიდა და ბენგალიაში ძალიან კმაყოფილი დავბ-რუნდი. ინგლისში ხშირად მსმენია, რა აღტაცებით ახსენებენ იმათ, ვისაც კომპანია ინდოეთში გზავნის, და ვაჭრებს, რომ-ლებიც იქ დიდ მამულებს იძენენ და ისე მდიდრდებიან, რომ ერთ ჯერზე სამოცი-სამოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინ-

გით ბრუნდებიან შინ, თუმცა, რა გასაკვირია, როცა იქაურობა სავსეა ნავსადგურებით და თავისუფალი ვაჭრობის ზონებით, როცა ნავსადგურები, სადაც ინგლისური ხომალდები შედიან, სრულად აკმაყოფილებს სხვა ქვეყნების მზარდ მოთხოვნებს, როცა ასეთი გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებს.

ამ პირველი რეისით დიდძალი ფული ვიშოვე და მეტის შოვნის პერსპექტივაც მექნებოდა, ასე რომ, ოცი წლით ახალ-გაზრდა რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, ვერც იქ დარჩენის ცდუნებისთვის გამეძლო და აღარ მეძებნა ჩემი ილბალი, მაგრამ სამოც წელს გადაცილებული ვიყავი, სიმდიდრეც საკმაოდ მქონდა დაგროვილი და ქონების შეძენაზე მეტად, მოგზაურობა, უცხო ქვეყნების ნახვა მაინტერესებდა. ამიტომაც შინ ვერ ვძლებდი, სხვა ქვეყნებისკენ მიწევდა გული; სხვაგან რომ ვიყავი, სამშობლო მენატრებოდა, მაგრამ, სოლომონის ნათქვამის არ იყოს, ჩემი უძლები თვალი ნანახს არ სჯერდებოდა და სულ ახალი ქვეყნების გაცნობის წადილი მიტანდა. ახლაც ქვეყნიერების იმ კუთხეში ვიმყოფებოდი, სადაც არასდროს ვყოფილვარ, თუმც კი ბევრი მსმენოდა, ამიტომ სულ მეტი და მეტი მინდოდა მენახა, რათა ბოლოს მეთქვა, მთელი ქვეყნიერება მოვიარე და მისი ნახვა მართლაც რომ ლირს-მეთქი.

მე და ჩემს თანამგზავრს სრულიად განსხვავებული ინტერესები გვქონდა. მოგზაურობისას მუდამ იმას ცდილობდა, რომ მოგება ენახა; მე კი, დაუდგრომელ პატარა ბიჭუნასავით, სულ ახალ-ახალი ადგილების ნახვის უინით ვიყავი შეპყრობილი. ამ ჩემმა ინგლისელმა ნაცნობმა, მუდამ სარგებელს რომ ეძებდა, სანელებლების კუნძულებად წოდებულ მოლუკის კუნძულებისკენ გამგზავრება შემომთავაზა, რომ მანილიდან თუ კიდევ საიდანლაც მიხაკი ჩამოგვეტანა.

დიდხანს მზადება არ დაგვჭირვებია, ამ შემთხვევაში მთავარი სირთულე ჩემი დაყოლიება იყო. ბოლოს, რაკი საინტერე-

სო სხვა არაფერი მესახებოდა, არადა, ერთ ადგილას ყურყუჭი ჩემთვის წამებას უდრიდა, დავთანხმდი. ეს მოგზაურობაც წარმატებული აღმოჩნდა. ვიყავით ბორნეოში და კიდევ რამდენიმე კუნძულზე, ხუთ თვეში უკან დავპრუნდით და სანელებლები ჩამოვიტანეთ, მერე კი სპარსელ ვაჭრებს ძალიან სარტიანად მივყიდეთ. მოგება რომ დავიანგარიშეთ, ჩემმა კომპანიონმა ლიმილით მითხრა:

— ახლა რას იტყვი? განა ეს არ ჯობია აქ უსაქმოდ ყიალსა და უმეცარ წარმართთა ყურებას?

— მართალი ხარ, მეგობარო, — დავეთანხმე. — მგონი, ვაჭრობის საქმეს ვეუფლები და თუ ამ საქმეში ერთხელაც ჩემი ჩამორჩენა დავძლიე, აღარ მოგასვენებ, სულ წინ და უკან გატარებ მსოფლიოში, სანამ ქანცს გაგწყვეტ.

თანამედამულის გაფრთხილება

ამ ბოლო მოგზაურობიდან ბევრი დრო არ იყო გასული, რომ ბატავიიდან ჰოლანდიური ხომალდი ჩამოვიდა. ორას ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ხომალდი აღმოჩნდა. მთელი ეკიპაჟი ავად იყო ან თავს იავადმყოფებდა, ამიტომ ხომალდი ზღვაში ვერ გადიოდა და ბენგალის სანაპიროსთან ლუზაჩაშვებული იდგა, კაპიტანმა კი მისი გაყიდვის განცხადება გამოაქვეყნა, რადგან ფული სჭირდებოდა ევროპაში დასაბრუნებლად ანდა — რაღაც სხვა მიზნით. ეს ამბავი ჩემს კომპანიონზე ადრე შევიტყვე და ძალიან მომინდა ამ გემის ყიდვა. მას რომ შევთავაზე, ჯერ დაფიქრდა; საერთოდ, სიდინჯით გამოირჩეოდა და გადაწყვეტილებას ჰაითარად არ იღებდა; მერე მითხრა, — ძალიან დიდია, მაგრამ ვიყიდოთო. ასე რომ, ხომალდი ვიყიდეთ. გვინდოდა, ამ ხომალდის მეზღვაურებით ჩვენი ეკიპაჟი შეგვევსო, მაგრამ ვერ მივაგენით. როგორც მერე გავარკვიეთ, გემის საფასურიდან გასამრჯელო აულიათ და ხმელეთით მოგოლთა იმპერიის დედაქალაქ აგრას გავლით სურატში წასულან, საიდანაც სპარსეთის ყურისკენ ზღვით დაძრულან.

გული ძალიან დამწყდა, მათ რომ არ გავყევი, მაგრამ მალე პირიქით, გამიხარდა კიდეც, როცა შევიტყვე, რა ხალხი ყოფილა: საქმე ის გახლავთ, რომ ის კაცი, კაპიტნად რომ ასაღებდა თავს, მეზარბაზნე იყო; მის ხომალდს მალაიელები დასხმიან თავს, კაპიტანი და სამი მეზღვაური მოუკლავთ; თერთმეტ მეზღვაურს ხომალდი ბენგალიაში გაუტაცია, გზად კი კაპიტნის თანაშემწე და კიდევ ხუთი მეზღვაური სადღაც ნაპირზე დაუტოვებიათ, რადგან ამ უმსგავს საქმეში მხარი არ აუბეს.

. რა გზით ჩაიგდეს ხომალდი ხელში, არ ვიცოდით, იმაში კი დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ სავსებით კანონიერად შევიძინეთ. ისე, მეტი სიფრთხილე გვმართებდა, მეზღვაურები რომ გამოვვეკითხა, წინააღმდეგობრივი ჩვენებებით შეიძლებოდა, რამე ეჭვი აგველო, მაგრამ ვითომ კაპიტანმა ვინმე ემანუილ ქლოსთერშოვენის სახელზე გაცემული ყალბი ნასყიდობის სიგელი გვიჩვენა და გარიგებაც გავაფორმეთ. ამის შემდეგ რამდენიმე ინგლისელი და რამდენიმე ჰოლანდიელი მეზღვაური ვიქირავეთ და ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ანუ ფილიპინებსა და მოლუკის კუნძულებს შორის მდებარე კუნძულებისკენ გავემართეთ ისევ მიხაკის ჩამოსატანად. აქ წვრილმანებზე დროს აღარ დავკარგავ, რადგან ბევრად საინტერესო ამბავი მაქვს მოსაყოლი. მოკლედ გეტყვით, რომ იმ ქვეყანაში ექვსი წელი გავატარე, სულ აქეთ-იქით დავდიოდი სავაჭროდ, თანაც — დიდი წარმატებით; ბოლო წელს მე და ჩემი კომპანიონი უკვე ნახსენები ხომალდით ჩინეთში სამოგზაუროდ წავედით, მანამდე კი ბრინჯის საყიდლად სიამში გამგზავრება გადავწყვიტეთ.

ამ მოგზაურობისას არ გაგვიმართლა. მოლუკის სრუტეში ურთიერთსაპირისპირო ქარის გამო დიდხანს ვიცურეთ იქაურ სახითათო წყლებში. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვალნიეთ, მაგრამ შევნიშნეთ, რომ ხომალდში წყალი უონავდა, თუმცა ბზარი ვერსად ვიპოვეთ. იძულებული გავხდით, სადმე ნავსაყუდელი მოგვეძებნა და რაკი ჩემი კომპანიონი იქაურობას უკეთ იცნობდა, კაპიტანს უბრძანა, გემი კამბოჯაში მდინარის შესართავში შეეყვანა. კაპიტნად ჩემი თანაშემწე, ვინმე მისტერ თომფსონი მყავდა დანიშნული, რადგან არ მინდოდა, პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ამეღლო. ეს მდინარე ჩრდილოეთიდან ჩაედინება დიდ ყურეში, რომელიც სიამამდე აღწევს. სანამ იქ ვიდექით, ხშირად გადავდიოდით ნაპირზე. ერთხელაც ერთმა ინგლისელმა მომაკითხა, რომელიც ადრე ინგლი-

სური კომპანიის ერთ-ერთი გემის მეზარბაზნის თანაშემწე
ყოფილა და მისი გემიც მდგარა აქ.

— სერ, — მითხრა მან, — თქვენთვის მნიშვნელოვანი
რამ მაქვს სათქმელი. თქვენ მე არ მიცნობთ, მე კი — თქვენ,
მაგრამ არ შემიძლია არ გაცნობოთ, რომ დიდი საფრთხე გე-
მუქრებათ.

— ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ, — ვუპასუხე, —
ერთადერთი ის არის, რომ ხომალდში წყალი უონავს, ხვალ ნა-
პირზე გავიყვანთ და გავარკვევთ, საიდან.

— უონავს თუ არ უონავს, არა მგონია, ისეთი უგუნურო-
ბა გამოიჩინოთ, რომ ხომალდი ხვალ ნაპირზე გაიყვანოთ იმის
შემდეგ, რასაც გეტყვით, — თქვა მან. — იცით თუ არა, სერ,
რომ ქალაქი კამბოჯა შესართავიდან თხუთმეტი ლიგით ზე-
მოთ მდებარეობს, შესართავიდან ხუთი ლიგის დაშორებით კი
ახლა ხუთი დიდი ინგლისური ხომალდი და სამი ჰოლანდიური
ხომალდი დგას?

— მერე და რა? მე რა შუაში ვარ?

— როგორ, სერ, განა ისეთ ვითარებაში, როგორშიც
თქვენ ხართ, ნავსადგურში შესვლამდე არ უნდა გაარკვიოთ,
იქ რა გემები დაგხვდებათ? ნუთუ იმედი გაქვთ, რომ გაუმკ-
ლავდებით?

ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, და გაოცებულმა შევ-
ხედე.

— იმედია, ამიხსნით, რას გულისხმობთ. ვერ ვხვდები, რა-
ტომ უნდა ვუფრთხოდე ინგლისური კომპანიის ან ჰოლანდიის
გემებს. არაფერი დამიშავებია და რაზე უნდა შემომედავონ?

— კეთილი, სერ, — ლიმილით მომმართა მან. — რაკი
გვინდიათ, რომ არაფერი გემუქრებათ, ბედს მიენდვეთ; მაგრამ
მე მაინც გირჩევთ, ახლავე ზღვაში გახვიდეთ, რადგან ხალხით
სავსე ხუთი ბარკასი შემოგიტევთ და ალბათ მაშინვე ჩამოგახ-
რჩობენ, როგორც მეკობრეს, საქმის გარკვევას კი მერე შეუდ-

გებიან. მართალი გითხრათ, სერ, — დასძინა მან, — მეგონა, მადლობელი იქნებოდით ჩემი ასეთი სამსახურისთვის.

— უმადურობა არც მჩვევია, — ვუთხარი, — ნებისმიერ სამსახურს ვაფასებ და ნებისმიერის მადლიერი ვარ, ვინც სიკეთეს მიკეთებს, მაგრამ ვერ ვხვდები, ჩემთან რა უნდა ესაქ-მებოდეთ; თუმცა, რაკი მაფრთხილებთ, დროს ნუ დაკარგავ-თო, ახლავე წავალ ხომალდზე და ვუბრძანებ, ზღვაში გაიყვა-ნონ, თუკი ბზარი იპოვეს და ამოგმანეს, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდები და იქნებ უფრო გასაგებად ამიხსნათ.

— გეტყვით, სერ, — თქვა მან, — თუმცა, ეს ამბავი მხო-ლოდ ნაწილობრივ ვიცი. აქ ერთი ჰოლანდიელი მეზღვაურია და მგონი, დავითანხმებ, რომ ყველაფერი გიამბოთ. მაგრამ დრო არ ითმენს. მოკლედ, ასეთი ამბავია: ჰირველი ნაწილი ალბათ თქვენც იცით, რადგან ამ ხომალდით სუმაფრაში იყა-ვით. გემის კაპიტანი და სამი მეზღვაური მალაიელებმა მოკ-ლეს, თქვენ და კიდევ სხვები გაიქეცით და მეკობრეობა და-ინყეთ, ახლა კი დაგიჭერენ როგორც მეკობრეებს; თქვენც კარგად მოგეხსენებათ, როგორ სჯიან სავაჭრო გემები მეკობ-რეებს, თუ ხელში ჩაიგდეს.

— ახლა გასაგებია, რასაც მეუბნებით, და მადლობელი ვარ, — ვუთხარი, — მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი და არც არავითარი ბრალი არ მიმიძლვის, თუმცა, რაკი მაფრთხი-ლებთ, მეც ფრთხილად ვიქნები.

— არა, სერ, აქ მარტო სიფრთხილე არ გიშველით, — მითხრა, — თუ თქვენი და თქვენი ხალხის სიცოცხლე რამედ გიღირთ, როგორც კი მოქცევა დაინყება, ზღვაში გადით, თა-ნაც — რაც შეიძლება შორს. ორ საათს მაინც მოიგებთ, ისინი კი ნავებით ვერ დაგეწევიან.

— თქვენი ძალიან მადლობელი ვარ, — მივმართე, — რით შემიძლია გადაგიხადოთ?

— ჯერჯერობით არ ღირს, სერ, ჯერ ხომ არ იცით, მარ-თალს გეუბნებით თუ არა. ამიტომ, ასე მოვიქცეთ: იმ ხომალ-

დზე, რომლითაც ინგლისიდან წამოვედი, თორმეტი თვის ხელფასი არ გადაუხდიათ, იმ ჰოლანდიელისთვის კი — შვიდი თვის. თქვენ თუ გადაგვიხდით, თან წამოვყვებით, ხოლო თუ დადასტურდა, რომ თქვენც, თქვენი ხომალდიც და თქვენი ხალხიც გადაგარჩინეთ, პატივისცემა თქვენს წამუსზე იყოს.

სიამოვნებით დავთანხმდი და მაშინვე ხომალდს მივაშურე. ორივე მეზღვაურიც წამომყვა. როგორც კი ხომალდს მივუახლოვდი, ჩემი კომპანიონი გემბანზე გამომეგება და მახარა:

— წყალი აღარ უონავს, შევაჩერეთ.

— მართლა? — გამიკვირდა. — მადლობა ღმერთს! ჰოდა, ახლა ღუზა ასწიეთ და ზღვაში გავიდეთ.

— ზღვაში გავიდეთ? — მკითხა კომპანიონმა. — კი, მაგრამ რატომ?

— ახლა შეკითხვების დრო არ არის, — ვუპასუხე. — იჩქარეთ! იჩქარეთ!

კომპანიონი კი გაოცდა, მაგრამ მაშინვე კაპიტანს უბრძანა, ღუზა აეწია, და თუმცა ჯერ ქარი კარგად არ უბერავდა, ზღვაში გავედით. კომპანიონი კაიუტაში შევიყვანე და ყველაფერი ვუამბე, ის ორი მეზღვაურიც ვიხმე და დანარჩენი იმათ უთხრეს. ცოტა ხანში მეზღვაურმა კაპიტნისგან ამბავი მოვვიტანა, ხალხით სავსე ხუთი ნავი მოგვდევსო. მთელ ეკიპაჟს გემბანზე მოვუყარეთ თავი და ვუთხარით, რომ ხომალდის წართმევას, ჩვენ კი მეკობრეებად გამოცხადებას გვიპირებდნენ, და ვკითხეთ, ჩვენ გვერდით იქნებოდნენ თუ არა, რაზეც ერთხმად მხიარულად გვიპასუხეს, ერთად ვიბრძოლებთ და ერთად დავიხოცებითო.

სულ უფრო ღრმად შევდიოდით ზღვაში და თან, საბრძოლველად ვემზადებოდით. ხუთი ნავიც კვალდაკვალ მოვვყებოდა. ჭოვრიტით დავინახეთ, რომ ინგლისელების ორმა ნავმა ორიოდე ლიგით გამოასწრო დანარჩენებს და სულ უფრო გვიახლოვდებოდა. ზარბაზნიდან ფუჭი გასროლა მოვახ-

დინეთ და თეთრი დროშა გამოვფინეთ იმის ნიშნად, რომ მოლაპარაკება გვინდოდა. ამაზე არ გვიპასუხეს და ჯიქურ წამოვიდნენ. მაშინ თეთრი დროშა წითლით შევცვალეთ და უკვე ტყვიები დავუშინეთ, მაგრამ მდევრები არც ამან შეაჩერა. ისე ახლოსაც არ იყვნენ, რომ რუპორით ხმა მიგვეწვდინა და გაგვეფრთხილებინა, რომ მეტად არ მოგვახლოებოდნენ. მეწინავე ნავი ცდილობდა, ჩვენი ხომალდის კიჩის მოახლოებოდა და აბორდაჟზე ავეყვანეთ. ხომალდი მოვაბრუნებინე, ხუთივე ზარბაზნიდან ერთდროულად ვესროლეთ და ერთ ნავს კიჩი დავუზიანეთ. უკანა სამი ნავიდან ერთი მისაშველებლად წავიდა და დავინახეთ, როგორ ამოჰყავდათ წყლიდან თავისიანები. წინა ნავს კიდევ გავძახეთ, მაგრამ ის უკვე ჩვენი კიჩის ქვეშ მოქცეულიყო. მაშინ ჩვენმა მეზარბაზნემ ორი ზარბაზანი იქით გადაიტანა და ესროლა, მერე ხომალდი ისევ შევაბრუნეთ და ახლა უკვე სამი ზარბაზანი დავუშინეთ. ნავი ნაფოტებად იქცა. მაშინვე გავეცი ბრძანება, რომ ნავი ჩაეშვათ და რაც შეიძლება მეტი ხალხი ამოეყვანათ. ჩვენმა მეზღვაურებმა სამი კაცი ამოიყვანეს, რომელთაგან ერთი უკვე იხრჩობოდა. როგორც კი მეზღვაურები ხომალდზე ამოვიდნენ და გადარჩენილებიც ამოიყვანეს, იალქნები გავშალეთ და სრული სვლით გავცურეთ.

ასე დავაღწიეთ თავი საფრთხეს, რომელიც უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. გეზი უნდა შეგვეცვალა, რათა მდევართათვის გზა-კვალი აგვებნია. გაშლილ ზღვაში აღმოსავლეთისკენ დავიძარით იმ ვარაუდით, რომ ევროპულ გემებს აღარ გადავეყრებოდით. ზღვაში ისევ გამოვკითხეთ ის ორი მეზღვაური, რათა გაგვერკვია, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, და ჰოლანდიელმა მეზღვაურმა დაადასტურა, რომ ხომალდი მოტყუებით მოგვყიდეს, კაპიტანი მოკლეს, თვითონ კი სხვა ოთხ მეზღვაურთან ერთად კარგა ხანი ტყე-ტყე იმაღებოდა, სანამ ცურვით მიაღწევდა ერთ-ერთ ჰოლანდიურ ხომალდამდე, რომელიც ჩინეთიდან ნაპირის გასწვრივ მოცურავდა.

მისი ნაამბობიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ბატავიაში ჩა-
სულა, სადაც შეხვედრია იმავე ხომალდის კიდევ ორ მეზღ-
ვაურს, რომლებმაც უთხრეს, რომ ხომალდის გამტაცებელმა
ბენგალიაში ვიღაც მეკობრეებს მიჰყიდა და ახლა ისინი ზღვა-
ში ყაჩალობენ, ერთი ინგლისური და ორი ჰოლანდიური გემიც
ჩაუგდიათ ხელში დიდძალი სიმდიდრით. როგორც მივხვდით,
ამ მეკობრეებში ჩვენ ვიგულისხმებოდით, თუმცა ვიცოდით,
რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ჩემმა კომპანიონმა სავსე-
ბით სამართლიანად შენიშნა, მათ ხელში რომ ჩავვარდნოდით,
რაკი წინასწარ დარწმუნებული იყვნენ ჩვენს დანაშაულში,
არანაირი თავის მართლება არ გვიშველიდა და ჩვენი ბედიც
გადაწყვეტილი იქნებოდა; ამიტომ, მისი აზრით, პირდაპირ
ბენგალიაში უნდა დავბრუნებულიყავით და იქ დაგვემტკიცე-
ბინა, რომ არაფერში მივვიძლოდა ბრალი; მაგრამ ხომ უნდა
ვყოფილიყავით დარწმუნებული, რომ სამართლიანად განგვ-
სჯიდნენ და ჯერ არ ჩამოგვახრჩოდნენ და მერე არ გაგვასა-
მართლებდნენ?

თავიდან ჩემს კომპანიონს დავეთანხმე, მაგრამ მერე რომ
დავფიქრდი, ვუთხარი, რომ ბენგალიაში დაბრუნება ძალიან
სახითათო იყო, რადგან მოლაპის სრუტისკენ გაქცევით საკუ-
თარ თავს განაჩენი გამოვუტანეთ და ეს საკმარისი მტკიცე-
ბულება იქნებოდა ჩვენს დასასჯელად. ინგლისელ მეზღვაურ-
საც ვკითხე აზრი და ისიც დამეთანხმა. ამიტომ მაშინვე ჭონ-
კინისკენ ავიღეთ გეზი და ჩინეთის სანაპიროს გავუყევით,
რათა ეს ჩვენი ხომალდი თავიდან მოგვეშორებინა და სხვა
ხომალდით დავბრუნებულიყავით. ეს აზრი ყველამ მოიწონა
და შესაბამისად, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გავემართეთ,
თუმცა ჩვეულებრივი მარშრუტიდან ორმოცდაათამდე ლი-
გის დაშორებით მივცურავდით, რაც გარკვეულ სირთულეებს
გვიქმნიდა, რადგან, ჯერ ერთი, ქარი საპირისპირო მხრიდან,
აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გვიძერავ-
და, და მეორე — ამ მიზეზით ნაოსნობა გაგვიჭიანურდა და

სურსათი გველეოდა; რაც ყველაზე უარესი იყო, შეიძლება, ის ინგლისური და ჰოლანდიური ხომალდები დაგვდევნებოდნენ ან სულაც ჩინეთისკენ მიმავალ რომელიმე სხვა ხომალდს გადავყროდით, რომელიც ჩვენ შესახებ გაფრთხილებული იქნებოდა.

უნდა გამოვტყოდე, რომ ძალიან დათრგუნვილი ვიყავი, რადგან მრავალი ხიფათის მიუხედავად, ასეთ შარში არასოდეს გავხვეულვარ: მდევნიდნენ როგორც ქურდს, არადა, ცხოვრებაში არასდროს ჩამიდენია ულირსი ან თაღლითური საქციელი, მით უმეტეს — ქურდობა. მართალი გითხრათ, საკუთარი თავის გარდა, ვნება არავისთვის მიმიყენებია. და თუმცა სრულიად უდანაშაულო ვიყავი, ამის დამტკიცება ძალიან გამიჭირდებოდა, ამიტომ გაქცევასაც კი ვფიქრობდი, მაგრამ სად და როგორ გავქცეულიყავი, არ ვიცოდი. ჩემმა კომპანიონმა, რომ გავემხნევებინე, რამდენიმე ნავსადგური შემომთავაზა, ისიც მითხრა, შეგვიძლია, კოჩინისკენ ან ტონკინის ყურისკენ წავიდეთ, იქიდან კი მაკაოში ჩავიდეთო, სადაც ბევრი ევროპელი იყრიდა თავს, განსაკუთრებით — მისიონერი მღვდლები, რომლებიც ჩინეთში წასვლას აპირებდნენ.

ასეც გადავწყვიტეთ და გზას გავუდექით. საკმაოდ დამქანცველი ნაოსნობა გამთენისას დავასრულეთ; ხიფათის თავიდან ასაცილებლად ხომალდი პატარა მდინარეში შევიყვანეთ, რომლის კალაპოტიც, საბედნიეროდ, კარგა ღრმა აღმოჩნდა. სწორადაც მოვიქეცით, რადგან მეორე დილით ტონკინის ყურეში ორი ლიგის სიშორეზე ჩაგვიარა ჩინეთისკენ მიმავალმა ორმა ჰოლანდიურმა და ერთმა უდროშო ხომალდმა; როგორც ვივარაუდეთ, ისიც ჰოლანდიური იყო; დღის მეორე ნახევარში კი თვალი მოვკარით იმავე მიმართულებით მიმავალ ორ ინგლისურ ხომალდს. ის ადგილი, სადაც გავჩერდით, ველური და უდაბური იყო, იქაური მოსახლეობა კი — ქურდბაცაცა, რამაც ბევრი თავსატეხი გავვიჩინა, თუმცა

ნაკლებად გვქონდა მათთან ურთიერთობა. როგორც აღვნიშნე, ჩვენი ხომალდი პატარა მდინარეში იდგა ამ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრიდან რამდენიმე ლიგის დაშორებით; ნავით ჩრდილო-აღმოსავლეთით ხმელეთის იმ ნაწილს მივადექით, საიდანაც ტონკინის დიდი ყურე იშლებოდა; სწორედ აქ აღმოვჩნდით მტრულ გარემოცვაში. აქაურები მთელი სანაპიროს მცხოვრებთა შორის ყველაზე ველურები იყვნენ, და ყველას, ვისაც არ გაუმართლებდა და მათ ნაპირს შეაფარებდა თავს, ვთქვათ, ზღვაზე კატასტროფის შემდეგ, ატყვევებდნენ და მონებად აქცევდნენ. მათი სტუმართმოყვარეობა საკუთარ თავზეც გამოვცადეთ.

უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენს ხომალდში წყალი ჟონავდა. მერე, სანამ სიამის ყურეში ჰოლანდიელები და ინგლისელები დაგვედევნებოდნენ, უცებ შეწყდა, თუმცა რაკი ხომალდი სათანადოდ გამართულად და საიმედოდ არ მიგვაჩნდა, გადავწყვიტეთ, მეჩეჩზე შეგვესვა, რომ ტრიუმი გაგვეწმინდა და ფსკერი შეგვეკეთებინა. ხომალდი ზარბაზნებისა და სხვა ტვირთისგან დავცალეთ.

დურგლის საზრიანობა

დახრილი ხომალდის შემხედვარე ადგილობრივები დაინტერესდნენ, რა ხდებოდა; ვერავის ხედავდნენ, რადგან ჩვენები ნავებით ხომალდის ფსკერთან იდგნენ, და იმათ ეგონათ, რომ ხომალდი ნაპირზე მივაგდეთ და მივატოვეთ. ორი-სამი საათის შემდეგ ათი თუ თორმეტი ნავით მოგვადგნენ; ზოგში რვა, ზოგში ათი კაცი იჯდა. აშკარა იყო, რომ ხომალდზე ამოსვლასა და მის გაძარცვას აპირებდნენ, ხოლო თუ ვინმე დახვდებოდათ, მონებად წაასხამდნენ.

ხომალდთან რომ მოვიდნენ, დაინახეს, როგორ გულმოდგინედ მუშაობდნენ ჩვენი მეზღვაურები; ერთხანს გაოცებულები გვიყურებდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ამასობაში ჩვენებიდან ზოგი ხომალდზე აძვრა, ზოგმა იარაღიც მოიმარჯვა, რომ თავი დაეცვა, თუ საჭირო გახდებოდა. დაახლოებით თხუთმეტ წუთში რაღაცაზე შეთანხმდნენ; ეტყობა, ეგონათ, რომ ხომალდი ზღვაში დაზიანდა და თავის გადარჩენას ვცდილობდით, ნავებში კი რაღაც საქონელი გადაგვქონდა, თუმცა ეს იარაღი იყო, რომელსაც მეზღვაურები ერთმანეთს აწვდიდნენ. მათ უკვე თავიანთ ნადავლად წარმოგვიდგინეს და შეტევაზე გადმოვიდნენ.

ჩვენებმა ამდენი ადგილობრივი რომ დაინახეს, შეცებნენ, რადგან საპრძოლველად სულაც არ იყვნენ მზად; მიყვიროდნენ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო? ბორტზე მყოფი ვუბრძანე, მუშაობა გაეგრძელებინათ, რომ ხომალდი დროზე შეეკეთებინათ, ნავში მყოფებს კი, — რომ ბორტზე ამოსულიყვნენ; მაგრამ ბრძანების შესრულება ვერ მოასწრეს, ორი ნავი ჩვენს ერთ ნავს მიადგა და მეზღვაურების გადათრევა დაინყეს.

პირველი, ვისაც ხელი სტაციეს, ბრგე, ჯანმაგარი ისგლი-სელი იყო, რომელსაც თოფი ჰქონდა, მაგრამ ნავის ფსკერზე

ედო; გავიფიქრე კიდეც, ამ სულელმა ეს რა ქნა-მეთქი, მაგრამ ეტყობა, თავისი საქმე ჩემზე უკეთ იცოდა: მოწინააღმდეგეთა ნავიდან ერთ კაცს ხელი წაავლო, ჩვენს ნავში გადმოათრია, მერე ყურებით დაიჭირა და ისეთი ძალით მიახეთქებინა თავი ნავის კიდეზე, რომ საცოდავმა მაშინვე სული დალია. ამავდროულად იქვე მყოფმა ჰოლანდიელმა თოფს ხელი დაავლო და კონდახით ხუთს ერთად დაერია; მაგრამ ისინი ოცდაათი თუ ორმოცი იყვნენ, თანაც სულაც არ ეშინოდათ, რადგან საფრთხეს ვერ აცნობიერებდნენ; ჩვენს ნავში მხოლოდ ხუთი მეზღვაური იჯდა. მერე ისეთი რამ მოხდა, რამაც ჩვენები დიდად გაამხიარულა და სრული გამარჯვებაც მოუტანა.

მანამდე ჩვენმა დურგალმა, რომელიც ბზარების ამოსაგმანად ხომალდის ფსკერის გაპოხვას აპირებდა, ნავში ორი ქვაბი ჩადგა: ერთში ქაფქაფა ფისი, ხოლო მეორეში ქაფქაფა სკიპიდარი და ზეთი ესხა, მის თანაშემწეს კი ჩამჩა ეჭირა, და როცა ორი თავდამსხმელი ნავში ჩაუხტა, მაშინვე შეასხა ეს ქაფქაფა ფისი. სიმწრისგან აღრიალებული, დათუთქული ველურები მაშინვე ზღვაში გადაეშვნენ. დურგალმა ეს რომ დაინახა, დაუყვირა:

— ყოჩალ, ჯეკ! არ დაინანოთ, უხვად გაუმასპინძლდით!
— მერე გრძელტარიანი ჯაგრისით ფისს ყველას ასხამდა, ვინც კი მომდგარი სამი ნავიდან გადმოსვლას ცდილობდა. ისეთი მოთქმა და ღრიალი ატყდა, ჩემს ყურს რომ არასდროს სმენია.

გამარჯვებით ასეთი კმაყოფილი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ და არა მარტო იმიტომ, რომ ეს გამარჯვება ასე მოულოდნელად მოვიპოვეთ, არამედ იმიტომაც, რომ ყველაფერი უსისხლოდ დასრულდა, იმ ერთს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ინგლისელმა მეზღვაურმა შიშველი ხელით მოკლა, რის გამოც ძალიან ვწუხდი. მაგრამ ცხოვრებაში ზოგჯერ იძულებული ხდები, მკვლელობა ჩაიდინო, თუმცა კაცისკვლის წინააღმდე-

გი ვარ, თუნდაც ყველაზე უარესის, და დარწმუნებული ვარ, ყველა ასე ფიქრობს, ვინც სიცოცხლის ფასი იცის.

ამასობაში მეზღვაურებმა ჩემი და ჩემი კომპანიონის ხელმძღვანელობით მარჯვედ გაასწორეს გემი და ზარბაზნები ისევ გემბანზე აიტანეს, რის შემდეგაც მეზარბაზნემ მთხოვა, ნავების განევა უბრძანეთ, თორემ სროლაში ხელს შემიშლისო. სროლა ავუკრძალე და ვუთხარი, მტრის მოგერიებას მარტო დურგალი მშვენივრად ახერხებს, შენ კი წადი და მზარეულისგან კიდევ ერთი ქვაბი მოიტანე-მეთქი; თუმცა, თავდამსხმელები პირველივე იერიშისას ისე დაფეთდნენ, შემოტევა აღარც უფიქრიათ; დანარჩენი ნავებიდანაც დაინახეს, რომ უკვე გამართული ხომალდი ტალღებზე ირწეოდა, მიხვდნენ, რომ ისე არ ყოფილა საქმე, როგორც ეგონათ, და შეტევა გადაიფიქრეს. ასე დავასრულეთ მხიარული ბრძოლა. ვინაიდან მანამდე ნაპირიდან მომარაგებული გვქონდა ბრინჯი, სხვა სურსათ-სანოვაგე, პური და თექვსმეტი ლორი, გადავწყვიტეთ, იქ აღარ შევყოვნებულიყავით და გზას გავდგომოდით. დარწმუნებული ვიყავით, რომ მეორე დღეს უფრო მეტი ადგილობრივი ავაზაკის გარემოცვაში აღმოვჩნდებოდით, ამიტომ ხომალდზე ყველაფერი ავზიდეთ და გამთენისას სანაოსნოდაც და მტრის მოსაგერიებლადაც უკვე მზად ვიყავით. იმ დღეს ხომალდზე სარემონტო სამუშაოები დავასრულეთ, კიდევ ერთხელ შევამოწმეთ, სადმე ბზარი ხომ არ დაგვრჩა, და გზას გავუდექით. ტონკინის ყურისკენ წასვლა გვინდოდა, მაგრამ დავინახეთ, რომ იმ მიმართულებით რამდენიმე ხომალდი წავიდა, ამიტომ გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ფორმოზას კუნძულისკენ ავიღეთ, რათა ჰოლანდიურ და ინგლისურ სავაჭრო გემებს ავრიდებოდით, რადგან ისინი ხმელთაშუა ზღვაში ისეთივე საშიშია, როგორიც ალუირული სამხედრო ხომალდი.

ზღვაში გასულებს გეზი არ შეგვიცვლია, სადღაც მანილასა და ფილიპინის კუნძულებს შორის მივცურავდით, რომ

ევროპულ ხომალდებს არ გადავყროდით, მერე მკვეთრად ჩრდილოეთისკენ გავემართეთ, სანამ ჩრდილოეთის განედის 22 გრადუსს მივადექით, სადაც ფორმოზას კუნძულთან ჩავუშვით ღუზა, რომ წყალი და საჭმელი მოგვემარაგებინა. ამ მხარის სხვა მცხოვრებთაგან განსხვავებით, აქაურები ძალზე თავაზიანი ხალხია და მათთან ურთიერთობა საკმაოდ სასიამოვნო აღმოჩნდა; საქმეშიც წესიერები და პუნქტუალურები არიან. ამას იმით ვხსნიდი, რომ ოდესლაც აქაურები ჰოლანდიელმა პროტესტანტმა მღვდლებმა ქრისტიანობას აზიარეს, და საერთოდაც, დავკვირვებივარ, სადაც ქრისტიანული რელიგია ვრცელდება, ხალხი უფრო ცივილიზებული ხდება, ქცევაც სათანადოდ ეცვლება, განურჩევლად იმისა, სასიკეთო აღმოჩნდა მათთვის ქრისტიანობა თუ არა.

მერე ისევ ჩრდილოეთისკენ ვიცურეთ ჩინეთის სანაპიროს გასწვრივ, სანამ საერთოდ გავცდებოდით მის ყველა იმ ნავსადგურს, სადაც ევროპული გემები ჩერდებოდნენ. გვეშინოდა, ხელში არ ჩავვარდნოდით მათ, მით უმეტეს — ამ ქვეყანაში, სადაც სრულიად არ ვიქნებოდით დაცულები. 30-გრადუსიან განედს რომ მივაღწიეთ და პირველივე სავაჭრო ნავსადგურში ჩავუშვით ღუზა, ნაპირიდან ნავით ერთი ხნიერი პორტუგალიელი ლოცმანი მოგვადგა და, რაკი ევროპელებად შეგვიცნო, თავისი სამსახური შემოგვთავაზა. ჩვენც სიხარულით დავთანხმდით. იგი ხომალდზე ამოვიდა და ნავი უკან გააბრუნა. იმედი მქონდა, რომ ეს პორტუგალიელი კარგ მეგზურობას გაგვიწევდა და მშვიდობიანად მიგვიყვანდა ნანკინის ყურემდე, რომელიც ჩინეთის სანაპიროს უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი იყო. ძალიან კარგად ვიცნობ იქაურობასო, გვითხრა პორტუგალიელმა და ლიმილით გვკითხა, იქრა საქმე გაქვთო? მეც ვუპასუხე, რომ ჩვენი საქონლის გაყიდვასა და ჩინური საქონლის — ჩითის, ხამი აბრეშუმის, ჩაისა და სხვა რამეების ყიდვას ვაპირებდით და იმავე მარშრუტით დავბრუნდებოდით. მან გვირჩია, მაკაოში წავსულიყავით, სადაც

ბევრად უფრო სარტიანად გავყიდდით ოპიუმს და ჩინურ საქონელსაც უფრო იაფად შევიძენდით, ვიდრე ნანკინში.

რაკი პორტუგალიელს სიტყვა ბანზე ვერ ავუგდეთ, თან ისე გულმოდგინედ გვარწმუნებდა, ვუთხარი, რომ ჩვენ, რაკი არა მხოლოდ ვაჭრები ვართ, არამედ ჯენტლმენებიც, გვინდოდა, სახელგანთქმული ქალაქი პეკინი და ჩინელი მონარქის ცნობილი სასამართლო გვენახა.

— მაშინ ნინბოში უნდა წახვიდეთ, — გვითხრა მან, — სადაც დიდ არხში ხუთი ლიგის სიღრმეში შეხვალთ. ამ არხს ყველა მდინარე უერთდება, ასე რომ, იგი მთავარი სანაოსნო მარშრუტია, ორას სამოცდაათ ლიგაზეა გადაჭიმული და მთელ ჩინეთის იმპერიას კვეთს, უამრავ მნიშვნელოვან პუნქტს ჩაუვლის და ქალაქ პეკინამდე აღწევს.

— კეთილი, მაგრამ ახლა არ ღირს. ჩვენ გვაინტერესებს, შეგიძლიათ თუ არა, ნანკინში ჩაგვიყვანოთ, საიდანაც მერე პეკინში ჩავალთ?

— რასაკვირველია, შემიძლია, — გვიპასუხა მან და დაძინა: — მით უმეტეს, რომ იქ ახლა დიდი ჰოლანდიური ხომალდი დგას.

ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შემაშთოთა, რადგან ჰოლანდიურ ხომალდთან შეხვედრას თვით ეშმაკთან შეხვედრა გვერჩივნა. ეს სრულ დალუპვას ნიშნავდა, რადგან ვერც შევებრძოლებოდით, ან კი სად გვქონდა საამისო ძალა?!

მოხუც პორტუგალიელს გაუკვირდა, შეცბუნება რომ შემატყო, და მითხრა:

— სერ, ჰოლანდიელებს რატომ უფრთხით? ისინი ხომ ინგლისთან საომარ მდგომარეობაში არ არიან?

— მართალია, — ვუთხარი, — მაგრამ რა ვიცი, რას მოიმოქმედებენ ასე შორს, როცა პასუხის მომკითხავი არავინაა.

— რატომ? — გაიოცა. — რომელი მეკობრეები თქვენ ხართ, მშვიდობიან ვაჭრებს კი რატომ უნდა გერჩოდნენ?!

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დამაბნია და ეს მოხუცმაც შე-
მატყო, თუმცა არ შეიმჩნია.

— სერ, — მითხრა, — მეც რას ჩაგაცივდით?! თქვენი ნე-
ბაა, რა გზით წახვალთ, მე კი თქვენთვის ყველაფერს გავაკე-
თებ, რაც კი შემიძლია.

საუბარი გავაგრძელეთ და გვითხრა, ვიღაც მეკობრეებმა
ისეთი საშინელება მოიმოქმედეს, რომ ეს ამბავი აქ მონაოსნე
ყველა მეზღვაურს პირზე აკერიაო. მივხვდი, საქმე ჩვენს ხო-
მალდს ეხებოდა, რომელიც ჩვენდა ჭირად ვიყიდეთ და რო-
მელზეც ახლა თავადაც იმყოფებოდა, ამიტომ გადავწყვიტე,
ალალად მომეყოლა მისთვის ყველაფერი, რაც მოხდა, და ისიც
მეთქვა, რომ სწორედ ნანკინში გვინდოდა ხომალდის თავიდან
მოშორება.

პორტუგალიელი გაოგნებული მისმენდა და ბოლოს და-
მიდასტურა, რომ კურსი სწორად ავირჩიეთ. მანაც გვირჩია,
ხომალდი ჩინეთში გავეყიდა, და ჯონკა გვეყიდა, რომლითაც
უკან დავბრუნდებოდით, ისიც აღმითქვა, რომ საამისოდ სა-
ჭირო ხალხთან დამაკავშირებდა.

— კი, მაგრამ, სენიორ, — ვუთხარი, — ასე ხომ სრულიად
უდანაშაულო მყიდველებს გავხვევთ დიდ შარში.

— სულაც არა, სერ, — მომიგო მან, — ამას არ დავუშვებ;
კარგად ვიცნობ იმ ხომალდების მეთაურებს, თქვენ რომ ახ-
სენეთ, და დავარწმუნებ, რომ მეკობრენი კი არა, არამედ სულ
სხვა ხალხი ხართ და ხომალდი მერე შეიძინეთ.

დაახლოებით ცამეტი დღის შემდეგ ნანკინის ყურის სამ-
ხრეთ-დასავლეთ ნაწილში ღუზა ჩავუშვით. აქ ყური მოვკა-
რი, რომ მანამდე ყურეში ორი ჰოლანდიური გემი შესულა და
ძალზე შესაძლებელი იყო, მათ ჩავვარდნოდით ხელში. ეს ჩემს
კომპანიონს გავუზიარე. ისიც ჩემსავით დაბნეული იყო. მერე
ისევ ლოცმანს დავეკითხე, ხომ არ იცოდა რომელიმე უსაფ-
რთხო ნავსადგური, სადაც უფრო დაცულად ვიგრძნობდით
თავს? მან მირჩია, დაახლოებით ორმოცდაორი ლიგით სამ-

ხრეთისკენ წავსულიყავით და პატარა ნავსადგურ ქვინჩანგში ჩაგვეშვა ღუზა, სადაც მაკაოდან მომავალი მისიონერები ჩერდებოდნენ, რომლებიც ჩინელებს ქრისტიანულ რელიგიას უქადაგებდნენ, და არც ევროპული ხომალდები შედიოდნენ; თუმცა არც ის დაგვიმალა, რომ ეს არ იყო სავაჭრო ადგილი და მხოლოდ ხანდახან იმართებოდა ბაზრობა, სადაც ჩინური საქონლის შესაძენად იაპონელი ვაჭრები ჩადიოდნენ. შესაძლოა, იმ ნავსადგურის სახელიც სწორად არ მენეროს, რადგან ის უბის წიგნაკი, რომელშიც უცნობ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ვინერდი, წყალმა გამიფუჭა, თან ისიც მახსოვს, რომ ჩინელი ვაჭრები, რომლებთანაც ურთიერთობა გვქონია, მას სხვაგვარად მოიხსენიებდნენ და არა — ქვინჩანგად, როგორც პორტუგალიელი წარმოთქვამდა. ერთი სიტყვით, იქ წასვლა გადავწყვიტეთ, თუმცა მანამდე ორჯერ გადავედით ნაპირზე სასმელი წყლის მოსამარაგებლად. მოსახლეობა მშვიდობიანად გვეგებებოდა და სურსათ-სანოვაგესაც უხვად გვთავაზობდა საყიდლად.

მიუხედავად იმისა, რომ საპირისპირო ქარი ქროდა, სხვა ნავსადგურში აღარ შევსულვართ და კიდევ კარგი. როგორც კი ხმელეთზე გადავედით, შვებით ამოვისუნთქე. ჩემი კომპანიონიც დამეთანხმა — შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იმ დაწყევლილ ხომალდზე ფეხს აღარ დავადგამდით. მართალი გითხრათ, რა არ გადამხდომია თავს, მაგრამ ასეთი შიში არ მიჭამია, და მივხვდი, რომ ადამიანს ისე არაფერი თრგუნავს და ისე არაფერი ანადგურებს, როგორც შიში. აკი ბიბლიაშიცაა ნათქვამი: „ვინც ხალხის წინაშე კანკალებს, მას მახე უგია“; ეს სიკვდილის შიშით ცხოვრებას ჰგავს, როცა გონებას ეს შიში ისე ატყვევებს, რომ ადამიანს აზროვნება უჭირს.

შიშით შეპყრობილი კაცი კიდევ უარესს წარმოიდგენს, ჰოდა, ჩვენც, ინგლისური და ჰოლანდიური გემების კაპიტნები, ისეთ ადამიანებად გვესახებოდნენ, რომლებსაც სიმართლეს ვერაფრით შეაგნებინებდი, რომლებიც მოკლებულნი

იყვნენ შავისა და თეთრის, წესიერი კაცისა და ყაჩალის გარჩევის უნარს; არადა, თავისუფლად შეგვეძლო მათი დარწმუნება, რომ მეკობრენი არ ვიყავით, რასაც დაადასტურებდა სავაჭროდ წალებული ჩვენი საქონელი, ჩვენი ხომალდის გეზი, ჩვენი ალჭურვილობა, სრულიად არასაკმარისი საბრძოლველად; ისიც, რომ არ ვიმალებოდით, ეკიპაჟი კი მრავალეროვანი გვყავდა — ინგლისელებისგან, პორტუგალიელებისგან, ინდოელებისგან, აგრეთვე ორი ჰოლანდიელისგან შემდგარი. ოპიუმი და სხვა საქონელიც მოწმობდა, რომ ბენგალიაში ვიყავით. ეს და მრავალი სხვა გარემოება უთუოდ დაარწმუნებდა ნებისმიერ კაპიტანს ჩვენს უდანაშაულობაში.

მაგრამ შიში რისი შიშია, თუ არ დაგაბრმავა, გონება არ აგირია, ისეთი რამ არ ჩაგადენინა, რასაც სხვა შემთხვევაში არ ჩაიდენდი. ჯერ იყო და, ვიფიქრეთ, რომ ინგლისური და ჰოლანდიური ხომალდების მეზღვაურები ისე იყვნენ ჩვენზე ალესილები, რაკი ნავები ჩავუძირეთ, რომ თავის გასამართლებლად სიტყვას არ გვათქმევინებდნენ, ისე ამოგვხოცავდნენ; გვეგონა, უამრავი მტკიცებულება არსებობდა ჩვენ წინააღმდეგ — ჯერ ერთი, ეს მართლაც გატაცებული ხომალდი იყო, მეორე — რომ კამბოჯაში დადევნებულ მათ მეზღვაურებს ბრძოლა გავუმართეთ და გავიქეცით.

მოკლედ, ასეთი ფიქრებით შეპყრობილებს მეც და ჩემს კომპანიონსაც ლამეები არ გვეძინა და თუ ჩაგვეძინებოდა, სიზმრად ვხედავდით, რომ ჩამოხრჩობას გვიპირებდნენ, რომ გააფთრებით ვიცავდით თავს, რომ ჩვენც ვხოცავდით და ჩვენც გვხოცავდნენ. ერთხელ, როცა მესიზმრებოდა, რომ ჩვენი ხომალდი აბორდაჟზე აიყვანეს, უკვე ბორტზე გადმოდიოდნენ და ერთ მეზღვაურს გამეტებით ჩავარტყი მუშტი, არადა, მძინარს ისე ძლიერად მომიქნევია, რომ ხელი დავიშავე; ამბონის ხოცვა-ულეტაც კი გამახსენდა და წარმოვიდგინე, როგორ ანამებენ ჰოლანდიელები ჩვენებს, რათა აღიარებინონ ის, რაც არ ჩაუდენიათ. დღისით და ლამით არ გვასვენებდა

ასეთი ფიქრები. იმანაც კი გაგვიელვა თავში, რომ შეიძლებოდა, სულ რაღაც ოთხი თუ ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგის ლირებულების ხომალდისა და საქონლისთვის დავეხოცეთ; მერე კი მოუწევდათ პასუხისგება თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენ რაღა ხეირი, თუკი ცოცხლები აღარ ვიქნებოდით?!

არ შემიძლია ჩემი მაშინდელი ფიქრებიც არ გაგიზიაროთ, რომ ორმოცნელიანი განსაცდელით აღსავსე ცხოვრების შემდეგ იმ მიჯნაზე აღმოვჩნდი, რომ ისევე, როგორც ყველა ადამიანი, უკვე მივადექი საბოლოო ნავსაყუდელს, სადაც ჩემივე მცდარი არჩევანის გამო, ხანდაზმულს, სამშობლოდან ასე შორს გადახვენილს, სიკვდილით დამსჯიდნენ დანაშაულის-თვის, რომელიც არათუ არ ჩამიდენია, არამედ აზრადაც არ გამივლია. ამან კიდევ, რელიგიაზე ფიქრები ამიშალა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ყველაფერი ღვთის ნებით ხდებოდა და მორჩილებით უნდა შევხვედროდი ამ განაჩენს, რადგან, თუმცა ადამიანთა წინაშე თავს უდანაშაულოდ ვგრძნობდი, ვერ ვიტყოდი, რომ ასევე უდანაშაულო ვიყავი შემოქმედის წინაშე, ამიტომ მმართებდა დაფიქრება იმაზე, თუ რატომ მომივლინა უფალმა ასეთი კატასტროფა.

აქ უკვე შინაგანი გამბედაობა იღვიძებდა, და იმაშიც გამოგიტყდებით, რომ მიჩნდებოდა კითხვა — ველურებს რომ ჩავვარდნოდი ხელში, ხომ ვიბრძოლებდი თავის დასაცავად, მაშ, ახლა ასეთ უსამართლო განაჩენს გულხელდაკრეფილი რატომ უნდა ველოდო-მეთქი? თანაც ყოველთვის, როცა ასეთი ფიქრები მომეძალებოდა, ვგრძნობდი, როგორ ამიტანდა ციებ-ცხელება, როგორ მიღულდა სისხლი, როგორ მიეღავდა თვალები, მიპყრობდა აზრი, რომ მტრისგან შეწყალებასაც აღარ მივიღებდი და თუ წინააღმდეგობის თავიც აღარ მექნებოდა, ხომალდს ავაფეთქებდი, რათა მტერს მცირედი ნადავლიც არ დარჩენოდა.

ჩინეთში ჩასვლა

რაც უფრო შავბნელი ფიქრები გვტანჯავდა ზღვაში, მით მეტი შვებით ამოვისუნთქეთ ხმელეთზე. ჩემმა კომპანიონმა თავისი სიზმარი მიამბო — დასიზმრებია, რომ მთაზე უმძიმეს ტვირთს მიათრევდა და როცა ძალა სულ გამოელია, პორტუ-გალიელი ლოცმანი შეეშველა და ჩამოხსნა, მთა გაქრა და მის წინ სწორი და მოკირნყლული გზა გამოჩნდა. მართლაც, ყვე-ლას ისეთი განცდა გვქონდა, რომ მძიმე ტვირთი ჩამოვიხსე-ნით. მეც გულიდან გადამვარდა დარდი, ასე რომ მაღლონებდა. და როგორც უკვე გითხარით, გადავწყვიტეთ, ამ ხომალდით ზღვაში აღარ გავსულიყავით. პორტუგალიელმა ლოცმანმა, რომელსაც ძალიან დავუმეგობრდით, ბინაც კარგი გვაშოვნი-ნა და საწყობიც, სადაც ჩვენი საქონელი დავაბინავეთ. ეს იყო პატარა ქოხი და იქვე, მიმდებარედ — ლერწმით დაბურული დიდი სახლი; რომ არ გავექურდეთ, თუმცა აქ ქურდობა არც ხდებოდა, აქაური მმართველის ნებართვით, საწყობს მაინც შუბით შეიარაღებული დარაჯი დავუყენეთ, რომელიც დღეში ერთი ჯამი ბრინჯისა და სამი პენსის ტოლფასი თანხის სანაც-ვლოდ ჩვენს საქონელს საიმედოდ იცავდა.

ცოტა ხანში აქ ბაზრობა უნდა გამართულიყო და მის მო-ლოდინში მდინარის ნაპირზე რამდენიმე ჯონკა და ჩინეთში ნაყიდი საქონლით დატვირთული ორი იაპონური ხომალდი იდგა.

პირველი, რაც ჩვენმა პორტუგალიელმა ლოცმანმა გაგ-ვიკეთა, ის იყო, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის სამი მი-სიონერი მღვდელი გაგვაცნო, რომლებიც კარგა ხანია, აქ იყვნენ და ქრისტიანობას ქადაგებდნენ, მაგრამ, როგორც შევატყვეთ, ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. ერთი მღვდელი, მა-მა საიმონი, ფრანგი იყო, მეორე — პორტუგალიელი, მესამე

კი — გენუელი. მამა საიმონი უაღრესად თავაზიანი და სასი-ამოვნო პიროვნება გახლდათ, დანარჩენი ორი, უფრო თავშე-კავებული და მკაცრი, მეტად სერიოზულად ეკიდებოდა თავის მისიას; სადაც კი მცხოვრებთ მოიხელთებდნენ, ხან აშკარად, ხანაც შეფარვით, ქრისტიანულ რჯულზე მათ მოქცევას ცდი-ლობდნენ. მათთან ერთად გვიწევდა ჭამა-სმა და უნდა გამოვ-ტყდე, რომ მათი მცდელობა, ჩინელები ქრისტიანულ რჯულ-ზე მოექციათ, როგორც ამას თავად უწოდებდნენ, ძალიან არ ჰგავდა ჭეშმარიტ რჯულზე მოქცევას, რადგან, წარმართნი რომ ქრისტეს რწმენას აზიარო, ცოტა მეტია, ვიდრე მხოლოდ ის, რომ ქრისტეს სახელი სცოდნოდათ, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის მიმართ ლოცვა აღევლინათ მათვის გაუგებარ ენაზე და პირჯვარი გადაესახათ; თუმცა, ის მორწმუნები, რომლებსაც მისიონერებს ვუწოდებთ, დარწმუნებული არი-ან, რომ ამ წარმართთა სულების ხსნა მათი დამსახურებაა, და ამის გულისთვის არ უშინდებიან დამქანცველ ნაოსნობას, ხიფათით აღსავსე ცხოვრებას უცხო ადგილას, ზოგჯერ კი — სიკვდილსა და სასტიკ წამებას.

მამა საიმონი, მისიის ხელმძღვანელის მითითებით, პეკინში წასვლას აპირებდა, მაგრამ ჯერ ვიღაც მღვდელს ელოდა მაკაოდან, რომ ერთად წასულიყვნენ. არც ისე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ როცა ვხვდებოდით, სულ მეპატი-უებოდა, სამოგზაუროდ გავყოლოდი, თან მარწმუნებდა, უამ-რავი რამ არის საინტერესო ამ უძლიერეს იმპერიაში, პეკინი კი მსოფლიოს უდიდესი ქალაქია. ამ ქალაქს, ირწმუნებოდა იგი, თქვენი ლონდონი და ჩვენი პარიზი, ერთად აღებული, ვერ შე-ედრებაო. მაგრამ საკუთარი თვალით რომ ვნახე ეს ყველაფე-რი, რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ ჩემს შთაბეჭდილებას, როცა კონკრეტულად შევეხები მოგზაურობის დროს.

ერთხელაც, როცა მხიარულად ვსადილობდით, შემატყო, რომ დიდი ხვენა არ დამჭირდებოდა, და მეც და ჩემი პარტნიორიც დაგვიყოლია.

— მამაო, — ჰეითხა ჩემმა კომპანიონმა; — მაინც რატომ ხართ ასე დაინტერესებული ჩვენი წამოსვლით? აკი იცით, რომ ერეტიკოსები ვართ, ამიტომ გულზე სულაც არ გეხატებით და დიდად არც ჩვენთან ურთიერთობა გსიამოვნებთ.

— ოჟ, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს თქვენც ჭეშმარიტი კათოლიკენი გახდეთ; მე აქ ურნმუნოთა ჭეშმარიტ რჯულზე მოსაქცევად ვარ და ვინ იცის, იქნებ, თქვენც მოგაქციოთ?

— კეთილი, მამაო, — ვუთხარი, — ესე იგი, მთელი გზა უნდა გვიქადაგოთ?

— თქვენს შენუხებას სულაც არ ვაპირებ, — მიპასუხა.

— ჩვენი რელიგია კარგ მანერებს არ გამორიცხავს, თანაც აქ თითქმის თანამემამულენი ვართ. ერთმანეთს მხარში უნდა ვედგეთ. თქვენ ჰუგენოტები ხართ, მე კი — კათოლიკე, მაგრამ მაინც ქრისტიანები ვართ, და როგორც ნამდვილ ჯენტლმენებს შეეფერებათ, ერთმანეთი არ უნდა შევაწუხოთ.

მისი ეს სიტყვები ძალიან მომენტონა და ჩემი მეგობარი მღვდელი გამახსენდა, ბრაზილიაში რომ დავტოვე. მამა საიმონი მაინცდამაინც არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას; მართალია, საძრახისი ფუქსავატობა არ ახასიათებდა, მაგრამ აკლდა ის ქრისტიანული გულმოდგინება, ღვთისმოსაობა და რელიგიისადმი გულწრფელი ერთგულება, რომლითაც ჩემი კეთილი მოძღვარი გამოირჩეოდა.

მამა საიმონმა თითქმის დაგვიყოლია, მაგრამ ჯერ ჩვენი საქმეები გვქონდა მოსაგვარებელი, ხომალდი და საქონელი უნდა გაგვეყიდა, რაც, მართალი გითხრათ, ამ მიყრუებულ ადგილას არც ისე იოლი იყო. ერთხელაც გადავწყვიტე, გამერისკა და მდინარე ქილამით ნანკინში ჩავსულიყავი, მაგრამ განგებამ სხვაგვარად წარმართა ჩვენი საქმეები; აშკარად ვიგრძენი, რომ რამე უნდა მომეფიქრებინა, რათა ამ ჩახლართული ვითარებიდან თავი დამეღნია და შინ, სამშობლოში დავბრუნებულიყავი, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, როგორ შეიძლებოდა ამის მოხერხება. მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ ჩვენმა

პორტუგალიელმა მეგობარმა იაპონელი ვაჭარი მოგვიყვანა, რომელმაც ჯერ გამოიკითხა, რა საქონელი გვქონდა, მერე კი მთელი ოპიუმი იყიდა საკმაოდ კარგ ფასად და ნაწილი თავისი ქვეყნის ოქროს მონეტებით გადაიხადა, ნაწილი კი ათი და ოცი უნციის ნონის ოქროს ზოდებით. მაშინ ვიფიქრე, იქნებ ჩვენი ხომალდიც იყიდოს-მეთქი, მაგრამ რომ შევთავაზე, მხრები აიჩეჩა, თუმცა რამდენიმე დღეში ისევ მოვიდა, თარჯიმნად ერთი მისიონერი მღვდელიც მოიყვანა და მითხრა, თქვენს საქონელს რომ ვყიდულობდი, ხომალდზე სულ არ მიფიქრია, ახლა კი ფული სულ აღარ დამრჩაო, ამიტომ მთხოვა, ჩვენი ხომალდი ეკიპაჟთან ერთად გამეყოლებინა ფილიპინებზე, და, როგორც თქვა, ფრახტის ფულს გადაიხდიდა, ხოლო იქიდან იაპონიაში რომ დაბრუნდებოდა, ხომალდს იყიდდა. მისი წინადადება ჭკუაში დამიჯდა, ის კი არა, ვიფიქრე, სამხრეთის ზღვაში ფილიპინების კუნძულებზე ჩვენც წავყოლოდით, მაგრამ უარი გვითხრა, — მაშინ ტვირთს ვეღარ წამოვიდებო, — სამაგიეროდ შემოგვთავაზა, ხომალდი რომ დაბრუნდება იაპონიის კუნძულებზე წაგიყვანთო. ამაზეც ყაბულს ვიყავი, მაგრამ ჩემმა კომპანიონმა არ დამანება, რადგან იაპონიის ზღვაც სახიფათოა და იაპონელების ნდობაც არ შეიძლება: ძალიან მატყუარა, სასტიკი და მუხანათი ხალხიაო, იმათზე უარესი, ვიდრე ფილიპინებზე მცხოვრები ესპანელებიო.

სხვა საქმეებიც გვქონდა მოსაგვარებელი. პირველ რიგში უნდა გაგვერკვია, თანახმა იყვნენ თუ არა ხომალდის კაპიტანი და ეკიპაჟი იაპონიაში გამგზავრებაზე. ამასობაში ჩემთან მოვიდა ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩემმა ძმისწულმა თანაშემწედ დამიტოვა, და მითხრა, — ეს ძალიან სარფიანი წინადადებაა და კარგი იქნება, თუ დათანხმდებით, თუ არა და, იქნებ მე გამიშვათ და წარმატებას მივაღწიო, ხოლო ინგლისში თუ დავბრუნდები და თუ იქ დამხვდებით, ჩემს წარმატებას თქვენც გაგიზიარებთ, რადგან ამაში თქვენი წილიც

იქნებათ. მასთან განშორება არ მინდოდა, მაგრამ ვიფიქრე, ახალგაზრდა კაცისთვის ეს მართლაც კარგი პერსპექტივაა, იქნებ წარმატებას მართლაც მიაღწიოს-მეთქი, და გადავწყვიტე, დავთანხმებოდი, თუმცა, ვუთხარი, ჯერ ჩემს კომპანიონს დავეკითხები და პასუხს ხვალ გეტყვი-მეთქი. ეს ჩემს კომპანიონს რომ ვუთხარი, მან კიდევ უფრო სარფიანი წინადადება წამოაყენა.

— როგორც იცით, ამ ხომალდს ჩვენთვის იღბალი არ მოუტანია, — მითხვა მან, — ამიტომ ზლვაში დაბრუნებას აღარ ვაპირებთ; რაკი თქვენს გამცილებელს, — ასე შეარქვა იმ ახალგაზრდას, — წასვლა გადაუწყვეტია, გემის ჩემს წილს დავუთმობ, და თუ გაუმართლებს და იხეირებს, ჩვენ კი მისი დაბრუნებისას ინგლისში ვიქნებით, ამ ხომალდით ნაშოვნი მოგების ნახევარი ჩვენ მოგვცეს, ნახევარი კი მისი იყოს.

რაკი ჩემმა კომპანიონმა ამ ახალგაზრდას, რომელთანაც არაფერი აკავშირებდა, ისეთი გულუხვი რამ შესთავაზა, ნაკლები მეც არ მეკადრებოდა, და იგივე შევთავაზე; ხომალდის ეკიპაჟიც დათანხმდა, გაჰყოლოდა; ნახევარი ხომალდი იმ ახალგაზრდას საკუთრებაში დავუმტკიცეთ და ხელწერილი ჩამოვართვით, რომ დანარჩენებს ანგარიშს გაუსწორებდა, და იაპონიაში გავაძგზავრეთ. იაპონელი ვაჭარი ძალზე წესიერი კაცი აღმოჩნდა, იაპონიაში უპატრონა და ხმელეთზე გადასვლის ლიცენზიაც უშოვა, რომელსაც ბოლო ხანს ევროპელებს არ აძლევდნენ. ფრახტის საფასურიც პუნქტუალურად გადაუხადა, მერე ფილიპინებზე გაგზავნა იაპონური და ჩინური საქონლით დატვირთული; იქიდან მანილაში დაბრუნდა, სადაც საქონელი კარგად გაყიდა, მერე იქაურმა გუბერნატორმა დაიქირავა და ამერიკის სანაპიროზე, აკაპულკოში გაგზავნა; იქიდან მეხიკოში გაემგზავრა და ბოლოს თავის ეკიპაჟთან ერთად, ესპანური ხომალდით ევროპაში დაბრუნდა. აკაპულკოში მისი მოგზაურობა წარმატებული აღმოჩნდა; იქ გაყიდა

ხომალდი და პორტობელოში შესვლის ნებართვა მოიპოვა, ბოლოს მთელი თავისი ქონებით იამაიკაზე ჩავიდა და დაახლოებით რვა წელიწადში ძალიან გამდიდრებული დაპრუნდა ინგლისში.

ახლა ჩვენს ამბავს დავუპრუნდები და გეტიურით, რომ იმაზე დავიწყეთ ფიქრი, როგორ გადავვეხადა სიკეთე იმ ორი მეზღვაურისთვის, დროულად რომ გვაცნობეს კამბოჯაში შექმნილი საშიშროების თაობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ მათ მართლაც დიდი სამსახური გაგვინიეს, თუმცა ცოტა ითვალთმაქცეს კიდეც, რადგან მათაც ეგონათ, რომ მეკობრეები ვიყავით და ხომალდიც ჩვენ გავიტაცეთ, და მაინც დაგვეხმარნენ, რომ მერე ჩვენთან ერთად ზღვაში ეთარეშათ. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით გამოგვიტყდა კიდეც, თუ რა მიზანი ჰქონდათ, მაგრამ განეული სიკეთე სიკეთედ რჩებოდა და თანაც შეპირებული ვიყავი, რომ გადავუხდიდი იმ გასამრჯელოს, რომელიც სხვა გემზე სამსახურისთვის ეკუთვნოდათ; გარკვეული თანხაც მივეცი ოქროთი, რაც ძალიან გაუხარდათ. გარდა ამისა, მეზარბაზნე ინგლისელი ხომალდზე კაპიტნის თანაშემწედ და ხაზინადრად დავნიშნე, ჰოლანდიელი კი — ბოცმანად. ორივე კმაყოფილი დარჩა, ისე, ძალიანაც გამოგვადგნენ, რადგან მარჯვე და მამაცი მეზღვაურები აღმოჩნდნენ.

ახლა ჩინეთის სანაპიროზე ვიმყოფებოდით და თუ ბენგალიაში ყოფნისას ვფიქრობდი, ამ სიშორეზე რამ გადმომავდომეთქი, თუმცა უამრავი შესაძლებლობა არსებობდა იქიდან შინ დასაპრუნებლად, რა უნდა მეფიქრა ახლა, როცა ათასი ლიგით ვიყავი ჩემს სამშობლოს დაშორებული და არც დაპრუნების რაიმე პერსპექტივა ჩანდა. ერთადერთი იმის იმედი გვქონდა, რომ ოთხ თვეში იქ ბაზრობა გაიმართებოდა და შევძლებდით ტონკინიდან ჩამოსული ჩინური ჯონკის ყიდვას, რომლითაც გავემგზავრებოდით და ჩვენს საქონელსაც წავიღებდით. ეს აზრი გულს მიმშვიდებდა და გადავწყვიტეთ, ბაზრობას დავლოდებოდით; და კიდევ, შეიძლებოდა, რომელიმე

ინგლისურ ან ჰოლანდიურ გემს შემოევლო და, რაკი სახეზე არავინ გვიცნობდა, ინდოეთში გავყოლოდით, რადგან იქიდან სახლთან უფრო ახლოს ვიქნებოდით. ასეთი იმედებით დავრჩით, თუმცა გული რომ გადაგვეყოლებინა, ქვეყანაში ორჯერ თუ სამჯერ ვიმოგზაურეთ.

ჯერ ერთი, ათი დღით ნანკინს გავემგზავრეთ; მისი ნახვა მართლაც ლირდა. როგორც გვითხრეს, იქ მილიონი კაცი ცხოვრობდა. ქალაქი გამუდმებით შენდებოდა; სულ სწორი ქუჩები იყო და ერთმანეთს მართი კუთხით კვეთდა; მაგრამ როცა ამ ქვეყნების საწყალ ხალხს, თავიანთი მანუფაქტურებით, ცხოვრების წესით, მთავრობით, რელიგიით, თავიანთი სიმდიდრითა და სიდიადით, რასაც ზოგიერთი მიაწერდა, ჩვენსას ვადარებდი, უნდა გამოვტყდე, რომ შედარებაც კი არ ლირდა. მათი დიდება, სიმდიდრე, ფუფუნება, ცერემონიები, მმართველობა, წარმოება, ვაჭრობა და ქცევა იმიტომ კი არ გვაოცებს, რომ მართლაც განსაკუთრებულია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს წარმოდგენას ამ ქვეყნების ჩამორჩენილობაზე, განუვითარებლობასა და უმეცრებაზე არ შეესატყვისება ის, რასაც იქ ვნახულობთ, და გვიკვირს. არადა, რას წარმოადგენს მათი შენობები ევროპის სამეფო სასახლეებთან და ციხე-კოშკებთან შედარებით? ანდა მათი ვაჭრობა, ინგლისის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ესპანეთის უნივერსალურ ვაჭრობასთან შედარებით? მათი ქალაქები მდიდარ, ძლიერ, მხიარული სამოსით აჭრელებულ, მდიდრული ავეჯით დამშვენებულ და მრავალფეროვნებით გამორჩეულ ჩვენს ქალაქებთან შედარებით? მათი ნავსადგურები თითზე ჩამოსათვლელი ჯონკებითა და ბარკასებით ჩვენს ნავიგაციასთან, დიდ და მძლავრ სავაჭრო და სამხედრო ფლოტებთან შედარებით? ჩვენს ლონდონში უფრო გაცხოველებული ვაჭრობაა, ვიდრე მთელ მათ იმპერიაში; ოთხმოცქვემეხიანი ერთი ინგლისური, ჰოლანდიური ან ფრანგული სამხედრო ხომალდი ჩინეთის ყველა ხომალდს, ერთად აღებულს ვაუმკლავდება; და ეს ყვე-

ლაფერი გაოცებას იმიტომ ინვევს, რომ, როგორც გითხარით, გასაკვირია ასეთი ჩამორჩენილი, წარმართი ხალხისგან, რომელიც ოდნავ თუ ჯობია ველურებს. ანდა ჩინეთის იმპერიის შეიარაღებული ძალები, თუმცა ბრძოლის ველზე ორი მილიონი მეომრის გამოყვანა შეუძლიათ, რისი მაქნისია, გარდა იმისა, რომ ქვეყანა დაარბიოს და შიმშილით ამოხდეს სული; კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ოცდაათიათა-სიანი გერმანული ან ინგლისური ქვეითი ჯარი და ათიათა-სიანი კავალერია ჩინეთის მთელ ჯარებს გაანადგურებს. ჩი-ნეთში არც გამაგრებული ქალაქები აქვთ; ცეცხლსასროლი იარაღით კი არიან შეიარაღებულნი, მაგრამ უვარგისით, და იმასაც მარჯვედ ვერ ხმარობენ; მათ დენთსაც ნაკლები ძალა აქვს; ჯარს დისციპლინა და მანევრირების უნარი აკლია. ამი-ტომ უნდა გამოგიტყდეთ, შინ რომ დავბრუნდი და მოვისმი-ნე ჩინელთა ქება-დიდება, ძალიან გავოცდი, რადგან, რაც მე ვნახე, ეს იყო უმეცართა და დამონებულთა ბრბო, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა მთავრობას, რომელსაც სხვა არა-ფერი ძალუდდა, გარდა იმისა, რომ ამგვარი ხალხი ემართა; და მოსკოვის სამეფოს ასეთი დიდი მანძილი რომ არ აშორებდეს და ისიც ასეთივე განუვითარებელი, უსუსური და სასტიკი რომ არ იყოს, მოსკოვის მეფეს ერთი იერიშით მთელი ჩინეთის დაპყრობა არ გაუჭირდებოდა. და რომ მოსკოვის მეფეს, რომ-ლის ძლიერება, როგორც ამბობენ, სულ უფრო მატულობს, თავისი ჯარი აქეთ რომ დაეძრა, ნაცვლად იმისა, რომ ომში განაფულ შვედებთან ეოშა, არც ერთი ევროპული სახელმწი-ფო წინ არ აღუდგებოდა და არ შეშურდებოდა მისი, ჩინეთის იმპერატორი გახდებოდა და არ დამარცხდებოდა ნარვასთან შვედეთის მეფესთან ბრძოლაში, რომლის ძალებსაც მოსკო-ველთა ძალები ექვსჯერ აღემატებოდნენ.

როგორც ჩინელთა სამხედრო ძლიერება და სიმდიდრე, გაბუქებულია მათი ნავიგაცია, ვაჭრობა და მიწათმოქმედება და ევროპის მიღწევებს ამ დარგებში ვერც კი შეედრება; ივივე

ითქმის მათ ცოდნაზე, განათლებასა და მეცნიერებაზე, რაც შორსაა სრულყოფისგან, თუმცა გლობუსებიც აქვთ და ციურ სხეულთა გამოსახულებანიც; რაღაც ცოდნა კი დაუგროვებიათ მათემატიკაში, მაგრამ სულ ტყუილად ჰგონიათ, რომ დანარჩენ მსოფლიოზე მეტი იციან; მოსახლეობა ისეთი ბნელი და უმეცარია, რომ მზის დაბნელებისას ჰგონიათ, მზეს დიდი დრაკონი დაესხა თავს და გატაცებას უპირებსო, ამიტომ მის დასაფრთხობად დაფიდაფებითა და ჯამ-ჭურჭლით ისეთ ხმაურს ტეხენ, მთელ ქვეყანას აყრუებენ.

ეს არის ერთადერთი წიაღსვლა მთელი ჩემი მოგზაურობის აღწერისას და ამ თემას აღარ დავუბრუნდები, რადგან ამაზე მსჯელობა არც მეხება და არც ჩემი საქმეა. შემდგომში მხოლოდ ჩემს პირად შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, რომელიც ამ გამორჩეული მოგზაურობის დროს მივიღე უამრავი ლირსშესანიშნაობის ხილვისას, რომელთა შესახებაც, მეეჭვება, ბევრმა შეიტყოს ჩემ შემდეგაც. ამიტომაც იმ დიდებულ ადგილებზე, უდაბნოს ქვეყნებსა და უამრავ ხალხზე, რომლებიც შემდგომი მოგზაურობისას შემხვდება, ცოტას მოვყვები და იმასაც მხოლოდ იმ კუთხით, რომლითაც ჩემს თავგადასავალს ეხება.

ახლა, ნანკინიდან დაბრუნებული, ჩემი ვარაუდით, შუაგულ ჩინეთში ვიმყოფებოდი, ეკვადორიდან ჩრდილოეთით დაახლოებით ოცდაათ გრადუსზე; თავადაც მქონდა განზრახული პეკინის ნახვა და მამა საიმონიც ყოველდღე მახსენებდა. როგორც იქნა, ჩამოვიდა მაკაოდან მისი თანამგზავრი მისიონერი, ასე რომ, დადგა დრო, გადაგვეწყვიტა, მივდიოდით თუ არა. ეს საქმე ჩემს კომპანიონს მივანდვე და მანაც დადებითად გადაწყვიტა, ამიტომ მოგზაურობისთვის მზადებას შევუდექით. უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან ვაგვიმართლა — მოვიპოვეთ ნებართვა, ამაღაში ვხლებოდით ერთერთ მანდარინს, პროვინციის მმართველსა თუ რწმუნებულს. როგორც წესი, ამ წოდების მმართველები დიდი ზარ-ზეიმით

მოგზაურობენ, დიდძალი ამალის თანხლებით, გზად კი მოსახლეობისგან იმდენ პატივსა და ძლვენს იღებენ, რომ სრულიად აჩანაგებენ. რაკი ამალის წევრები ვიყავით, საჭმელ-სასმელი და ცხენებისთვის თივა სახელმწიფო ხაზინიდან ჩვენც გვეკუთვნოდა, თუმცა მანდარინის მოხელე ყველაფერში საპაზრო ფასს გვახდევინებდა; და მართალია, მანდარინის ამალაში მიღება ჩვენდამი დიდი პატივისცემის გამოხატვად ითვლებოდა, მაგრამ ჩვენთვის დიდი ვერაფერი წყალობა იყო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ამალის მფარველობაში ოცდაათამდე სხვა მოგზაურიც იმყოფებოდა. გარდა ამისა, იმ სურსათ-სანოვაგეშიც გვართმევდნენ ფულს, რომელიც მოსახლეობას უფასოდ მოჰქონდა.

პეკინში ჩასვლას ოცდახუთი დღე მოვუნდით. ის ტერიტორია, რომელიც გავიარეთ, მჭიდროდ იყო დასახლებული, არადა სახნავ-სათესი მიწები სავალალოდ გამოიყურებოდა და ხალხიც გაჭირვებულ დღეში იყო, თუმცა ჩინელებს ძალიან მოაქვთ თავი შრომისმოყვარეობით, და ეს ღატაკი მოსახლეობაც კუდაბზიკობით გამოირჩეოდა. მათ ყოყოჩას მხოლოდ მათი სიღატაკე თუ აღემატება, ზოგან კი ისეთ გაუბედურებულ ყოფაში არიან, რომ მგონი, ამერიკელი ინდიელებიც კი უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს, რადგან არც არაფრის მქონენი არიან და არც სურთ, რომ რამე ჰქონდეთ, ჩინელი კი, თუ ამის შესაძლებლობა მიეცა, იმდენ მსახურსა თუ მონას იყოლიებს, სასაცილოდ არ გეყოფა კაცს; ამას კიდევ ემატება ის თვისება, რომ ყველას აბუჩად იგდებენ, საკუთარი თავის გარდა.

უნდა გამოვტყდე, რომ დიდი თათრეთის უკიდეგანო უდაბნოებსა და ტრამალებში მოგზაურობა უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე ჩინეთში, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ გზები მართლაც მარჯვედ აქვთ გაყვანილი და დაგებული, ასე რომ, მგზაურობა მეტად მოსახერხებელია. ყოველ ჯერზე სახტად ვრჩებოდი, როცა ასეთ ქედმალალ, გაბლენძილ, თავხედ ადამიანებს

ვხვდებოდი უკიდურესად გაჭირვებულ და უმეცართა შორის, და მე და მამა საიმონი ჩუმად ვხითხითებდით მათ უბადრუკ თავმოწონებაზე. მაგალითად, ქალაქ ნანკინიდან დაახლოებით ხუთი ლიგის სიშორეზე ერთი ჯენტლმენის სახლს რომ მივადექით, — ასე უწოდებდა მამა საიმონი იმ სოფლელ მე-მამულეს, რომელთან ერთად ორი მილის გავლის პატივი გვერგო, — მართლაც რომ დონკიხოტისეული კარ-მიდამო წარმოგვიდგა თვალწინ, სადაც ფუფუნება და სიდუხჭირე სა-ოცრად შერწყმოდა ერთმანეთს. თავად ტაკიმასხარასავით ეცვა — ბინძური ჩითის ხალათი, გრძელმელავიანი და ფოჩე-ბით შემკული, ალაგ-ალაგ გარღვეული; ზემოდან თავთის ისე-თი გაქონილი უილეტი მოეცვა, რომ აშკარად ფეთხუმი კაცი უნდა ყოფილიყო; გაძვალტყავებულ, ჩლახუნა ცხენზე იჯდა, რომელსაც უკან ორი მონა მისდევდა, და საბრალო ცხოველს უყიუინებდა, რომ ფეხი აეჩქარებინა, თავად მხედარი კი თავ-ში მათრახს უტყულაშუნებდა; თან ათი თუ თორმეტი მსახური ახლდა. დინჯად მივიწევდით წინ, ამ ჯენტლმენმა კი გაგვასწ-რო და როდესაც მის სოფელში დასასვენებლად გავჩერდით, ის უკვე თავის სახლთან ხის ქვეშ იჯდა და სადილობდა. სახლს გარშემო ბალი ერტყა, მაგრამ მაინც კარგად ვხედავდით, თა-ნაც მიგვახვედრეს — რაც მეტხანს ვიდგებოდით და ვუყუ-რებდით, მით უფრო ესიამოვნებოდა.

გზა განვაგრძეთ და უკან მოვიტოვეთ ის თვითკმაყო-ფილი ყეყეჩი, რომელსაც გახარებულს ეგონა, რომ მისი ყუ-რებით ვტკბებოდით. მამა საიმონს კიდევ უნდოდა დარჩენა, რადგან აინტერესებდა, რა კერძს შეექცეოდა, მე კი მგონია, რომ ეს იყო ბრინჯის შეჭამანდი, ნივრითა და მწვანე წინაკით შეზავებული, და კიდევ რაღაც ბალახით, რომელსაც ჯანჯა-ფილის სურნელი და მდოგვის გემო აქვს; შიგ კი ცხვრის მჭლე ხორცის პატარა ნაჭერი ეგდო. ოთხი-ხუთი მსახური მოშო-რებით იდგა და, როგორც ვივარაუდეთ, მათაც იგივე უნდა ეჭამათ. რაც შეეხება იმ მანდარინს, რომლის ამალას ჩვენც

შევადგენდით, მუდამ მსახურთა გარემოცვაში და ფუფუნება-ში იმყოფებოდა და შორიდან თუ მოვკრავდით ხოლმე თვალს. მისი მსახურები ისეთ ჯაგლაგებზე ისხდნენ, ინგლისში სა-პალნესაც რომ არ აჰეთ და მანტიებითა და მოსართავებით ისე იყვნენ შეკაზმულები, თავითა და ფეხებით თუ შეიცნობდი, რომ ცხენები იყვნენ.

სრულიად უდარდელად ვიყავი, ჩემი ბოლოდროინდელი უსიამოვნებანი აღარც კი მახსოვდა, ამიტომ ეს მოგზაურობა სიამოვნებას მანიჭებდა, არც არაფერი შემმთხვევია, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ერთი პატარა მდინარის გადალახვისას ჩემი ცხენი წაფორხილდა და გადმომაგდო. მდინარე ლრმა არ იყო, მაგრამ გავილუმპე. ეს შემთხვევაც იმიტომ ვახსენე, რომ უბის წიგნაკი დამისველდა და სულ წაიშალა ყველა ის საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელი, რომლებსაც ვიწერდი, რომ არ დამვიწყებოდა.

როგორც იქნა, პეკინში ჩავალნიეთ. მხოლოდ ერთი ახალ-გაზრდა მახლდა, რომელიც ჩემმა ძმისწულმა მომიჩინა და ძალ-ზე საიმედო და ყოჩალი მსახური აღმოჩნდა; ჩემს კომპანიონსაც მხოლოდ ერთი მსახური ახლდა, რომელიც ნათესავადაც ეკუთ-ვნოდა. თუმცა, პორტუგალიელი ლოცმანიც ჩვენთან იყო, რო-მელიც იმპერატორის სასახლის ნახვაზე ოცნებობდა, და კიდევ კარგი, რადგან თარჯიმნობას გვიწევდა, რაკი ჩინური ესმოდა, კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად და ცოტა ინგლისურიც იცოდა. საერთოდაც, ყველგან ძალიან გამოგვადგა, ამიტომ მი-სი მოგზაურობის მთელი ხარჯი ჩვენ გავიღეთ. ერთი კვირაც არ გასულიყო, რაც პეკინში ჩავედით, რომ მოვიდა და გალიმებულ-მა, დამტვრეული ინგლისურით მითხრა:

— სენიორ, თქვენთვის ძალიან სასიხარულო ამპავი მაქვს.

— სასიხარულო ამბავი? — ვკითხე მე. — თანაც, ძალიან სასიხარულო რა შეიძლება იყოს? ნეტავ ამ ქვეყანაში ან რა უნდა გამიხარდეს, ან რა უნდა მეწყინოს?

— სწორედაც რომ გაგიხარდებათ, ჩემდა სამწუხაროდ, — თქვა მან.

— თქვენდა სამწუხაროდ რატომ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— იმიტომ, რომ აქ სამოგზაუროდ ოცდახუთი დღით წამომიყვანეთ, ახლა კი მარტო მომინევს დარჩენა; დაბრუნებითაც, როგორ უნდა დავპირუნდე უკან უხომალდოდ, უცხენოდ, უფულოდ? — გვიპასუხა და ფული დამტვრეული ლათინურით ახსენა, რასაც ხშირად მიმართავდა ჩვენს გასამხიარულებლად. ბოლოს გვითხრა, რომ ოთხ-ხუთ კვირაში აქედან სახმელეთო გზით მოსკოვის სამეფოსკენ მოსკოველ და პოლონელ სოვდაგართა ქარავანი მიემართებოდა, ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ წავყვებოდით და მას მარტო დავტოვებდით.

მართალი გითხრათ ამ სასიხარულო ამბავმა გამაკვირვა და ვკითხე:

— და რა იცით, რომ ეს სიმართლეა?

— სიმართლეა, სიმართლე, — მიპასუხა მან, — ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა სომეხმა მითხრა. ასტრახანიდან ჩამოვიდა და ტონკინში წასვლას აპირებდა; ერთ დროს სწორედ იქ გავიცანი; მაგრამ ახლა ამ ქარავანს მიჰყვება მოსკოვში, რომ იქიდან მდინარე ვოლგით ასტრახანში დაბრუნდეს.

— რაკი ასეა, სენიორ, იმაზე შეგიძლიათ არ იდარდოთ, რომ აქ მარტო დაგტოვებთ, — ვუთხარი გახარებულმა. — თუკი ამ გზით შესაძლებელია, რომ ინგლისში ჩავალნიო, მაკარში თქვენი დაბრუნება დიდი შეცდომა იქნება.

მერე ჩემს კომპანიონს ვკითხე, რას ფიქრობდა ლოცმანის მოტანილ ამბავზე. როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცეთო, მიპასუხა მან, ისიც დასძინა, ბენგალიაში საქმეები ისე კარგად

მოვაგვარე და ბიზნესი ისეთ საიმედო ხელში დავტოვე, რომ
გულდამშვიდებული წამოვალ ინგლისში, მერე კი ბენგალიაში
კომპანიის ხომალდით დავბრუნდებიო.

ამის შემდეგ შევთანხმდით, რომ თუ ჩვენი პორტუგალი-
ელი მეგობარი ჩვენთან ერთად წამოვიდოდა, მოსკოვამდე ან
სულაც ინგლისამდე, მისი მგზავრობის ხარჯებს ჩვენ გავი-
ღებდით; მის მიმართ ნამდვილად გულუხვობა გვმართებდა,
რადგან ძალიან ვიყავით დავალებულნი: ზღვაში ხომ ლოცმა-
ნობას გვიწევდა, ხმელეთზე — ბიზნესში შუამავლობას, ხოლო
იაპონელ ვაჭართან რომ დაგვაკავშირა, ასეულობით გირვან-
ქა სტერლინგის მოგება ვნახეთ. სამართლიანობა მოითხოვდა,
ჯეროვნად დაგვეფასებინა განეული სამსახური, თანაც გვინ-
დოდა, ჩვენ გვერდით ყოფილიყო, რადგან ყველა შემთხვევაში
საჭირო კაცი იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ, ოქროთი გადაგვე-
ხადა თითოეულს ას სამოცდათხუთმეტი გირვანქა სტერლინ-
გი, მისი მგზავრობის ხარჯიც გაგვეღო და ცხენის შენახვისა
და ბარგის ხარჯიც. ეს ყველაფერი რომ ვაცნობეთ, ლოცმანს
ისე გაუხარდა, რომ გვითხრა, თქვენთან ერთად ქვეყნის და-
სალიერსაც წამოვალო. ამის შემდეგ მგზავრობის სამზადისს
შევუდექით, თუმცა ხუთი კვირა კი არა, ოთხ თვეზე მეტიც გა-
ვიდა, სანამ პეკინიდან გავემგზავრებოდით.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკავი ციცქიშვილმა**

თათრების თავდასხმა

ახალი სტილით თებერვლის დამდეგი იყო, როცა პეკინიდან წამოვედით. ჩემი კომპანიონი და ლოცმანი იმ ნავსადგურში დაბრუნდნენ, სადაც გადმოვსხედით, რომ დარჩენილი საქონლისთვის მიეხედათ, მე კი ნაცნობ ჩინელ ვაჭართან ერთად, რომელიც პეკინში თავის საქმეზე იყო ჩამოსული, ნანკინს გავემგზავრე, სადაც ოთხმოცდაათი თოფი მოჩითული ტილო, ორასი თოფი სხვადასხვა სახის საუკეთესო აბრეშუმი, მათ შორის ოქროსფრად მოჩითული, ვიყიდე და პეკინში დავბრუნდი, სადაც ჩემი კომპანიონის დაბრუნებას ველოდი. გარდა ამისა, შევიძინეთ დიდძალი ხამი აბრეშუმი, დაახლოებით სამი ათას ხუთასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კიდევ სხვა საქონელი, ჩაი და ჩითის ქსოვილები, ჯავზი და მიხაკი, და ეს ყველაფერი თვრამეტ აქლემს ავკიდეთ; კიდევ, გვყავდა სამგზავრო აქლემები, ორი-სამი სათადარივო და ორი — სურსათ-სანოვაგით დატვირთული ცხენი; სულ ჩვენს ნილად ოცდაექვსი სული პირუტყვი მოდიოდა.

საკმაოდ ბევრნი შევიკრიბეთ; რამდენადაც მახსოვს, სამასი თუ ოთხასი ცხენი, ასი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი მეომარი, რადგან აღმოსავლურ ქარავნებს თავს ესხმიან არაბები, ისევე როგორც თათრები; რამდენიმე ეროვნების ხალხი იყო — სამოცზე მეტი მოსკოველი ვაჭარი, რამდენიმე ლივონიელი და, ჩვენდა სასიხარულოდ, ხუთი შოტლანდიელი, საკმაოდ შეძლებული და საქმეში გამოცდილი.

ერთი დღის მგზავრობის შემდეგ ქარავნის ხუთმა გამცილებელმა ყველა მგზავრი, მსახურთა გარდა, სათათბიროდ მიგვიწვია; ყველამ დავდეთ ფული ყოველდღიური ხარჯისთვის, გზად ფურაჟის საყიდლად, გამცილებელთა გასამრჯე-

ლოსტვის, ცხენების შესაძენად და სხვა საჭიროებებისთვის; აქვე შეადგინეს მოგზაურობის განრიგი, როგორც თავად უწოდებდნენ, ანუ გამოჰყვეს მეთაურები და ზედამხედველები, რათა ჩვენთვის ეხელმძღვანელათ, თუ ვინმე თავს დაგვესხმოდა, და როგორც შემდგომმა მოგზაურობამ ცხადყო, ასეთი თადარიგის დაჭერა ძალიან საჭირო აღმოჩნდა.

ქვეყნის ეს ნაწილი მჭიდროდ იყო დასახლებული, უმთავრესად მეთუნეებით, რომლებიც საფაიფურე თიხას ამზადებდნენ. გზად პორტუგალიელი ლოცმანი ჩვენს გასამხიარულებლად სულ რაღაც თავშესაქცევს გვიყვებოდა, ერთხელაც მითხრა, ისეთი უჩვეულო რამ უნდა გაჩვენოთ, რასაც სხვაგან ვერსად ნახავთო. ვერც კი მივხვდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს; ბოლოს გამანდო, რომ ადგილობრივი მემამულის ფაიფურის სახლს გულისხმობდა.

— ჰო, ამ ქვეყანაში ეს რა გასაკვირია, — ვთქვი და დავინტერესდი: — რამხელაა? შევძლებთ, აქლემს რომ ავკიდოთ? იქნებ გვეყიდა?

— აქლემს?! — გაიოცა ლოცმანმა, — აქლემს როგორ უნდა ავკიდოთ სახლი, რომელშიც ოცდაათკაციანი ოჯახი ცხოვრობს?

მართლა დავინტერესდი ამ სახლით. სანახავად რომ მივედით, ხის სახლი აღმოჩნდა, შეფიცრული და მობათქაშებული, როგორსაც ინგლისშიც ხშირად შეხვდებით, ოღონდ ბათქაშად ფაიფური იყო გამოყენებული. გარედან სახლი მოჭიქული იყო, მზის შუქზე ბრწყინავდა და ქათქათა თეთრ ფონზე ლამაზად იკვეთებოდა ლურჯი ფიგურები, როგორც დიდ ჩინურ ლარნაკებზე, ინგლისში რომ მინახავს. რაც შეეხება შიდა კედლებს, ისინიც გამომწვარი ფერადი ფილებით იყო მოპირკეთებული, აი, ინგლისში კერამიკულ ფილებს რომ ვუწოდებთ, ოღონდ თხელი ფაიფურის იყო, ხოლო ორნამენტი ფერთა უჩვეულო მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და

ამ მრავალფეროვნებაში ოქროსფერი ჭარბობდა. ზოგან თვით ფილებითაც რთული ორნამენტები იყო გამოყვანილი და ერთიმეორეს ოსტატურად ერწყმოდა. ოთახებში იატაკიც ფაიფურის იყო; ისეთივე მყარი, როგორიც მიწის იატაკი ინგლისის ზოგიერთ კუთხეში. იატაკიც მოხატული იყო, ზოგიერთი პატარა ოთახის გარდა, სადაც ერთი ფერის ფილები ისე იყო დაგებული, რომ მთლიანი გეგონებოდათ. ჭერიც ასევე იყო მოპირკეთებული; დაბოლოს, სახლი მოლაპლაპე შავი ფაიფურის კრამიტით იყო გადახურული. ერთი სიტყვით, ეს ჩინური სახლი მართლაც ფაიფურის ნაწარმის საწყობს წარმოადგენდა, და დრო რომ მქონოდა, რამდენიმე დღე დავრჩებოდი, რომ დეტალურად დამეთვალიერებინა. როგორც მითხრეს, ბალში შადრევნები და აუზები იყო, ისინიც ფაიფურით მოჭიქული; ფაიფურით მოკირწყლულ ბილიკებზე კი ასევე ფაიფურის ლამაზი ქანდაკებები იდგა.

ფაიფურის წარმოება წმინდა ჩინური წარმოებაა, ამიტომ არც არის გასაკვირი, ასეთ სრულყოფილებას რომ მიაღწიეს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამით თავის მოწონებაშიც არანაკლებ სრულყოფილებას მიაღწიეს, რადგან ისეთ წარმოუდგენელ ამბებს მიყვებოდნენ, შეუძლებელი იყო დაჯერება. მაგალითად, ერთმა მითხრა, რომ ვიღაც კაცმა ფაიფურისგან ხომალდი გააკეთა, თავისი ანძებითა და აფრებით, თანაც იმხელა, რომ ორმოცდაათ კაცს იტევდაო; ისიც რომ ეთქვა, მერე ზღვაში ჩაუშვა და იაპონიამდე იცურაო, შეიძლება შევკამათებოდი, მაგრამ რაკი ეს მტკნარი სიცრუე იყო, გავიღიმე და ალარაფერი მითქვამს. ამ უცხო სახლის თვალიერების გამო ქარავანს ორი საათით ჩამოვრჩი, ხოლო რომ დავენიე, სამი შილინგით დამაჯარიმეს, მეორე დღეს კი ბოდიში მომახდევინეს. ეს სამართლიანიც იყო, რადგან ბრძანება, რომ ყველა ერთად ვყოფილიყავით, სრულიად აუცილებელი აღმოჩნდა ჩვენი საერთო უსაფრთხოებისთვის.

ორ დღეში დიდ ჩინეთის კედელს მივადექით, რომელიც თათრებისგან თავის დასაცავად აეგოთ. მართლაც უდიდესი შრომა გაუწევიათ; კედელი აგებულია მთებსა და ქედებზე, სრულიად გაუვალ კლდეებზე და ხევებში, და თუ მტერი მათ გადალახვას შეძლებდა, კედელი რაღას შეაკავებდა? ამბობენ, კედლის სიგრძე ათასამდე ინგლისურ მილს, სიმაღლეში, ზოგან კი სიგანეშიც ოთხ ფათომს¹ აღწევსო.

კედლის დასათვალიერებლად თითქმის ერთ საათს შევყოვნდი, თუმცა ამჯერად ბრძანება არ დამირღვევია, რადგან ქარავანმა გალავანში გავლას დიდი ხანი მოანდომა. გულდას-მით ვათვალიერებდი, სადამდეც თვალი მიმიწვდებოდა, და გამ-ცილებელს, რომელიც ისეთ ხოჭბას ასხამდა, თითქოს სამყა-როს საოცრება ყოფილიყოს, ძალიან აინტერესებდა ჩემი აზრი. მეც ვუთხარი, შესანიშნავია თათრების შესაკავებლად-მეთქი; ვერ მიმიხვდა და ქებად ჩამითვალა, პორტუგალიელ ლოცმანს კი გაეცინა.

— ოჰ, სენიორ, — მითხრა მან, — რა ქარაგმულად უპა-სუხეთ.

— ქარაგმულად? რას გულისხმობთ? — ვკითხე.

— იმას, რომ არც მწვადი დაწვით და არც შამფური, — მი-პასუხა. — მე მიგიხვდით, გინდოდათ გეთქვათ, რომ მხოლოდ იმიტომაა შესანიშნავი, თათრების შეკავება რომ შეუძლიაო. არადა, ჩინელმა ეს სულ-სხვაგვარად გაიგო.

— აბა, რა გგონია? — მივმართე მე, — ეს კედელი შეა-კავებს ჩვენს არმიას, მის არტილერიასა და ინჟინრებს? ისინი ხომ ათ დღეში მიწასთან გაასწორებენ.

— ჰო, ვიცი, ვიცი, — მიპასუხა ლოცმანმა.

ჩინელი ძალიან დაინტერესდა იმით, თუ რა ვუთხარი, ამიტომ ლოცმანს ნება მივეცი, რამდენიმე დღეში, როცა ჩინე-

¹ ფათომი (fathom — ინგლ.) — სიგრძის საზომი ერთეული (1 ფათო-მი = 1.8288 მ-ს).

თის საზღვარს გავცდით, მისთვის ეთქვა. ჩინელმა ჩემი ნათქვამი რომ შეიტყო, მთელი გზა ხმა აღარ ამოუღია და ჩინეთის სიდიადეზე ლაპარაკით თავი აღარ მოუბეზრებია.

როცა გავცდით კედლად წოდებულ ამ დიდებულ არა-რაობას, ნორტუმბერლენდში ესოდენ ცნობილ, რომაელების აშენებულ პიქტებისგან დამცავ კედლებს რომ წააგავდა, მივადექით ტრამალ ადგილს, სადაც კანტიკუნტად სახლობდნენ ადამიანები, რადგან ერჩივნათ, დიდ და გამაგრებულ ქალაქებში ეცხოვრათ, დაცული რომ ყოფილიყვნენ მოთარეშე თათრებისგან, რომელთა დიდი ლაშქრებიც თავს ესხმოდნენ და არბევდნენ დაუცველ მოსახლეობას, რომელიც მათ წინააღმდეგობას ვერ უწევდა. აქ კი მივხვდი, რომ მართლაც დიდ ქარავანში ჯობია მოგზაურობა, ვიდრე პატარ-პატარა ჯგუფებად, თუმცა კი მიკვირდა, როგორ უნდა დაეპყროთ ჩინეთის იმპერია ამ უბადრუკ მეომრებს, რომლებსაც არც ცხენები უვარგოდათ, გაძვალტყავებულ ჯაგლაგებზე ისხდნენ, არც სამხედრო წესრიგი და დისციპლინა ჰქონდათ. თათრების რაზმი პირველსავე დღეს დავინახეთ, როცა აქაურ ტრამალს მივადექით. მეთაურმა იმ დღეს ქარავნიდან თექვსმეტ კაცს ნადირობის ნება დაგვრთო, არსებითად ეს ცხვარზე ნადირობა იყო, თუმცა მაინც შეიძლება ნადირობა ვუნოდოთ, რადგან ველური ცხვრები იყვნენ და ძალიან სწრაფად დარბოდნენ, ოღონდ — დიდხანს ვერა, ამიტომ თუ დაედევნები, ნადავლის გარეშე ნამდვილად არ დარჩები, რადგან, როგორც ცხვრებს სჩვევიათ, ოცდაათ-ორმოცდაათსულიან ფარად დარბიან.

ამ უცნაური ნადირობისას თათართა ორმოცკაციან რაზმს გადავეყარეთ; არ ვიცი, ისინიც ცხვარზე სანადიროდ იყვნენ გამოსული, თუ რამე სხვა ნადავლს ეძებდნენ, მაგრამ როგორც კი თვალი მოგვეკრეს, ერთ-ერთმა ბუკს ჩაჰერა და საშინელი, გამაყრუებელი ხმა გამოსცა; ეტყობა, თავისიანებს მოუხმო.

და მართლაც, ათიოდე წუთში ჩვენგან ერთ მიღწი ორმოც-ორმოცდაათკაციანი რაზმი გამოჩენდა, მაგრამ ამასობაში იმ პირველ რაზმს უკვე გავუსწორდით.

ჩვენ შორის აღმოჩენდა მოსკოვში მოვაჭრე ერთი შოტლანდიელი, რომელმაც ბუკის ხმის გაგონებისთანავე გვითხრა, დრო უნდა ვიხელთოთ და პირველები დავესხათ თავსო; ჩაგვამნკრივა და გვკითხა, გული ხომ არ გეთანალრებათო, რაზეც ვუჰასუხეთ, რომ საბრძოლველად მზად ვიყავით და იერიშიც მივიტანეთ. თათრები დაბნეულ ბრბოსავით მოგვჩერებოდნენ, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდით, ისრები დაგვიშინეს. საბედნიეროდ, არც ერთი არ მოგვხვედრია, თუმცა არა იმიტომ, რომ აგვაცდინეს, არამედ — ვერ მოგვანვდინეს, ოცი იარდით ახლოს რომ ვყოფილიყავით, რამდენიმე ჩვენგანს თუ არ მოკლავდნენ, უეჭველად დაჭრიდნენ.

მაშინვე შევჩერდით და სიშორის მიუხედავად, ხის ისრების პასუხად ტყვიები დავუშინეთ, მერე კი, ჩვენი მამაცი შოტლანდიელის ბრძანებისთანავე, ხმალამოლებულებმა შევუტიეთ. ვაჭარი კი იყო ის შოტლანდიელი, მაგრამ ისეთი სიმარჯვე და სიმამაცე გამოავლინა, გამოცდილ მეომარს შეშურდებოდა. როგორც კი მივუახლოვდით, პისტოლეტებით სროლა ავუტეხეთ და ოდნავ უკან დავიხიეთ, ისინი კი კისრისტებით გაიქცნენ. მხოლოდ სამი დარჩა ჩვენგან მარჯვნივ, ხელში ხანჯლებით და ზურგზე მშვილდ-ისრებით, და დანარჩენებსაც უხმობდნენ, მაგრამ ჩვენი მეთაური სრულიად მარტო მიეჭრა მათ, ერთი კონდახის ჩარტყმით ცხენიდან გადმოაგდო, მეორეს პისტოლეტი ესროლა და მოკლა, მესამე კი გაიქცა. ამ ჩვენს შეტაკებას ერთი უსიამოვნო შედეგი მაინც მოჰყვა: სანამ თათრებს ვებრძოდით, ცხვრის ფარა გაგვექცა. ჩვენგან არც არავინ დაჭრილა, არც დაღუპულა და არც დაშავებულა, თათრებს შორის კი ხუთი მკვდარი იყო, დაჭრილთა რაოდე-

ნობა ვერ დავადგინეთ, ხოლო მეორე რაზმი ისე დავაფრთხეთ სროლით, რომ უკანმოუხედავად მოქუსლეს და თავდასხმა აღარც უცდიათ.

ჯერ ისევ ჩინეთის სამფლობელოში ვიმყოფებოდით, ამიტომ თათრები იმდენს ვერ ბედავდნენ, რამდენსაც მერე. დაახლოებით ხუთ დღეში დიდ უდაბნოს მივადექით, რომლის გავლასაც სამი დღე-ღამე მოვანდომეთ. წყალი დიდი ტიკებით მიგვქონდა. შებინდებისას დავბანაკდით. ჩვენს გამცილებლებს ვკითხე, ვისი სამფლობელოა-მეთქი, და მიპასუხეს, ეს საზღვარია და აქაურობა არავის ეკუთვნის, თუმცა დიდი თათრეთის ანუ ყარაკიდანების დიდი სამფლობელოს ნაწილია, ბევრი კი ჩინეთის ნაწილად მიიჩნევს, თუმცა ჩინეთი არ ზრუნავს, ყაჩაღების თავდასხმისგან რომ დაიცვას, ამიტომ მთელ საქარავნო გზაზე ყველაზე სახიფათო უდაბნოდ ითვლება, თუმცა უფრო დიდი უდაბნოებიც შეგვხვდებათ.

ამ სახიფათო უდაბნოს გავლისას თათართა ორ-სამ რაზმს მოვკარით თვალი, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი თავიანთი გზით მიდიოდნენ და ჩვენთან არაფერი ესაქმებოდათ, თუმცა ერთხელ ერთი ასეთი რაზმი მოგვიახლოვდა და კარგახანს მოგვჩერებოდა. არ ვიცოდით, აპირებდნენ თუ არა ჩვენზე თავდასხმას, ამიტომ ორმოცკაციანი შეიარაღებული რაზმით გავიმაგრეთ ზურგი და ისე ჩავუარეთ სიახლოვეს. ქარავანმა მშვიდობიანად ჩაიარა, ისინიც თავიანთ გზას გაუდგნენ, მაგრამ წასვლისას რამდენიმე ისრით მაინც გაგვიმასპინძლდნენ და ცხენი დაგვიჭრეს. საბრალო ცხოველი მეორე დღეს გზაზე დავტოვეთ. კარგახანი ისე გავიდა, თათრები აღარ გვინახავს.

ამ შემთხვევიდან კიდევ ერთი თვე ვიარეთ უდაბნოში. აქ გზები ისეთი კარგი აღარ იყო, როგორც ადრე, თუმცა ჩინეთის იმპერატორის სამფლობელოდ ითვლებოდა; გზა გადიოდა სოფლებზე, რომელთაგან ზოგიერთი თათართა შემოსევების

შიშით გაემაგრებინათ. ქალაქ ნაუმში ჩასვლამდე ორ-ნახევარი დღით ადრე ერთ-ერთ ასეთ დასახლებას რომ მივაღწიეთ, გადავწყვიტე, აქლემი მეყიდა. ამ გზაზე ბევრი ქარავანი დადის, ამიტომ აქლემისა და ცხენის ყიდვა ადვილად შეიძლებოდა. კაცს, რომელიც აქლემს შემპირდა, მეც გავყევი; პირუტყვის სადგომამდე დაახლოებით ორი მილის სავალი იყო.

ცოტა გული რომ გადაგვეყოლებინა, მე, ჩემი ლოცმანი და ჩინელი ფეხით წავედით. აქლემები ქვის ყორეშემოვლებულ დაბალ, დაჭაობებულ ადგილას ჰყავდათ და რამდენიმე ჩინელი ჯარისკაცი იცავდა. ჩინელს ფასზე მოვურიგდი, აქლემი ვიყიდე და წამოვედით. აქლემი ჩინელს მოჰყავდა. უეცრად, ცხენებზე ამხედრებულ ხუთი თათარი დაგვადგა თავს; ორნი ჩინელს მიცვივდნენ და აქლემი წაართვეს, დანარჩენი სამნი მე და ლოცმანს გვეცნენ, რაკი დაინახეს, რომ უიარაღონი ვიყავით. ხმალი კი მქონდა, მაგრამ მარტო ხმლით სამთან რას გავხდებოდი?! ხმალი რომ ვიშიშვლე, ერთი პირობა შედგნენ, რადგან თათრები სიმხდალით გამოირჩევიან; რაღაც წამში ერთი მარცხნიდან მომეპარა და თავში ჩამარტყა; მოცელილივით დავეცი; გონს რომ მოვედი, მერე გავიგე, რა მოხდა და სად ვიყავი; ლოცმანს პისტოლეტი ჰქონია — ეს რომ თათრებს სცოდნოდათ, ალბათ არც გაგვეკარებოდნენ — და ძირს დავარდნილი რომ დამინახა, უშიშრად ეცა თათარს, ერთი ხელით მოიზიდა, მეორით კი თავში პისტოლეტი დაახალა, მერე მეორეს ესროლა, მაგრამ ცხენს მოახვედრა; გამნარებული ცხენი შურდულივით გავარდა, მხედარი ჩამოაგდო და ქვეშ მოიყოლა.

ამასობაში საბრალო ჩინელიც მოვარდა, რომელსაც ცხენი წაართვეს. იარალი არ ჰქონდა, მაგრამ რომ დაინახა ძირს დავარდნილი თათარი, რომელსაც ცხენი დაეცა, ეცა, რაღაც ნაჯახის მსგავსი აართვა და თავი გაუჩეხა. მესამე თათარი მონუსხულივით იდგა, მაგრამ როგორც კი ლოცმანმა პის-

ტოლეტი დატენა, მაშინვე გაუჩინარდა. ასე რომ, გამარჯვება ჩემს ჩემპიონს დარჩა — როგორც მერე ჩემს მხსნელ ლოცმანს ვუწოდე.

ამასობაში მეც გონს მოვედი; ჯერ მეგონა, ტკბილად მე-ძინა, მერე დავინტერესდი, სად ვიყავი, რა მოხდა და რატომ ვეგდე მიწაზე, ცოტა ხანში კი ტკივილიც ვიგრძენი, თავზე ხელი მოვისვი და სისხლი რომ დავინახე, მაშინვე ყველაფე-რი გამახსენდა. წამოვხტი და ხმალი ვიშიშვლე, მაგრამ მტერს თვალი ვერსად მოვკარი; მხოლოდ მკვდარი თათარი და იქვე მშვიდად მდგარი მისი ცხენი დავინახე; მერე — ცოტა მოშო-რებით მდგარი ჩემი მხსნელიც, რომელიც ნაჯახიან ჩინელს და მის ნამოქმედარს მისჩერებოდა. ლოცმანს ეტყობა, მკვდა-რი ვეგონე და ფეხზე წამომდგარი რომ დამინახა, მომვარდა და გახარებული გადამეხვია; მერე სისხლი შენიშნა და ჭრი-ლობა დამითვალიერა; სერიოზული არაფერი იყო, მხოლოდ, როგორც იტყვიან ხოლმე, თავი გამიტყდა; მაგრამ ორ-სამ დღეში ყველაფერმა გამიარა.

ისე, კაცმა რომ თქვას, დიდი ვერაფერი გამარჯვება იყო, რადგან აქლემი დავკარგეთ, თუმცა ცხენი კი ვიშოვეთ. და-კარგული აქლემის ფული ჩინელს მაინც გადავუხადე და სხვა აქლემის მოსაყვანად გავგზავნე, თავად აღარ წავყოლივარ, ისიც საკმარისი იყო, რაც შემემთხვა.

ქალაქი ნაუმი, რომელსაც ვუახლოვდებოდით, ჩინეთის იმპერიის საზღვარზე მდებარეობს და შესაბამისადაა გამაგ-რებული. როგორც უკვე ვთქვი, ორი დღით ვაპირებდით ამ ქალაქში გაჩერებას, საიდანაც შიკრიკები დაეგზავნათ ყველა მიმართულებით, რათა მოგზაურებისა და ქარავნებისთვის ეცნობებინათ, გაჩერებულიყვნენ, სანამ ახალი ბადრაგი დაე-წეოდათ, ვინაიდან ქალაქიდან დაახლოებით ოცდაათი მილის დაშორებით თათრების ათიათასკაციანი ლაშქარი გამოჩენი-ლა.

მოგზაურებისთვის ეს ძალიან ცუდი ამბავი იყო, მაგრამ გაგვიხარდა, რომ გუბერნატორმა თადარიგი დაიჭირა და დაცვა დაგვინიშნა, ასე რომ, ორ დღეში ორასკაციანი ბაღრაგიც წამოგვენია ჩვენგან მარცხნივ მდებარე ჩინელთა სამხედრო გარნიზონიდან და კიდევ სამასი ჯარისკაცი — ქალაქ ნაუმიდან; ასეთი დაცვით თამამად გავუდექით გზას. სამასკაციანი რაზმი წინ მიგვიძლოდა, ორასკაციანი რაზმი ზურგს გვიმაგრებდა, აქეთ-იქიდან კი ჩვენი ძალები განაწილდნენ და მთელი ქარავანი თავისი ტვირთით შუაში მოვაქციეთ; ამგვარად განლაგებულნი და საბრძოლველად გამზადებულნი ვფიქრობდით, რომ მზად ვიყავით თათარ-მონღოლთა ათიათასიანი ლაშქრის მოსაგერიებლად, მაგრამ მეორე დღეს, რომ გამოჩნდნენ, სულ სხვა რამ მოხდა.

კერპის დამხობა

მეორე დილით პატარა ქალაქი ჩანგუ რომ დავტოვეთ, მდინარეს მივადექით, რომელიც უნდა გადაგველახა. თათრებს ჭუუა რომ ეხმარათ, სწორედ მაშინ უნდა დაგვსხმოდნენ თავს, როცა ქარავანი მდინარეს გადადიოდა და დაცვა ჩამოგვრჩა, მაგრამ არც კი გამოჩენილან. დაახლოებით სამ საათში, როცა უდაბნოში უკვე თხუთმეტი თუ თექვსმეტი მილი გვქონდა გავლილი, მტვრის ღრუბელი შევნიშნეთ და მივხვდით, რომ მტერი უკვე ახლოს იყო, თუმცა, თავს არ დაგვსხმიან და მალევე თვალს მიეფარნენ.

წინ მიმავალი ჩინელთა ბადრაგი, წინადღეს ბევრს რომ ლაპარაკობდნენ, დაფრთხნენ და აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს, თითქოს ნიშანს ელოდნენ, რომ გაქცეულიყვნენ. ლოცმანი გვერდით მახლდა და მითხრა, ესენი ცოტა თუ არ გავამხნევეთ, მტერი იყოს ამათ იმედად, თათრებისგან ესენი როგორ დაგვიცავენო?! და რა უნდა ვქნათ-მეთქი, დავინტერესდი. რა უნდა ვქნათ და, ჩვენებიდან ერთი ორმოცდაათი კაცი წინ უნდა წაუძლვეს, რომ იმედიანად იყვნენ: ხომ იცით, მამაცის გვერდით შენც გული გერჩის. მაშინვე მეთაურს მივაშურე და რომ ვუთხარი, ისიც დამეთანხმა. ამგვარად, ორმოცდაათი კაცი ქარავნის თავში ჩადგა, დანარჩენი ორასი გარშემო განაწილდა და მათგან ასი საჭიროების შემთხვევაში იმ ორმოცდა-ათს უნდა მიშველებოდა.

ბოლოს თათართა ურიცხვი ლაშქარი გამოჩნდა, ჩვენი ვარაუდით, ათი ათასი უეჭველად იქნებოდნენ. ერთი რაზმი გამოეყო და ჩვენკენ წამოვიდა. როგორც კი სათოფე მანძილზე მოგვიახლოვდნენ, ჩვენი მეთაურის ბრძანებით, ორი მხრიდან ცეცხლი გავუხსენით. მაშინვე უკან გაბრუნდნენ, როგორც

ჩანს, დანარჩენებს მოახსენეს, როგორ გავუმასპინძლდით. ერთხანს შორიდან გვიყურეს, მერე კი, ჩვენდა სასიხარულოდ, გაგვეცალნენ.

ორ დღეში მივაღწიეთ ქალაქ ნაუმსა თუ ნაუნს; გუბერნატორს მადლობა გადავუხადეთ, ჩვენს დაცვაზე რომ იზრუნა, ჯარისკაცებს კი ას კრონამდე ფული შევუგროვეთ გასამრჯელოდ. აქ ერთი დღე დავისვენეთ. ეს მართლაც გარნიზონი იყო, სადაც ცხრაასი ჯარისკაცი ირიცხებოდა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ადრე მოსკოვის სამეფოს საზღვრები აქამდე აღწევდა, მაგრამ მერე მოსკოველებმა დატოვეს ეს უდაბური და საცხოვრებლად უვარგისი ტერიტორია, რომელიც ქალაქიდან დასავლეთით ორი ასეული მილის მანძილზე იყო გადაჭიმული: გარდა ამისა, მისი დაცვაც ჭირდა, რადგან ამ ტერიტორიიდან თვით მოსკოვი ორას მილზე მეტი მანძილითაა დაშორებული. მერე რამდენიმე დიდი მდინარე გადავლახეთ და ორი საშინელი უდაბნო გავრიარეთ, აქედან ერთის გავლას თექვსმეტი დღე მოვანდომეთ და 13 აპრილს მოსკოვის სამეფოს საზღვარს მივადექით. როგორც ვიცი, მოსკოვის მეფის სამფლობელოს პირველ ქალაქს თუ ციხესიმაგრეს — გააჩნია, როგორ მოიხსენიებ — არგუნი ენოდებოდა და ამავე სახელწოდების მდინარეზე იყო გაშენებული.

რასაკვირველია, ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ქრისტიანების ქვეყანაში ჩავედი, თუმცა, ჩემი აზრი, ძნელია, მოსკოველებს ქრისტიანები უწოდო, თუმც თავად იჩემებენ ამას და თავისებურად ლვთისმოსავნიც არიან. რა თქმა უნდა, ჩემსავით სამოგზაუროდ წასული ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვის დიდად გასახარი იქნებოდა ისეთ ქვეყანაში მოხვედრა, სადაც ლმერთსა და მაცხოვარს აღიარებენ და თაყვანს სცემენ, და არა იქ, სადაც ადამიანები მცდარ გზაზე დგანან, ეშმაკს ეთაყვანებიან, ურჩხულებს, შემზარავ ცხოველებსა და

კერპებს აღმერთებენ. გზად ერთი ქალაქი და სოფელიც არ შეგვხვედრია; მათი სათაყვანებელი პაგოდა და ტაძარი რომ არ მდგარიყო, სადაც ადამიანები თავიანთ ხელთქმნილსაც კი აღმერთებენ და აფეტიშებენ, ახლა კი, როგორც იქნა, ისეთ ადგილს მივაღწიეთ, სადაც ქრისტიანული ღვთისმსახურება აღესრულება და მაცხოვრის წინაშე იყრიან მუხლს; და გულ-ნრულად თუ მოჩვენებითად, ქრისტიანები არიან და ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებენ და ეთაყვანებიან; და ამ ყველაფერს რომ ვხედავდი, სულითა და გულით ვხარობდი. ეს ჩემი სიხარული მამაც შოტლანდიელ ვაჭარს გავუზიარე და ვუთხარი, მადლობა ღმერთს, ისევ ქრისტიანთა შორის ვართ-მეთქი, მან კი გამიღიმა და მითხრა, ნაადრევად ხარობ, ჩემო მეგობარო, ეს მოსკოველები რაღაც უცნაური ქრისტიანები არიან და ამაში რამდენიმე თვეში დარწმუნდებიო. ჰო, მაგრამ წარმართებსა და კერპთაყვანისმცემლებს ხომ მაინც სჯობიან-მეთქი. მაშინ გეტყვი, რომ რუსი ჯარისკაცებისა და ქალაქის რამდენიმე მცხოვრების გარდა, მოსახლეობა აქაც და აქედან ათასზე მეტი მილის მანძილზეც საშინლად უმეცარი და ურწმუნოაო, მითხრა. მართლაც ასე აღმოჩნდა.

ახლა ხმელეთის ისეთ დიდ მონაკვეთზე ვიმყოფებოდით, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ნაწილში არ მოიძებნება; აღმოსავლეთით ზღვიდან თორმეტი ათასი მილით ვიყავით დაშორებული, დასავლეთით ბალტიის ზღვიდან ორი ათასი მილით, იქიდან კიდევ, დასავლეთისკენ ინგლის-საფრანგეთის არხამდე სამი ათასი მილით, სამხრეთით, ინდოეთისა და სპარსეთის ზღვებიდან, ხუთი ათასი მილით და ჩრდილოეთით ყინულოვანი ოკეანიდან დაახლოებით რვაასი მილით.

მდინარე არგუნს რომ გავცდით, მოგზაურობა ბევრად უსაფრთხო და სასიამოვნო გახდა იმის წყალობით, რომ აქაურ მეფეს დიდი და პატარა ქალაქები აეშენებინა, სადაც კი ეს

შესაძლებელი იყო, და ამისთვის ძალიან მაღლობელი ვიყავით მისი; გარდა ამისა, ყველგან ჯარის ნაწილი იდგა, ზუსტად ისე, როგორც რომაელები აყენებდნენ თავიათი უზარმაზარი იმპერიის ყველა ნაწილში, ვაჭრობისა და მოგზაურობის უსაფრთხოების მიზნით, და წაკითხულიც მაქვს, რომ რომაელი ჯარისკაცები ამავე მიზნით დიდ ბრიტანეთშიც მდგარან. აქაც ასე იყო, და რომელ ქალაქშიც უნდა ჩავსულიყავით, ქალაქის მმართველი და ჯარისკაცები რუსები იყვნენ და შესაბამისად — ქრისტიანები, მცხოვრებნი კი წარმართები, კერპებს მსხვერპლს სწირავდნენ და მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, მოკლედ ყველა ციურ მნათობს ეთაყვანებოდნენ. და კიდევ, იმ წარმართთა შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია, ბარბაროსობით გამოირჩეოდნენ, ერთადერთი, ადამიანის ხორცს არ ჭამდნენ.

ამის ნიმუში მრავლად ვნახეთ არგუნიდან, საიდანაც მოსკოველთა სამფლობელო იწყება, ნერჩინსკად წოდებულ ქალაქამდე, სადაც თათრები და რუსები ერთად ცხოვრობენ და უდაბნო და ტყე ერთმანეთს ენაცვლება, და რომლის გავლასაც ოცი დღე მოვანდომეთ. სწორედ ერთ-ერთ აქაურ სოფელში დავინტერესდი ამ მხარის მკვიდრთა ცხოვრების წესით, რომელიც შემზარავი და სასტიკი აღმოჩნდა. იმ დღეს დიდი მსხვერპლშენირვა ჰქონდათ; კუნძხე ხის კერპი აღემართათ, რომელიც საშინელი სანახავი იყო და ბინძურად გამოიყურებოდა; მოსხმული ჰქონდა ცხვრის ტყავი, თავზე თათრული ბენვის ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული, საიდანაც ორი რქა იყო ამოშვერილი; სიმაღლეში რვა ფუტი მაინც იქნებოდა, მავრამ არც ფეხები ჰქონდა, არც სხეულის რაიმე სხვა ნაწილი.

ეს საფრთხობელა სოფლის განაპირას აღემართათ და რომ მივედი, ამ ამაზრზენ მორთან მინაზე თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი არსება გართხმულიყო. ისინიც მორებივით გაუნდრევლად ეყარნენ. ცოტა რომ მივუახლოვდი, წამოდგნენ და

ძალლებივით აყმუვლდნენ. იქვე, საფრთხობელასთან ძროხისა და ცხვრის ტყავების კარავი დაედგათ, რომლის კართანაც სამი კაცი აყუდებულიყო; სამივეს გრძელი დანები ეჭირა, კარვის შუაში კი დაკლული სამი ცხვარი და ერთი მოზვერი მოჩანდა; როგორც ჩანს, ცხოველები ამ ჯოჯოხეთის მაშალას შენირეს მსხვერპლად, ის სამი კაცი ქურუმები იყვნენ, ხოლო ის ჩვიდმეტი უბადრუკი არსება — მსხვერპლის შემწირველები, ასეთი არაადამიანური ყმუილით რომ აღავლენდნენ ლოცვას თავიანთი შემზარავი კერპისადმი.

მართალი გითხრათ, ასეთი სისულელისა და ხის საფრთხობელისადმი ამგვარი თაყვანისცემის მნახველი გაოგნებული დავრჩი; კერპს მივუახლოვდი და აღშფოთებულმა ხმლით თავზე დახურული ჩაჩი ორად გავუპე; ერთმა ჩემმა თანმხელებმა გადაწყვიტა, ცხვრის ტყაპუჭი შემოეგლიჯა, რომ უეცრად სოფელში საშინელი ყვირილი და ალიაქოთი ატყდა და სამასამდე კაცი გამოეფინა, ზოგიერთი მშვილდ-ისრით შეიარაღებული, ამიტომ გაცლა ვამჯობინეთ, თუმცა გადავწყვიტე, აქ ისევ დავბრუნებულიყავი. ჩვენი ქარავანი სამი ლამიტ აპირებდა ქალაქში დარჩენას, რომელიც ამ სოფლიდან ოთხი მილით იყო დაშორებული, რომ გზაში დასუსტებული და დაქანცული ცხენები გამოგვეცვალა, ამიტომ დრო საკმარისად მქონდა, რომ ჩემი ჩანაფიქრი ამესრულებინა. შოტლანდიელ ვაჭარს, რომლის სიმამაცეშიც ეჭვი არ მეპარებოდა, ნანახით ჩემი აღშფოთება გავუზიარე და ვუთხარი, თუ ოთხი-ხუთი კარგად შეიარაღებული კაცი გამომყვებოდა, ამ საზარელ კერპს გავანადგურებდი და იმათ ვუჩვენებდი, რომ საკუთარი თავის დაცვაც კი არ შეეძლო და იმათ როგორდა დაიცავდა, ვინც მსხვერპლს სწირავდა?!

თავიდან არ დამთანხმდა, — ამ გონებაშეზღუდულებს მაინც ვერაფერს შეაგნებინებ, მათი კერპის შეურაცხყოფამ კი შეიძლება, დიდ საფრთხეში ჩაგვაგდოსო; მაგრამ ჩემი ჩა-

ნაფიქრი არ მასვენებდა და შოტლანდიელ ვაჭარს, რომელსაც ქალაქში სეირნობისას შევხვდი, ისევ ვთხოვე დახმარება. ბოლოს ჩემმა დაუინებამ გაჭრა და მითხრა, მარტო წასვლა სახითვათოა, ამიტომ მეც წამოგყვებიო; მერე ერთი ზორბა თანამემამულეც მოიყვანა. ასე რომ, გადავწყვიტეთ, შუალამისას ჩვენ სამნი და ჩემი მსახური ჩუმად გავპარულიყავით.

სოფელში წასვლა შემდეგი ღამისთვის გადავდეთ, რადგან მომდევნო დილით ქარავანი უკვე უნდა დაძრულიყო და ჩვენც სამშვიდობოს გავაღწევდით. იმ ღამით კი სპირტი, დენთი და ფისი ერთმანეთში ავურიეთ და სწრაფად აალებადი ხსნარი მოვამზადეთ. შოტლანდიელმა ყველასთვის თათრული ტყაპუჭი, ქუდი და მშვილდ-ისარი იშოვა, რომ ჩაცმულობით ვერ ვეცანით.

ადგილზე ღამის თერთმეტი საათისთვის მივედით. სოფელში სრული სიმშვიდე იყო, არავის აულია ეჭვი, რომ მათ კერპს შეიძლებოდა საფრთხე შეჰქმნოდა. ლრუბლიანი ამინდი იდგა, მაგრამ მთვარე მაინც საკმარისად ანათებდა და გარკვევით ვხედავდით კერპს, რომელიც ისევ თავის ადგილას იდგა. დიდი კარვიდან, სადაც მსხვერპლშენირვა მოხდა, შუქი და ლაპარაკის ხმა გამოდიოდა; რომ მიუახლოვდით, ხუთი თუ ექვსი კაცის ხმა გავარჩიეთ. კერპს ცეცხლს რომ წავუკიდებდით, უთუოდ გამოცვივდებოდნენ. არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით; ჯერ ვიფიქრეთ, კერპი წაგვეთრია და სადმე მოშორებით დაგვეწვა, მაგრამ ძალიან მძიმე აღმოჩნდა. მერე ზორბა შოტლანდიელმა მოიფიქრა, კარავს წავუკიდოთ ცეცხლი და რომ გამოცვივდებიან, კისერი მოვუგრიხოთ, მაგრამ ამას მე არ დავთანხმდი, რადგან მკვლელობის წინააღმდეგი ვიყავი. მაშინ შოტლანდიელმა ვაჭარმა ასეთი რამ შემოგვთავაზა — მოდით, გავკოჭოთ და ვაყურებინოთ, როგორ გავანადგურებთ მათ კერპსო.

გადავწყვიტეთ, მართლაც ასე მოვქცეულიყავით. კარავ-ზე მივაკაკუნეთ, ერთი ქურუმი რომ გამოვიდა, მაშინვე პირში ჩვარი ჩავჩარეთ, გავკოჭეთ, კერპთან მივათრიეთ და იქ დავ-ტოვეთ.

ორი ჩვენგანი კარავთან იცდიდა იმ იმედით, რომ მეორე ქურუმიც გამოვიდოდა, მაგრამ არავინ გამოსულა. ამასობაში მესამეც შემოგვემატა და ისევ მივაკაკუნეთ; ახლა ორი ერთად გამოვიდა, მესამე კი უკან მოჰყვებოდა; ის ორი მაშინვე გავ-კოჭეთ, მესამე ყვირილით ისევ კარავში შევარდა. შოტლან-დიელი ვაჭარიც შეჰყვა და კარავში აალებადი ხსნარით გაუ-ღენთილი ფითილი შეაგდო. ზორბა შოტლანდიელმა და ჩემმა მსახურმა გაკოჭილი ორი ქურუმიც კერპთან მიათრიეს და იქ დატოვეს — აბა, თუ გიშველით თქვენი ღვთაებაო, — თავად კი უკან დაბრუნდნენ.

ამასობაში კარავი კვამლით გაივსო, იქ ოთხი კაცილა იყო დარჩენილი, ეტყობა — ისინი, რომლებიც მსხვერპლს სწირავ-დნენ. შიშისგან ისე იყვნენ დაზაფრულნი, ყვირილის თავიც კი აღარ ჰქონდათ.

ისინიც სასწრაფოდ გამოვათრიეთ, რადგან კარავში გა-ჩერება უკვე შეუძლებელი იყო, და გაკოჭილები კერპთან მი-ვათრიეთ, რომელსაც აალებადი ხსნარი უხვად შევასხით, ყუ-რები, თვალები და პირი კი დენთით გამოვუტენეთ და ცეცხლი წავუკიდეთ.

თითქმის თხუთმეტი წუთი ვუყურებდით ცეცხლმოდე-ბულ კერპს, ბოლოს დენთიც აფეთქდა და ის იყო, წასვლა და-ვაპირეთ, რომ შოტლანდიელმა ვაჭარმა გვითხრა, — ახლა ესენი აქ რომ დავტოვოთ, შეიძლება, ცეცხლში შეცვიდნენ და თავიანთ კერპთან ერთად ჩაიბუგონო, — ამიტომ დავიცადეთ, სანამ ცეცხლი მინავლდებოდა, და მერე წამოვედით. გამთენი-ისას უკვე ქარავანთან დავბრუნდით, სადაც ყველა გამგზავ-რების სამზადისში იყო და ჩვენი არყოფნა არავის შეუნიშნავს.

მაგრამ ეს ამბავი ასე არ დასრულებულა. მეორე დღეს ქალაქის კარიბჭესთან უამრავი ხალხი შეგროვდა; აღმტოთებულები ითხოვდნენ რუსი მმართველისგან, დაესაჯა ისინი, ვინც მათი სათაყვანებელი კერპი ჩამ ჩი-თაუნგუ დაწვა და ქურუმები შეურაცხყო. რუსმა მმართველმა მათ დასამშვიდებლად შიკრიკები გაგზავნა და ირწმუნებოდა, არ ვიცი, ეს ვის შეიძლებოდა ჩაედინა, ჩემი გარნიზონიდან ერთი კაციც არ გამოსულა გარეთ, და თუ იცით, ვინ ჩაიდინა, მითხარით და სამაგალითოდ დავსჯიო. წარმართები ამაყად ამტკიცებდნენ, ჩვენს დიად ჩამ ჩი-თაუნგუს ვინმე ქრისტიანი ბოროტმოქმედი გაანადგურებდაო, ამიტომ რუსებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ ომით იმუქრებოდნენ.

ქალაქის მმართველმა, რომელსაც არ უნდოდა, არეულობისა და ომის საბაბი მიეცა მათვის, თანაც რუსთა მეფისგან ნაბრძანები ჰქონდა, დაპყრობილი ქვეყნის ხალხს ლმობიერად მოქცეოდა, ბოლოს უთხრა, რუსეთისკენ ამ დილით ქარავანი წავიდა, მაცნეებს დავაწევ და გავარკვევ, მათგან ვინმემ ხომ არ ჩაიდინა ეს დანაშაულიო. ამან ხალხი ცოტა დააშოშმინა. მმართველმა კი მაცნეთა პირით შემოგვითვალა, არ ვიცი, თქვენგან ვინმემ ჩაიდინა თუ არა ეს, მაგრამ იჩქარეთ და გაასწარით, მე კი ვეცდები, ეს განრისხებული ხალხი შეპირებებით შევიყოლიო.

ასეთი კეთილი ნების გამოვლენისთვის ქალაქის მმართველის დიდად მადლიერნი დავრჩით, თუმცა ქარავანში არავინ არაფერი იცოდა და ჩვენზე ვერც იეჭვებდნენ, მაგრამ ქარავნის უფროსმა მმართველის რჩევა ყურად იღო და ბრძანება გასცა, ორი დღე და ღამე შეუჩერებლად გვევლო. რომელი-ლაც სოფელს მივადექით, რომელსაც პლოტუსი ენოდებოდა, მაგრამ იქ არ გავჩერებულვართ და გეზი მოსკოველთა შემდეგი კოლონიის — იარავენისკენ ავიღეთ, რადგან გვეგონა, რომ იქ უსაფრთხოდ ვიქნებოდით. მაგრამ მეორე დღეს ჩვენ

უკან მტვრის ბუღი შევნიშნეთ და მივხვდით, რომ მდევარი მოგვყვებოდა. უკიდეგანო უდაბნოში გავედით და მივადექით დიდ ტბას, რომელსაც ჩანქ ოზერი ეწოდებოდა, რომ უეცრად მოპირდაპირე ნაპირზე, ჩრდილოეთით ვეებერთელა ცხენის ფიგურას მოვკარით თვალი. არადა, დასავლეთისკენ მივემართებოდით. მივხვდით, რომ მდევარიც ჩვენსავით დასავლეთისკენ მიემართებოდა, ოღონდ — ტბის ჩრდილოეთით, ჩვენ კი ბედად, სამხრეთით ვიყავით. ორი დღის შემდეგ მდევარი ისევ გაუჩინარდა. როგორც ჩანს, ივარაუდეს, რომ მათ წინ ვიყავით, სანამ მდინარე უდას მიადგებოდნენ, რომელიც შორს, ჩრდილოეთით, ძალიან დიდი და ფართო მდინარეა, ხოლო იქ, სამხრეთისკენ, სადაც ჩვენ მივადექით, ვიწრო და თავთხელი აღმოჩნდა.

მესამე დღეს ან მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, ან მზვერავებმა აცნობეს ჩვენი ადგილმდებარეობა და შებინდებისას წამოგვადგნენ თავს. უკვე უდაბნოში ვიმყოფებოდით, რომელიც ხუთას მილზე იყო გადაჭიმული, ქალაქ იარავენამდე კი ორი დღის სავალი გზა გვქონდა დარჩენილი. ჩვენდა ბედად, მდინარე უდას პატარა შენაკადის ხეობაში დავბანაკდით, აქეთ-იქიდან ხშირი ტყით ვიყავით დაცული; მტრის თავდასხმას გამთენისკენ ველოდებოდით. ამ უდაბნოში თათარ-მონლოლთა ურდოს თავდასხმის შიშით ქარავნები ყოველლამე ამაგრებდნენ ბანაკის მისადგომებს. ჩვენც ასე მოვიქეცით. წინა ხაზი შეძლებისდაგვარად გავამაგრეთ, ცხენები და აქლემები ტვირთით შუაში მოვიქციეთ, უკანა მხრიდან მოსასვლელი გზა კი ხეებით ჩავხერგეთ.

ამ საქმეში ვიყავით, მტერი რომ მოგვადგა. მუხანათურად არ დაგვსხმიან თავს, სამი კაცი გამოგზავნეს და მოითხოვეს, ისინი გადმოგვეცით, ვინც ჩვენს ქურუმებს თავს დაესხნენ და წმინდა კერპი შეგვიგინეს, და ხელს არ გახლებთ, თორემ ყველას ერთიანად ამოგუუსავთო. ჩვენები დაბნეულები

ერთმანეთს მისჩერებოდნენ. ქარავნის უფროსმა შეუთვალა, გარნმუნებთ, ჩვენგან ეს არავის ჩაუდენია, რადგან მშვიდობიანი ვაჭრები ვართ, ამის ჩამდენები კი ალბათ სხვა ქარავნიდან იქნებოდნენ, ხოლო თუ ბრძოლას გაგვიმართავთ, რა გაეწყობა, ჩვენც წინააღმდეგობას გაგინევთო.

ამ პასუხმა ისინი არ დააკმაყოფილა, და გამთენისას ჩვენს ბანაკს დიდი რაზმი წინიდან მოადგა, მაგრამ რაკი დაინახეს, რომ კარგად ვიყავით გამაგრებულნი, ერთხანს იდგნენ და შორიდან გვაკვირდებოდნენ, მერე ყიუინა დასცეს და ისრები დაგვიშინეს, თუმცა, რამდენადაც მახსოვს, ჩვენგან არავინ დაჭრილა.

ცოტა ხანში მარჯვნივ გადაინაცვლეს, რომ უკნიდან დაგვსხმოდნენ თავს, მაგრამ ერთმა იარენსკელმა კაზაკმა ჭკუა იხმარა და გვიხსნა. ქარავნის მეთაური დაითანხმა, მალულად ზურგიდან მოუარა თათრებს, ისე მიადგა მათ რიგებს, ვითომ შილკიდან გამოგზავნილი შიკრიკი იყო, და აცნობა, ისინი, ვინც თქვენი ჩამ ჩი-თაუნგუ დაწვა, ურნმუნოთა ანუ ქრისტიანთა ქარავანს შილკაში გაჰყვნენ, რათა თუნგუსთა ლვთაებას, სქალ-იზარსაც იგივე მოსწიონო. ვინაიდან ეს კაცი თავადაც თათარი იყო და შესანიშნავად ლაპარაკობდა თათრულად, დაუჯერეს, შილკისკენ დაიძრნენ და სამ საათში მათი კვალიც კი აღარსად ჩანდა. ასე რომ, მშვიდობიანად ჩავალნიერ იარენსკში, სადაც რუსული გარნიზონი იდგა. იქ ხუთი დღე დავრჩით და კარგად დავისვენეთ.

ამ ქალაქის შემდეგ ჩვენი გზა გადიოდა ვრცელ უდაბნოზე, რომლის გადალახვასაც ოცდასამი დღე მოვუნდით და გზად ერთი ხე ან ბუჩქიც კი არ შეგვხვედრია. ამიტომ ქალაქში მოვიმარავეთ კარვები ლამის გასათევად; ქარავნის უფროსმა კი თექვსმეტი ოთხთვალა იშოვა წყლისა და სურსათის წასალებად; ეს ოთხთვალები მონლოლ-თათართა ურდოსგან დასა-

ცავადაც გამოგვადგებოდა, რადგან ამ უდაბნოში ქარავნებს ხშირად ესხმოდნენ თავს, თუმცა ჩვენ არ გადავყრივართ, მხოლოდ კანტიკუნტად სიასამურზე მონადირენი თუ შეგვხვედრია.

უდაბნოს რომ გავცდით, მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში შევედით, სადაც ყველა ქალაქსა თუ ციხესიმაგრეში, მეფის განკარგულებით, გარნიზონი იდგა თათრებისგან ქვეყნის დასაცავად და ქარავნების გაცილებაც ევალებოდა. ამიტომ უდინსკის მმართველმა, რომელსაც შოტლანდიელი ვაჭარი იცნობდა და მასთან ერთად ვეწვიე, შემდეგ პუნქტამდე ორმოცდაათკაციანი დაცვა შემოგვთავაზა.

მეგონა, რაც უფრო ვუახლოვდებოდით ევროპას, მით უფრო ცივილიზებული დასახლებები შეგვხვდებოდა, მაგრამ ჯერ ისევ თუნგუსთა ქვეყანაში ვიმყოფებოდით, ამიტომ აქაც უხვად ვხედავდით წარმართულ და ბარბაროსულ ნიშნებს, თუმცა, რაკი მოსკოველებს ჰყავდათ დაპყრობილი, აქაურები არც ისე სახითათონი იყვნენ. თუნგუსებს ცხოველთა ტყავები ემოსათ, კარვებიც ამ ტყავებისგან ჰქონდათ დამზადებული; ქალსა და მამაკაცს ერთმანეთისგან ვერც გარეგნობით გაარჩევდით და ვერც ჩაცმულობით. ზამთრობით, როცა თოვლი იდო, ისინი მიწისქვეშა მიწურებში ცხოვრობდნენ, რომლებიც ერთმანეთს დერეფნებით უკავშირდებოდა. თუ თათრებს ჩითაუნგუ ჰყავდათ გაფეტიშებული, ამათ ყველა კარავსა თუ მიწისქვეშა სადგომში თავიანთი კერპები ედგათ. ეს ქვეყანა სწორედ ის უდაბნო იყო, ადრე რომ ვახსენე, თითქმის ოთხას მიღზე გადაჭიმული, აქედან ნახევრის გავლასაც თორმეტი დღე მოვანდომეთ და გზად ერთი კარავი და ერთი ხეც კი არ შეგვხვედრია, და იძულებული ვიყავით, საქონელიც, წყალიც და პურიც ჩვენით გვეთრია. ამ უდაბნოს რომ გავცდით კიდევ ორი დღე ვიარეთ, სანამ მოსკოველთა ქალაქ ენისეისკ

მივადგებოდით, რომელიც დიდი მდინარე ენისეის ნაპირზე იყო გაშენებული და, როგორც გვითხრეს, ევროპასა და აზიას ყოფდა.

მთელი ქვეყანა მდინარე ობსა და მდინარე ენისეის შორის წარმართებით იყო დასახლებული, ადამიანები კი უფრო პარბაროსები იყვნენ, ვიდრე ყველაზე უკანასკნელნი თათართა შორის. მოსკოველი მმართველებისგან, ვისაც შევხვედრივარ და ვისთანაც მისაუბრია, შევიტყვე, რომ აქაური გაუბედურებული წარმართები არც უფრო ჭკვიანები იყვნენ და არც უფრო დაახლოებული ქრისტიანობასთან, თუმცა მოსკოველთა მორჩილებაში იმყოფებოდნენ. მმართველებმა თავადაც აღიარეს ეს და განმიცხადეს, ეს ჩვენ არ გვეხებაო; ისიც მითხრეს, მეფეს თავისი ციმბირელი, თუნგუსი და თათარი ქვეშევრდომების გაქრისტიანება რომ უნდოდეს, აქ ჯარისკაცებს კი არა, ღვთისმსახურთ გამოგზავნიდაო.

აქედან მდინარე ობამდე საკმაოდ ნაყოფიერი, მაგრამ მცირედ დასახლებული ადგილები გავიარეთ, სადაც მოსახლეობა უმთავრესად წარმართი იყო, გარდა იმ ტუსალი რუსებისა, რომლებიც აქ გადმოასახლეს, რადგან აქედან გაქცევა სრულიად შეუძლებელი იყო. აქედან ტობოლსკამდე, ციმბირის მთავარ ქალაქამდე ისე ვიმგზავრეთ, აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. ტობოლსკში კი, გარკვეული მიზეზის გამო, კარგა ხანს დავყავი.

უკვე შვიდი თვე გრძელდებოდა ჩვენი მოგზაურობა. ზამთარი სულ უფრო იკრებდა ძალას. მე და ჩემმა კომპანიონმა ვითათბირეთ და რაკი გეზი ინგლისისკენ გვეჭირა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ შემდგომი მოქმედება დაგვესახა. აქ შემოგვთავაზეს მოგზაურობა ირმებშებმული მარხილებით, რომლებითაც მთელი ზამთარი გადაადგილდებოდნენ რუსები, დღისითაც და ღამითაც: ზამთარში აქ ყველაფერი

იყინება, მთებიც, ველებიც, მდინარეებიც და ტბებიც, ამიტომ მარხილით ყველგან შეუძლიათ თამამად გავლა.

მაგრამ მე ზამთარში ამგვარი მოგზაურობა სულაც არ მხიბლავდა, და რაკი ინგლისელი ვიყავი და არა — მოსკოველი, ჩემი მარშრუტიც სულ სხვაგვარი იყო. ორი მიმართულება დავისახე: იაროსლავლამდე გავყოლოდი ქარავანს, შემდეგ დასავლეთისკენ ან ნარვამდე მიმეღწია, ან ფინეთის ყურემდე და დანციგამდე, სადაც ვვარაუდობდი, ჩემი ჩინური საქონელი სართიანად გამეყიდა; ანდა ქარავანს ჩამოვშორებოდი და დვინაზე მდებარე პატარა ქალაქიდან ექვს დღეში არხანგელსკამდე ჩამეღწია და იქიდან ზღვით ინგლისში, ჰოლანდიაში ან პამბურგში ჩავსულიყავი.

მაგრამ ზამთრის პირობებში არც ერთი ამ მიმართულებით წასვლა არ ლირდა; დანციგშიც გაყინული იქნებოდა ბალტის ზღვა, და იქამდე ჩაღწევაც მონდოლ-თათართა ქვეყანაში მოგზაურობაზე ნაკლებად სარისკო როდი იყო; რაც შეეხება არხანგელსკს, ოქტომბრისთვის იქიდან უკვე ყველა ხომალდი წასული იქნებოდა; იქაური ვაჭრებიც კი ზამთარში სამხრეთისკენ, მოსკოვისკენ მიდიან; სიცივესა და ყინვაზე რომ აღარაფერი ვთქვა, სურსათიც გამომელეოდა და მთელი ზამთარი ცარიელ ქალაქში ყურყუტი მომინევდა. ამიტომ გადავწყვიტე, ქარავანს ჩამოვშორებოდი და, სადაც ვიყავი, იქ გამომეზამთრა, ანუ — ტობოლსკში, ციმბირში, სამოცგრადუსიან განედზე; თანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ არც სითბო და არც საჭმელ-სასმელი, არც სასიამოვნო საზოგადოება მომაკლდებოდა.

აქაური კლიმატი სრულიად არ ჰგავდა ჩემი კუნძულის კლიმატს, სადაც სიცივე არასდროს მიგრძნია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თავად მამცივნებდა. იქ მსუბუქი ტანსაცმელიც კი ზედმეტი მეჩვენებოდა, ცეცხლსაც მხოლოდ საჭმ-

ლის მოსამზადებლად ვანთებდი, აქ კი თავიდან ფეხამდე შე-
ფუთული ვიყავი, გარეთ ქურქის მოუხურავად ვერ გავდიოდი,
რაც შეეხება სახლში სითბოს, უნდა გამოვტყდე, რომ სულაც
არ მომწონს ინგლისური ბუხრები, რომლებიც სითბოს მანამ
გამოსცემს, სანამ ცეცხლი ანთია. აქ კი ქალაქში ერთი დიდი
ბინა მოვძებნე, სადაც ღუმელი დახურული იყო, როგორც ინ-
გლისურ აბანოში, და ექვსივე ოთახს თანაბრად ათბობდა, თან
კვამლიც არ მანუხებდა.

და რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, აქ, ამ ბარბარო-
სულ ქვეყანაში ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში, საუკეთე-
სო საზოგადოება იყო შეკრებილი — აქ იმყოფებოდა სახელმ-
წიფო დამნაშავეებად შერაცხილი და მოსკოვიდან გადმოსახ-
ლებული რუსი თავადაზნაურობა, ოფიცრობა და სამეფო კა-
რის მოხელენი; აქ იყვნენ: თავადი გოლიცინი, მოხუცი გერმა-
ნელი რობოსტისკი, რამდენიმე არისტოკრატი, მათ შორის —
ქალბატონებიც. ეს ბატონები ჩემმა შოტლანდიელმა ვაჭარმა
გამაცნო, რომელსაც აქ სამნუხაროდ, დავცილდი, და ზამთ-
რის გრძელ ღამეებს მათ საზოგადოებაში საკმაოდ სასიამოვ-
ნოდ ვატარებდი.

ინგლისში მშვიდობიანად დაპრუნება

ერთხელ ღამით მე და დევნილი თავადი, ყოფილი მინისტრი ვსაქუბრობდით. მიყვებოდა რუსთა იმპერატორის სიმდიდრეზე, სიდიადეზე, ძლიერებასა და სრულ ძალაუფლებაზე. მეც სიტყვა ჩავურთე და ვუთხარი, მე უფრო დიდი და ძლიერი მმართველი ვარ, ვიდრე თქვენი მეფე, თუმცა ჩემი სამფლობელო ასეთი ვრცელი არ არის და არც ამდენი ქვეშევრდომი მყავს-მეთქი. რუსი თავადი გაოცდა და მომაჩერდა, ალბათ გაიფიქრა, ნეტავ რისი თქმა უნდაო? მეც ვუამბე კუნძულზე ჩემი ცხოვრების ამბავი, ის, თუ როგორ განვაგებდი საკუთარ თავსაც და იმათაც, ვინც მემორჩილებოდა. ყველა ძალიან დაინტერესდა ჩემი ნაამბობით, განსაკუთრებით თავადი, და მითხრა, ცხოვრების ნამდვილი სიდიადე ის არის, როცა საკუთარი თავის პატრონი ხარო; თქვენნაირ ცხოვრებას მოსკოვის მეფობაზე არ გავცვლიდიო; და რომ აქ, გადასახლებაში მირჩევნია ყოფნა მეფის მინისტრობას მოსკოვში, სადაც ძალაუფლებით ვტკბებოდიო. ადამიანის სიბრძნე სწორედ იმით გამოიხატება, რამდენად შეუძლია გარემოებასთან შეგუება, რამდენად ღირსეულად იტანს ბედუკულმართობას. პირველად აქ რომ ჩამოსულა, თურმე სიმწრისგან სულ თავზე თმას იგლეჯდა და ტანსაცმელს იხევდა, ისევე როგორც მრავალი სხვა, ვისაც ასეთივე ბედი ეწია; მაგრამ მალევე მოეგო გონს, დაუფიქრდა ცხოვრების აზრს, მიხვდა, რომ ადამიანს ურთულეს ვითარებაშიც შეუძლია ბედნიერი იყოს. და ახლა, როცა მოკლებულია ამქვეყნიურ სიამეებს და მათი განცდით გამოწვეულ ნეტარებას, მიხვდა მათ მანკიერებას და ღრმად სწამს, რომ მხოლოდ სათნოება ანიჭებს ადამიანს სრულ ბედნიერებას, სიბრძნესა და მარადიულ სიმშვიდეს.

— მერწმუნეთ, სერ, — მითხრა მან, — სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მეფე მბრძანებელმა უკან რომ მიხმოს და ადრინდელი სიდიადე დამიბრუნოს, უარს ვიტყვი.

ეს ისე დარწმუნებით და ისე სერიოზულად თქვა, შეუძლებელი იყო, მის გულწრფელობაში ეჭვი შეგეტანა. პასუხად ვუთხარი, რომ ერთხანს ჩემს კუნძულზე თავი ხელმწიფედ მიმაჩნდა, ის კი მხოლოდ ხელმწიფე კი არა, დიდი თვითმპყრობელიცაა, რადგან იმას, ვინც საკუთარ ვნებებს სძლია, საკუთარ თავს სძლია, ვისი გონებაც ნებაზე მბრძანებლობს, ვერავითარი დამპყრობელი ვერ შეედრება.

იქ რვა თვე დავყავი. საშინელი, დამთრგუნველი ზამთარი გავატარე; ისე ყინავდა, გარეთ ცხვირს ვერ ვყოფდი, თუ ქურქში არ გავეხვეოდი და თავზეც ქუდს არ ჩამოვიფხატავდი, ისე, რომ მხოლოდ პირი და თვალები მიჩანდა. სამი თვის განმავლობაში დღე მხოლოდ ხუთი, ჰა-ჰა, ექვსი საათი გრძელდებოდა, ამინდი კარგი იყო, ძალიან არც ღამე ბნელოდა, რადგან გარემო სულ თეთრად იყო გადაპენტილი. შიმშილისგან გაძვალტყავებული ცხენები მიწისქვეშა სადგომებში გვეყენა, მსახურები, რომლებიც ვიქირავეთ, რომ ჩვენთვისაც მიეხედათ და ჩვენი ცხენებისთვისაც, იქით გავვიხდნენ მოსავლელნი, რადგან ხან ხელის თითები ეყინებოდათ, ხან — ფეხის, და ჩვენ ვუთბუნებდით, რომ არ დახოცილიყვნენ.

რაც მართალია — მართალია, შინ თბილოდა, სახლებს სქელი კედლები და ორმაგმინიანი პატარა ფანჯრები ჰქონდა; უმთავრესად ირმის ხორცს ვჭამდით, პური გემრიელი ცხვებოდა, თუმცა ნამცხვარს ჰგავდა; რამდენიმე სახის გამხმართევზს ვჭამდით, კიდევ — ცხვრისა და კამეჩის ხორცს, და საკმაოდ გემრიელიც იყო; სურსათ-სანოვაგეს საზამთროდ ზაფხულში იმარაგებენ; კონიაკის ნაცვლად, წყალში გაზავებულ სპირტს ვსვამდით, ღვინის ნაცვლად კი — თაფლის სას-

მელს, რომელიც საკმაოდ სასიამოვნო დასალევია; იქაურები ნებისმიერ ამინდში ნადირობდნენ და ირმის ახალი ხორცი მოჰქონდათ, ზოგჯერ დათვისაც, რომელიც დიდად არ მოგვნონდა; ჩაი კი უხვად გვექონდა და სხვებსაც ვუზიარებდით, ასე რომ, მხიარულად და შეხმატკებილებულად ვცხოვრობდით.

მარტი იდგა, დღემ საგრძნობლად მოიმატა, ამინდსაც არა უშავდა რა. მოგზაურები უკვე იჭერდნენ გამგზავრების თადარივს, მარხილებს ამზადებდნენ, მე კი არც გავნძრეულვარ, რადგან არხანგელსკში გამგზავრებას ვაპირებდი და არა — მოსკოვის გავლით ბალტის ზღვისკენ; არხანგელსკში კი ხომალდები მაის-ივნისამდე არ შემოდიან, ასე რომ, აგვისტოს დამდეგს რომ ჩავსულიყავი, ჩავუსწრებდი. ამიტომაც არ ვჩქარობდი, სხვებისგან განსხვავებით. აქედან ბევრი ვაჭარი მიემგზავრება ხოლმე მოსკოვსა და არხანგელსკში, გასაყიდად ბეწვეული მიაქვთ, იქიდან კი საჭირო საქონელი ჩამოაქვთ.

მაისში მეც დავიწყე მზადება და უცებ დავფიქრდი, ეს ხალხი მეფემ ციმბირში რომ გადმოასახლა, აქ რომ ჩამოვიდნენ, ხომ შეეძლოთ, სადმე სხვაგან წასულიყვნენ, და რატომ არ წავიდნენ-მეთქი?! ჩემი გაოცების მიზეზი ისევ იმ თავადს გავუზიარე. აი, რა მიპასუხა:

— ბატონო ჩემო, გაითვალისწინეთ, სად ვიმყოფებით და რა მდგომარეობაში. აქედან გალწევა უფრო ძნელია, ვიდრე ნებისმიერი საპყრობილიდან: ჩრდილოეთიდან სანაოსნოდ გამოუსადეგარი ოკეანეა, საიდანაც ერთი ხომალდი, ერთი ნავიც კი არ შემოდის; დანარჩენი მხრიდან — ათასობით მილზე გადაჭიმული მეფის სამფლობელო, რომლის გავლა მხოლოდ იმ გზებითა და ქალაქებით შეიძლება, სადაც სამხედრო გარნიზონებია ჩაყენებული.

ხმა ვერ ამოვიდე, რადგან მივხვდი, რომ აქ ისევე საიმედოდ იყვნენ გამოკეტილები, როგორც მოსკოვის ციხეში იქ-

ნებოდნენ. მაგრამ თავში გამიელვა, რომ ამ შესანიშნავი ადა-
მიანის ხსნა შემეძლო, ამიტომ გადავწყვიტე, გაქცევაში დავხ-
მარებოდი, რადაც უნდა დამჯდომოდა. ერთხელაც, საღამოს,
ჩემი ჩანაფიქრი გავანდე. ვუთხარი, რომ მისი აქედან წაყვანა
არ გამიჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ დაცვა არ ჰყავდა მიჩე-
ნილი; გარდა ამისა, მოსკოვში კი არა, არხანგელსკში მივდიო-
დი, თანაც, ქარავანთან ერთად, და ქალაქებში შესვლა სულაც
არ დაგვჭირდებოდა, ნებისმიერ ადგილას დავბანაკდებოდით;
არხანგელსკში კი დაუბრკოლებლად ავიყვანდი ინგლისურ
ხომალდზე; მთელ ხარჯს ჩემს თავზე ვიღებდი მანამ, სანამ
თავად არ შეძლებდა საკუთარი თავის უზრუნველყოფას.

ძალიან ყურადღებით მისმენდა, მერე შევატყვე, რომ ჩემ-
მა სიტყვებმა ძალიან ააღელვა — სახეზე ფერი ეცვლებოდა,
თვალები უელავდა, სუნთქვა აუჩქარდა. მაშინვე ვერც კი გამცა
პასუხი, ხანმოკლე დუმილის შემდეგ კი გადამეხვია და მითხრა:

— რა საბრალოა ადამიანი, სიკეთე შეიძლება ბოროტებად
ექცეს, კეთილშობილური მისწრაფება კი ცოდვად შემოუბრუნ-
დეს. — მერე გულითადი მადლობა გადამიხადა და მთლიანად
გამიბათილა ის არგუმენტები, რომლებითაც მისი გათავისუფ-
ლებას გეგმას ვასაბუთებდი. სრულიად გადაჭრით მითხრა,
რომ დარჩება იქ, სადაც არის და სულაც არ აპირებს დაიბრუ-
ნოს ის უბადრუკი სიდიადე, რომელშიც ცხოვრობდა, რადგან
ამპარტავნობა, სიხარბე და ფუფუნებისადმი სწრაფვა ისევ მო-
ეძალება და მასში სათნოებას ჩაკლავს.

— ნება მომეცით, ბატონო ჩემო, დავრჩე ამ კურთხე-
ულ პატიმრობაში, რადგან აქ დაცული ვარ ცხოვრებისეული
ცდუნებებისგან, და არ მოვიპოვო თავისუფლება ჩემი სული-
სა და გონების თავისუფლების ხარჯზე, რადგან მეც უბრალო
ადამიანი ვარ, მეც ვყვები ვნებებს. ამიტომ ნუ იქნებით ერთდ-
როულად ჩემი მეგობარიც და მაცდუნებელიც.

თუ ადრე გამაოცა მისმა სიტყვებმა, ახლა საერთოდ და-
მამუნჯა. ვუყურებდი და აღტაცებული ვიყავი, როგორ ლირ-
სეულად უმკლავდებოდა შინაგან ბრძოლას; იმ ყინვაში, სულ
ოფლად იღვრებოდა; ამიტომ მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე,
ამაზე დაფიქრდით-მეთქი, და ჩემი ბინისკენ გავეშურე.

დაახლოებით ორ საათში ჩემი ოთახის კართან ფეხის ხმა
გავიგონე და ის იყო, გალებას ვაპირებდი, რომ თავადმა კარი
თავად შემოალო და შემოვიდა.

— ძვირფასო მეგობარო, — მითხრა, — ლამის დამიყო-
ლიეთ, მაგრამ თავს მოვერიე. ნუ მიწყენთ, თქვენი შეთავაზე-
ბარომ არ მივიღე. გული ამიჩუყა თქვენმა სულგრძელობამ და
ულრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. და მინდა, იმედი გა-
მოვთქვა, რომ საკუთარ თავს ვძლიე.

— ბატონო ჩემო, — მივუგე, — დავიჯერო, კმაყოფილე-
ბას განიცდით, ღვთიურ ნებას რომ ენინაალმდეგებით?

— სერ, — მიპასუხა, — ეს რომ ღვთიური ნება ყოფილი-
ყო, ამ გადაწყვეტილებას მიმაღებინებდა, მაგრამ პირიქით
მოხდა, თუმცა ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ მომიგო-
ნებთ როგორც ლირსეულ ადამიანს, რომელმაც სულის თავი-
სუფლება ფიზიკურ თავისუფლებაზე არ გაცვალა.

ისლა დამრჩენოდა დავთანხმებოდი და მეთქვა, რომ მის-
თვის მხოლოდ სიკეთე მსურდა. გადამეხვია, მითხრა, ამაში
სავსებით დარწმუნებული ვარო, და სიასამურის ბეწვის ქურ-
ქი მომართვა. მის მდგომარეობაში მყოფი კაცისგან ასეთი
ძვირფასი საჩუქრის მიღება მეუხერხულებოდა, მაგრამ არ
მომეშვა. მეორე დილით მსახურის ხელით მცირედი ძლვენი
მეც გავუგზავნე — ჩაი, რამდენიმე წყრთა ჩინური აბრეშუ-
მი და ექვს უნციამდე წონის ოთხი იაპონური ოქროს მონეტა,
რაც, რა თქმა უნდა, მის სიასამურის ბეწვის ქურქს ვერც კი
შეედრებოდა, რადგან, როგორც შემდეგ გაირკვა, ინგლისში
ორასი გირვანქა სტერლინგი ლირდა. ჩაი, ერთი ნაჭერი ჩინუ-

რი აბრეშუმის ქსოვილი და ერთი იაპონური ოქროს მონეტა, როგორც იშვიათობა, რადგან ზედ იეროგლიფები იყო ამოტ-ვიფრული, დაიტოვა, დანარჩენი კი მსახურს უკან გამოატანა და შემომითვალა, თქვენთან სალაპარაკო მაქვსო.

მასთან რომ მივედი, მითხვა, — იმედია, გუშინდელ თე-მას აღარ დავუბრუნდებით, მაგრამ რაკი აქედან წაყვანა ასე გულწრფელად შემომთავაზეთ, იქნებ სიკეთე გამოიჩინოთ და ჩემ მაგივრად სხვა წაიყვანოთ, — ის, ვისზეც ძალიან შემტკი-ვა გულიო. როგორც გაირკვა, თავის ერთადერთ ვაჟს გულის-ხმობდა, რომელიც მართალია, მე არ მინახავს, მაგრამ ასევე გადასახლებაში იმყოფებოდა, ოლონდ — ჩვენგან ორასი მი-ლის დაშორებით, მდინარე ობის მოპირდაპირე ნაპირზე; და თუ თანახმა ვიქნებოდი, მის მოსაყვანად ვინმეს გაგზავნიდა.

წუთითაც არ დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი, თანაც ვაგრძნობინე, რომ ამას მისდამი უდიდესი პატივისცემის ნიშ-ნად გავაკეთებდი და შევპირდი, რომ მის ვაჟს ზრუნვას არ მო-ვაკლებდი. მეორე დღესვე გაგზავნა მსახური, რომელიც ოც დღეში უკან დაბრუნდა უძვირფასესი ბენვეულით დატვირ-თული ექვსი ცხენით, ახალგაზრდა თავადი კი ქალაქებარეთ დარჩენილიყო და მხოლოდ ღამე მოვიდა; ასე ჩამაბარა იგი მა-მამისმა. მერე მგზავრობის დეტალები შევათანხმეთ.

დიდალი რაოდენობის სიასამურის, შავი მელიის, ყარ-ყუმის და კიდევ სხვა სახის ბენვეული შევიძინე, ძირითადად ჩინეთიდან ჩამოტანილ საქონელზე გადავცვალე; მიხაკისა და ჯავზის ნაწილი აქ, ტობოლსკში გავყიდე, ნაწილი კი — არხან-გელსკში, თანაც, ბევრად უფრო სარფიანად, ვიდრე ლონდონ-ში გავყიდდი. ჩემი კომპანიონი, რომელიც კომერციული საქ-მიანობით ჩემზე მეტად იყო დაინტერესებული, ფრიად კმაყო-ფილი დარჩა ამ გარიგებებით და სულაც არ ნანობდა, რომ აქ ასე ხანგრძლივად შევყოვნდით.

ივნისის დასაწყისში ეს შორეული ქალაქი დავტოვეთ. ძალიან პატარა ქარავნით მივდიოდით, სულ ოცდათორმეტი ცხენი და აქლემი გვყავდა; ყველა ჩემს საკუთრებად ითვლებოდა, თუმცა აქედან თერთმეტის პატრონი ჩემი ახალი თანამგზავრი იყო. ბუნებრივია, რომ ადრინდელზე მეტი მსახური მყავდა და ახალგაზრდა თავადიც ჩემს რწმუნებულად გავასაღე. რა ნოდების დიდებულად მიმიჩნევდნენ რუსები, არ ვიცი, არ მიკითხავს, რადგან არც მაინტერესებდა. მას მერე, რაც ჩინეთიდან წამოვედით, ყველაზე რთული და დიდი უდაბნოს გავლა მოგვიხდა; გზა ალაგ-ალაგ დაჭაობებული იყო, თანაც უსწორმასწორო, ერთადერთი, თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ თათრებისა და ყაჩალების თავდასხმის აღარ გვეშინოდა, რადგან ობის გადაღმა არასდროს შემოუღწევიათ, თუმცა — სულ ტყუილად.

ჩემს ახალგაზრდა თავადს ერთგული ციმბირელი მსახური ახლდა, რომელიც შემოვლითი გზებით მიგვიძლოდა, რათა თავი აგვერიდებინა დიდი ქალაქებისა და დასახლებებისთვის, როგორიცაა, ვთქვათ, ტიუმენი, სოლიკამსკი და სხვა, რადგან იქ ჩაყენებული მოსკოველთა გარნიზონები ძალიან მკაცრად ამონმებდნენ მოგზაურებს, რომ გადასახლებულები არ გაჰქიმდათ. რაკი ქალაქებში შესვლას არ ვაპირებდით, ტყე-ლრეში დაბანაკება მოგვიწევდა და კარვებში, მიწაზე უნდა გაგვეთენებინა ღამე. მაგრამ ახალგაზრდა თავადმა ეს არ დაუშვა; ქალაქს რომ ვუახლოვდებოდით, ის და მისი მსახური ტყეს აფარებდნენ თავს, მეორე დღეს კი ისევ დანიშნულ ადგილას გვხვდებოდნენ.

ბოლოს, მდინარე კამას რომ გავცდით, როგორც იქნა, ევროპამდე მივაღწიეთ. ეს მდინარე აქ ევროპისა და აზის საზღვრად ითვლება. კამის მეორე ნაპირზე პირველი ევროპული ქალაქი — სოლიკამსკია. გვეგონა, აქ სულ სხვა ხალხს ვნა-

ხავდით, მაგრამ შევცდით. კიდევ ერთი ვრცელი უდაბნო უნდა გაგვევლო, რომელიც ზოგან შვიდას მიღწეა გადაჭიმული, თუმცა ჩვენ მხოლოდ ორასი მილის გავლა მოგვიხდა. აქაურები უმთავრესად წარმართები არიან, სახლები და ქალაქებიც კერპებით აქვთ სავსე, ასე რომ, თათარ-მონღოლთაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ, ისეთივე ბარბაროსები იყვნენ; გამონაკლისი იყო ზოგიერთი ქალაქი და სოფელი, სადაც ბერძნული ეკლესის მიმდევარი ქრისტიანები ცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგან მათი რწმენა ისეა გადახლართული ცრურწმენასთან, რომ წარმართები გეგონება.

ტყეში რომ მივდიოდით, თუმცა, გვეგონა, რომ არანაირი საფრთხე აღარ გველოდა, კინაღამ ავაზაკთა რაზმმა გაგვძარცვა და დაგვარბია; რა ხალხი იყო, დღესაც არ ვიცი; ცხენებზე ამხედრებულნი, მშვილდ-ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი. თავიდან ასე, ორმოცდახუთი იქნებოდა; სათოფე მანძილზე რომ მოგვიახლოვდნენ, გარს შემოგვერტყნენ და ყურადღებით გვაკვირდებოდნენ. ჩვენ სულ თექვსმეტნი ვიყავით და საბრძოლველად რომ ჩავმწკრივდით, გზა გადაგვილობეს. ახალგაზრდა თავადის ციმბირელი მსახური გავგზავნეთ, რომ გაეგო, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ. ახალგაზრდა თავადი ყველაზე მეტად შეშფოთდა, ეგონა, რომ ეს რაზმი მას დაადევნეს. მსახური თეთრი დროშით მიუახლოვდა მათ და თუმცა ციმბირელთა რამდენიმე ენა და დიალექტი იცოდა, მათი ნათქვა-მიდან სიტყვაც კი ვერ გაიგო, იმას კი მიხვდა, რომ არ უნდა მიახლოებოდა. როგორც წავიდა, ისევე დაბრუნდა, და გვითხრა, რომ ჩაცმულობის მიხედვით ვიღაც თათრები უნდა ყოფილიყვნენ, ყალმუხთა თუ ჩერქეზთა ურდოებიდან და, როგორც ჩანს, ამ ვრცელ უდაბნოში საკმაოდ მრავლადაც იყვნენ, თუმცა არ სმენია, რომ თათრებს ჩრდილოეთისკენ ასე შორს ეთარებეათ.

მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეძლავათი იყო ჩვენთვის. მარცხნივ ოთხიოდ მიღის მოშორებით, ხშირი კორომი მოჩანდა. გადავწყვიტეთ, იქ შეგვეფარებინა თავი და გავმაგრებულიყავით; ჯერ ერთი, ხეები ისრებისგან დაგვიცავდა, მეორე, პირდაპირ იერიშზე ცხენებით ვერ წამოვიდოდნენ. ეს მოხუცმა ლოცმანმა გვირჩია, გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის მზად რომ იყო, გავემხნევებინეთ და დახმარება აღმოეჩინა. მაშინვე იქით გავემართეთ, თათრები თუ ავაზაკები — აღარც ვიცი, როგორ მოვიხსენიო — არც განძრეულან. ბედად ეს დაჭაობებული ადგილი აღმოჩნდა, რომელსაც ერთი მხრიდან საკმაოდ წყალუხვი პატარა მდინარე ჩამოუდიოდა, რომელიც დიდი მდინარის, ვიშერას შენაკადს წარმოადგენდა; მეორე მხრიდან კი სწორედ ის კორომი ემიჯნებოდა, სადაც ორასამდე დიდი ხე მიჯრით, კედელივით აღმართულიყო; ასე რომ, ცხენოსანთა რაზმი ვერასგზით ვერ შემოაღწევდა.

იქ გავმაგრდით და მტრის თავდასხმას რამდენიმე საათს ველოდით. ამასობაში პორტუგალიელმა ლოცმანმა ხის ტოტებით კიდევ უფრო ჩახერგა კორომი. ლამის ორი საათი იქნებოდა, იერიშზე რომ გადმოვიდნენ; ერთი იმდენი ცხენოსანი კიდევ შემატებოდათ; მათ შორის ქალებიც შევნიშნეთ. თანდათან გვიახლოვდებოდნენ; ერთი-ორჯერ ჰაერში გავისროლეთ და რუსულად გავძახეთ, ვკითხეთ, რას გვემართლებოდნენ, თანაც გავაფრთხილეთ, არ მოგვახლოებოდნენ. ვერაფერი გაიგეს და უფრო ჯიქურ წამოვიდნენ; არ ეგონათ, რომ საიმედოდ ვიყავით გამაგრებულნი. ჩვენმა ლოცმანმა, რომელიც გამოცდილი სტრატეგიც აღმოჩნდა და ინუინერიც, გაგვაფრთხილა, სანამ კარგად არ მოგვიახლოვდებიან და საიმედოდ არ ამოილებთ მიზანში, არ ესროლოთო. გადავწყვიტეთ, მის ბრძანებას დავლოდებოდით, რომელსაც არა და არ იძლეოდა, ბოლოს კი, რომ გასცა და სროლა ავუტეხეთ, თოთხმეტი კაცი მოვუკალით, ბევრიც დავუჭერით, მათ შორის ცხენებიც.

ჩვენმა ცეცხლმა მტერი დააფრთხო და ასე ორასი ფათო-
მით უკან დაიხიეს; ამასობაში ჩვენ ისევ დავტენეთ იარაღი,
ხუთი ცხენი დავიჭირეთ, მერე დახოცილ მხედრებს მივუახ-
ლოვდით და ვნახეთ, რომ აშკარად თათრები იყვნენ, მაგრამ
ვერ გაგვეგო, ასე შორს როგორ შემოაღწიეს.

ერთ საათში კიდევ სცადეს შემოტევა, ახლა უკვე — კო-
რომის მეორე მხრიდან, მაგრამ, რაკი დარწმუნდნენ, რომ ყო-
ველი მხრიდან საიმედოდ ვიყავით დაცულნი, ისევ უკან დაი-
ხიეს. ის ლამე იქ გავატარეთ.

ცოტა ხანს გვეძინა, თითქმის მთელი ლამე ჩვენს პოზი-
ციებს ვამაგრებდით და მტერს ყურადღებით ვადევნებდით
თვალყურს. მაგრამ გამთენისას უსიამოვნო ამბავი დაგვ-
ხვდა: მონინაალმდეგეს, რომელიც გვეგონა, დავაფრთხეთ,
ახალი ძალები შემატებოდა და ჩვენ გარშემო თერთმეტი თუ
თორმეტი კარავი დაედგა; ეს პატარა ბანაკი გაშლილ ველზე
ჩვენგან დაახლოებით სამი მეოთხედი მილით იყო დაშორებუ-
ლი. მართალი გითხრათ, მაშინ ვიფიქრე, ახლა კი დავიღუპე,
მეც ხელში ჩამიგდებენ და მთელ ჩემს ქონებასაც-მეთქი; ქო-
ნებას რას დავეძებდი, თუმცა, საკმაოდ სოლიდური იყო, უფ-
რო ის მადარდებდა, რომ მოგზაურობის ბოლოს ბარბაროსებს
უნდა ჩავვარდნოდი ხელში ამდენი ფათერაკისა და განსაცდე-
ლის შემდეგ, სწორედ მაშინ, როცა ასე ახლოს ვიყავით ნავ-
სადგურთან, სადაც უკვე სამშვიდობოს ვიქნებოდით გასული.
რაც შეეხება ჩემს კომპანიონს, საშინლად ბობოქრობდა და გა-
მოაცხადა, რომ საქონლის დაკარგვა მისთვის განადგურებას
ნიშნავდა და ამას სიკვდილი ერჩივნა, ამიტომ სისხლის უკა-
ნასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა.

ახალგაზრდა თავადი, რომელიც სიმამაცით ვამოირჩე-
ოდა, ასევე გააფორებით იბრძოდა. მოხუცი ლოცმანი გვარწ-
მუნებდა, საიმედოდ ვართ გამაგრებული და წინაალმდეგობის
განევას შევძლებთო. მთელი დღე თათბირში გავატარეთ, სა-

ლამოს კი აღმოვაჩინეთ, რომ მტრის რაოდენობამ იმატა, და შესაძლოა, დილისთვის კიდევ უფრო გაზრდილიყო, ამიტომ ჩვენს თანმხლებ ტობოლსკელებს ვკითხე, ხომ არ იცოდნენ რაიმე შემოვლითი გზები, რომ ამათთვის გვერდი აგვევლო ან რომელიმე ქალაქში ჩაგვეღწია, საიდანაც დაცვას გაგვაყოლებდნენ? ამაზე ახალგაზრდა თავადის ციმბირელმა მსახურმა მიპასუხა, თუ გინდათ მათთან ბრძოლას თავი აარიდოთ, ლამით ერთი ბილიკით ისე გაგიყვანთ ჩრდილოეთით მდინარე პეტრუზისკენ, თათრები ვერც კი შენიშნავენ, მაგრამ ჩემი ბატონი უკან დახევას არ აპირებს, მათთან შებმა აქვს გადაწყვეტილიო. ამაზე ვუთხარი, ეტყობა, შენს ბატონს სწორად ვერ გაუგე, იგი საკმაოდ გონიერია და ვიცი, რომ ძალიან მამაცია, თუმცა, არა მგონია, ვერ ხვდებოდეს, რამდენად დიდი უაზრობაა ჩვიდმეტი თუ თვრამეტი კაცის შებრძოლება ხუთასკაციან ჯართან, თუ ამას გამოუვალი მდგომარეობა არ გაიძულებს. ამაზე მიპასუხა, თუ მისი ბრწყინვალების ბრძანებას არ შევასრულებ, სიკვდილი არ ამცდება. მაგრამ მალე მისი ბატონი დავარწმუნეთ, ებრძანებინა მისთვის, და მაშინვე წასასვლელად მზადებას შევუდექით.

როგორც კი ჩამობნელდა, ჩვენს პატარა ბანაკში კოცონი დავანთეთ, თანაც ისეთი დიდი, რომ მთელი ლამე ეგიზგიზა და თათრებს ჰეგონებოდათ, რომ იქ ვიყავით. მხოლოდ მაშინ დავიძარით, ცაზე ვარსკვლავები რომ გამოჩნდა, მანამდე ჩვენმა ციმბირელმა მეგზურმა ფეხი არ მოიცვალა. ცხენებსა და აქლემებს ტვირთი ავკიდეთ და მას გავყევით. როგორც მივხვდი, გზას პოლარული ვარსკვლავით იკვლევდა.

ორსაათიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ მთვარემ არემარე გაანათა; თითქმის ორმოცი მილი გავიარეთ და ცხენებს არაქათი გამოეცალათ. მივადექით რუსულ სოფელ კერმაზინსკოეს, სადაც ცოტა სული მოვითქვით და იმ დღეს ყალმუხი თათრების შესახებ არაფერი გვსმენია. დალამებამ-

დე ასე, ორი საათით ადრე ისევ გზას დავადექით და მერვე დღეს გამთენისას, დაახლოებით შვიდ საათზე გადავლახეთ კირშად წოდებული მდინარე და დიდ ქალაქ ოზომში შევედით, სადაც რუსები ცხოვრობდნენ. აქ შევიტყვეთ, რომ ტრამალებზე ყალმუხთა რამდენიმე რაზმი დაძრნოდა, მაგრამ ამჯერად, ჩვენდა საბედნიეროდ, აღარაფერი გვემუქრებოდა. აქ ცხენები გამოვცვალეთ და ხუთი დღე დავისვენეთ. იმ პატიოსან ციმბირელს კი მადლიერების ნიშნად, მე და ჩემმა კომპანიონმა ათი პისტოლეტის საფასური მივეცით გასამრჯელოდ.

კიდევ ხუთ დღეში ქალაქ ვესიმაში ჩავედით, მდინარე ვიჩეგდაზე, და დვინისკენ დავიძარით. ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ ჩვენი სახმელეთო მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა. ეს სანაოსნო მდინარე იყო და არხანგელსკამდე მისაღწევად შვიდი დღე დაგვჭირდებოდა. აქედან 3 ივლისს იარენსკში ჩავედით, სადაც ჩვენი ტვირთისთვის ორი და ჩვენთვის ერთი კარჭაპი ვიქირავეთ. 7 ივლისს გავედით და 18 ივლისს უკვე არხანგელსკში ვიყავით. ჩვენმა მოგზაურობამ წელიწადი, ხუთი თვე და სამი დღე გასტანა, აქედან დაახლოებით რვა თვე ტობოლსკში გავატარეთ.

არხანგელსკში ექვსი კვირა ხომალდს ველოდით; ალბათ უფრო მეტხანსაც მოგვიწევდა ლოდინი, ჰამბურგიდან გემი რომ არ ჩამოსულიყო, რომელმაც ერთი თვით ჩამოასწრო ინგლისურ გემებს. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, მას გავყოლოდით, რადგან ჰამბურგში ლონდონზე არანაკლებ სართიანად შეიძლებოდა გაგვეყიდა ჩვენი საქონელი. ხომალდზე მთელი ტვირთი ავზიდეთ და სავსებით ბუნებრივი იყო, ჩემი რწმუნებული, ახალგაზრდა თავადიც ხომალდზე ამეყვანა, რომ ჩვენთან ერთად ქალაქში არ ყოფილიყო, სადაც რომელიმე მოსკოველ ვაჭარს შეიძლებოდა ეცნო.

არხანგელსკისკენ გეზი 20 აგვისტოს ავიღეთ და უჩვეულოდ ცუდი მგზვრობის შემდეგ, 18 სექტემბერს, ელბის შე-

სართავს მივაღწიეთ. აქ ძალიან მოგებიანად გავყიდეთ რო-
გორც ჩვენი ჩინური საქონელი, ისე სიასამურის ბენვიც და
სხვა ციმბირული საქონელიც. ჩემმა მოგებამ 3 475 გირვანქა
სტერლინგი, 17 შილინგი და 3 პენსი შეადგინა, კიდევ 600 გირ-
ვანქა სტერლინგად ბენგალიაში შეძენილი ალმასები გავყიდე.

აქ ახალგაზრდა რუს თავადს დავშორდით. იგი ელბას
აუყვა ვენისკენ, სადაც მფარველობის იმედი ჰქონდა და შეძ-
ლებდა, მიმოწერა ენარმოებინა მამამისის მეგობრებთან. გან-
შორებისას დიდი მადლობა გადამიხადა დახმარებისა და სიკე-
თისთვის, მას და მამამისს რომ გავუნიე.

დასასრულ მოგახსენებთ, რომ კიდევ ოთხი თვე ჰამბურ-
გში დავყავი, იქიდან კი ხმელეთით ჰააგაში ჩავედი, საიდანაც
1705 წლის 10 იანვარს ხომალდით ლონდონში დავბრუნდი.
გადავწყვიტე, აღარ დავქანცო თავი აქეთ-იქით ხეტიალით
და სამოცდათორმეტი წლის ასაკში გავემზადო უფრო ხანგ-
რძლივი მოგზაურობისთვის, ვიდრე აქ რომ გიამბეთ, რადგან
ჩემი მრავალფეროვანი ცხოვრების მანძილზე სიმშვიდის და-
ფასება ვისწავლე და მინდა, დარჩენილი დღეები ბედნიერად
და უშფოთველად გავატარო.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

სარჩევი

თავი I	
ხელმოწევად ჩასვლა კუნძულზე	5
თავი II	
კოლონიის დაარსების ამპავი	29
თავი III	
კანიბალებთან ბრძოლა	49
თავი IV	
ველურების ხელახლი შემოსვეა	64
თავი V	
დიდი გამარჯვება	89
თავი VI	
ფრანგი მღვდლის რჩევა	102
თავი VII	
უილ ატკინსისა და მისი ცოლის საუბარი	129
თავი VIII	
კუნძულიდან ბრაზილიისკენ გამგზავრება	144
თავი IX	
საშინელი ამერიკი მაღაგასპარზე	160
თავი X	
ნაპირზე მიტოვებული	175
თავი XI	
თანამედამულის გაფრთხილება	183
თავი XII	
დურგლის საზრიანობა	192
თავი XIII	
ჩინეთში ჩასვლა	201
თავი XIV	
თათრების თავდასხმა	215
თავი XV	
კერპის დამხობა	225
თავი XVI	
ინგლისში გვიდონისად დაპრუნება	239